

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ქართული ენის ინსტიტუტი

ნინო ციხიშვილი

მეორე სერიის მწკრივთა წარმოება საშუალო ქართულში

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგი-
ის დოქტორის (Ph.D.) აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

სამეცნიერო ხელმძღვანელები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ბიორბი ბობოლაშვილი**;
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი **ლელი ბარამიძე**



თბილისის
უნივერსიტეტის
გამომცემლობა

შესავალი

1. ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციისათვის

ქართულმა სალიტერატურო ენამ თხუთმეტსაუკუნოვანი არსებობის მანძილზე რამდენადმე იცვალა სახე. ეს ცვლილებანი მისი შინაგანი კანონზომიერებითაა ნაკარნახევი და გამოწვეულია იმ გარდაუვალი აუცილებლობით, რომელიც დაბადებიდანვე დაჰყვება სიცოცხლის ნებისმიერ ფორმას.

დღეს ჩვენს საენათმეცნიერო საზოგადოებაში კამათის საგნად ქცეულია არა ის, შეიცვალა თუ არა ქართული სამწერლობო ენა, არამედ ის, თუ როგორ იცვალა, რა გზები გამოიარა, განვითარების რა საფეხურები განვლო და როგორია თითოეული ამ საფეხურის ქრონოლოგიური საზღვრები.

ქართველოლოგთა ერთი ნაწილი ქართული სალიტერატურო ენის ევოლუციაში სამ ეტაპს გამოყოფს. ენათმეცნიერთა მეორე ნაწილი ორი პერიოდის გამოყოფის მომხრეა. გამოითქვა მოსაზრება სალიტერატურო ენის განვითარების ხუთი საფეხურის შესახებაც. ქვეპერიოდების გამოყოფაც შემოგვთავაზეს. დაისვა საკითხი, პერიოდიზაციის პრობლემა საერთო-სახალხო ენისა და სალიტერატურო ენის ურთიერთგამიჯვნით გადაიჭრას. იყო საუბარი იმის შესახებაც, რომ ქართულმა სალიტერატურო ენამ უმნიშვნელო ცვლილება განიცადა, რაც არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ პერიოდიზაციაზე ვილაპარაკოთ. და რომ „თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული მწერლობა ერთი სალიტერატურო ენით იქმნებოდა და იქმნება დღემდე“ (თვარაძე 1978: 41).

ქართული სალიტერატურო ენის განვითარებაში სამ ეტაპს გამოყოფდა ა. შანიძე 1920 წელს გამოქვეყნებულ მონოგრაფიაში „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“. 1935 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“ სალიტერატურო ენის თითოეული პერიოდის ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ მეცნიერი აბობს: „ძველი ქართული ენა“ გულისხმობს ენას უძველესი ქართ. წერილობითი ძეგლებისას მე-11 საუკუნემდის (ამიანად). ეს ენა უპირისპირდება საშუალოსა და ახალს. „საშუალო ქართული“ გულისხმობს სალიტერატურო ენას მე-11 საუკუნიდან მოყოლებული მე-18 საუკუნემდის, ხოლო „ახალი ქართული“ – ენას მე-19 და მე-20 საუკუნის მწერლობისას“ (შანიძე... 1935: 01). ასპექტი ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა ზმნისა. ამ კატეგორიის გამოსატყობად მომხდარი

ცვლილება დადო მიჯნად ძველსა და ახალ ქართულს შორის ა. შანიძემ. ძველი სისტემის ახლით შეცვლა ერთბაშად არ მომხდარა, ძველი და ახალი სისტემის ნიშნები თანაარსებობდნენ იმ პერიოდის განმავლობაში, რომელსაც საშუალო ქართული დაერქვა. ამის შესახებ „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლებში“ ვკითხულობთ: „ასპექტის კატეგორიამ აღნიშნა, ასე ვთქვათ, დიდი მოხვეული ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში და ამით გარკვეული მიჯნა დაიდო ძველ ქართულსა და ახალს შორის. ამ მიჯნაზე ძვეს საშუალო ქართული, რომელიც ასახავს ამ ორი სისტემის პარალელურ არსებობას და ენის ცდას, უფრო და უფრო მეტი გასაქანი მოუპოვოს ახალ სისტემას და მივიწყებას მისცეს ძველი“ (შანიძე 1980: 271).

სალიტერატურო ენის ა. შანიძისეული დაყოფა გაიზიარეს კ. კეკელიძემ, პ. ინგოროყვამ, ვ. თოფურიამ, ს. გორგაძემ, ი. ქავთარაძემ, შ. ძიძიგურმა, ზ. ჭუმბურიძემ...

კ. კეკელიძემ XI-XIII საუკუნეებში საერო ლიტერატურის აღმოცენება, ხოლო XIX-XX საუკუნეებში მისი ევროპულ კულტურასთან დაახლოება დასახა იმ მნიშვნელოვან ცვლილებად, რომელთაც სალიტერატურო ენის განვითარებაში ახალი ეტაპების (ძველისაგან – საშუალის, საშუალისაგან – ახლის) წარმოშობა განაპირობეს (კეკელიძე 1980: 33).

1925 წელს „მნათობში“ გამოქვეყნებულ წერილში „ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან“ ს. გორგაძე წერდა: „სალიტერატურო ქართულმა, მწერლობის დაარსებიდან დღემდე, სულ მცირე, სამი მთავარი ხანა, განვითარების სამი მთავარი საფეხური, მაინც განვლო. ამ სამი საფეხურის მიხედვით, დღეს მეცნიერება სამწერლო ქართულს სამ გვარად ჰყოფს: ძველ ქართულად, საშუალო ქართულად და ახალ ქართულად... შეიძლება დაბეჭდვით ითქვას, რომ საშუალო ქართულის დასაწყისი მწერლობაში დაახლოებით მეთერთმეტე საუკუნის მეორე ნახევარს ეკუთვნის, ხოლო ახალი სამწერლო ქართულის დასაწყისად მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი უნდა ჩაითვალოს“ (გორგაძე 1925: 14).

წიგნში „ქართული ენის ისტორიისათვის“ ი. ქავთარაძე განიხილავს XII-XVIII საუკუნეთა ძეგლების ენას და კითხვას, თუ რა ადგილი უნდა მიეჩინოს ხსენებული ეპოქის სამწერლო ენას ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში, იმ ძირითადი ლექსიკურ-გრამატიკული ნიშნების გათვალისწინებით, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ სალიტერატურო ენის პერიოდიზაციისას, მკვლევარი ასე პასუხობს: „ქართული ენის განვითარების

ისტორიაში XII-XVIII საუკუნეების პერიოდის გამოყოფა გამართლებულია და საჭიროა... ლექსიკასთან ერთად საშუალო ქართული ხასიათდება მეტყველების ნაწილთა გრამატიკული ცვლილების ზოგიერთი თავისებურებით... რაც შეეხება ფონეტიკას, XII-XVIII სს. ქართული ენის სხვადასხვა ძველი ერთხმად უჭერს მხარს საშუალო ქართულის თავისებურებას ძველ და ახალ ქართულთან შედარებით“ (ქავთარაძე 1964: 33-34).

ძველ და ახალ სალიტერატურო ენათა გვერდით აყენებს საშუალო ქართულს ვარლამ თოფურიაც: „ახალი ქართული ლიტერატურული ენა წარმოადგენს ძველი ქართულის შემდგომს განვითარებას აღმოსავლეთ საქართველოს ბარის დიალექტების საფუძველზე... მაგრამ ახალი ქართული ენა ერთბაშად არ დამკვიდრებულა. მისი ჩამოყალიბება და დანერგვა ხდებოდა თანდათანობით, ახალი ელემენტების ნელი შემოსვლისა და ძველი სტრუქტურის ელემენტთა თანდათანობით შეცვლით ან გაქრობით... ამგვარი ძველი და საერო მწერლობის ენის სინკრეტიზმით (შერწყმით) წარმოიქმნა გარდამავალი ენა, საშუალო ქართული... საშუალო ქართული ენა გამოყენებულია XII-დან XVIII საუკუნის I ნახევრამდე“ (თოფურია 1965: 23-24).

სამწერლობო ენის სამ პერიოდად დაყოფის მომხრეა შ. ძიძიგურიც. ამ აზრს ავითარებს წერილში „მთლიანობა ოღონდ ნაირგვაროვანი (ძიძიგური 1978: 51-52). წიგნში „სიტყვის ცხოვრება“ მკვლევარი მოკლედ მიმოიხილავს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების საფეხურებს და საშუალო ქართულის შესახებ ამბობს: „XII-XVIII საუკუნეების ენა შეიძლება დავახასიათოთ, როგორც გარდამავალი ეტაპი, ერთგვარი შუალედური პერიოდი, რომელიც წარმოგვიდგენს ძველი ქართულის ნიშანდობლივი ელემენტებისა და ახალი ენობრივი ნაკადის თავისებურ ნაზავს, თვისებრივად ახალ ეპოქას სალიტერატურო ენის ევოლუციის გრძელ გზაზე“ (ძიძიგური 1988: 128).

ზ. ჭუმბურიძის აზრით, XII საუკუნეში ასპექტის სისტემის ცვლილებამ, მართლაც, ახალ, განსხვავებულ სალიტერატურო ენას მისცა დასაბამი, მაგრამ ძველი ნორმების მოშლისა და ახლის ჩამოყალიბების პროცესი მეტად ხანგრძლივი აღმოჩნდა. და თუ გავების პრინციპით მოვახდენდით ჩვენი სამწერლობო ენის პერიოდიზაციას, მაშინ გაჭირდებოდა საშუალო ქართულის გამოყოფა, რადგან ძველი ქართული არც თუ ისე ძნელი გასაგებია თანამედროვე ქართველისათვის და მას ახალი ქართულის ქვეპერიოდად გამოვაცხადებდით, მაგრამ „უხერხულობას შექმნიდა ის, რომ ეს „ქვეპერიოდი“ ძალიან გრძელია და მას

როგორც ძველი, ისე ახალი ქართულისაგან განსხვავებული არაერთი ნიშანი ახასიათებს“ (ჭუმბურიძე 1982: 26). ამის შემდეგ ავტორი დაასკვნის: „უფრო სწორი და მიზანშეწონილია, როცა XII-XVIII საუკუნეთა ენას ცალკე გამოყოფენ საშუალო ქართულის სახელწოდებით, რომელიც ერთგვარი გარდამავალი საფეხურია ძველსა და ახალ ქართულს შორის... ვიზიარებთ იმ აზრს, რომ ქართული სალიტერატურო ენის ისტორია სამ პერიოდად უნდა დაიყოს: ძველი ქართული (V-XI სს), საშუალო ქართული (XII-XVIII სს.) და ახალი ქართული ენა (XIX საუკუნიდან დღემდე)“ (ჭუმბურიძე 1982: 26).

6. მარიც სამ პერიოდს გამოყოფს, თუმცა, ქართული სამწერლობო ენის ცალკეულ საფეხურს დამოუკიდებელ ენად მოიხსენიებს: ქრონოლოგიურ ასპექტში ქართულში სამი ენაა – ძველი ქართული ენა, საშუალო საუკუნეების და ახალი ენა (მარი 1922: 5).

სალიტერატურო ენის განვითარებაში სამ ეტაპს გამოყოფს ფ. ერთელიშვილიც. თუმცა სხვაგვარია ენობრივ პერიოდთა ქრონოლოგიური საზღვრები და ტერმინები. ავტორი წერს: „XII-XIX საუკუნეების სალიტერატურო ქართულისათვის დამახასიათებელია ენობრივი სიჭრელე... სალიტერატურო ენის სიჭრელე ის ძირითადი თავისებურებაა, რომელიც ამ პერიოდის სალიტერატურო ქართულს განასხვავებს ძველი სალიტერატურო ქართულისგანაც და თანამედროვე სალიტერატურო ქართულისგანაც. ეს განსხვავება არსებითი ხასიათისაა და ამიტომ ქართული სალიტერატურო ენის შესწავლის დღევანდელ დონეზე მართებული ჩანს ხსენებული პერიოდის ცალკე გამოყოფა... უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა ახალი სალიტერატურო (ან სხვაგვარად: საშუალო, გარდამავალი პერიოდის) ქართული XII-XIX საუკუნეებით შემოგვეფარგლა, რადგან არსებითად XIX საუკუნის შემდეგ დამკვიდრდა თანამედროვე, ერთიანი სალიტერატურო ქართული ენა, აღიკვეთა ენობრივი სიჭრელე... ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია ამგვარი დაყოფითა და ტერმინებით წარმოგვიდგებოდა: ძველი სალიტერატურო ენა – V-XI სს., ახალი სალიტერატურო ენა – XII-XIX სს., თანამედროვე სალიტერატურო ენა – XXს.“ (ერთელიშვილი 1968: 15).

ქართული სამწერლობო ენის განვითარების გზა ორ ეტაპად წარმოადგინა არნ. ჩიქობავამ. „ენათმეცნიერების შესავალში“ კკითხულობთ: „ქართული სამწერლო ენის განვითარებაში გაირჩევა ორი პერიოდი: ძველი ქართულისა (V-XI სს.) და ახალი ქართულისა (XII საუკუნიდან დღემდის). ახალი ქართულის ჩამოყალიბება მეთორმეტე საუკუნიდან იწყება საერო მწერლობის ძეგლებში; მეთვრამე

მეტე საუკუნისათვის ეს პროცესი დამთავრებულია: დაგით გურამიშვილის „დავითიანი“ და საბა-სულხან ორბელიანის „მოგზაურობა ევროპაში“ უდაოდ ახალი სალიტერატურო ქართულის ნიმუშებს წარმოადგენს“ (ჩიქობავა 1952: 364). არნ. ჩიქობავას გამართლებულად არ მიაჩნია საშუალო ქართულის ცალკე პერიოდად გამოყოფა, რაზედაც იმავე „ენათმეცნიერების შესავალში“ ამბობს: „ახალი სალიტერატურო ენის ისტორიას ხშირად მეცხრამეტე საუკუნის მესამოცე წლებიდან ანგარიშობენ; წინა საუკუნეებს (XII-XIX სს.) „საშუალო ქართულის“ სახით გამოყოფენ. საქმის ვითარებას ასეთი გაგება არ შეეფერება. ახალი ქართულისა და ძველი ქართულის გვერდით ვერ დავაყენებთ XII-XVI საუკუნეთა ქართულს; მას დამოუკიდებელი სახე არა აქვს არც გრამატიკული წყობისა და არც ძირითადი ლექსიკური ფონდის მხრივ“ (ჩიქობავა 1952: 364). მკვლევარის აზრით, ძველი ქართულის უშუალო გაგრძელებაა ახალი ქართული ენა, რომელიც XII საუკუნიდან ისახება: „მეხოტბეთა (შავთელის, ჩახრუხადის) ენა, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ენა უკვე აღარაა ძველი ქართული. სახელთა ბრუნებაში, ზმნის უღვლილებაში ახალი ქართულის დამახასიათებელი მოვლენები გვაქვს. სიტყვათა წყობაც არსებითად ახალი ქართულისაა“ (ჩიქობავა 1950: 018). აღნიშნულ საკითხს მეცნიერი კვლავაც ეხება. ნაშრომში „დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“ ნათქვამია: „საშუალო ქართულის“ ცალკე საფეხურად გამოყოფა (ძველისა და ახალი ქართულის გვერდით) არაა გამართლებული საქმის ვითარებით. ძველ ქართულს ახალი ქართული მოსდევს“ (ჩიქობავა 1938: 227). მოგვიანებით „ვეფხისტყაოსნის“ ენაზე ჩატარებული კვლევისას არნ. ჩიქობავამ პოემის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში გამოავლინა რიგი მოვლენებისა, რაც ძველი ქართულისთვისაა დამახასიათებელი და ამ მოვლენათა გვერდით დაძებნა ისეთი ენობრივი ფაქტებიც, რაც ძველი ქართულისთვის უცხოა, ახალ ქართულში კი ჩვეულებრივი გამხდარა. ე. ი. იმ ეპოქის ძველში, საიდანაც მკვლევარი ახალი ქართული სალიტერატურო ენის დასაბამს მოიაზრებს, თანაარსებობენ ძველისა და ახლის მონაცემები. ძველ და ახალ ენობრივ ნორმათა ამ სიმბიოზს ავტორი არ მიიჩნევს დამოუკიდებელ ეტაპად, საშუალო ქართულად და მას ძველიდან ახალი ქართულისაკენ გარდამავალ საფეხურს უწოდებს (ჩიქობავა 1966).

ქართულ სამწერლობო ენაში ორი პერიოდის გამოყოფის მომხრეა ივ. გიგინეიშვილი. მკვლევარის აზრით, ახალ სალიტერატურო ენას დასაბამი მიეცა XII საუკუნიდან, ძველი ქართული ენა გადამუშავდა და დაიხვეწა სხვა, ახალი

დიალექტების საფუძველზე. „ახალი ქართული სამწერლობო ენა ძველი ქართულის გაგრძელებას წარმოადგენს და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოების საფუძველზე მისი გადამუშავების შედეგია“ (გიგინეიშვილი 1952: 502).

ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციის პრობლემას შეეხო ა. კიზირია, როცა სინტაქსურ საკითხებს იკვლევდა საერო მწერლობის, კერძოდ, XII-XVIII საუკუნეების ძეგლთა ენაში. აღნიშნულ პერიოდს, რასაც ჩვენ საშუალებს ვუწოდებთ, ავტორი არ მიიჩნევს დამოუკიდებელ საფეხურად და ამბობს: „ძველ ქართულში ახალი ელემენტების ჩასახვა, ხოლო ახალ ქართულში ძველი ქართული ელემენტების არსებობა არ გვაძლევს იმის თქმის საბუთს, რომ ძველისა და ახალი ქართულის გვერდით საშუალო ქართული წარმოვადგინოთ და ახალი ქართულის საწყისები მეთორმეტე საუკუნიდან მეცხრამეტემდის გადმოვიტანოთ“ (კიზირია 1954: 140).

ზ. სარჯველაძე თვლის, რომ სალიტერატურო ქართულის არც ორეტაპოვანი და არც სამეტაპოვანი დაყოფა არ არის აბსოლუტური. წიგნში „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი“ მკვლევარს ძველი და საშუალო ქართულის წერილობითი ძეგლებიდან საკმარისად ბევრი მაგალითი მოჰყავს იმის დასტურად, რომ კრიტერიუმები, რომლებიც თითოეული პერიოდიზაციის მხარდამჭერებმა შემოგვთავაზეს, არ არის შეუვალი, რადგან „XII-XVIII საუკუნეთა სასულიერო მწერლობის ენა საკმაოდ ხშირად გამოავლენს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ მოვლენებს, მაგრამ არსებითად იგი მაინც ძველი ქართულია. ცალკე შესწავლას საჭიროებს XIX საუკუნის I ნახევრის ენაც“ (სარჯველაძე 1984: 269). ავტორი ძველი სამწერლობო ენის მონაკვეთში ორი ქვეპერიოდის გამოყოფას გვთავაზობს იმ ფონეტიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნების გათვალისწინებით, რომელთა მიხედვითაც მის მიერ მოკვლეულ მასალებში V-VIII საუკუნეთა და IX-XI საუკუნეების ლიტერატურული ქართული ერთმანეთს უპირისპირდება.

ქართულ სამწერლობო ენას ხუთ ეტაპად ყოფს ბ. ჯორბენაძე. პირველი ეტაპი ანუ ძველი ქართული სალიტერატურო ენა, ტრადიციისამებრ, V-XI საუკუნეებს მოიცავს. ავტორი საშუალო ქართულს მეორე და მესამე ეტაპებად ანაწილებს, თუმცა, ტერმინების გარეშე გვთავაზობს. მეორე ეტაპი საერო ლიტერატურის წარმოშობას და დამკვიდრებას უკავშირდება. ბ. ჯორბენაძეს შესაძლებლად მიაჩნია, დამოუკიდებელ საფეხურად წარმოადგინოს ეპოქა ენისა, რომელიც ანტონ კათალიკოსის სამი სტილის თეორიის წყალობით საუკუნის განმავლობაში

ბატონობდა. ეს მესამე ეტაპი XVII-XVIII საუკუნეებიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე გრძელდება. მესამე და მეოთხე ეტაპებს შორის ნიშნულად მიჩნეულია სამოღვაწეო ასპარეზზე ქართველ სამოციანელთა გამოსვლა და ილია ჭავჭავაძის მეთაურობით თერგდალეულთა მიერ ქართული სამწერლობო ენის გაკეთილშობილებისათვის ჩატარებული რეფორმები. „ცოცხალი ქართული მეტყველების საწყისებისაკენ მიბრუნებამ და ამავე დროს ევროპიზაციის ტენდენციამ, როგორც ითქვა, განსაზღვრა ქართული სალიტერატურო ენის განვითარების შემდგომი გზა“ (ჯორბენაძე 1998: 5). მეცნიერი თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას უწოდებს მეხუთე ეტაპს, რომელიც XX საუკუნის 10-20-იანი წლებიდან იღებს სათავეს. ეს არის ხანა ქართული უნივერსიტეტის დაარსებისა და ქართული ენისათვის სახელმწიფო ენის სტატუსის მინიჭებისა. თავისებურება, რაც თანამედროვე ქართულს ახალი ქართულისაგან გამოარჩევს, იმაში მდგომარეობს, რომ თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენას „ორიენტაცია თბილისურ ქართულ მეტყველებაზე აქვს აღებული და იმავდროულად პერმანენტულად მდიდრდება ქართული ცოცხალი კილოებისა და ძველი ქართული სალიტერატურო ენის ფორმებით“ (ჯორბენაძე 1998: 5).

რ. თვარაძე დაბეჭდვით უარყოფს სამწერლობო ენის ნებისმიერ დაყოფას და „ძველი ქართული ენაც“ მხოლოდ პირობით სახელწოდებად მიაჩნია, „ენათმეცნიერთა დახშულ წრეში“ სამუშაო ტერმინად ხმარებული, რომლის საზღვრებშიც მოექცა ენის განვითარების გარკვეულ პერიოდში თავჩენილი ენობრივი მოვლენები. თუმცა, რ. თვარაძე თავადვე ამჩნევს სამწერლობო ენის საფუხურებად დაყოფის საჭიროებას და ამბობს: „რასაც ძველ ქართულს ვუწოდებთ, სხვა რამ ენა კი არ არის, არამედ მხოლოდ ერთ-ერთი პლასტია ერთიანი ქართული სალიტერატურო ენისა“ (თვარაძე 1978: 48). ავტორისათვის ამოსავალი წერტილი ქართული სალიტერატურო ენის ერთ განუყოფელ მთლიანობად, გაუდიფერენცირებელ ნაკადად წარმოდგენისას გაგების მომენტია. კერძოდ, ის, რომ „განათლებული ქართველი მკითხველისთვის იაკობ ხუცესის, გიორგი მერჩულეს, დავით აღმაშენებლის, „ვისრამიანის“ მთარგმნელის, რუსთაველის, სულხან-საბა ორბელიანისა თუ დავით გურამიშვილის ენა ისევე გასაგებია, ახლობელი და მშობლიური, როგორც დღევანდელ პოეტთა და პროზაიკოსთა მეტყველება“ (თვარაძე 1978: 41).

ქართული სამწერლობო ენის პერიოდიზაციის საკითხზე განსხვავებული აზრი აქვს გ. გოგოლაშვილს. მკვლევარის აზრით, როდესაც ენის პერიოდიზაცი-

აზე ვსაუბრობთ, უნდა გავარკვიოთ, თუ რის პერიოდიზაციას ვახდენთ, ქართული ენის თუ ქართული სალიტერატურო ენის, რადგან თითოეული მათგანი სხვადასხვა ლინგვისტური ოდენობაა. თუ ქართული ენის განვითარების ეტაპები გვანტერესებს, შეიძლება ვიმსჯელოთ სამ (თუნდაც მეტ) ერთეულზე. ესენია: ა) ძველი ქართული ენა, ბ) საშუალო ქართული ენა, გ) ახალი ქართული ენა. ხოლო თუ ქართული სალიტერატურო ენის ევოლუციის გზას განვიხილავთ, მხოლოდ ორი საფეხური უნდა გვქონდეს მხედველობაში: ა) ძველი ქართული სალიტერატურო ენა და ბ) ახალი ქართული სალიტერატურო ენა. „ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძველი ქართული სალიტერატურო ენის სისტემაზე; ახალი ქართული სალიტერატურო ენის სისტემაზე. მაგრამ ვერ ავაგებთ საშუალო ქართული სალიტერატურო ენის სისტემას, რადგანაც ასეთი რამ არ არსებობს“ (გოგოლაშვილი 2004: 35).

ქართული ენის ისტორიაში XII-XVIII საუკუნეთა მწერლობის ენას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ეს არის ვრცელი, მრავლისმომცველი პერიოდი, რომლის სათავეშიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ დგას. რუსთაველის ენა, მართლაც, ახალი ქართულის გარიჟრაჟია, დაფუძნებულია ძველი ქართული კლასიკური ენის საუკეთესო ტრადიციებზე და გამდიდრებულია ახალი ენობრივი ნაკადით, რომელსაც მასაზრდოებელ ნაკადულებად მიერთვის საქართველოს სხვადასხვა კუთხის ხალხური მეტყველება. მისი თანამედროვე და შემდგომი დროის მხატვრული პროზისა და პოეზიის ნიმუშებიც ამ ნიშნითაა აღბეჭდილი. ახალი ეპოქის სულით სუნთქავს მოსე ხონელის „ამირანდარეჯანიანი“, „ვისრამიანი“ და უცხოენოვანი მხატვრული ლიტერატურის სხვა თარგმანები, შავთელის „აბდულმესია“ და ჩახრუხადის „თამარიანი“, საზღაპრო ეპოსი „რუსუდანიანი“, თეიმურაზ I-ის, თეიმურაზ II-ის, არჩილის, ვახტანგ VI-ის, ბესიკის, საიათნოვას შემოქმედება. ხოლო სულხან-საბა ორბელიანისა და დავით გურამიშვილის მწეობრი, დახვეწილი ქართული დაგვირგვინებაა ამ ეპოქის მხატვრული ლიტერატურის ენისა და ამავე დროს ახალი ქართული სამწერლობო ენის წინა დღედაც მოიაზრება.

ენის ისტორიის თვალსაზრისით იშვიათ ღირებულებას წარმოადგენს ისტორიული ხასიათის თხზულებანი. ამ მხრივ „ქართლის ცხოვრება“ უთუოდ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის.

XII-XVIII საუკუნეთა ენის ჩამოყალიბების ფასდაუდებელი წყაროა ქართული ისტორიული საბუთები და სამართლის ძეგლები, ამ დროის ეპიგრაფიკული

და არქეოლოგიური მასალები, სამედიცინო და სამხედრო-ტექნიკური ლიტერატურის თარგმანები და სხვა უცხოენოვანი საგანმანათლებლო ცენტრებიდან გადმოქართულებული სასწავლო-სამეცნიერო დისციპლინები. ასეთი ჟანრის ძეგლები ხალხური მეტყველების უკუფენაა და თავისებური ლიტერატურული სტილის შემცველი, ისინი სხვადასხვა ლოკალური წარმოშობისაა, მათში საცნაურდება სხვადასხვა დიალექტური წრიდან გამოსულ მთარგმნელ-გადამწერთა ენობრივი სტილი და შესრულების მანერა. აქ უხვადაა კულტურულ-ეკონომიკური და სოციალურ-საყოფაცხოვრებო ტერმინოლოგია. ეს ძეგლები შეიცავენ მდიდარ მასალას ისტორიული ფონეტიკის, მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიის და სხვა საენათმეცნიერო საკითხების შესწავლისათვის.

თითქმის შვიდსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე თანაარსებობს ძველი სალიტერატურო ქართულის უკვე შერყეული ენობრივი ნორმები და ელემენტები ახალი სალიტერატურო ენისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუდგამს ღრმად ფესვი და რომელსაც ცოცხალი, ზეპირმეტყველებითი ენა ასაზრდოებს. XII საუკუნეში საერო მწერლობის აღმოცენებამ ხელი შეუწყო მწიგნობრული ენის ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებას, მოგვიანებით კიდევ უფრო მეტი გასაქანი მიეცა დიალექტებიდან მომდინარე ლექსიკურ-გრამატიკულ ფორმებს. „დაირღვა ძველი სამწერლობო ენის უნიფიცირებული სისტემა და ფაკულტატიურმა ენობრივმა ფორმებმა ლიტერატურულ ნორმალიზაციას თავისი დაღი დაასვა“ (ძიძიგური 1988: 129). ენობრივი სიჭრელე, – დიალექტურ ფორმათა მოზღვაგება და ერთიანი სალიტერატურო ნორმების უქონლობა, – ეს არის ძირითადი განმსაზღვრელი ნიშანი ძველიდან ახალზე გარდამავალი საფეხურისა. გარდა ამისა, აღნიშნული ეპოქის ძეგლთა ენას ახასიათებს ზოგი ისეთი გრამატიკული მოვლენაც, რომელიც მხოლოდ მისთვისაა ნიშანდობლივი და რაც მას სხვა პერიოდების სალიტერატურო ენისგან გამოარჩევს. ასეთი თავისებურებანი გამოვლინდება ცალკეული მწერლის, ცალკეული თხზულებისა თუ წერილობითი ძეგლის ენაში და მათ სისტემური ხასიათი არა აქვთ.

ამგვარი თავისთავადობა XII-XVIII საუკუნეთა ქართულისა საშუალებას გვაძლევს ხსენებული ეპოქის ენა დამოუკიდებელ პერიოდად გამოვაცხადოთ და მას პირობითად საშუალო ქართული ვუწოდოთ. ჩვენთვის მისაღებია გამოთქმული თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ ქართული ენისა და ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაცია სხვადასხვა სურათს გვაძლევს და რომ სამწერლობო ენის ჩვენთვის საინტერესო მონაკვეთს ვერ დავაყენებთ ძველი და ახალი სალი-

ტერატურო ენების გვერდით, რადგან არ არსებობს საშუალო ქართული სალიტერატურო ენა. ამიტომაც ამ პოზიციიდან დავინახავთ ქართულ ენას და შემდგომი კვლევისას ზმნის II სერიის მწკრივთა ფორმების შესწავლას საშუალო ქართულის საზღვრებში შევეცდებით.

2. II სერიის მწკრივთა რაოდენობა ძველ ქართულში

ძველ ქართულ ენაში ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის შესახებ სამეცნიერო ლიტერატურაში აზრთა ერთგვარობა არ არის. შესდგულეებათა მრავალფეროვნება განსაკუთრებით თვალში საცემია II სერიაში, სადაც მწკრივთა რაოდენობა ორიდან რვაამდე მერყეობს.

ნიკო მარმა ძველი ქართულისათვის რვა საუღლებელი ერთეული სამ ჯგუფად (სერიად) წარმოგვიდგინა და მეორე ჯგუფში (სერიაში) ორი მწკრივი გააერთიანა:

- II ჯგუფი: 1. აორისტი (ვაქე)
2. კავშირებითი (ვაქო)
(მარი 1908)

1920 წელს ა. შანიძემ ძველი ქართული უღლების სისტემა ორ ჯგუფად გაყო, პირველი ადგილი ნამყო სრულის ჯგუფს (II სერიას) მიაკუთვნა, რომელშიც ოთხი მწკრივია შესული::

- ნამყო სრულის ჯგუფი
1. ნამყო სრული
 2. მყობადი (ანუ ნატვრითი კილო)
 3. ნამყო მრავალგზითი
 4. ბრძანებითი კილო
- (შანიძე 1920)

1935 წლის სასკოლო სახელმძღვანელოში ავტორი მწკრივთა სისტემას სამ წყებად წარმოადგენს. ამჯერად II სერიას მეორე ადგილი უკავია და მასში ოთხი საუღლებელი ერთეულია გაერთიანებული:

- II წყება (ანუ სერია)
1. ნამყო წყვეტილი (ანუ აორისტი)
 2. ნამყო ხოლმეობითი

3. მეორე კავშირებითი (იგივე მყობადი)
4. წართქმითი ბრძანებითი.

(შანიძე 1935: 025).

1948 წელს დაბეჭდილ ნაშრომში „სხვა უცნობი მწკრივი ქართულში“ ავტორმა შერეული კავშირებითი შემატა II სერიას (შანიძე 1948)..

საბოლოოდ ა. შანიძისეული უღლების სისტემაში II სერიამ ასეთი სახე მიიღო:

II სერია

1. წყვეტილი
2. II ბრძანებითი
3. II ხოლმეობითი
4. II კავშირებითი (II მყობადი)
5. შერეული კავშირებითი (შერეული მყობადი)

მონოგრაფიაში „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში“ არნ. ჩიქობავა დრო-კილოთა სისტემის შედარებით მარტივ სქემას გვთავაზობს, სადაც II სერია სამი საუღლებელი ერთეულითაა წარმოდგენილი:

მეორე ჯგუფი

1. ნამყო ძირითადი (აორისტი)
2. ნამყო ჩვეულებითი (ჰაბიტუალისი, პერმანსივი)
3. კონიუნქტივი მეორე

(ჩიქობავა 1968).

ლ. კიკნაძე ძველი ქართული ზმნის უღლების სისტემაში 19 ერთეულს გამოყოფს. მკვლევარს II სერიაში დამოუკიდებელ მწკრივებად შეჰყავს შერეული წყვეტილი, შერეული ხოლმეობითი და შერეული ბრძანებითი. ავტორმა შერეული ხოლმეობითი შერეული კავშირებითის ანალოგიით შეიტანა სისტემაში. „რაკი შერეული კავშირებითი ფუნქციით I კავშირებითის ტოლია და ოდ-იანი ზმნების ამ მწკრივს ფორმითაც ჰგავს, მის გვერდით უნდა არსებულებო ის მწკრივიც, რომელიც ფუნქციით უწყვეტლის ხოლმეობითის ტოლი იქნებოდა, ხოლო ფორმით (გარეგნულად) არაფრით არ იქნებოდა განსხვავებული კავშირებითისაგან... ფორმით შერეული კავშირებითის მსგავს ამ მწკრივს... შერეული ხოლმეობითი უნდა ეწოდოს და ადგილი მეორე სერიაში მიეჩინოს“ (კიკნაძე 1967: 187). ე. ი. შერეული კავშირებითი და შერეული ხოლმეობითი ფორმოებრივად ერთი და იგივეა, ხოლო ფუნქციას კონტექსტი ანიჭებს თითოეულ მათგანს.

რაც შეეხება შერეულ ბრძანებითსა და შერეულ ნამყოს, ისინი ავტორის მიერ თეორიულად აღდგენილი ფორმებია. ლ. კიკნაძე წერს: „ა. შანიძეს მოგვცა სენენ ფორმის ადგილას, რომელიც აქ მეორე ბრძანებითია, ხოლო სხვა ადგილას შეიძლება წყვეტილი იყოს, აღუდგენია მომიკსენოდე, იმ მწკრივის ფორმა, რომელიც შერეულ ხოლმეობითთან და შერეულ კავშირებითთან ერთად უნდა არსებულიყო, და რომლისთვისაც შეიძლებოდა შერეული ბრძანებითი გვეწოდებინა“ (კიკნაძე 1967: 192).

ამგვარი ფორმის არსებობა მკვლევარს საშუალებას აძლევს, კიდევ ერთი მწკრივი გამოეყოს: „აკაკი შანიძეს შერეული ბრძანებითის ფორმა აღუდგენია, ცხადია, მას ისიც გათვალისწინებული ჰქონია, რომ თავის დროზე ის მწკრივიც უნდა არსებულიყო, რომლის ფუძეც გამოყენებული იქნებოდა შერეული ბრძანებითისათვის და რომლისთვისაც შეიძლებოდა შერეული ნამყო დაგვეჩქმა: რაკი არც I ბრძანებითს და არც II ბრძანებითს საკუთარი ფუძე არ ჰქონდა (I ბრძანებითი უწყვეტლის ფუძეს იყენებდა და II ბრძანებითი – წყვეტილისას), ცხადია, არც შერეულ ბრძანებითს ექნებოდა საკუთარი ფუძე და მას სათანადო შერეული მწკრივის ფუძე უნდა გამოეყენებინა... მომიკსენოდე შერეული ნამყოც იქნებოდა და შერეული ბრძანებითიც“ (კიკნაძე 1967: 192-193).

დასრულებული სახით ლ. კიკნაძის მიერ შემოთავაზებულ უღლების სისტემაში II სერია ასე გამოიყურება:

მეორე სერია

1. წყვეტილი
2. შერეული წყვეტილი (ნამყო)
3. II ხოლმეობითი
4. შერეული ხოლმეობითი
5. II კავშირებითი
6. შერეული კავშირებითი
7. II ბრძანებითი
8. შერეული ბრძანებითი

აქვე დავძენთ, რომ ი. იმნაიშვილი მხარს უჭერს მწკრივთა სისტემის აგების ა. შანიძისეულ პრინციპს (იმნაიშვილი 1971), თუმცა, 1996 წელს ივანე დავახტანავი იმნაიშვილების ავტორობით გამოცემულ წიგნში „ზმნა ძველ ქართულში“ შერეული ხოლმეობითი დამოუკიდებელ მწკრივადაა წარმოდგენილი. ავტორებს ასევე შესაძლებლად მიაჩნიათ შერეული წყვეტილის არსებობა. ხოლო შე-

რეული ბრძანებითის ცალკე საუღლებელ ერთეულად გამოყოფას ეჭვქვეშ აყენებენ: „როგორც ჩანს, ძველ ქართულში ცნობილ მწკრივებს შერეული წყვეტილიც უნდა დაემატოს. რაც შეეხება შერეულ ბრძანებითს, მისი არსებობა საეჭვოა“ (იმნაიშვილი... 1996).

ზ. სარჯველაძის აზრით, ძველ ქართულში საგულვებელია შერეული კავშირებითის, შერეული წყვეტილისა და შერეული ბრძანებითის არსებობა და აღნიშნულ თვალსაზრისს ძველ ტექსტებში მოძიებული ფაქტებითაც ამაგრებს. „იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება ძველ ქართულ ტექსტებში შერეული წყვეტილი, შერეული ხოლმეობითი, შერეული ბრძანებითი, შერეული კავშირებითი“, – ამბობს მკვლევარი და მიაჩნია, რომ „ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ეს მოვლენა დიალექტიზმად უნდა ჩავთვალოთ“ (სარჯველაძე 1984: 457).

ჩამოთვლილთაგან განსხვავებულ თვალსაზრისს ვეცნობით გ. გოგოლაშვილის ნაშრომში „ქართული ზმნის უღვლილების სისტემა“. მართებულად მიაჩნია რა სამეცნიერო ლიტერატურაში ნ. მარის მიერ დანერგილი საუღლებელი ფუძის პრინციპი, ავტორი კრიტიკულად განიხილავს მანამდე წარმოდგენილ სისტემებს და თვლის, რომ საუღლებელ ერთეულთა რაოდენობა თორმეტამდე უნდა შემცირდეს. კერძოდ, დამოუკიდებელ მწკრივებად არ უნდა განიხილებოდეს აწმყოს ხოლმეობითი, I ბრძანებითი და II ბრძანებითი. „მათ საკუთარი ფუძე არ გააჩნიათ. აწმყოს ხოლმეობითის ფუძე იდენტურია აწმყოს ფუძისა, I ბრძანებითის ფუძე – უწყვეტლის ფუძისა, ხოლო II ბრძანებითის ფუძე – წყვეტილის ფუძისა“ (გოგოლაშვილი 1988: 109). თუმცა ფუნქციურად ისინი სხვაობენ, „ფორმობრივად კი მათ შორის სხვაობას ქმნის ის, რომ სუბიექტურ მესამე პირში განსხვავებულ სუფიქსებს მიიღებენ“ (გოგოლაშვილი 1988: 110), რაც არ არის საკმარისი პირობა იმისათვის, რომ ისინი დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულებად მივიჩნიოთ თუნდაც იმიტომ, რომ ძველ ქართულ ტექსტებში იგივე პირის ნიშნები მოძიებულია სხვა ფორმებშიც. სახელდობრ, -ნ მს. რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად გვხვდება კიდევ II ხოლმეობითსა და I თურმეობითში, -ედ მრ. რიცხვის მესამე სუბიექტური პირის ნიშნად დადასტურებულია უწყვეტლის ხოლმეობითში, II ხოლმეობითში, II კავშირებითში, I თურმეობითში. თუმცა, ამის გამო ისინი დამოუკიდებელ მწკრივებად არ განიხილება. „ამათგან დამოუკიდებელი ნაკეთების გამოყოფას ვარაუდობენ (სხვადასხვა ფუნქციის საფუძველზე) მხოლოდ აწმყოსგან, უწყვეტლისა და წყვეტილისაგან. უწყვეტლის ხოლმეობითში, II ხოლმეობითში, II კავშირებითში პარალელური ფორმების არსებობა არ გამხდარა სა-

ფუძველი ახალი ფორმების გამოყოფისა. თუ დავუშვებთ, რომ ნ/ედ სუფიქსებს პირველ შემთხვევაში შესწევთ ძალა ნაკვთთა დაპირისპირებისა, რატომ არ ხდება ეს მეორე შემთხვევაში?“ (გოგოლაშვილი 1988: 116-117). ეს უგულებელყოფაა საწარმოებელი ფუძის პრინციპისა. ავტორი შეგვახსენებს ა. შანიძის მოძღვრებას ფუძისა და მწკრივის შესახებ, „ზმნის ფორმათა ისეთ ჯგუფს, რომელიც აერთიანებს ერთმანეთისაგან მხოლოდ პირისა და რიცხვის მიხედვით განსხვავებულ ფორმებს, მწკრივი ჰქვია“ (შანიძე... 1980: 109). „ზმნის იმ ნაწილს, რომელსაც ჩამოშორებული აქვს პირისა და რიცხვის ნიშნები, მწკრივის ფუძე ჰქვია“ (შანიძე... 1980: 110); „ზმნას სხვადასხვა მწკრივში სხვადასხვა ფუძე აქვს“ (შანიძე, იმნაიშილი, კვაჭაძე 1980: 121). გამომდინარე აქედან, წინააღმდეგობა აშკარაა, აწმყოს ხოლმეობითი, I ბრძანებითი და II ბრძანებითი ძველ ქართულში არ არის დამოუკიდებელი საუღლებელი ერთეულები. ხოლო მათ შორის ფუნქციურ განსხვავებაზე ავტორი ასე მსჯელობს: „აწმყო, უწყვეტელი და წყვეტილი დროულ-კილოური თვალსაზრისით პოლიფუნქციური ნაკვთებია... წარმოდგენილ სამ ნაკვთში არსებული ფორმობრივი პარალელიზმი ენამ ფუნქციური სხვაობისათვის გამოიყენა: ენაში უკვე არსებულმა ფორმებმა შეითვისეს ასევე ენაში უკვე არსებული შინაარსი“ (გოგოლაშვილი 1988: 117). ამიტომაც აწმყოს ხოლმეობითი, I ბრძანებითი, II ბრძანებითი, აწმყოს, უწყვეტლის, წყვეტილის ფორმობრივი ვარიანტებია, სუბიექტური მესამე პირის ნიშნებით განსხვავებული.

მსგავსი ვითარებაა III სერიაში დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად გამოყოფილი I თურმეობითის ხოლმეობითის შემთხვევაშიც, ავტორი ეთანხმება გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ აღნიშნული მწკრივი I თურმეობითის არქაული ფორმაა.

გ. გოგოლაშვილი ასევე უმართებულად მიიჩნევს შერეული ხოლმეობითის, შერეული ბრძანებითის, შერეული წყვეტილის დამოუკიდებელ მწკრივებად გამოყოფას. შერეული ხოლმეობითი ფორმობრივად სრულიად ემთხვევა შერეულ კავშირებითს, ხოლო რაც შეეხება ფუნქციას, მას კონტექსტი ანიჭებს. კონტექსტში გამოვლენილი ფუნქციისდა მიხედვით ერთი და იმავე ფორმის სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მწკრივად გააზრება არსებითად ეწინააღმდეგება მწკრივთა სისტემის აგების პრინციპს, საწარმოებელი ფუძის პრინციპს, ამის გამო შერეულ ხოლმეობითს ძველი ქართულის დრო-კილოთა სისტემაში ადგილი არ უნდა მიეჩინოს, – ასეთია ავტორის პოზიცია. კიდევ უფრო მეტად არარეალურია შერეულ წყვეტილზე და შერეულ ბრძანებითზე, როგორც დამოუკიდებელ მწკრი-

გებზე, საუბარი, რადგან „არარსებულ ფორმათა პარადიგმის რეალურ მწკრივად გამოცხადება და სისტემაში მისთვის ადგილის მიჩენა გაჭირდება...“ (გოგოლაშვილი 1988: 120).

დასასრულს, გ. გოგოლაშვილის მიერ წარმოდგენილ მწკრივთა სისტემაში II სერია ასე გამოიყურება:

II სერია

1. წყვეტილი
2. II ხოლმეობითი
3. II კავშირებითი
4. შერეული კავშირებითი

ცხადია, აღნიშნული საკითხის შესახებ თვალსაზრისთა სიჭრელესა და არაერთგვაროვნებას თვით იმ მასალის სიძველე და მრავალფეროვნება განაპირობებს, რომლის საფუძველზეც მწკრივთა სისტემის აგება ხდება. მაგრამ ლ. ჰელმსლევის ლინგვისტურ თეორიაში ემპირიზმის პრინციპის უპირველესი პუნქტია სწორედ ისეთი კვლევა, რომელიც თავისუფალია წინააღმდეგობებისაგან. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარ წინააღმდეგობათაგან თავის დაღწევის გზად საწარმოებელი ფუძის პრინციპით ხელმძღვანელობა და ამ მიმართულებით მსჯელობის წარმართვა გვესახება. ვითვალისწინებთ რა ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში საყოველთაოდ მიღებულ განმარტებებს მწკრივისა და ფუძის შესახებ, მართებულად მივიჩნევთ გ. გოგოლაშვილის აზრს და ძველი ქართული ენის უღლების სისტემაში II სერიად ზემოთ აღნიშნულ ჩამონათვალს მოვიაზრებთ.

3. II სერიის მწკრივთა რაოდენობა ახალ ქართულში

ენა დროში მუდმივად ცვალებადი ცოცხალი ორგანიზმია. ენის ბუნებრივი განვითარების კანონზომიერი შედეგია მის გრამატიკულ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებები, რაც ყველაზე მეტად ზმნაში აისახება.

ძველი ქართულიდან მოყოლებული ქართული ზმნის სისტემამ გარკვეული გარდაქმნა განიცადა. ზმნურ კატეგორიებში მომხდარი ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, უღლების სისტემას შეეხო და საუღლებელ ერთეულთა რიცხვი რამდენადმე შეამცირა. კერძოდ, ხოლმეობითის კატეგორიის გაქრობამ ამ სემანტი-

კის მატარებელი მწკრივები წარსულს ჩააბარა. თუ ძველ ქართულში ამ კატეგორიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია და საკუთარი მწკრივებიც აქვს, ახალ სალიტერატურო ქართულს აღარ მოეძევა ადნიშნული მწკრივები, თუმცა, დიალექტებში ისინი აქა-იქ შემორჩა.

ახალი ქართული ზმნის უღლების სისტემის II სერიის მწკრივთა რაოდენობის შესახებ საენათმეცნიერო ლიტერატურაში რამდენიმე განსხვავებული თვალსაზრისია.

1930 წელს გამოცემულ „ქართულ გრამატიკაში“ ა. შანიძე საუღლებელ ერთეულთა ასეთ სქემას წარმოადგენს:

I სერია	II სერია	III სერია
ა) აწმყოს წრე	7. ნამყო წყვეტილი	11. I თურმეობითი
1. აწმყო	8. ნამყო ხოლმეობითი	12. II თურმეობითი
2. ნამყო უწყვეტელი	9. ბრძანებითი (II სუბიექტური პირისა მხოლოდ და ისიც წართქმითად)	13. III კავშირებითი
3. I კავშირებითი		
ბ) მყოფადის წრე		
4. მყოფადი	10. II კავშირებითი	
5. პირობითი		
6. I კავშირებითი		

(შანიძე 1930: 151).

„ქართული გრამატიკის საფუძვლებში“ წარმოდგენილ სისტემაში ტერმინები დაზუსტებულია:

I სერია	II სერია	III სერია
ა) აწმყოს წრე	7. წყვეტილი	11. I თურმეობითი
1. აწმყო	8. ბრძანებითი	12. II თურმეობითი
2. უწყვეტელი	9. II ხოლმეობითი	13. III კავშირებითი
3. აწმყოს კავშირებითი	10. II კავშირებითი	
ბ) მყოფადის წრე		
4. მყოფადი		
5. ხოლმეობითი		
6. მყოფადის კავშირებითი		

(შანიძე 1953: 224-226).

აღნიშნულ გამოცემებში II ხოლმეობითი (ნამყო ხოლმეობითი – 1930) დამოუკიდებელ მწკრივადაა წარმოდგენილი, თუმცა, ახლავს შენიშვნა: „ახალ ქართულში ეს დრო თითქმის სულ გადავარდა. იგი ზოგიერთი მწერლის ნაწარმოებში-და გვხვდება (მაგ. რ. ერისთავისაში, ვაჟა-ფშაველასაში) და აგრეთვე ზოგიერთ კუთხესა და ამ კუთხის ხალხურ პოეზიაში“ (შანიძე 1930: 152).

II ბრძანებითზე ავტორი შენიშნავს, რომ ეს მწკრივი მხოლოდ კილოებშია შემონახული და ისიც მხოლოდ III პირისათვის. ა. შანიძეს სასკოლო გრამატიკაში უკვე აღარ აქვს შეტანილი II ბრძანებითი და II ხოლმეობითი, ამიტომაც II სერია აქ უკვე ორი მწკრივითაა წარმოდგენილი, ესენია: წყვეტილი და II კავშირებითი.

არნ. ჩიქობავა „ქართული ენის ზოგად დახასიათებაში“ დრო-კილოთა სისტემას სამ სერიად წარმოადგენს:

პირველი წყება (სერია): 1. აწმყო (ზრდის). 2. ნამყო უსრული (ზრდიდა) → 3. კავშირებითი პირვ. (ზრდიდეს). 4. მყოფადი (გაზრდის) → 5. პირობითი (გაზრდიდა).

მეორე წყება (სერია): 6. ნამყო ძირითადი (ზარდა) → 7. კავშირებითი მეორე (ზარდოს)

მესამე წყება (სერია): 8. თურმეობითი პირველი (უზრდია). 9. თურმეობითი მეორე (ეზარდა) → 10. კავშირებითი მესამე (ეზარდოს)

(ჩიქობავა 1950: 062).

ავტორმა მოგვიანებით კიდევ ერთი მწკრივი შეიტანა უღლების სისტემაში და პირობით კავშირებითი უწოდა. ე. ი. არნ. ჩიქობავასეული სისტემა თერთმეტი მწკრივითაა წარმოდგენილი, რომელთაგან ორი II სერიას მიეკუთვნება, ესენია: წყვეტილი და II კავშირებითი (ჩიქობავა 1967: 50).

გ. გოგოლაშვილი ახალი ქართულისათვის უღლების სისტემას რვა ერთეულად წარმოადგენს. მკვლევარი არ იზიარებს I სერიაში ორი წრის გამოყოფას, შესაბამისად, აწმყოსა და მყოფადის, უწყვეტლისა და ხოლმეობითის, აწმყოს კავშირებითისა და მყოფადის კავშირებითის დამოუკიდებელ მწკრივებად მიჩნევას. ამგვარი დაყოფა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ა. შანიძისეულია და დღეისათვის საყოველთაოდ მიღებული.

ავტორი მსჯელობს: აწმყოს და მყოფადს, უწყვეტელსა და ხოლმეობითს, აწმყოს კავშირებითსა და მყოფადის კავშირებითს ფორმობრივად ზმნისწინი განასხვავებს, ხოლო სემანტიკურად – მწკრივის ფარგლებში უცვალებელ ელემენტებად.

მენტებად წოდებული დრო, კილო, ასპექტი, გზისობა, აქტი, თანამდევრობა. ავტორი შეადარებს ერთმანეთს აღნიშნულ მწკრივებს და აღმოჩნდება, რომ აწმყოსა და მყოფადს შორის მხოლოდ დროული და ასპექტობრივი დაპირისპირებაა. უწყვეტელს ხოლმეობითისაგან კი მხოლოდ ასპექტი განასხვავებს. ასეთივე ვითარებაა აწმყოს კავშირებითისა და მყოფადის კავშირებითის შემთხვევაში. ამ ორ მწკრივს შორის არ არსებობს არსებითი სხვაობა, გარდა იმისა, რომ აწმყოს კავშირებითს ზოგჯერ ახლანდელი დროის გაგებაც ახლავს. ე. ი. უღლების კატეგორიებად ცნობილ მწკრივის ელემენტთაგან დროა მხოლოდ აწმყოსა და მყოფადის დამოუკიდებელ მწკრივებად აღიარების საფუძველი, რაც შეეხება დანარჩენ მწკრივებს, მათთვის ასეთი საფუძველი ასპექტია, მაგრამ ასპექტი, როგორც ცნობილია, არის წარმოქმნის კატეგორია და ის ასეთ ფუნქციას ვერ შეასრულებს. ლოგიკურია კითხვა, რასაც მკვლევარი სვამს: არის დრო და კილო საერთოდ მორფოლოგიური კატეგორია? პასუხი ერთია და შეუვალი: დრო და კილო არ არის მორფოლოგიური კატეგორია, რადგან: 1. არ ხდება მათი გამოხატვა მორფოლოგიურად. 2. მწკრივის ფორმას დროულ თუ კილოურ მნიშვნელობას კონტექსტი ანიჭებს ანუ რომელიმე მწკრივის ერთი და იგივე ფორმა სხვადასხვა კონტექსტში სხვადასხვა დროულ თუ კილოურ შინაარსს იძენს. ე. ი. დრო და კილო არ არის უცვალელებელი მწკრივის ფარგლებში, ამიტომ „დრო და კილო არ არის მორფოლოგიური კატეგორია. შესაბამისად: ერთი ნაკვთის ფორმათა მეორისაგან განმასხვავებლად ვერ მივიჩნევთ ე. წ. „მწკრივის ელემენტებს“. ნაკვთის განსაზღვრა ამ ელემენტების მიხედვით არ მოხერხდება“ (გოგოლაშვილი 1988: 77). აღნიშნული ელემენტები მხოლოდ სემანტიკური კატეგორიებია, რომლებიც კონტექსტისა და ინტონაციის მეშვეობით გამოიხატება. ამგვარად, გ. გოგოლაშვილი მწკრივს განიხილავს, როგორც პოლისემანტიკურ მონაცემს. დრო, კილო, ასპექტი, გზისობა, აქტი, თანამდევრობა – ეს სემანტიკური კატეგორიები ქმნიან მწკრივის ფორმის მნიშვნელობას და ამის გამო ამა თუ იმ საუღლებელი ერთეულის გამოსაყოფად და საერთოდ, მწკრივთა სისტემის გასაწყობად ვერ ვიხელმძღვანელებთ. ამგვარ სახელმძღვანელო პრინციპად ავტორს საწარმოებელი ფუძის პრინციპი ესახება, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში ნ. მარმა დანერგა: „რამდენადაც ნაკვთთა გამოყოფა და დაჯგუფება საწარმოებელი ფუძის პრინციპს ემყარება, იმდენ ნაკვთზე უნდა ვისაუბროთ, რამდენი განსხვავებული ფუძეც არსებობს“ (გოგოლაშვილი 1988: 97). ა. შანიძის სქემის მიხედვით აწმყოსა და მყოფადის წრის მწკრივთა დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულებად გამო-

ყოფა ზმნისწინზე დამყარებულ ფორმოებრივ სხვაობას ეფუძნება, მაგრამ II და III სერიაში იმავე ზმნისწინით განსხვავებული ფორმები ერთ მწკრივადაა მიჩნეული:

წერს – აწმყო	წერა	}	წყვეტილი	}	უწერია	}	I თურმეობითი
დაწერს – მყოფადი	დაწერა				დაუწერია		

მკვლევარის აზრით, „ნაკეთა გამოყოფის პრინციპი დარღვეულია: თუ მეორე და მესამე სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ფორმები ერთ ნაკეთისანებადაა მიჩნეული, სხვადასხვა ნაკეთის ფორმებად არ უნდა ჩაითვალოს **წერდა** და **დაწერდა**, **წერდეს** და **დაწერდეს**; ანდა პირიქით – სხვადასხვა ნაკეთის ფორმებად უნდა მივიჩნიოთ მეორე და მესამე სერიის ზმნისწინიანი და უზმნისწინო ვარიანტებიც (გოგოლაშვილი 1988: 85). ე. ი. დგება ზმნისწინისა და ფუძის პრობლემა, შედის თუ არა ზმნისწინი ფუძეში? I სერიაში ორი წრის გამოყოფა ზმნისწინს ფუძისეულად წარმოადგენს, II და III სერიაში ამ ელემენტით განსხვავებულ ფორმათა ერთ მწკრივად მიჩნევა კი ზმნისწინს ფუძის კუთვნილებად არ გაიაზრებს. გ. გოგოლაშვილი ფიქრობს, დასაზუსტებელია ფუძის ტრადიციული განმარტება, რომ ზმნისწინი უნდა გამოირიცხოს ფუძიდან: „ნაკეთის ფუძე არის ის ნაწილი ზმნისა, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ზმნისწინი, პირისა და რიცხვის ნიშნები“ (გოგოლაშვილი 1988: 97). გარდა ამისა, ზმნისწინს არ შესწევს ძალა ერთი მწკრივი მეორეს დაუპირისპიროს, გამოვლენილია შემთხვევები, როცა უზმნისწინო ფორმას არა აქვს ყოველთვის მხოლოდ აწმყოს მნიშვნელობა (მოეპოვება მყოფადის გაგებაც ან ორივე ერთად) და ზმნისწინიან ფორმას არა აქვს ყოველთვის მხოლოდ მყოფადის გაგება (მოეპოვება აწმყოს მნიშვნელობაც, ან ორივე ერთად). გამომდინარე აქედან, აწმყო და მყოფადი, უწყვეტელი და ხოლმეობითი, აწმყოს კავშირებითი და მყოფადის კავშირებითი უნდა ჩაითვალოს არა დამოუკიდებელ მწკრივებად, არამედ ერთი მწკრივის ზმნისწინით განსხვავებულ ვარიანტებად, რომელთა ჩანაცვლებაც ნებისმიერ კონტექსტში იქნება შესაძლებელი.

ზემოთმოყვანილი ფუძის განმარტებისა და საწარმოებელი პრინციპიდან ამოსვლით ავტორი I სერიაში სამი მწკრივის გამოყოფის მომხრეა იმ მეთოდით, რომლითაც II და III სერიაშია მწკრივები დაჯგუფებული და უღლების შემდეგ სქემას გვთავაზობს:

I სერია

1-ლი ნაკეთი (აწმყო-მყოფადი) – (ზმნისწ.) – აკეთებს

მე-2 ნაკვთი (უწყვეტელ-ხოლმეობითი) – (ზმნისწ.) – აკეთებდა

მე-3 ნაკვთი (I კავშირებითი) – (ზმნისწ.) – აკეთებდეს

II სერია

მე-4 ნაკვთი (წყვეტილი) – (ზმნისწ.) – აკეთა

მე-5 ნაკვთი (II კავშირებითი) – (ზმნისწ.) – აკეთოს

III სერია

მე-6 ნაკვთი (I თურმეობითი) – (ზმნისწ.) – უკეთებია

მე-7 ნაკვთი (II თურმეობითი) – (ზმნისწ.) – ეკეთებინა

მე-8 ნაკვთი (III კავშირებითი) – (ზმნისწ.) – ეკეთებინოს

ახალი ქართული ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის შესახებ განსხვავებული აზრი აქვს ა. არაბულს. აღნიშნული თვალსაზრისი არის მცდელობა იმ წინააღმდეგობების დაძლევისა, რომელიც თან ახლავს უღლების სისტემაში ურთიერთდამოუკიდებლად ჩატარებულ სემანტიკურ და ფორმალურ ანალიზს. ავტორი თავიდანვე ნათელს ხდის თავის პოზიციას, როცა უღლების სისტემის ერთეულზე, მის რაობაზე მსჯელობს: „ნაკვთი გრამატიკული ფორმაა, რომლის ენობრივი წარმოდგენა მნიშვნელობის გარეშე არ ხდება. ფორმასა და მნიშვნელობას შორის განუყოფელი ერთობაა; მათი დაცალკეება მხოლოდ ანალიზის (აბსტრაქციის) დონეზე არის შესაძლებელი“ (არაბული 1992: 98). ამგვარი ანალიზისას მკვლევარი მწკრივის ფორმათა სემანტიკური მახასიათებლების, სემანტიკურ დიფერენციალურ ნიშანთა (მწკრივის კატეგორიათა) დონეზე ცდილობს მწკრივის ფორმათა რეალური ენობრივი საზღვრების დადგენას და ამით თითოეული მწკრივისათვის კანონიერი ადგილის მიჩენას სისტემაში. ემყარება რა ა. შანიძის მწკრივთა მოძღვრებას, ავტორი გამოკვეთს ამოსავალ დებულებებს: 1. „მწკრივის, როგორც უღლების პარადიგმის სრულუფლებიანი წევრის, არსებობისათვის აუცილებელია, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი ფორმა (ფუძე) და, მეორე მხრივ, დამოუკიდებელი გრამატიკული შინაარსი (კატეგორია ან კატეგორიათა ჯამი). ამათგან მხოლოდ ერთ-ერთის არსებობა არ არის საკმარისი დამოუკიდებელ მწკრივად მიჩნევისათვის...“ 2. „მწკრივის ფორმად (ფუძედ) მოიაზრება ზმნის ყველა მორფოლოგიური ელემენტის ერთობლიობა, გარდა ერთი მწკრივის ფარგლებში ცვალებადი გრამატიკული ელემენტებისა, ე. ი. პირისა და რიცხვის ნიშნებისა. ფუძის შემადგენელ ამ ელემენტთა რიგში, ცხადია, ზმნისწინს თავისი კანონიერი ადგილი ეკუთვნის. ამავე დროს, არ არის აუცილებელი, მწკრივის მნიშვნელობის შემქმნელ ყოველ სემანტიკურ კატეგორიას დამოუკიდებელი მო-

რფოლოგიური ნიშანი შეესაბამებოდეს. არსებულ ელემენტთა დამოუკიდებელი კომბინაცია თავისთავად უკვე წარმოადგენს ახალ გრამატიკულ ნიშანს“. 3. „მწკრივის გრამატიკული შინაარსი წარმოადგენს კომბინაციას, ჯამს ცალკეული კატეგორიებისა, ანუ სემანტიკური ნიშნებისას (იმავე – „დიფერენციალური ნიშნებისას“). 4. „მწკრივის დამოუკიდებელ არსებობას განაპირობებს ან ცალკე, საკუთრივი სემანტიკური („დიფერენციალური“) ნიშანი, ანაც – ამგვარ ნიშანთა დამოუკიდებელი კომბინაცია“. 5. „მწკრივის სემანტიკური ნიშანი უნდა განისაზღვროს ე. წ. „ნეიტრალურ კონტექსტში“ (არაბული 1999: 44-45).

„ნეიტრალურ კონტექსტში“ იგულისხმება ზმნური შესიტყვების მინიმალური მონაკვეთი, რომელიც კოორდინაციის ფარგლებში თავსდება, ხოლო კონტექსტი უფრო ვრცელი ენობრივი მონაკვეთია, რომელიც კოორდინაციის ფარგლებს მიღმა რჩება. ამგვარ „ნეიტრალურ კონტექსტშია“, ავტორის აზრით, შესაძლებელი მწკრივის კატეგორიის მაქსიმალურად ობიექტური საზღვრების დადგენა.

ფორმისა და შინაარსის ერთიანობის პრინციპიდან გამომდინარე, ავტორი უღლების ერთეულთა კლასიფიკაციის პრობლემას ამ დიქტომიის ჭრილიდან ხედავს: ფორმალური თვალსაზრისით, ზმნისწინის როლისა და ადგილის გარკვევა უღლების სისტემის აგებაში, სემანტიკური მხრიდან, ასპექტის კატეგორიის ადგილი და მნიშვნელობა ამ სისტემის ჩამოყალიბებაში არის ძირითადი საკითხი, რომლის გარკვევაც მკვლევარს განსაზღვრულ დასკვნებს გამოატანინებს.

ა. არაბული ზმნისწინის ფუძის შემადგენელ ელემენტად მოიაზრებს. რაც შეეხება ასპექტს, ის კრიტიკულად გადასინჯავს ტრადიციულ კლასიფიკაციას ზმნური კატეგორიებისას და შესაძლებლად მიიჩნევს, უღლების სისტემასთან მიმართებით ისინი სამ ჯგუფად დაყოს (ნაცვლად ორი ჯგუფისა – უღლებისა და წარმოქმნისა): პირველ ჯგუფში გაერთიანდება უღლების სრულ პარადიგმაზე მცირე, ანუ მწკრივის მასშტაბის კატეგორიები – პირი და რიცხვი, რომელთაც არ ძალუძთ, გააღწიონ სისტემის აგებაზე. მეორე ჯგუფში შევა პარადიგმატული კატეგორიები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სისტემის აგებაში, ხოლო მესამე ჯგუფს შეადგენენ წარმოქმნის კატეგორიები, რომელთა მიხედვითაც ზმნური ფორმის ცვლილება ახალი დამოუკიდებელი პარადიგმატული სისტემის წარმოქმნას განაპირობებს. ამ უკანასკნელ უნარს მოკლებულია ასპექტი, ამიტომ, ავტორის აზრით, იგი არის არა წარმოქმნის, არამედ პარადიგმატული კატეგორია, რომელიც დროისა და კილოს კატეგორიებთან ერთად უშუალოდ მონაწილეობს უღლების სისტემის ორგანიზებაში. ა. არაბული ასპექტს

განიხილავს რთულ კატეგორიად, რომელიც სამ ქვესისტემას აერთიანებს, ესენია: სრული – უსრული, წყვეტილი – უწყვეტელი, შედეგობითი – არაშედეგობითი. ამ სამი პარადიგმატული კატეგორიის – დროის, კილოს, ასპექტის – მეშვეობით ავტორი მწკრივთა სისტემის თითოეულ წევრს დამოუკიდებელი გრამატიკული შინაარსით წარმოგვიდგენს: „ამ სისტემის (ნაკეთუელთა) ყველა წევრი დამოუკიდებელი სემანტიკური ნიშნით წარმოდგება. ნაკეთის ძირითად მნიშვნელობაში დამოუკიდებელი სემანტიკური ნიშანი მისი ენობრივი არსებობის განმსაზღვრელი პირობაა. ამიტომაც ყოველი სემანტიკური ნიშნის ცვლა (ფორმის ცვლასთან ერთად) უფლებას გვაძლევს გამოვყოთ ცალკე ზმნური ერთეული, დამოუკიდებელი ენობრივი ოდენობა“ (არაბული 1992: 117). მერე კი მთელ პარადიგმატულ სისტემას ფორმალური (ზმნისწინის ფუძისეულ ელემენტად გამოცხადება) და სემანტიკური („დიფერენციალურ ნიშანთა კონა“) მახასიათებლების გათვალისწინებით შემდეგი სახით გვთავაზობს:

№	მწკრივის ფორმა	სემანტიკური („დიფ.“) ნიშანი
1.	ხატავს	თხრობითი + აწმყო
2.	ხატავდა	თხრობითი + წარსული + უწყვეტელი
3.	ხატავდეს	კავშირებითი + [აწმყო] + უსრული
4.	დახატავს	თხრობითი + მომავალი
5.	დახატავდა	კავშირებითი + [წარსული] + სრული
6.	დახატავდეს	კავშირებითი + [მომავალი] + სრული
7.	ხატა	თხრობითი + წარსული + უსრული
8.	დახატა	თხრობითი + წარსული + სრული
9.	ხატოს	კავშირებითი + [აწმყო/მომავალი] + უსრული
10.	დახატოს	კავშირებითი + [მომავალი] + სრული
11.	უხატავს	თხრობითი + წარსული + უსრული + შედეგობითი
12.	დაუხატავს	თხრობითი + წარსული + სრული + შედეგობითი
13.	ეხატა	კავშირებითი + წარსული + უსრული + შედეგობითი
14.	დაეხატა	კავშირებითი + წარსული + სრული + შედეგობითი
15.	ეხატოს	„.....“
16.	დაეხატოს	„.....“

მკვლევარი მწკრივებს არ მოიხსენიებს ტრადიციული სახელწოდებებით, რადგან „ნეიტრალური კონტექსტით“ მოხაზავს რა თითოეული მწკრივის ფუნქციონალური ნიშნის ჩარჩოებს, „დიფერენციალურ ნიშანთა კონას“, მწკრივის ძველი სახელწოდება შეუსაბამობაში აღმოჩნდება მის ნამდვილ გრამატიკულ შინაარსთან. მაგალითად, „დახატავდა“, ა. შანიძის მიხედვით, „ხოლმეობით-შედგობითია“, ავტორი მას მიიჩნევს არა ხოლმეობითად, არამედ კავშირებითი კილოს ფორმად. ასევე, „ეხატა“ და „დაეხატა“ – ისტორიულად თხრობითი კილოს II თურმეობითის ფორმები თანამედროვე ქართულში კავშირებითი კილოს ფუნქციას უფრო ატარებენ. ახალ ქართულში II თურმეობითი სემანტიკური მახასიათებლებით სრულიად დაემთხვა III კავშირებითის გრამატიკულ შინაარსს, რამაც ეს უკანასკნელი უფუნქციო ერთეულად, ერთგვარ რუდიმენტად აქცია. ავტორს შესაძლებლად მიაჩნია, „ეხატოს“, „დაეხატოს“ ფორმები აღარ იქნას გათვალისწინებული მწკრივთა სისტემაში, როგორც დამოუკიდებელი მწკრივები. ამასთანავე, ზმნისწინით განსხვავებული ფორმების დამოუკიდებელ მწკრივებად გამოყოფამაც გაართულა მათთვის ტრადიციული სახელწოდებების დატოვება.

„ვეარაუდობთ, რომ ზმნის უღლების სრული სისტემა (პარადიგმა) თანამედროვე ქართულში წარმოდგენილია 16 საუღლებელი ერთეულის (მწკრივის) სახით. ამას ადასტურებს როგორც ფორმოზოლოგი მხარე – მწკრივის ფუძის გათვალისწინება, ისე განსაკუთრებით, საუღლებელ ერთეულთა აღწერა შემადგენელი სემანტიკური ელემენტების („დიფერენციალური ნიშნების“) პრინციპით“ (არაბული 1999: 52). – ასეთია ავტორის დასკვნა აღნიშნული საკითხის შესახებ.

ეფიქრობთ, ამგვარი მიდგომა, – ზმნისწინის ფუძისეულად გამოცხადება, – გარკვეულ წინააღმდეგობას შექმნის და უპასუხოდ დატოვებს კითხვას იმის შესახებ, თუ რატომ არ შესწევს ყოველთვის მასპექტებელი ძალა ფუძის ელემენტად გამოცხადებულ ზმნისწინს. „ქრის“ – „დაქრის“ ზმნურ ფორმებს ვერ მივიჩნევთ დამოუკიდებელ ენობრივ ოდენობებად, რადგან თითოეულ მათგანს არ გააჩნია დამოუკიდებელი „დიფერენციალურ ნიშანთა კონა“ არც დრო-კილოური და არც ასპექტობრივი (თავისი ქვესისტემებით) თვალსაზრისით. შესაბამისად, ვერც II სერიაში ოთხი საუღლებელი ერთეულის გამოყოფას დავუჭერთ მხარს და შემდგომი კვლევისას დავემყარებთ ტრადიციულ აზრს, რომელიც თანამედროვე ზმნის დრო-კილოთა II სერიას წყვეტილისა და II კავშირებითის სახით წარმოგვიდგენს.

4. II სერიის მწკრივთა რაოდენობა საშუალო ქართულში

წინამდებარე მიმოხილვაში ვსაუბრობდით მწკრივთა რაოდენობის შესახებ ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულში. რადგანაც კვლევის ობიექტად II სერია ავირჩიეთ ქართული სამწერლობო ენის განვითარების იმ ეტაპზე, რომელსაც პირობითად საშუალო ვუწოდებთ, ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი და ახალი ენის მონაცემებს, რათა ნათლად წარმოჩენილიყო საშუალო ქართულში II სერიის მწკრივთა სისტემის წარმოების სურათი. კერძოდ, აღნიშნული სერიის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის თვალსაზრისით, საშუალო ქართული მიჰყვება ძველ ქართულს თუ ახალი ქართულის მსგავსად, ორი მწკრივითაა იგი წარმოდგენილი.

როგორც ითქვა, ახალ სალიტერატურო ენას ძველი სისტემის II სერიის მწკრივთაგან მხოლოდ წყვეტილი და II კავშირებითი შემორჩა. II ხოლმეობითი და შერეული კავშირებითი მარტოოდენ დიალექტებმა თუ შემოგვინახეს. რაც შეეხება საშუალო ქართულს, იგი ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს ძველს და წარმოაჩენს II სერიას იმ სახით, როგორაც მას ძველი ქართული იცნობს.

მასალა, რომელზედაც კვლევას ვაწარმოებდით, თემატურად მრავალფეროვანია და ვრცელი. იგი მოიცავს ძველი ქართული ლიტერატურის საკმაოდ დიდ პერიოდს დაწყებული XII საუკუნიდან XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნით დამთავრებული. გამოყენებული გვაქვს სასულიერო და საერო ხასიათის თხზულებანი, ისტორიული ჟანრის ნაწარმოებები, ისტორიული დოკუმენტები, ლაპიდარული წარწერები, არქეოლოგიური მასალები, იურიდიული ხასიათის ძეგლები, გვაქვს მხატვრული დოკუმენტური პროზის ნიმუშებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ წყვეტილი და II კავშირებითი იყო ყველა ძეგლში, II ხოლმეობითის ფორმებიც ასევე თითქმის ყველგან შეგვხვდა, დასავლეთ საქართველოს ლაპიდარულ წარწერებსა და სამხრეთ საქართველოში არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აღმოჩენილ მასალებში აღნიშნული მწკრივი არ შეგვხვედრია. ვფიქრობთ, ეს ჟანრის სპეციფიკამ და თავად მასალის სიმცირემ შეაპირობა. რაც შეეხება შერეულ კავშირებითს (შერეულ ხოლმეობითს), ამ მწკრივის ფორმები მხოლოდ ისტორიული ჟანრის ძეგლში დაფიქსირდა, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ ძველი ციკლის თხზულებებში. ესენია: ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, და ლეონტი მროველისავე „ნინოს მიერ ქართლის მოქცევა“. აქვე შევნიშნავთ, რომ შერეული კავშირებითის ჩვენ მიერ მოძი-

ებული ფორმები კონტექსტის მიხედვით ხოლმეობითის შინაარსისაა და შესაძლოა, მათ შერეული ხოლმეობითი ვუწოდოთ.

I. წყვეტილი

1. წყვეტილის წარმოება ძველ ქართულში

წყვეტილი II სერიის ძირითადი წკრივია. მასზეა დაფუძნებული ამ სერიის დანარჩენი მწკრივები. ეს არის ერთ-ერთი იმ მწკრივთაგანი, რომლებიც ქართული ზმნის უღლების ისტორიულ საძირკველს ქმნიან.

ერგატიული კონსტრუქციის პრობლემაზე მსჯელობისას არნ. ჩიქობავა წყვეტილის მორფოლოგიურ ოდენობად ჩამოყალიბების პროცესზე საუბრობს, თუ როდის შეიძლება მისი, როგორც დროის აღმნიშვნელ გრამატიკულ ერთეულად, ფორმირება. მისი აზრით, წყვეტილის ჩამოყალიბება იმ დროის მოვლენაა, როცა ზმნის უღლება არა დროის, არამედ ასპექტის ცვლაში მდგომარეობდა. იყო ორი ასპექტი: დიურატიული (განგრძობითი) და მომენტობრივი (წერტილებრივი) და შესაბამისად ორი დრო: პერმანსივი (ხოლმეობითი) და აორისტი (ნამყო ძირითადი). ხოლმეობითის მწკრივით გადმოიცემოდა დიურატიული ასპექტი, ხოლო მომენტობრივ ასპექტს ნამყო ძირითადი გამოხატავდა. შემდგომი ევოლუციის პროცესში მომენტობრივი ასპექტის გადმოცემა ნამყო ძირითადი გახდა წარსულ დროთა შორის ძირითადი (ჩიქობავა 1943: 92).

წყვეტილის წარმოებაზე მსჯელობისას წინა პლანზე წამოიწვეს მწკრივისა და პირის ნიშანთა საკითხი. წარმოების ტიპს მწკრივის ნიშნის მქონებლობა განსაზღვრავს.

აღნიშნული მწკრივის ფორმათა უმეტესობას მაწარმოებლად -ე სუფიქსი მოუდის. ასეთ ფორმებს -ე ბოლოსართიან წყვეტილს უწოდებენ. ეს უკანასკნელი ზმნის ფორმას მხოლოდ I-II პირებში აქვს, III პირში ხმოვნის შემცველ პირის ნიშანთა გავლენით იკარგება, III პირში იგი ბრძანებითის ფორმებს გამოაჩნდება.

-ე სუფიქსის პირველსახედ -ევ ფორმანტს მიიჩნევენ არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1967: 49). ნ. მარი ამ უკანასკნელს **ესვა** ზმნის სპირანტულ სახეობასთან აკავშირებს (მარი 1925: 124), რასაც არ იზიარებს არნ. ჩიქობავა (ჩიქობავა 1926: 303).

-ე სუფიქსის -ვე სუფიქსისაგან მომდინარეობას მხარს უჭერს გ. როგავა. ქართული დიალექტებისა და მეგრულის მასალებზე დაყრდნობით მკვლევარი დაასკვნის, რომ -ვე სუფიქსიდანაა წარმომდგარი წყვეტილის (და II კავშირებითის) -ე ბოლოსართი (როგავა 1945).

ვ. თოფურია არ იზიარებს თვალსაზრისს -ე-ს -ვე ფორმანტიდან წარმომავლობის შესახებ. მკვლევარს ამგვარი მტკიცებისათვის მთავარ დაბრკოლებად ესახება ის გარემოება, რომ -ე სუფიქსის საგარაუდო არქექტიპი -*ვე არ ჩანს ნამყო დროის მწკრივთა ფორმებში, რომელთაც წარმოების ტიპი აერთიანებს. წყვეტილში, უწყვეტელში, I თურმეობითში, II თურმეობითში გამოვლენილი „ნამყოს საერთო ნიშანი“ -ე ზემოაღნიშნულ თვალსაზრისს ვერ დაუჭერს მხარს (თოფურია 1955: 459). ვ. თოფურია არ იძლევა -ე ნიშნის ძირითადი ფუნქციის დაზუსტებას. იგი ვერც დროის გამომხატველ ფორმანტად მოიაზრებს მას, რადგან ის დროის კატეგორიის ჩამოყალიბებამდე იყო გამოყენებული წყვეტილში. ფ. ერთელიშვილი ვარაუდობს, რომ -ე სუფიქსი წარმოშობით მომენტობრივი ასპექტის ნიშანია (ერთელიშვილი 1956: 312).

-ე ბოლოსართის შესაძლო პირველსახედ -ვე-ს მიიჩნევს ივ. ქავთარაძეც. მკვლევარის მიერ შესწავლილი XII-XVIII საუკუნეების წერილობითი ძეგლები ცხადყოფენ, რომ -ვე სუფიქსი სისტემებში იხმარებოდა „ყველა სახეობის ნამყოში: ნამყო წყვეტილში (აორისტში: შევ-რთ-ვე), ნამყო უწყვეტელში (შევ-რთ-ვე-დ) და მეორე თურმეობითში (შეე-რთ-ვე)... ნამყო წყვეტილში -ვე სუფიქსი საშუალო ქართულის წერილობითი ძეგლების მიხედვით, ერთვის თითქმის ყველა იმ ზმნას, რომელიც ძველსა და ახალ სალიტერატურო ქართულში მარტოოდენ -ე დაბოლოებით არის ცნობილი (დავაგდ-ე, დავუთმ-ე; დავაგდ-ვე(ი), დავუთმ-ვე(ი))“ (ქავთარაძე 1973: 30, 33). ავტორი აღნიშნავს, რომ „ძველ ქართულში -ვე ძალზე იშვიათია, თუმცა ივარაუდება ყველა იმ ზმნაში, რომელთაც მხ. რიცხვის მესამე პირში -თ მოუდის“ (ქავთარაძე 1973: 33).

-ე ნიშნის გენეზისის ამგვარ გააზრებას ნაწილობრივ მხარს უჭერს გ. გოგოლაშვილი. სახელდობრ, -ვე ფორმანტიდან მომდინარედ თვლის იმ -ე სუფიქსს, რომელიც ძველი ქართულის ოდენტანხმოვნთან, უმარცვლო საყრდენი მორფემის მქონე ზმნებთან გვხვდება (ავიდე ← *ავიდ-ვე, ვსძლ-ე ← *ვსძლ-ვე, განვატფ-ე ← *განვატფ-ვე), ანუ იმ ზმნებთან, რომელთაც სუბიექტურ მესამე პირში მხ. რიცხვში -თ ნიშანი აქვს. ავტორის აზრით, ამგვარი ზმნები უნიშნონი უნდა ყოფილიყვნენ ისტორიულად. განსხვავებულ ოდენტობად მიიჩნევს იმ -ე სუფიქსს, რომელიც

მარცვლოვანი, არარედუცირებადი ხმოვნის შემცველი საყრდენი მორფემის მქონე ზმნებთან დასტურდება (განვასრულ-ე, წარვი-ყვან-ე, დავ-წერ-ე), ანუ იმ ზმნებთან, რომელთაც სუბიექტის მესამე პირის ნიშნად -ა მოუდის მხ. რიცხვში (გოგოლაშვილი 1985: 137-138).

უნიშნო ან ნულოვან წყვეტილადაა ცნობილი ისეთი ფორმები, რომელთაც მწკრივის არანაირი ნიშანი არ მოეპოვება. ვარაუდობენ, რომ ამ ტიპის ზმნები ქართული ენის მორფოლოგიის უძველესი ფენებიდან უნდა მომდინარეობდნენ“ (იმნაიშვილი... 1996: 163).

წყვეტილის ამგვარი ფორმების გვერდით უკვე ძველსავე ქართულში გვხვდება -ი ბოლოსართიანი წყვეტილიც. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ აღნიშნული სუფიქსი ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი და მწკრივის ნიშნად მისი გამოყენება მეორეული მოვლენაა. ა. შანიძე სუფიქსიან და უნიშნო ვნებითებზე მსჯელობისას ვნებითი გვარის ფორმებში დადასტურებულ -ი მწკრივის ნიშანს ნართაული -ი-დან მომდინარედ თვლის: „ეს ი, თუ ისტორიულად განვიხილავთ მას, არსებითად ნართაული ხმოვანია, მაგრამ ის მკვიდრად შესულია ზმნის სისტემაში და მწკრივის ნიშნად არის ქცეული“ (შანიძე 1980: 450). „იგი პირველად დამკვიდრდა ისეთ ზმნებში, რომელთაც ფუძის ბოლოს დ ჰქონდათ. უპირველეს ყოვლისა, ესაა ყველა დონიანი ვნებითი (დავბერდ-ი, განვმართლდ-ი, შევზრუნდ-ი, წარვწყმდ-ი, განვწმდ-ი...)“ (იმნაიშვილი... 1996: 163). I და II სუბიექტურ პირებში მრავლობითობის -თ სუფიქსის დართვის შედეგად იქმნებოდა ფონეტიკურად ძნელი ბგერათკომპლექსი. აქ უკვე „თ სუფიქსის წინა თანხმოვნისაგან ხმოვნით გაყოფის აუცილებლობა გაჩნდა: მოვედით, დავსხედით... აქედან ის გადატანილ იქნა მხოლობითში პირველსა და მეორე პირში“ (ჩიქობავა 1926: 319). მხოლობითის ფორმებში მის დამკვიდრებას ხოლმეობითის ანალოგიურმა წარმოებამ შეუწყო ხელი, სადაც პერმანსიული -ი მორფოლოგიურ ოდენობას წარმოადგენს (ჩიქობავა 1929: 113). „შემდეგში ამ მეორეულმა ი-მ თანდათანობით გააფართოვა მოქმედების ასპარეზი: პირველ ხანებში დონიანთა გარდა სხვა გარდაუვალ ზმნებსაც დაერთო (ვნებითსა და საშუალს), შემდეგში კი მოქმედებითშიც გავრცელდა. დღეს ი სუფიქსი ე-სთან ერთად წყვეტილის მწკრივის ნიშანია (იმნაიშვილი... 1996: 163).

როგორც ამ უკანასკნელი ამონარიდიდან ირკვევა, „მოვედით“, „დავსხედით“ ტიპის ზმნებში ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი -ი გათანაბრებულია „დავბერდი“ ტიპის -დ სუფიქსიან ვნებითებში გამოვლენილ -ი ელემენტთან.

სალიტერატურო ენაში ნართაული -ი-ს გაჩენას IX საუკუნიდან ვარაუდობს ზ. სარჯველაძე. წყვეტილისათვის მოხმობილ საილუსტრაციო მასალაში ავტორი „მოვედი“, „აღვედი“ ფორმათა გვერდით -ე პრეფიქსიანი და -დ სუფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებსაც წარმოადგენს („დავეცი“, „მოვაკლდი“, „დაეცი“) (სარჯველაძე 1984: 440-441), რაც იმაზე მიანიშნებს, რომ მკვლევარისათვის ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი -ი და ვნებითის ხსენებულ ფორმებში გამოვლენილი -ი ბოლოსართი ერთი და იგივე ოდენობაა.

„ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ არნ. ჩიქობავა შენიშნავს: „აორისტის ეს -ი სხვადასხვა ზმნასთან სხვადასხვაგვარი წარმოშობის შეიძლება იყოს; უნდა განვასხვაოთ: ა) -ი, რომელიც ნამყო ხოლმეობითს აწარმოებს (გავაკეთი, გააკეთი, გააკეთის მან); ბ) -ი, რომელიც თანხმოვანთა კომპლექსებში იქნა გამოყენებული თანხმოვანთა გასაყარად (მოვედ – მოვედ-ი-თ, მოვეკუედ – მოვეკუედ-ი-თ); გ) ნამყო ხოლმეობითის -ი ერთგვარი საანალოგიო ბაზა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ფონეტიკური ხელისშემწყობი გარემოც მნიშვნელოვან როლს თამაშობდა: ძვ. ქართულში ამგვარს შემთხვევაში -ი უკვე დამკვიდრებულია, სხვაგან კი, სადაც ახლა ვხედავთ -ი-ს, იგი ჯერ არსადა ჩანს, ანდა სპორადულადღა გვხვდება. მხოლოდ ანალოგიას მიეწერება -ი ისეთს ზმნებში, როგორიცაა ვთქვი (ძვ. ქართ. ვთქუ, ვთქუ). ამ ტიპის აორისტს ისტორიულად არავითარი მაწარმოებელი არ უნდა ჰქონოდა“ (ჩიქობავა 1936: 133).

II ხოლმეობითიდან მომდინარედ მიიჩნევეს -დ-სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითებში არსებულ -ი ბოლოსართს ბ. ჯორბენაძე: „გავთბ-ი, დავბერდ-ი წარმოშობით II ხოლმეობითის ფორმებია, მაგრამ ახლა წყვეტილის (ნამყო ძირითადის) ფუნქციით გამოიყენებიან. ეს საერთოდ დამახასიათებელი ჩანს სუფიქსიანი და მესამე ტიპის (უნიშნო) ვნებითისათვის.

ნამყო ძირითადი: განვ-ტეფ (ახლა: გავ-თბ-ი), შე-ვ-ცებ (ახლა: შე-ვ-ცბ-ი), დას-ცხერ (ახლა: და-ცხრ-ი) და ა. შ.

მეორე ხოლმეობითი: გან-ვ-ტფ-ი (III პ. გან-ტფ-ი-ს), შე-ვ-ცბ-ი (III პ. შე-ცბ-ი-ს), და-ს-ცხრ-ი (III პ. და-ცხრ-ი-ს) და ა. შ.“ (ჯორბენაძე 1975: 133).

ავტორი ვარაუდობს, რომ ასეთი ფორმების გავრცელება შესაძლებელია იმ დროიდან, როცა II ხოლმეობითმა, როგორც დამოუკიდებელმა მწკრივმა, ენაში მოშლა იწყო.

აშკარაა, არნ. ჩიქობავა და ბ. ჯორბენაძე „დავბერდი“, „ვოქს“ ტიპის ფორმათა -ო ელემენტს განარჩევენ „მოვკალი“, „მოვედი“ ფორმებში არსებული ნართაული ხმოვნისაგან და მათ სხვადასხვა წარმომავლობისად მოიაზრებენ.

საკითხის ამგვარად დასმას მართებულად მიიჩნევს გ. გოგოლაშვილი. თუ ნართაული -ო-ს წარმომავლობა ფონეტიკურმა ფაქტორმა განაპირობა და იგი მოკლებულია მორფოლოგიურ ფუნქციას, ამას ვერ ვიტყვით „დავბერდი“ ტიპის ზმნის -ო მწკრივის მაწარმოებელზე. თუ „მოვკალი“ ტიპის ფორმაში -ო ელემენტის მწკრივის ნიშნად ქცევაზე თვალის გადავლება შესაძლებელია, „დავბერდი“ ტიპის ზმნებში -ო სუფიქსის გენეზისი ბუნდოვანია. იგი ძველი სამწერლობო ძეგლების მიხედვით წყვეტილის მწკრივის ერთადერთი ალომორფია დ-სუფიქსიან ვნებითებში და ნულთან არ მონაცვლეობს, ნართაული ხმოვნისგან განსხვავებით. გ. გოგოლაშვილი სამართლიანად შენიშნავს: „სხვაგვარი ვითარება ჩანს დონიან ვნებითებში. ძველ ქართულში დონიან ვნებითთა I და II პირის ფორმაროგორც მრავლობითში, ასევე მხოლობითში სისტემატურად -ო ელემენტს დაირთავს. ამის გამო გაჭირდებოდა „მოვკალი“ ტიპის ზმნაში დადასტურებულ -ო ელემენტთან მისი გატოლება“ (გოგოლაშვილი 1985: 69-70).

რაც შეეხება ამ უკანასკნელის II ხოლმეობითიდან მომდინარეობას, ავტორს ეს ვარაუდი ნაკლებად სარწმუნოდ ესახება: „ძველსავე ქართულში „დავბერდი“ ტიპის ფორმებში -ო ყოველთვისაა წარმოდგენილი. ხოლმეობითის კატეგორიის არსებობის პერიოდში „დავბერდი“ ტიპის ფორმათა რეგულარულმა დამოწმებამ შეიძლება სხვაგვარად დასვას -ო ელემენტის გენეზისის საკითხი, საეჭვო გახადოს მისი ხოლმეობითის -ო სუფიქსთან კავშირი“ (გოგოლაშვილი 1984: 40).

ჩვენ ვემყარებით თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში წყვეტილის მწკრივის მაწარმოებელთაგან ოთხი დამოუკიდებელი ფორმანტია წარმოდგენილი. ესენია: ა) ყველაზე გავრცელებული -ე სუფიქსი (დავწერ-ე); ბ) -ევ ფორმანტიდან მომდინარე -ე ბოლოსართი (ავიდ-ე ← ავიდ-ევ); გ) ფონეტიკურ ნიადაგზე გაჩენილი -ო ნართაული ხმოვანი, რომელიც მონაცვლეობს ნულოვან ალომორფთან (მოვკალ-(ო)); დ) -ო ნიშანი, რომელიც წყვეტილის მწკრივის ერთადერთი მაწარმოებელია დ-სუფიქსიანი და ზოგი საშუალი და ვნებითი გვარის ზმნებში (დავბერდ-ო, ვრწმენ-ო, დავეც-ო).

სათანადო ლიტერატურაში ვხვდებით აღნიშნული მწკრივის ნიშანთა განაწილებისას გარკვეული წესრიგის დადგენის ცდას. ივ. და გ. იმნაიშვილები

მწკრივის ამ მაწარმოებელ ელემენტთა გამოვლენის ფაქტებს I სერიის ფორმათა და გვარის კატეგორიის გათვალისწინებით აღნუსხავენ და მათ მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებად მიიჩნევენ. ამის მიხედვით,

1. უნიშნო (ნულიანი) წყვეტილი აქვს

ა) ამ, ემ ოფ თემისნიშნიან ზმნებს

დავაბ-ამ დავაბ

მიესც-ემ მივეც

ვჰყ-ოფ ვყავ

ბ) ზოგ აფ, ი და ობ თემისნიშნიან ზმნას, სახელდობრ, ისეთებს, რომელთაც ფუძე ეკუმშებათ:

გკლ-ავ მოგკალ (შდრ. მოკლ-ა)

ვხრწნ-ი განვხრწნენ (შდრ. განხრწნ-ა)

შევიპყრ-ობ შევიპყარ (შდრ. შეიპყრ-ა)

2. -ე ბოლოსართიანი წყვეტილი აქვს

ა) ყველა უთემისნიშნო ზმნას:

ვწერ ვწერ-ე

ვტეხ ვტეხ-ე

ბ) ფუძედრეკად ზმნებს:

ვღრეკ ვღრიკ-ე

ვშრეტ ვშრიტ-ე

გ) ებ თემისნიშნიან ზმნებს (ორიოდეს გამოკლებით)

ვაქ-ებ ვაქ-ე

ვიხარ-ებ ვიხარ-ე

დ) ევ თემისნიშნიან ზმნებს:

ვაკურთხ-ევ ვაკურთხ-ე

ვსძლ-ევ ვსძლ-ე

ე) ზოგ აფ, ი და ობ თემისნიშნიან ზმნას, სახელდობრ, ისეთებს, რომელთაც ფუძე არ ეკუმშებათ:

ვიხილ-ავ ვიხილ-ე

ვთხრ-ი ვთხარ-ე

ვატფ-ობ განვატფ-ე

3. ინიანი წყვეტილი აქვს

ა) გარდამავალ ზმნათაგან ერთს: განრცხა

ბ) დონიან ვნებიტებს:

დავბერდ-ი

განგძლიერდ-ი

გ) ზოგ საშუალო და ვნებითი გვარის ზმნას:

დავეც-ი

განვერ-ი

გჰრწმენ-ი (იმნაიშვილი... 1996: 152-154).

უნდა ითქვას, თემის ნიშანთა, ამა თუ იმ გვარის ფორმათა და კიდევ II სერიაში ფუძის კუმშვა-უკუმშველობაზე თვალის გადავლება მწკრივის მაწარმოებელთა განაწილებაში გარკვეული წესრიგის დანახვას ართულებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ II სერია ყველაზე ძველია, სხვა სერიათა მწკრივები მერეა ჩამოყალიბებული II სერიის ბაზაზე, უფრო დამაჯერებლად შეიძლება ითქვას, რომ უღლების სისტემაში ერთ-ერთი უძველესი მწკრივის წარმოების ტიპის განსაზღვრისას არარელევანტურია I სერიის ფორმათა გათვალისწინება – ამა თუ იმ თემის ნიშანთა მქონებლობა ვერ შეაპირობებს წყვეტილის წარმოების ტიპს.

ნაშრომში „ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში“ ვ. თოფურია ფუძის სტრუქტურაზე საუბრობს. მწკრივის ამა თუ იმ მაწარმოებლის გამოვლენა დამოკიდებულია იმაზე, ფუძე მარცვლოვანია თუ უმარცვლო, მარცვლოვანთაგან კი – კუმშვადი თუ უკუმშველი: „უნიშნოს შეუძლია დაირთოს უფუნქციო -ი. ასეთი ზმნები რაოდენობით მცირეა. მათი ფუძე ან უმარცვლოა, ან კუმშვადია. -ე სუფიქსით იწარმოება ფუძეკუმშვადი ზმნები“ (თოფურია 1955: 453).

ამ მოსაზრებას ავითარებს შემდგომი კვლევისას გ. გოგოლაშვილი. ის უფრო აზუსტებს ამოსავალ ვითარებას და ამბობს: მწკრივის ნიშანთა განაწილებისას არსებითი მნიშვნელობა არა მთლიანად ფუძეს, არამედ საყრდენ მორფემას ენიჭება... ნამყო ძირითადის წარმოების ტიპს ძველ ქართულში საყრდენი მორფემის სტრუქტურა განსაზღვრავს (გოგოლაშვილი 1985: 70). საყრდენია ის მორფემა, რომელსაც უშუალოდ დაერთვის მწკრივის ნიშნები; საყრდენი მორფემა ამ შემთხვევაში შეიძლება იყოს ძირეული ან სუფიქსური.

ავტორის დაკვირვებით, „უნიშნოდ (resp. -ი ელემენტით) იწარმოებს ნამყო ძირითადს უმარცვლო და რედუცირებადი ხმოვნის შემცველი საყრდენი მორფემის ზმნები“ (გოგოლაშვილი 1985: 71).

ა) საყრდენი მორფემა უმარცვლოა:

შევა-ბ-Ø	დავბერ-დ-ი
შეა-ბ-Ø	დაჰბერ-დ-ი
შევა-ბ-Ø-თ	დავბერ-დ-ი-თ
შეა-ბ-Ø-თ	დაჰბერ-დ-ი-თ

ბ) საყრდენი მორფემა ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველია:

შეე-თხაზ-Ø	განე-კაც-ენ-Ø	დაე-წერ-ენ-Ø
შეს-თხაზ-Ø	განჰ-კაც-ენ-Ø	დას-წერ-ენ-Ø
შე-თხზ-ა	გან-კაც-ნ-ა	და-წერ-ნ-ა
შეე-თხაზ-Ø-თ	განე-კაც-ენ-(ი)-თ	დაე-წერ-ენ-(ი)-თ
შეს-თხაზ-Ø-თ	განჰ-კაც-ენ-(ი)-თ	დას-წერ-ენ-(ი)-თ
შე-თხზ-ეს	გან-კაც-ნ-ეს	და-წერ-ნ-ეს

გ) საყრდენი მორფემისეული ხმოვანი ნაწილობრივ რედუქციას განიცდის:

ვ-თქუ-Ø	დავ-წუ-Ø
ს-თქუ-Ø	დას-წუ-Ø
თქ...-ა	და-წუ-ა
ვ-თქუ-Ø-თ	დავ-წუ-Ø-თ
ს-თქუ-Ø-თ	დას-წუ-Ø-თ
თქუ-ეს	და-წუ-ეს

ხოლო „-ე სუფიქსს დაირთავს ნამყო ძირითადში მარცვლოვანი, არარედუცირებადი ხმოვნის შემცველი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები“ (გოგოლაშვილი 1985: 72).

საყრდენი მორფემა ძირეულია:

დავ-წერ-ე	მოვ-დრიკ-ე
დას-წერ-ე	მოს-დრიკ-ე
დავ-წერ-ე-თ	მოვ-დრიკ-ე-თ
დას-წერ-ე-თ	მოს-დრიკ-ე-თ

რაც შეეხება „ავიღე“, „ვსძღე“, „განვატფე“ ტიპის ფორმებში გამოვლენილ -ე-ს, რომელიც ოდენტანხმოვნიან საყრდენ მორფემასთან გეხვედება, ავტორი მას გენეტიურად განსხვავებულ ოდენტობად მიიჩნევს, -ევ სუფიქსიდან წარმოშობილად თვლის. ისტორიულად ასეთი ფორმები უნიშნონი უნდა ყოფილიყვნენ: ავიღ-ე ← ავიღ-ევ-Ø.

2. წყვეტილის წარმოება ახალ ქართულში

თანამედროვე ქართულს წყვეტილის წარმოებაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. იგივე მაწარმოებლები გვხვდება დღესაც. მხოლოდ ამ მაწარმოებელთა გამოყენების არე გაფართოვდა ან შევიწროვდა რამდენადმე. კერძოდ, თვალში საცემია წყვეტილის უნიშნო ფორმათა შემცირება, რაც ამგვარ ფორმებში ფონეტიკურად გაჩენილი -ი ხმოვნის დამკვიდრებამ გამოიწვია. თუ ძველ ქართულში მისი არსებობა ჩვეულებრივი იყო მრავლობითში, მხოლობითში კი მისი გამოვლენა ნებისმიერი, ახალ ქართულში მხოლობითის ფორმებში ნართაული -ი-ს დართვა „აუცილებელი არაა, თუმცა კი მისი დართვა ჩვეულებრივია“ (შანიძე, 1980: 427). რაც შეეხება უმარცვლო საყრდენი მორფემის მქონე ზმნებს, ისინი დღეს აღარ გვხვდება უნიშნოდ. მათი -ი ელემენტით გაფორმება უკვე ძველსავე ქართულში დამთავრებულია დონიან ვნებითებში, -ამ თემისნიშნიან ზმნებში ეს პროცესი ჩვენს თვალწინ ხდებოდა, ხოლო „უნიშნო ვნებითა“ ერთ ნაწილში კვლავაც მიმდინარეობს (გოგოლაშვილი 1980: 136). წარმოების ტიპი არ შეცვლილა -ე ბოლოსართიანი წყვეტილისათვის. არსებითად იგივე სურათი გვაქვს თანამედროვე ქართულში, რაც ძველ ქართულშია.

რაც შეეხება მწკრივის მაწარმოებელ ელემენტთა განაწილების ზოგად პრინციპს, ახალი ქართულისთვისაც იმავე საშუალებებს მოიხმობენ მის დასადგენად, რასაც ძველ ქართულში აღნიშნული პრობლემის განხილვისას გავეცანით.

ლ. კიკნაძე წყვეტილში მწკრივის ნიშნის არსებობის პირობად აწმყოში თემატური სუფიქსის მქონებლობას მიიჩნევს: „იმ ზმნებს, რომელთაც წყვეტილში დაბოლოება არა აქვთ, აწმყოში ყოველთვის აქვთ თემატური სუფიქსი... თუ ზმნა აწმყოში უთემისნიშნოა (იგულისხმება მოქმ. გვარის ზმნები), მას წყვეტილში აუცილებლად ექნება -ე სუფიქსი“ (კიკნაძე 1947: 320).

თემატურ სუფიქსთა და ზმნის გვარის ფორმათა მიხედვით წარმოადგენს წყვეტილის წარმოების ზოგად სურათს ა. შანიძე (შანიძე 1980).

ძველ ქართულზე საუბრისას უკვე აღვნიშნეთ, თუ რა სირთულეები ახლავს ამ გზით პრობლემის გადაჭრის მცდელობას.

თანამედროვე ქართულში წყვეტილის ფორმანტთა განაწილებისას ზოგადი კანონზომიერების გამოსავლენად ვხელმძღვანელობთ პრინციპით, რაც წარმოდგენილი იყო გ. გოგოლაშვილის მიერ ძველი ქართულისათვის.

კერძოდ, ფუძისა და საყრდენი მორფემის სტრუქტურის ცნების შემოტანა შექმნილ ვითარებას ნათელს ხდის – ამ პრინციპით ჩატარებული კვლევა გ. გოგოლაშვილს საშუალებას აძლევს გამოყოს ოთხი ძირითადი ყალიბი. „განსხვავებულია ვითარება იმის მიხედვით, საყრდენი მორფემა მარცვლოვანია თუ უმარცვლო: მარცვლოვანთაგან – ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველია თუ არა“ (გოგოლაშვილი 1984: 31).

ამ საშუალებათა გამოყენებით მკვლევარი დაასკვნის, რომ წყვეტილის ფორმებში გამოვლენილი -ი ელემენტი არ შეიძლება ჩაითვალოს ყველა შემთხვევაში ერთსა და იმავე ოდენობად. სახელდობრ, სხვაა ის -ი ბოლოსართი, რომელიც I და II სუბიექტური პირის ფორმებში მონაცვლეობს ნულთან. ამის გათვალისწინებით გამოიყოფა ორი ყალიბი -ი ბოლოსართიანი ფორმებისა:

I. თუ საყრდენი მორფემა მარცვლოვანია და დრო-კილოთა II სერიის გარკვეულ ფორმებში ხმოვანს კარგავს, ნამყო ძირითადი -ი ელემენტით იწარმოება ან უნიშნოდაა წარმოდგენილი:

მოვ-კალ-ი	მოვ-კალ-Ø	მოვ-კალ-ი-თ
მოჰ-კალ-ი	მოჰ-კალ-Ø	მოჰ-კალ-ი-თ
მო-კლ-ა		მო-კლ-ეს

განხილული ტიპი წარმოადგენს წყვეტილის წარმოების I ყალიბს (ნულთან მონაცვლე ხმოვნის შემცველი საყრდენი მორფემა + ი || 0).

II. ზმნათა ის ჯგუფი, რომელთა წყვეტილის ფორმებში გამოვლენილი -ი ელემენტი არ მონაცვლეობს ნულთან, წარმოადგენს წყვეტილის წარმოების II ყალიბს. აქ ავტორი სამ მორფოლოგიურ ჯგუფს გამოყოფს: ა) -ამ თემისნიშნა-ნები (ვაბ-ამ – დავა-ბ-ი); ბ) დონიანი ვნებითები (დავბერ-დ-ი); გ) „უნიშნო ვნებითთა“ ერთი ნაწილი (გაგ-თბ-ი).

-ე სუფიქსთანაც ორ შემთხვევას განარჩევს ავტორი: განსხვავება, გარდა საყრდენი მორფემის აგებულებისა, გამოვლინდება კიდევ მესამე სუბიექტური პირის გამომხატველი აფიქსით. კერძოდ, სხვაა ის -ე მაწარმოებელი, რომელიც მიერთვის მარცვლოვან უკუმშველ საყრდენ მორფემას და რომელსაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -ა შეესაბამება. და სხვაა ის -ე, რომელიც დაერთვის უმარცვლო საყრდენ მორფემას და რომელიც მესამე სუბიექტურ პირში -თ ნიშანს გულისხმობს. ამის მიხედვით გამოიყო კიდევ ორი ყალიბი:

III. მარცვლოვანი უკუმშველი საყრდენი მორფემა + -ე სუფიქსი, სუბიექტური მესამე პირის ნიშანია -ა. წყვეტილის წარმოების ეს ტიპი III ყალიბია. ამგვარი ყალიბის ზმნები ენაში მრავლადაა.

IV. წყვეტილის წარმოების IV ყალიბია: უმარცვლო საყრდენი მორფემა + -ე სუფიქსი, მესამე პირის ნიშანია -ო.

IV ყალიბის ზმნები ენაში შედარებით მცირედ მოიპოვება. აღნიშნული ყალიბის ზმნებში გამოვლენილი -ე ბოლოსართისა და მესამე სუბიექტური პირის -ო ნიშნის შესახებ ავტორის მოსაზრება უკვე წარმოვადგინეთ, როცა ძველ ქართულში წყვეტილის წარმოებაზე ვსაუბრობდით. მკვლევარი II და IV ყალიბის ზმნებს ისტორიულად I ყალიბიდან მომდინარედ თვლის. ამდენად, ახალი ქართულისეული ვითარება რთული და მეორეულია. „მომხდარმა ფონეტიკურმა ცვლილებებმა და აფიქსთა მორფოლოგიურმა რეინტერპრეტაციამ გამოიწვია ყალიბის სახის შეცვლა და ახალი ყალიბების შექმნა“ (გოგოლაშვილი 1984: 47).

3. წყვეტილის მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა საკითხი ძველსა და ახალ ქართულში

წყვეტილის წარმოების შესწავლისას ყურადღებას იქცევს მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა საკითხი.

ქართული ზმნის უღლების სისტემაში მესამე სუბიექტური პირი ქრონოლოგიურად ახალ ოდენობადაა მიჩნეული პირველ და მეორე სუბიექტურ პირებთან შედარებით. ამიტომაც მისი მორფოლოგიური გამოხატვა განსხვავებულია. ეს სხვაობა რამდენიმე ასპექტში ვლინდება: ა) მესამე სუბიექტური პირის აღმნიშვნელი ფორმანტი ბოლოში ერთვის ზმნის ფუძეს, სუფიქსია, მაშინ, როცა პირველ-მეორე პირებში აღნიშნული ფუნქციის მქონე აფიქსი წინ მიერთვის ფუძეს, პრეფიქსია; ბ) პირველსა და მეორე სუბიექტურ პირებს თითო აღმნიშვნელი მოეპოვება, მესამე პირს კი – ერთდროულად რამდენიმე; ამას ემატება ისიც, რომ სუბიექტის მესამე პირის მრავლობითობის აღმნიშვნელი ბოლოსართები ერთდროულად პირსაც გამოხატავენ და რიცხვსაც, მაშინ, როცა დანარჩენ აფიქსებს მხოლოდ პირის აღნიშვნა ევალება. ეს ვითარება ეწინააღმდეგება ქართული ენისათვის დამახასიათებელ აგლუტინაციის პრინციპს, რაც თითქოს სარწმუნოს

ხდის გამოთქმულ ვარაუდს იმის შესახებ, რომ მესამე სუბიექტური პირი შედარებით მოგვიანო ფორმაციისა.

ბევლ ქართულში წყვეტილის მესამე სუბიექტურ პირს მხ. რიცხვში -ა და -თ სუფიქსები აღნიშნავს, მრ. რიცხვში მათ ამავე ფუნქციის -ეს ბოლოსართი შეესაბამება.

თუმცა, არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც მესამე სუბიექტური პირის ნიშნები ზმნას მარტოოდენ მხოლობითში აქვს, მრავლობითში კი არა. ამ თვალსაზრისის ავტორი არნ. ჩიქობავაა. მეცნიერის აზრით, მესამე სუბიექტური პირის ნიშანი საერთო ქართველურ ფუძე-ენას არ ჰქონია არც მხოლობითში, არც მრავლობითში. სვანური შერჩა ამ საფეხურს, ქართულმა კი მესამე სუბიექტის ნიშანი მიიღო მხ. რიცხვში, მაგრამ არ მოუხდენია არავითარი ცვლილება მრავლობითში. მრავლობითის ნიშანი აქ უკვე იყო. მკვლევარი მრ. რიცხვში სუბიექტის მესამე პირის ნიშნებს მხოლოდ სიმრავლის აღმნიშვნელ ფორმანტებად მიიჩნევს და ამბობს: „მრავლობითის სუფიქსების დამკვიდრება ზმნაში წინ უსწრებს მესამე პირის სუფიქსის გამოყენებას (მხოლობითში), მესამე პირის სუფიქსი ზმნაში შედარებით ყველაზე ახალი ფორმაციისაა. მას წინ უსწრებს არა თუ სხვა პირთა ჩამოყალიბება, არამედ მრავლობითის გაფორმებაც“ (ჩიქობავა 1940: 16).

არნ. ჩიქობავა მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა ჩამოყალიბებას ქრონოლოგიურად მოთხრობითი და სახელობითი ბრუნვების დიფერენციაციის პროცესს უკავშირებს. კერძოდ, -ა სუფიქსს იგი ბრუნვათა სისტემაში ერთ-ერთი უძველესი ბრუნვის, მოთხრობითის ჩამოყალიბების ხანისად მიიჩნევს. ხოლო რაც შეეხება მესამე სუბიექტური პირის სუფიქსით აღნიშვნას, მეცნიერი ცდილობს ამასაც თავისებური ახსნა მოუძებნოს: მიზეზი ამგვარი ცვლილებისა სათანადო ენობრივი კოლექტივის სამეტყველო ფსიქიკაში მომხდარი დიდი გარდატეხაა, რამაც პრეფიქსული წყობის ენა სუფიქსაციის გზაზე დააყენა, ქართულში ეს გარდატეხა ისეთ ენებთან შეხვედრამ განაპირობა, რომლებიც სუფიქსაციით ხასიათდებიან, ეს კი ურალ-ალტაური ან ინდოევროპული ენები უნდა ყოფილიყო (ჩიქობავა 1940: 16).

-ა სუფიქსის გვერდით წყვეტილს მხ. რიცხვში მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -თ ბოლოსართიც აქვს. სამეცნიერო ლიტერატურაში გაზიარებულია აზრი იმის შესახებ, რომ -თ მიღებულია -ა-სგან ფონეტიკური ცვლილების შედეგად (იყო ← იყვა ← იყავა). სახელდობრ, ამოსავალი ფონეტიკური ვითარება ზმნის

ფუძისეული ფ-ს მეზობლობა იყო, ამ უკანასკნელის -ა პირის ნიშანთან თავმოყრამ მოგვცა -თ, ე. ი. -თ მიღებულია ვა / ჭა დიფთონგების მონოფთონგიზაციით, შემდეგ კი ანალოგიით სხვა ზმნებსაც განუვითარდა იგი -ა-ს ადგილას (დეეტერსი 1930: 106; ჩიქობავა 1940: 14; ჩიქობავა 1950: 053).

ამ თვალსაზრისზეა ა. შანიძეც, იგი -თ სუფიქსის გავრცელების არედი წყვეტილის მწკრივის ოდენთანხმონიან ფუძეებს მოიაზრებს. ამგვარი ზმნებია ცალთანხმონიანი: ააგ-ო, განაპ-ო, აქ-ო, შეაქ-ო... ორთანხმონიანი: ალავს-ო, და-ათრ-ო, შეამკ-ო, განატფ-ო... იქვე გამონაკლისებად ბ-მა და ც-ემა ზმნებსაც მოიხსენიებს, რომელთაც -ა სუფიქსი მოუდის (შანიძე 1976: 63).

-თ ბოლოსართის მეორეულობას არ იზიარებენ ბ. გიგინეიშვილი და ზ. სარჯველაძე. ავტორები შეგვახსენებენ, რომ ძველ ქართულში [ვა] / [ჭა] და [თ] სეგმენტები კონტრასტულ დამოკიდებულებაში არიან. ამ ზოგადი კონტრარგუმენტის გარდა, მოიხმობენ კონკრეტულ შემთხვევებს, როცა იმავე ფონემატურ გარემოში (ვა / ჭა) მოსალოდნელი -თ-ს მაგიერ -ა ნიშანიც გვხვდება. გვაქვს: განაქარვ-ა (და არა განაქარ-თ). მეორე მხრივ, ხშირია მესამე სუბიექტური პირის ნიშნად -თ სუფიქსი იქ, სადაც ამისათვის არავითარი კომბინატორული პირობა არ არის, ე. ი. ზმნის ფუძე არ ბოლოვდება ვ-ზე ან რომელიმე ბაგისმიერ თანხმოვანზე, მაგალითად, სძლ-ო, განვლ-ო, ამცნ-ო... მკვლევარნი სხვა ქართველური ენების მონაცემთა საფუძველზე დაასკვნიან: „/თ/ ალომორფი არამცთუ ძველი ქართულის დონეზე არ გამოდგა მეორეული, არამედ აღდგა ქართულ-ზანური პერიოდისთვისაც კი“. სავარაუდოა, ქართულ-ზანური ერთობის ხანაში არსებობდნენ მესამე სუბიექტური პირის *ა და *თ ალომორფები. ზანურმა *ა დაკარგა, მხოლოდ *თ-ს ეკვივალენტი უ / გ შემორჩა. ქართულმა კი ორივე ალომორფი შემოგვინახა, რომელთა გამოვლენასაც ესა-თუ ის ზმნური ძირი განაპირობებს (გიგინეიშვილი... 1973: 81-82).

არნ. ჩიქობავამ გამოთქვა მოსაზრება, რომ ძველ ქართულში ამ სუფიქსების უწინარეს არსებობდა კიდევ ერთი ნიშანი, რომელიც სუბიექტის მესამე პირს აღნიშნავდა მხ. რიცხვში. ეს -ნ ფორმანტია, მას მრავლობით რიცხვში -ედ ბოლოსართი შეესაბამებოდა. იმ მწკრივთა შორის, რომელნიც აღნიშნული ფუნქციით -ნ (მრ.-ში – დ) აფიქსს დაირთავდნენ, იყო წყვეტილიც. ავტორისეული ვარაუდი შემდეგ მსჯელობას ემყარება: ძველი ქართულის მწკრივთა მეორე ჯგუფში არის მესამე პირის ბრძანებითი ფორმები, რომლებიც სათანადო ლიტერატურა-

ში დამოუკიდებელ მწკრივად – II ბრძანებითადაა გაგებული. ამ ფორმებმა შემოგვინახა -**ნ** (მრ. – **ედ**) ნიშანი. რეალურად კი „ესაა აორისტის მესამე პირი, განსხვავებული ჩვეულებრივი მესამე პირისაგან -**ნ** სუფიქსის გამოყენებით (**ა**, **ო-ს** ნაცვლად) (ჩიქობავა 1940: 29).

-**ნ** სუფიქსი „იმ ეპოქისაა..., როცა აწმყო და ნამყო გამიჯუნლი და დაპირისპირებული დროები არ იყვნენ (ე. ი. დროებს არც წარმოადგენდნენ)“, (ჩიქობავა 1940: 23) – ამბობს მკვლევარი, – ხოლო ამ უძველესი **ნ** სუფიქსის გვერდით არსებული სხვა ფორმანტები სუბიექტის მესამე პირისა „ან სხვადასხვა ფორმაციისაა ან სხვადასხვა დიალექტური წრისა“ (ჩიქობავა 1940: 40).

ვ. თოფურიას აზრით, -**ნ** ფორმანტი არის ერთ-ერთი უძველესი ფენა, რომელიც რელიეფურად მოჩანს ქართველურ ენათა წიაღში და რომლითაც ისინი „უკავშირდებიან კავკასიურსა და ძველებითა წარმოდგენილ მკვდარ ენებს (ხალღურ, ხეთურ ენებს)“ (თოფურია 1941: 195).

ძველი ქართულის ენობრივ მასალაში მოიძებნება ისეთი ფორმებიც, რომლებშიც მხ. რიცხვის მესამე სუბიექტური პირის აღმნიშვნელად -**ს**, -**ნ**, -**ა**, -**ო** სუფიქსების ადგილას -**დ** ბოლოსართია. ამგვარმა ფაქტებმა იმთავითვე მიიქცია ენათმეცნიერთა ყურადღება (შანიძე 1945; აბულაძე 1954; როგავა 1968). გამოითქვა ვარაუდი, რომ ძველ ქართულში მხ. რიცხვის მესამე სუბიექტური პირის გამომხატველად გამოყენებული უნდა ყოფილიყო -**დ** ფორმანტიც. ამასვე მოიაზრებდა ვ. თოფურიას მსჯელობა: მესამე პირის სუბიექტის მრ. რიცხვის აღმნიშვნელ სუფიქსთა თანხმოვნები (**ნ**, **ს**) იხმარება იმავე პირის სუბიექტის ნიშნად მხ. რიცხვში. ძველ ქართულში მესამე პირის სუბიექტის მრავლობითობას აღნიშნავს -**ედ** სუფიქსიც, ბუნებრივია, თუ ამ სუფიქსის თანხმოვანიც შეგვხვდება მესამე პირის სუბიექტის ნიშნად მხ. რიცხვში (თოფურია 1952: 6-7).

დ. გეწადის მიერ შესწავლილმა ძველმა ძეგლებმა ეს ვარაუდი გაამართლა. მხ. რიცხვში მესამე პირის სუბიექტის ნიშნად -**დ** სუფიქსი სხვა მწკრივთა შორის წყვეტილისაგან ნაწარმოებ მესამე პირის ბრძანებითის ფორმებშიც გამოვლინდა (გეწადე 1952-1953). მსგავსი ფაქტები შემდგომი ხანის გამოკვლევებმაც გამოააშკარავა (სარჯველაძე, გიგინეიშვილი, კიკვიძე, ნინუა).

რა საფუძველი გვაქვს, ბრძანებითის უძველეს ფორმებში დადასტურებული მესამე სუბიექტის -**დ** ნიშანი წყვეტილისათვის ანალოგიური დანიშნულების აფიქსად მივიჩნიოთ. ამგვარი დაშვებისას კვლავ იმ არგუმენტებს მოვიხმობთ, რაც -**ნ** ფორმანტზე მსჯელობისას გვქონდა. ვრჩებით იმ აზრზე, რომ ბრძანები-

თის ეს ფორმები იმავე წყვეტილის ფორმებია, მხოლოდ მესამე სუბიექტური პირის ნიშნით განსხვავებული. ჩვენს შემთხვევაში ასეთი ნიშანი -დ ბოლოსართია, რომელიც წყვეტილს სხვა ნიშნებთან ერთად მოეპოვებოდა ძველად. ენამ განსხვავებული ფორმა განსხვავებული შინაარსით აღჭურვა, ამჯერად წყვეტილის -დ სუფიქსიან ფორმას ბრძანებითობის გადმოცემა დაეკისრა.

აქვე დავძენთ, რომ -ნ და -დ ფორმანტები ახალ ქართულში ამ ფუნქციით აღარ არსებობენ. მათი გამოყენება უკვე ძველ ქართულშივე შეზღუდულია. ისინი აქა-იქ სპორადულად გვხვდება წერილობით ძეგლებში, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული მოვლენა უძველესი ვითარების გადმონაშთია. მიუხედავად იმისა, რომ მესამე სუბიექტური პირის სუფიქსაცია გვიანი ფორმაციისადაა მიჩნეული, -ნ და -დ აფიქსები მასალობრივად უკავშირდება იმ უძველეს დიალექტებს, რომლებიც ქართული სალიტერატურო ენის წარმოქმნაში მონაწილეობდნენ (ჩიქობავა 1954).

წყვეტილს მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის გადმოსაცემად ძველ ქართულში მოეპოვება -ეს სუფიქსი და იშვიათი ხმარების -ედ ბოლოსართი. -ეს იხმარებოდა წყვეტილში როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. შემდგომი -ეს -სუფიქსი შერჩა გარდამავალ ზმნებს, ხოლო გარდაუვლებში იგი -ენ ფორმანტმა შეცვალა.

ე. ნიკოლაიშვილმა -ეს სუფიქსის ევოლუციის კვლევისას დაადგინა, რომ ამგვარი ცვლილება პირველად „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში დაფიქსირდა, თუმცა, იმ დროის ცოცხალ მეტყველებაში ასეთი ფორმები ჯერ კიდევ არ უნდა ყოფილიყო გაბატონებული. მკვლევარი ვარაუდობს, რომ -ენ-ის გავრცელებისათვის ხელი უნდა შეეწყო დასავლეთ საქართველოს კილოებს. მისივე დაკვირვებით, -ეს და -(ნ)ენ სუფიქსთა ჭიდილი XVIII საუკუნის ბოლოს -(ნ)ენ ბოლოსართის გამარჯვებით დასრულდა. მანამდე კი ერთდროულად მიმდინარეობდა ორი პროცესი: -ეს სუფიქსის -ენ-ით შეცვლა და ამ უკანასკნელის -(ნ)ენ-ით ჩანაცვლება (ნიკოლაიშვილი 1978).

-ნენ სუფიქსის ისტორია პრეფიქსიან ვნებითებში იწყება. როგორც ცნობილია, პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში -ნ- ინფიქსი სათანადო მოქმედებითის ფორმებიდანაა გადასული, სადაც ის წარიანი პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავდა. კონვერსიის პროცესში -ნ- მექანიკურად გადაჰყვა პრეფიქსიან ვნებითებს, ხოლო შემდეგ, როცა -ეს ფორმანტის ადგილი -ენ-მა დაიკავა, ამ უკანასკნელთან -ნ- ინფიქსის შესხვედრამ -(ნ)ენ ბოლოსართი მოგვცა:

დაიმაღ-ნ-ეს → დაიმაღ-ნ-ენ

-ენ და -(ნ)ენ სუფიქსები თანაარსებობდნენ სალიტერატურო ენაში მანამდე, ვიდრე ენის ნორმათა დამდგენი კომისია უპირატესობას -(ნ)ენ აფიქსს მიანიჭებდა.

მესამე პირის მრავლობითობის სუფიქსებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით განსხვავებულ თვალსაზრისს, რომელიც ქრონოლოგიურად -ენ სუფიქსის უწინარესობას უჭერს მხარს. ამ თვალსაზრისს გამოთქვამს ბ. ფოჩხუა: „რაკი ობიექტის მრავლობითობის -ენ „შიგა“ სუფიქსია, ე. ი. უფრო ადრინდელი ფორმაციისაა, შესაძლებელია, სწორედ ეს მივიჩნიოთ ზმნაში სიმრავლის გამომხატველ საყოველთაო სუფიქსად“ (ფოჩხუა 1961: 59). მკვლევარს არგუმენტებად მოაქვს ფაქტები, რომ ძველ ქართულში -ეს-ს -ენ სუფიქსი ცვლის, ან მათი აღრევა ხდება, ახალ ქართულში მედიოპასიურ ფორმებში -ენ ბატონდება, ხოლო დასავლურ კილოებში შეიმჩნევა მისი გაუნვიერსალების ტენდენცია. იგი -ეს სუფიქსს ძირითად ქართულ ფენაში სხვა დიალექტური წრის შემონატანად თვლის, ასევე დიალექტურ ოდენობად მიაჩნია იშვიათი გამოყენების -ედ სუფიქსი.

საბოლოოდ შეგვიძლია დავასკვნათ: ძველ ქართულში წყვეტილის მესამე სუბიექტურ პირს მხ. რიცხვში აღნიშნავდა: -ნ, -დ, -ა, -თ, ხოლო მრ. რიცხვში – -ედ, -ეს სუფიქსები.

ჯერ კიდევ ძველსავე ქართულში იშვიათი ხმარების -ნ, -დ, -ედ ფორმანტებმა გაქრობა იწყეს.

თანამედროვე ქართულში ამ ფუნქციით წყვეტილის მწკრივს მხ. რიცხვში მოეპოვება -ა და -თ სუფიქსები, ხოლო მრავლობითში – ძველი -ეს და ახალი ფორმაციის -ნენ ბოლოსართები.

4. წყვეტილის წარმოება საშუალო ქართულში

მიმოვიხილოთ წყვეტილის წარმოება ძველსა და ახალ ქართულში, ვისაუბროთ მწკრივის მაწარმოებელ ელემენტებზე, მათი გამოვლენის პირობებზე და ამ ელემენტთა განაწილების ზოგად კანონზომიერებაზე. შევეხეთ მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა სისტემას აღნიშნული მწკრივის ფარგლებში. პრინციპული სხვაობა ძველსა და ახალ სალიტერატურო ენათა შორის არ შემჩნეულა. ის ოთხი ძირითადი ყალიბი, რომელიც ჩვენთვის საინტერესო მწკრივის წარმოებაში

გამოიკვეთა, გეხვდება როგორც ძველს, ისე ახალ სამწერლობო ქართულში. არსებითი განსხვავება მხოლოდ მწკრივის მაწარმოებელ ფორმანტთა გამოვლენის სიხშირეზე აისახა. ესა თუ ის ნიშანი ერთგან უფრო ხშირად გამოიყენება, მეორეგან – იშვითად, ან – პირიქით. ჩვენი მიზანია საშუალო ქართულში წყვეტილის წარმოების კვლევა, საყრდენი მორფემის სტრუქტურის მეშვეობით დასახელებული ოთხი ფორმობრივი ჯგუფის გამოვლენა. თითოეული ყალიბის შიგნით გარკვეულ თავისებურებათა აღნუსხვა და მათი შესაძლო ახსნა. ჩვენთვის ფასეულია ის ენობრივი ფაქტები, რასაც ამ პერიოდის სამწერლობო ძეგლებში შეგხვდებით. ეს ის მახასიათებლებია, რაც საშუალო ქართულს მისი მოსახდვრე ენობრივი პერიოდებისაგან გამოარჩევს. გვაინტერესებდა, თუნდაც ის უმნიშვნელო სხვაობა, რომელიც ძველსა და ახალ ქართულს შორისაა, როგორ აისახა საშუალო პერიოდის სამწერლობო ენაში. კერძოდ, წყვეტილის ამა თუ იმ მაწარმოებლის გამოყენებისას საშუალო ქართული მიჰყვება ძველ ქართულს, თუ ახალი ქართულისებრია ვითარება, გვაძლევს თუ არა სხვაობას ამ თვალსაზრისით საშუალო ქართულის საზღვრებში სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის ძეგლები. გეხვდება თუ არა ძველი და ახალი ქართულისეული მონაცემები ერთი და იმავე ავტორის, თუნდაც, ერთსა და იმავე თხზულებაში. არანაკლებ საინტერესოა, მესამე სუბიექტური პირის აღნიშვნისას საშუალო ქართულმა დაიცვა ძველი ვითარება, თუ ახალ ნორმებს მისცა გზა, რომელი ეპოქისა და ჟანრის ნაწარმოებში რა მდგომარეობაა ამის გათვალისწინებით.

აღნიშნულ კითხვებზე პასუხის გაცემას -ი ბოლოსართიანი წყვეტილით დავიწყებთ.

4.1. უნიშნო და -ი სუფიქსიანი წყვეტილი

ძველ ქართულში უნიშნოდ იწარმოებდა წყვეტილის მწკრივს უმარცვლო ან რედუცირებადი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები:

შევა-ბ-Ø	ვ-ქმენ-Ø	ვ-თქუ-Ø
შეა-ბ-ა	ქმენ-ა	თქუ-ა

როგორც აღვნიშნეთ, უკვე ძველსავე ქართულში -დ სუფიქსიან ვნებითებსა და -დ თანხმოვანზე ფუძედასრულებულ სხვა ზმნებს წყვეტილის I-II პირებში -ი ელემენტი განუვითარდა. ამ დროისათვისვე აღნიშნული სუფიქსი დაერთვოდა ზოგიერთი ვნებითი და საშუალო გვარის ზმნას (დავე-ც-ი, განვე-რ-ი) და მოქმე-

დებითაგან – ერთს (განგ-რცხ-ი). ყველა დასახელებულ შემთხვევაში -ი ნიშანს დაირთავდა უმარცვლო საყრდენი მორფემის მქონე ზმნები (აქ ეჭვის ქვეშ დგება ი. იმნაიშვილის მიერ წყვეტილის ფორმად გაგებული საშუალო გვარის ზმნა „ვპრწმენი“, რომელსაც არარედუცირებადი მარცვლოვანი საყრდენი მორფემა აქვს) (იმნაიშვილი... 1996: 154). ე. ი. ჯერ კიდევ ძველ ქართულშია გამოყოფილი გარკვეული ფორმოებრივი ჯგუფი ზმნებისა, რომელთა უმარცვლო საყრდენ მორფემასაც მიერთვის -ი სუფიქსი, რომელიც არ მონაცვლეობს ნულთან. აღნიშნული ტიპი სამეცნიერო ლიტერატურაში წყვეტილის წარმოების II ყალიბადაა ცნობილი. ახალ ქართულში II ყალიბის ფორმებს შემოუერთდა უმარცვლო საყრდენი მორფემის მქონე ზმნათაგან ყველა დანარჩენი (შევა-ბ-ი, განვა-სხ-ი...) და ჯგუფი ზმნებისა, რომელთა საყრდენი მორფემაც ნაწილობრივ რედუქციას განიცდიდა ძველ ქართულში (ვ-თქუ-Ø, შევ-სუ-Ø...). აღნიშნული ფორმები წარმოადგენენ -ამ თემისნიშნის ზმნებს (ვ-თქუ-Ø → ვ-თქუ-ი, დავა-ბ-Ø → დავა-ბ-ი) და უნიშნო ვნებითა ნაწილს (გავ-თბ-ი, გავ- შრ-ი). ამგვარად, -ი სუფიქსმა, რომლის წარმომავლობასაც II ხოლმეობითს უკავშირებენ და რომელიც თავიდანვე მორფოლოგიური ფუნქციით იყო აღჭურვილი, თანდათან გაიფართოვა მოქმედების არე და მკვიდრად გაიდგა ფესვი.

ზმნები, რომელთა მარცვლოვანი საყრდენი მორფემა სრულ რედუქციას განიცდიდა, ძველ ქართულში ნულოვანი მაწარმოებლით იყო წარმოდგენილი. IX საუკუნიდან მრ. რიცხვის I-II სუბიექტური პირის ფორმებში რთული თანხმოვან-თკომპლექსის გასათიშად წარმოშობილი -ი შემდეგ მხ. რიცხვის ფორმებშიც გადმოვიდა. თუ იშვიათად გვხვდებოდა მხ. რიცხვში მდგარ ზმნებთან იგი ძველ ქართულში, ახალ სალიტერატურო ენაში მისი გამოვლენა ჩვეულებრივია. წარმოების ეს ტიპი (მარცვლოვანი რედუცირებადი საყრდენი მორფემა + ნულთან მონაცვლე -ი ელემენტი) წარმოადგენს წყვეტილის I ყალიბს. ფონეტიკურ საფუძველზე გაჩენილი ნართაული -ი მორფოლოგიურად უფუნქციოა, განსხვავებით II ყალიბის ზმნებში გამოვლენილი -ი სუფიქსისაგან, რომელსაც მარედუცირებელი ძალა აქვს.

ამგვარად, ძველი ქართულისეული ფორმები უნიშნო წყვეტილისა ჩვენთვის საინტერესო მწკრივის წარმოებისას თანამედროვე ქართულში I და II ყალიბებად დაჯგუფდნენ. კერძოდ, უმარცვლო და ნაწილობრივ რედუცირებადი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები წყვეტილის წარმოების II ყალიბში გაერთიანდნენ, ხო-

ლო ისეთმა ზმნებმა, რომელთა საყრდენი მორფემაც სრულ რედუქციას განიცდიდა, ახალ ქართულში I ყალიბი შექმნეს.

საინტერესო აღმოჩნდა საშუალო ქართულის კვლევა ამ თვალსაზრისით. ამ ვრცელმა ენობრივმა პერიოდმა ძველ და ახალ სალიტერატურო ენათა შორის სხვაობა წყვეტილის წარმოების აღნიშნულ შემთხვევათა მაგალითზე მრავალფეროვან ჭრილში დაგვანახა. სხვადასხვა სურათი მოგვცა არა მხოლოდ ქანობრივად განსხვავებულმა ძეგლებმა, ასევე საუკუნეებით დაშორებულმა თხზულებებმაც. მეტიც, ზოგჯერ ეს განსხვავება ერთი და იმავე ავტორის შემოქმედებაში იჩენს თავს. ამ მხრივ მეტი კონსერვატიულობით გამოირჩევა სასულიერო ქანრის ლიტერატურა, ხოლო საერო ძეგლები უფრო თამამად ავლენს სიახლისადმი მხარდაჭერას.

საშუალო ქართულში წყვეტილის უნიშნო და -ი სუფიქსიან ფორმათა შესწავლისას ძველსა და ახალ სალიტერატურო ენათა შორის გამოვლენილ სხვაობაში რამდენიმე მომენტს გამოვყოფთ, კერძოდ: ა) სრულად რედუცირებადი მარცვლოვანი საყრდენი მორფემის შემცველი ზმნები მხ. რიცხვში ძველად თუ უნიშნოდ იყვნენ წარმოდგენილი, ახალ ქართულში მათ ნართაული -ი ხმოვანი დაირთეს (მოვ-კალ-Ø → მოვ-კალ-(ი); ბ) უნიშნო წყვეტილის ზმნათა მრ. რიცხვის ფორმები ძველი ქართულის ადრეულ ეტაპზე თუ -ი-ს გარეშე იყო, ახალ ქართულში მათ -თ სუფიქსის წინ -ი ელემენტი სისტემებრ გამოავლინეს (მოვ-კალ-თ → მოვ-კალ-ი-თ, დავა-ბ-თ → დავა-ბ-ი-თ); გ) ნაწილობრივ რედუცირებადი მარცვლოვანი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები ძველ ქართულში არ დაირთავდნენ -ი მწკრივის ნიშანს. ახალ ქართულში ამის საპირისპიროდ -ი სუფიქსიანი ფორმები მივიღეთ (ვ-თქუ-Ø → ვ-თქუ-ი (ვთქუ)); დ) უმარცვლო საყრდენი მორფემის შემცველი ზმნები ძველი ქართულის ადრეულ საფეხურზე უმწკრივისნიშნო იყვნენ, ახალ ქართულში -ი მწკრივის ნიშანი ყოველთვის გვხვდება (დავა-ბ-Ø → დავა-ბ-ი).

საშუალო ქართულის ენობრივი პერიოდის ძეგლებში წყვეტილის უნიშნო ფორმებზე დაკვირვებისას შემდეგი სურათი გამოიკვეთა: საშუალო ქართულში უნიშნოდ იწარმოებენ წყვეტილის მწკრივს სრულად რედუცირებადი მარცვლოვანი საყრდენი მორფემის მქონე „მოკვალ“ ტიპის ზმნები, რომელთაც მრ. რიცხვში სიმრავლის აღმნიშვნელი სუფიქსის წინ ნართაული -ი მოუდის. აღნიშნული ტიპი წყვეტილის წარმოების I ყალიბს წარმოადგენს. ასეთი წარმოება გვხვდება რო-

გორც პროზაულ, ისე პოეტურ ტექსტებში, როგორც სასულიერო, ასევე საერო უნარის თხზულებებში:

კაცს შუბი **გჰკარ**, ცხენი **დავეც**, მართ ორნივე მიხდეს მზესა (ვეფხ., 439, 3);

აწ გეწყალოდეს პატრონი ჩემი მზეჭაბუკი, რომელ ვითართა კაცთა მუხ-
თლად **მოჰკალითო** (ამ., 633, 3);

ნახე, თუ შენ ჩემზედა რა **ჰქმენ** ანუ რა **მიყავ**, რაზომნი აუგნი **მომითუა-
ლენ!** (ვის., 263, 37);

იმისთანა სასახელო ცოლი კინაღამ არ **მოგკალ** (თ. II, 196, 26);

ყელი **გამომჭერ** პირი დამრჩა შენის დანების (ბეს., 11. 4, 2);

უკეთუ არა, ლოცვასა ზედა უბნობა და ლოცვათა ყურთა მიუპყრობლობა,
ყოველივე რაოდენი **გითხარ** (საბა, სწავლ., 29).

ასევე იწარმოებს წყვეტილის ფორმებს I ყალიბის ზმნები ისტორიულ სა-
ბუთებსა თუ იურიდიულ ძეგლებში, ლაპიდარულ წარწერებსა და „ქართლის
ცხოვრების“ წიგნებში:

ხოლო თქუენ **ნუგეშინის-გეცით** ერისა ამისთვის, რომელი იჯსნა ღმერთმან
შუდას ოთხმოცი ათასი (ქ. ცხ., I, 176, 20);

ბასილი კმაყო: „ვაძმე, რად **მომკალ** საწყალობელი და საბრალოდ, წმიდაო
მოწამეო! (აბუს. ტბ., 62, 103);

სახელითა ღმრთისაჲთა მე ერისთავთ-ერისთავმან გიორგი, დაუწერე და
მივეც ამის ეკლესიისა ნახევარი საგანისა სოფელსა (ლაპიდ. წარწ., II, 62, 41);

და თქუენ **მოხუდით** და ღმრთისსწორთა სიგელნიც **მოიხუენით** სამამუ-
ლოდ ბოძებულობისანი (ისტ. საბ., 178, 40).

I ყალიბის უნიშნო ფორმათა გვერდით საშუალო ქართულის ჩვენ მიერ შე-
სწავლილ ენობრივ ძეგლებში ძალზე იშვიათად ძველი ქართულის ადრეული სა-
ფეხურისათვის დამახასიათებელი ფორმებიც გამოერევა ხოლმე აქა-იქ. ესენია
უმარცვლო და ნაწილობრივ რედუცირებადი საყრდენი მორფემის შემცველი (და-
ვა-ბ-Ø, ვ-თქუ-Ø ტიპი) ზმნები, რომლებიც ახალ ქართულში წყვეტილის წარმოე-
ბის II ყალიბის ზმნებს შეუერთდნენ.

ამგვარ უმწკრივისნიშნო ფორმათა უმეტესობა „ქართლის ცხოვრებაში“
გამოვლინდა.

ლეონტი მროველის თხზულებაში ორი უნიშნო ზმნა ვნახეთ და ორივე XV
საუკუნის ანასეულ ნუსხაში იყო:

უწყოდე, რამეთუ არა ესე არს განზრახვა ჩემი, რომელ **ვოქუ**, არამედ ღირს მყავ ზრახვად შენ წინაშე, და ვაუწყო მეფობასა შენსა გულისზრახვა ჩემი (ქ. ცხ., I, 60, 17);

და განკვრევილი მივეახლე მას და **ვარქუ** ესრეთ (ქ. ცხ., I, 114, 9).

ჯუანშერის ისტორიაშიც იყო უნიშნო წყვეტილის ძველი ქართულისეული ზმნები. ამათგან სამი ფორმა XVI საუკუნის II ნახევრის ჭალაშვილისეულ ხელნაწერში აღმოჩნდა:

ყოველთამცა ქალაქთა შინა ჯუარს **ვეცუ**, რათა ყოველნი ვაცხოვნნე (ქ. ცხ., I, 166, 16);

და **დავსუ** ეპისკოპოსად მიქაელ, კაცი სარწმუნო (ქ. ცხ., I, 179, 11).

აქვე დავძენთ, რომ ამ უკანასკნელ ზმნას A, C, D ნუსხათა შესაბამისი ეპიზოდები -ი სუფიქსით (დავსუ) წარმოადგენს:

და რომელ **სოქუ** შენ, თუ „მოიწყონ რა სპარსთა, მტერ ექმნებიან ქრისტეანეთა“ (ქ. ცხ., I, 139, 2).

დანარჩენი სამი ზმნა კი 1633 – 1646 წლებით დათარიღებულ მარიამისეულ ხელნაწერშია შემორჩენილი:

ხოლო აწ მოგიტხრა მათი სილადე ჩუენ ზედა, და მერმე ვყო ნება შენი, ვინათგან **ადგიოქუ** ფიცითა ძლიერითა, ვითარმედ არა ვყო უნებელი შენი (ქ. ცხ., I, 182, 17).

A, D, M, m ნუსხათა შესაბამის ეპიზოდებში „ვოქუ“ ზმნა არის.

ვითარ ხუდების სრულსა სიბრძნესა და ერთგულობასა შენსა, ეგრეთ **წარმოსოქუ** ყოველნი, ჯუანშერ (ქ. ცხ., I, 149, 20).

წიგნში „მატიანე ქართლისა“ ისევ „ვოქუ“ ზმნის ფორმები შეგვხვდა. ისინი ვნახეთ ჭალაშვილისეულ ხელნაწერებში და მერმინდელ ჩანართებში, რომლებიც სხვადასხვა ნუსხაშია დაცული:

ვითარცა **ვოქუ** პირველად, უშვილო იყო დავით კურაპალატი (ქ. ცხ., I, 275, 12);

და უკეთუ ვინმე ინებოს წარმოთქმად ყოველთა განგებულებათა მისთა, მოუძღურდეს ძალი მისი, რომელთაგან მცირედი **წარმოვოქუ** უამთა სიგრძისაგან არა-დავიწყებისათჳს (ქ. ცხ., I, 282, 2).

ჩანართები XVIII საუკუნის ხელნაწერებშია შემონახული. აქაც ვნახეთ ორიოდე ზმნა:

ხოლო ამას ჟამსა შინა გარდაცვალებულ იყო დავით კურაპალატი, ვითარცა **ვთქუთ** ზემორე (ქ. ცხ., I, 278, 4);

ხოლო ვითარცა **ვთქუთ**, მირა-იცვალა თეოდორა დედოფალი მეყუსეულად მართა, ასული ბაგრატისი სამეუფოდ შემოიყვანეს (ქ. ცხ., I, 307, 23).

თამარ მეფისადმი მიძღვნილ საისტორიო თხზულებაშიც „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ უნიშნო წყვეტილის ძველი ფორმაა. ეს ზმნა XVIII საუკუნის I მეოთხედის თეიმურაზისეულ ხელნაწერშია დაცული:

რა **სთქუ**, ვინ შემძლებელ არს ამისდა ქმნად, მოგონებად და სმენად, რამეთუ განსაკურვებულ არს? (ქ. ცხ., II, 86, 8).

„ვთქუ“ ტიპის ზმნები დადასტურდა იურიდიულ ძეგლებშიც. XIII საუკუნის სამართლებრივ ძეგლში „ლოცვა ერისთავთ-ერისთავის დადგენისა“ აღმოჩნდა ერთი ზმნა:

რომელმან **აღუთქუ** წმიდათა შენთა მოციქულთა მოცემად მადლი ღმრთეებისა შენისად დათრგუნვად გუელთა და ღრიანკალთა (სამ. ძეგლ., II, 55).

ასეთივე ფორმა შეგვხვდა 1722 წლით დათარიღებულ გუჯარში:

ყოველივე მსახურება წმიდისა ამის ხატისა ღმრთაებისა ადვასრულე და გუჯარი ესე **აღმოვთქუ** (სამ. ძეგლ., II, 383).

ამ ტიპის უმწკრივისნიშნო ზმნები მოვიძიეთ სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანში“. თხზულების შინაარსიდან გამომდინარე აქ ძველი ქართულისთვის დამახასიათებელი ფორმები ხშირია:

ერთი ვინმე უარის-მყოფელთაგანი მეღიზღებოდა და მე **ვარქუ** (საბა, სწავლ., 178, 547);

შენვე **სთქუ** წელან (საბა, სწავლ., 302, 159).

ძველი სალიტერატურო ენისათვის ნიშანდობლივ სხვა ზმნათა შორის უნიშნო წყვეტილის ამგვარი ფორმა შეგვხვდა ბესიკის ლექსშიც:

ვარქუ მე: მაგად ვიხარო რად ე! (ბეს., 14. 2, 1).

არჩილის პოეტურ ნაწარმოებთაგან ჩვენთვის საინტერესო ზმნებს ვხვდებით ლირიკულ პოემაში „ლექსნი ასეულნი“:

ცოტა რამ ლექსად **აღმოვსთქუ** სიტყვები მე შესაქმისა (არჩ., I, 90.64,4);

ეს რაც მასმია, მისთვის **ვთქუ**, უყურეთ რა თქვას რაც ა მან! (არჩ., I, 92. 87, 4).

საინტერესოა, რომ ამ ტიპის (ნაწილობრივ რედუცირებადი მარცვლოვანი საყრდენი მორფემის მქონე) უნიშნო ფორმათა უმრავლესობა „ვთქუ“ და „ვარქუ“ ზმნებია.

რაც შეეხება უმარცვლო საყრდენი მორფემის შემცველ ზმნებს, რომლებიც ასევე უნიშნოდ იწარმოებენ წყვეტილის მწკრივს, სალიტერატურო ენიდან შემორჩენილი ეს იშვიათი ფორმები მხოლოდ არჩილის პოეზიაში აღმოჩნდა. მათი დანიშნულება აქ მუხლედთა თანაბარმარცვლიანობის დაცვა უნდა იყოს:

ერთბაშად **დაანთქ** ყოველნი და უფრო შენი ამყოლნი (არჩ., I, 58.322,4);

სასწაულითა მოწეულითა

დაიდგ გვირგვინი, არა ხელადა (არჩ., I, 234. 45, 4).

სხვაგან ამ ტიპის უმწკრივისნიშნო ზმნები არ შეგვხვედრია, თუ არ ჩავთვლით ბრძანებითის ფორმებს, რომლებზეც ქვემოთ საგანგებოდ ვისაუბრებთ.

ცნობილია, ყოველი ენობრივი სიახლე ზეპირ მეტყველებაში თუ ადვილად იკიდებს ფეხს, სამწერლობო ენაში ძნელად ხდება მათი შემოღწევა. ამის მიზეზი ძველი ქართული ენის ძეგლების გავლენაა, რომელსაც კონკრეტული ავტორები თუ გადამწერები ემორჩილებიან. ძველი სასულიერო მწერლობის კვალი კიდევ დიდხანს გასდევს წერილობითი ძეგლების ენას. ამიტომაც, რომ IX საუკუნიდან მრ. რიცხვის ფორმებთან დადასტურებული ნართაული -ი საშუალი ქართულის ძეგლთა ენაში მხ. რიცხვის ფორმებთან არც თუ ისე ხშირად მოხანს. თუმცა, ივარაუდება, რომ იგი ამ პერიოდის სასაუბრო ენაში უკვე კარგადაა დამკვიდრებული. აქვე დავძენთ, ეს -ი ხმოვანი, რომელიც თავდაპირველად მრ. რიცხვის ფორმებთან რთული თანხმოდანთკომპლექსის გასათიშად გაჩნდა, ამ ფუნქციით საშუალი ქართულის ენაში სისტემებზე გვხვდება. თუმცა, აქა-იქ ისეთი მაგალითებიც გვაქვს, სადაც მის არყოფნას სალექსო საზომს მივაწერთ, ანდა იმ ავტორთა ნებას, რომელნიც ცდილობენ, თხრობას მაქსიმალურად შეუნარჩუნონ ძველი ელფერი.

საშუალი ქართულის სამწერლობო ძეგლებში წყვეტილის უნიშნო ზმნათა პარალელურად იშვიათი გამოვლინების ნართაულხმოვნიანი ფორმებიც შეინიშნება. ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში არეკლილია ის ხანგრძლივი პროცესი, რაც სალიტერატურო ენამ წყვეტილის I ყალიბის ზმნებში უნიშნო წარმოებიდან სუფიქსურ წარმოებად გადაიარა.

მხ. რიცხვის ფორმებში ნართაული -ი პირველად „ვეფხისტყაოსანში“ შეგვხვდა. არ შეგვინიშნავს იგი „ვისრამიანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“, თუმცა,

ითვლება, რომ ეს უკანასკნელი ადრინდელი საერო ძეგლებიდან ახალი ქართულისაკენ ყველაზე მეტად მიდრეკილია. XII-XIII საუკუნეთა ცოცხალი მეტყველებისათვის უკვე ჩვეულებრივი მოვლენაა I ყალიბის ზმნათა მს. რიცხვის ფორმებში ნართაული -ი-ს გამოყენება. სწორედ „ხალხის სამეტყველო ცოცხალი ენა რუსთაველმა საფუძვლად დაუდვა თავის პოემას, ეს ენა მან ლიტერატურული დახვეწილობის უმაღლეს საფეხურზე აიყვანა... პოეზიაში ახალი ქართული სალიტერატურო ენის ნორმები გამოიყენა რუსთაველმა. „გეფხისტყაოსნის“ ენა ძლიერ განსხვავდება როგორც წინადროინდელ, ისე მისდროინდელ საეკლესიომწიგნობრული ენის ნორმებისაგან“ (კეკელიძე... 1954: 291). „გეფხისტყაოსანში“ I ყალიბის სხვა უამრავი უმწკრივისნიშნო ფორმის გვერდით მხოლოდ რამდენიმე ზმნა მოვიპოეთ -ი ელემენტია. თითქმის ყველა შემთხვევაში მისი დართვა სალექსო საზომითაა გამოწვეული:

ვოქვენი ქებანი ვისნი მე არ-ავად გამორჩეული (ვეფხ., 4, 2).

„ვოქვენი“ ფორმა აქ მუხლედების თანაბარმარცვლიანობისათვის უნდა იყოს. სხვაგან კი იმავე ზმნაში ნართაულ ხმოვანს რითმისთვის დაურთავს პოეტი:

მე, გლახ, რა ვარ, მიწა ცუდი, თავით ჩემით რამცა **ვქმენი**,

აწ დავხოცენ მტერნი თქვენნი, გავსარულე, რაცა **ვოქვენი** (ვეფხ., 1039, 2-3).

ამ უკანასკნელში „ვოქვენი“ ზმნა შინაგან-გარეგანი რითმის მაგალითია, შეთანხმებულია როგორც სხვა ტაქტა, ასევე შინაგანი მუხლის დაბოლოებასთან. გარდა ამისა, ამ ზნაში -ენ ფორმანტი მხოლოდ რითმის გამოა, ნარიანი პირდაპირი ობიექტი ფრაზაში არსად გვხვდება.

დანარჩენ შემთხვევებშიც ჩვენთვის საინტერესო ფორმები მოსაზღვრე სტრიქონთა დაბოლოებებთანაა გართმული:

ავთანდილ იტყვის: „ეზომნი ჭირნიმცა რად **ვაცუდენი**?

რაცაღა არის, არ არის, თუმცა არ ედგნეს ბუდენი (ვეფხ., 214, 1);

ხელმან შენნი განვიცადენ სინატიფე-სიტურფენი,

სულთა ნაცვლად სამსახურნი რამცა ვითა **გიმუქფენი**?! (ვეფხ., 496, 4);

წინა კაცნი მოზიდვიდეს; თვალი ამაღ დავაცეცი,

მთვარე უჯდა კიდობანსა, ცა მეშვიდე მასმცა **ვეცი** (ვეფხ., 617, 4);

ვიცი, მეტი არა გინდა ძღვენნი რადმცა **გაგვიცხენი**,

თვით ამანვე მოგაწონოს სახედნობა, სიფიცხენი (ვეფხ., 639, 3).

აქედან მოყოლებული XVII საუკუნემდე ჩვენ მიერ დამუშავებულ მხატვრულ ტექსტებში I ყალიბის მხ. რიცხვის ფორმებთან ნართაული -ი არ დასტურდება. XVII საუკუნიდან, კერძოდ, თეიმურაზ I-დან აღნიშნული ელემენტი თითქმის ყველა ავტორთან შეგვხვდა.

ცნობილია, რომ თეიმურაზ I იმუამინდელი სპარსული პოეზიის დიდ გავლენას განიცდიდა, როცა მაჯამამ, ხელოვნური, ამოუცნობი ტიპის ლექსებმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა. მართალია, ქართველი პოეტისათვის მაჯამა მხოლოდ მხატვრული გამოსატვის ომონიმურ ხერხს წარადგენს, მაინც მის პოემებსა თუ ლირიკულ ლექსებში ბევრია ბუნდოვანი შესიტყვებანი და არასწორი გრამატიკული ფორმები. სწორედ მის ლირიკულ პოემა „მაჯამაში“ და „ვარდ-ბულბულიანში“ ვხვდებით I ყალიბის მხ. რიცხვში მდგარ ზმნებთან ნართაულ -ი-ს. ორივეგან -ი-ნიშნის ზმნები მოსაზღვრე ტაეპებთან რითმებადაა შეწყობილი:

უსულოდ ვიყავ უმისოდ, რაც ხანი წავიარენი,

მან მომაღხინა, ვისი მძლევს მე სუფთა არე-მარენი (თ. I, 124. 27, 3-4);

აწყა დამიწყე წუნობა, გამცრიცე, გამაყვითენი,

შენი ბრალია, შემშალე, თეთრ-წითლად პირი მითენი (თ. I, 11. 71, 3-4).

ორივე ზმნაში ნართაული -ი-ს წინამავალი სიმრავლის აღმნიშვნელი -ენ ფორმანტი უადგილოა, რადგან შესაბამისი ნარიანი პირდაპირი ობიექტი შესიტყვებაში არ გვაქვს.

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ, როგორც მკვლევარნი მიუთითებენ, თეიმურაზ I-ის თხზულებათა ხელნაწერებიდან არცერთი ავტოგრაფი არ აღმოჩნდა. მხოლოდ რამდენიმე ხელნაწერიდაა ცოტად თუ ბევრად თეიმურაზის დროსთან დაახლოებული. ხელნაწერთა უმრავლესობა XVIII-XIX საუკუნეებს ეკუთვნის. მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, ამგვარი -ი ბოლოსართიანი ფორმები, რომელთა გამოჩენას აქ, აშკარაა, სალექსო საზომი განაპირობებს, ავტორისეულია.

თუ რუსთაველთან და თეიმურაზ I-თან -ი სუფიქსიანი ფორმათა გამოყენება სალექსო მეტრითა და რიტმითაა განპირობებული, არჩილის პოეზიაში I ყალიბის ზმნებთან მხ. რიცხვში ნართაული -ი-ს დართვა ზოგჯერ არ არის ლექსის საჭიროებით გამოწვეული:

ამისთვის ვჭქენი, მეფეო, თუ ღმერთი გიყვარს და მეო,

თვარე რაც გინდა, იგი ქმენ შენ მანდ ზიხარ და ა მეო (არჩ., II, 413, 3-4).

აქ I სტრიქონში „ვჭქენი“ ზმნა თუ -ი სუფიქსიანია, იგივე ზმნა II ტაეპში უნიშნოა.

ამიერთგან **ვღუმენი** ლექსთა თქმა-შაირობასა (არჩ., I, 222. 743, 4);

ღვეანოსიმ თქვა ენოსით: **დავშვერი** მისის ქებითა (არჩ., I, 130. 26, 1).

საინტერესოა, რომ იგივე ზმნა არჩილის „ვისრამიანში“, რომელიც 16-მარცვლიანი შაირითაა დაწერილი, უნიშნო წარმოებისაა:

მიმძიმს, არამც ცუდად **დავშვერ**, მე მომწონდეს, სხვა სწუნობდეს (არჩ., I, 136. 13, 4).

გულად ტაღია, სულ იტაღია

შენ **დაიმწყსენი** და განანათლე (არჩ., I, 232. 35, 1-2).

არჩილისათვის ნამდვილი პოეზიის საწყაო მხოლოდ „რუსთელის თქმულია“. ამიტომაც მისი მიბაძვით ზოგჯერ -ი სუფიქსიანი წყვეტილის ფორმებს რითმებად იყენებს. მაგრამ ახალი ქართულისეული ფორმები პოეტის ხელში გაურანდავ მასალად გამოიყურება, განსხვავებით „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონებისაგან, სადაც ამგვარი ფორმები გრამატიკულ წყობას არსად არღვევს.

ჯვარედინად არის გართმული -ი ნიშნიანი ზმნები ჩახრუხაულის მეტრით გაწყობილ ლექსში „მეფეთა“: ამ ფორმებში გამოვლენილ -ენ ინფიქსს კი შესაბამისი ნარიანი პირდაპირი ობიექტი არ მოეპოვება:

მე ნებიერმან, გონებიერმან

ღია რამ ყოფა **გავიმწარენი**,

.....

ვიმწირე ასე, ვითა მანასე

სხვათა ღიდება **მივიბარენი** (არჩ., I, 226. 6, 4-8).

საინტერესო ფორმაა არჩილის პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“:

ჩვენ წახდენად ქვე დაგვყარენ, შენ სუფევის ტახტსა **ადი** (არჩ., II, 1089, 4).

ეს უკანასკნელი -ი სუფიქსიანი „ახვედი“ ზმნის წართქმითი ბრძანებით ახალ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებული ფორმაა, მაგრამ აქ კონტექსტით თხრობითი კილოა ნაგულისხმევი. ასეთი ფორმები თხრობითი კილოს წყვეტილისა დასავლეთ საქართველოს დიალექტური წრისთვის უნდა ყოფილიყო დამახასიათებელი. მწერალი ჯერ კიდევ 14 წლის ასაკში ავიდა იმერეთის სამეფო ტახტზე, სადაც XVII საუკუნის მიწურულს რამდენიმე წელი დაჰყო. ბუნებრივია,

თუ არჩილის პოეზიაში ამ დიალექტური წრისათვის ნიშანდობლივი ფორმები შეგვხვდება.

უღებს რა კარს ახალ ფორმებს თავის პოეზიაში, ამავედროულად ცდილობს, მცირეოდენი ხარკი ძველისთვისაც გაიღოს იქ, სადაც ამას სალექსო საზომი მოითხოვს. არჩილის პოემებში მრ. რიცხვის ძველი სამწერლობო ენისათვის ნიშნეული ფორმებიც დასტურდება, რომლებშიც ნართაული ხმოვანი -თ სუფიქსის წინ არ ჩანს:

განჯას მოვიდა მოპარვით, ამბავი ვერ **ვსცანთ** მოსვლისა (არჩ., II, 443, 1).

აქ თუ მუხლთა თანაბარმაცვლიანობისათვის არის ამგვარი ზმნა მოხმობილი, ჩახრუხაულით გაწყობილ სტრიქონში შინაგან რითმებადაა შეთავსებული შემდეგი ფორმები:

ვერავინ **იცანთ**, ვერც **გამოიცანთ**

მისის ცხოვრების მოუნახველად (არჩ., I, 232. 36, 7-8).

XVIII საუკუნის პოეტი თეიმურაზ II მხოლოდ პროზაულ ტექსტში მიმართავს ნართაულ -ი-ს, რაც იმას ნიშნავს, რომ მისთვის აღნიშნული ელემენტი მარტოდენ პოეტური აქსესუარი კი არა, უკვე თანამედროვე საზოგადოების სასაუბრო ენაში კარგად დამკვიდრებული გრამატიკული ფორმანტია. სწორედ ამ ფუნქციითა ის გამოყენებული სპარსულიდან თარგმნილ იგავ-არაკთა კრებულში „თიმსარიანი“:

ჰკითხა, თუ: „რასათვის **მოჰკალიო!** (თ. II, 162, 39).

ამავე ტექსტში იგივე ზმნა -ი ელემენტის გარეშეა:

აწე თუ შენი შვილი არ **მოჰკალ**, ან მოგკლვენ ან ტახტიდაღმე გარდაგადებენ (თ. II, 185, 13).

საგულისხმოა, რომ სულხან-საბა ორბელიანი ზემოხსენებულ ფორმებს იყენებს თხულებებში „სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“. ორივე ძველი სწორედ ახალი ქართული ენითაა დაწერილი. „მხატვრულ პროზაში ახალი სალიტერატურო ენის გამომხატველია სულხან-საბა ორბელიანი. „სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“ ამისი საბუთია“ (კეკელიძე... 1954: 402). იგავ-არაკთა კრებულში რამდენიმე ახალი ქართულისებრი ფორმა შეგვხვდა:

იამა მას კაცსა და წლის მოსავლისა მკითხა. ყველა კარგი **ვუთხარი** (საბა, ს.ს., 101);

ვაი, ჩემო რძალო, რა უბრალოდ **მომკალიო!** (საბა, ს.ს., 128);

თვარა მისთვის **ვექმენი** ეს საქმე, საღაროც თქვენსავ სიცოცხლეში წინ წაიმძღვანო და გლახაკს უბოძო, იხი სჯობს (საბა, ს.ს., 147);

რადგან ერთ ავს კაცს **მიმეცი**, მე აღარ ვიკადრებ ამის გამოცვლასო (საბა, ს.ს. 110);

ეგრევე დღე ყოველ **ვიყავი** (საბა, ს.ს., 38).

აქვე აღმოჩნდა მრ. რიცხვში მდგარი I ყალიბის ზმნა -ი ელემენტის გარეშე. იგავში „გრძნეული ცოლის პატრონი“ ერთ-ერთი პერსონაჟი ამბობს:

რად **შემიპყართ**, რა შეგცოდეთო? (საბა, ს.ს, 128).

კიდევ უფრო დაახლოებულია სალიტერატურო ენასთან „მოგზაურობა ევროპაში“, რომელიც იმ დროისათვის მხატვრული დოკუმენტური პროზის პირველ ნიმუშს წარმოადგენს. აქაც ვნახეთ რამდენიმე მაგალითი:

იმ დღეს იქ **ვიყავი** (საბა, მოგზ., 161);

მე მეორესაც დღესაც იქ **დავდექი** (საბა, მოგზ., 161).

რაც შეეხება „სწავლანს“, იგი რელიგიურ-სამოძღვრებო ხასიათის თხზულებაა, სადაც საუბარი ქრისტიანული მრწამსის, სასულიერო თემატიკის გარშემო მიმდინარეობს. ამგვარი თხრობა, ცხადია, ძველ სამწერლობო ენასა და სტილს გულისხმობს. ამიტომ ამ ნაწარმოებში „მოგვალი“ ტიპის ზმნები არც შეგვხვედრია. მაგრამ ვნახეთ მრ. რიცხვის ფორმა I ყალიბისა, სადაც თანხმოვანთგამყარის ფუნქციის მქონე -ი არ ჩანს. ეს არის თხზულების შემდეგი ფრაზის B ვარიანტში, სადაც A ვარიანტში -ი სუფიქსიანი ფორმა უპირისპირდება:

და სული წმიდა სახითა ტრედისაჲთა დაადგრა თავსა მისა. ამით **ვსცანთ** (საბა, სწავლ., 229, 9).

„გურამიშვილმა დაამკვიდრა ახალი ქართული სალიტერატურო ენა, მისი დამსახურება პოეზიის სფეროში ისეთივეა, როგორც პროზაში სულხან-საბა ორბელიანისა“ (კეკელიძე... 1954: 451). „დავითიანი“ სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებთა კრებულია. აქ ბიბლიური სიუჟეტის ფონზე ქვეყნისა და კაცის ტრაგიკული ამბავია ლექსად მოთხრობილი. „ქართლის ჭირი“ და „სწავლა მოსწავლეთა“ ძველი და ახალი აღთქმის ეპიზოდებითაა გაჯერებული. ცალკე აღსანიშნავია გურამიშვილის რელიგიური ლირიკა, რომელიც ლოცვითი ხასიათისაა და ფსალმუნურ-ჰიმნოგრაფიულ ტრადიციებს უკავშირდება. სწორედ სასულიერო თემატიკა განაპირობებს იმას, რომ „დავითიანის“ ამ ნაწილში ვერსად ვხვდებით „მოგვალი“ ტიპის ზმნებს, სამაგიეროდ, აქვე, „უკვდავების წყაროს იგავში“ მოვინიშნეთ ძველი ქართულისეული ფორმა მრ. რიცხვისა, სადაც სიმრავლის აღმნიშვნელი

სუფიქსის წინ ნართაული -ი არ გვაქვს. ეს ნიშანდობლივია, მაცხოვრის შობისა და ჯვარცმის ამსახველ მონათხრობში არსად ჩანს ახალი, მაგრამ ვხვდებით ძველი სალიტერატურო ენის ადრეული ეტაპისათვის დამახასიათებელ ფორმას:

აგრეთვე მზრდელი ყოველთა **ვსცანთ** გასაზრდელი ბაგითა (დავითიანი, 38. 80, 4).

„პოეტი ენობრივად განარჩევს სხვადასხვა შინაარსის მქონე ეპიზოდებს (ბარამიძე). სასულიერო თემატიკაზე დაწერილ ლექსებში იგი უპირატესად არქაულ ფორმებს იყენებს, საერო თემატიკაზე შექმნილი ლექსები კი, პირიქით, ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ ფორმათა სიუხვით გამოირჩევა“ (ჯორბენაძე 1987: 34).

„დ. გურამიშვილის პოეტურ ენაში ძველი ქართულის ელემენტები, არქაიზმები, სტილური კომპონენტის როლს ასრულებენ... მის ნაწერებში ძველი ფორმები გვხვდება რელიგიური ხასიათის ლექსებში რომელთა ენობრივი ქსოვილის სათანადო არქაიზაცია ბუნებრივი ჩანს“ (ძიძიგური 1980: 12).

საყურადღებოა, რომ სულხან-საბასთანაც და დ. გურამიშვილთანაც ამ ტიპის არქაულ ფორმათაგან ერთი და იმავე ფუძის „ვსცანთ“ ზმნები გამოვლინდა.

ცალკეა აღსანიშნი დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსი“, რომელიც საყოფაცხოვრებო პოემას წარმოადგენს. ეს არის ნახევრად იუმორისტული, სასიყვარულო თემაზე დაწერილი დიდაქტიკური პოემა. I ყალიბის ნართაულხმოვნიაანი ზმნები გურამიშვილთან მხოლოდ „ქაცვია მწყემსში“ ვნახეთ:

მღრდელმან მიუთხრა: „როგორ **დაგკალი?**

გამაგებინე მე გზა და კვალი,

ასეთი რა **ვქენი** (დავითიანი, 216, 247, 1-3).

მოყვანილ სტროფში პირველი ზმნა თუ მოსაზღვრე სტრიქონის დაბოლოებასთანაა გართმული, „ვქენი“ ზმნაში -ი ხმოვნის დართვა ამგვარად შეუპირობებულია. ანალოგიური ვითარებაა მომდევნო მაგალითშიც:

შენ რომ იმ ქალთან არ შეიგინე,

ღვთისა მცნებაზედ იგულთმოდგინე

ჰქენი მოთმინება, ამისთვის ინება

შენთვის კეთილი (დავითიანი, 251. 505, 3).

-ი ელემენტიაანი ფორმებია ერთმანეთთან გართმული ამავე ტექსტში:

ეს რად არა **ვქენი**,

რასთვის **შევიქენი**

ასე უცვები (დავითიანი, 221. 285, 3-4);

თასი გთხოვს და შენ არ მიეცი

შვილსა და სარძლოს ორსავე გვიეცი (დავითიანი, 202. 155, 1-2).

მოსაზღვრე რითმა შეაპირობებს ნართაული -ი-ს დართვას „აღუთქვენი“ ზმნაში, თუმცა, აქ -ენ ფორმანტი უადგილოა, რადგან ნარიანი პირდაპირი ობიექტი საერთოდ არ არის შესიტყვებაში:

კაცმან მიუგო: ვით აღუთქვენი,

ამ ალაგს მიხვდა კურთხევა თქვენი (დავითიანი, 211. 216, 1).

„ახალ ფორმათა სიმრავლე კიდევ უფრო გვარწმუნებს იმაში, რომ „დავითიანი“ დაფუძნებულია საერთო-სახალხო ენის ძირითად სტრუქტურულ თავისებურებებზე, იგი არსებითად ახალი სალიტერატურო ენის ადრინდელი პერიოდის ყველაზე დასრულებულ და სრულყოფილ სახეობას წარმოადგენს“ (ძიბიგური 1980: 5).

წყვეტილის უნიშნო ფორმათა გვერდით ორიოდე -ი ელემენტის ზმნა ბესიკ გაბაშვილის პოეზიაშიც ვნახეთ. არ შეგვხვედრია ძველი წარმოების „მოკვალთ“ ტიპის ფორმები:

ქირმანს მხარი ჩაუარე, ქოისტნისა ვძიე გზანი,

ყაიყუბადს შევემონე, ქექქოზად შევეცანი (ბეს., 73. 22, 2);

ჭარი სრულად ვიალაფე, ავდექი და დავდექი ჭართალს (ბეს., 74. 30, 1).

ბოლო მაგალითში გვერდი-გვერდ არის -ი ელემენტის უნიშნო ერთი ფუძის ზმნები.

ახლებურ წარმოებას მიმართავს XVIII საუკუნის დასასრულისა და XIX საუკუნის დასაწყისის მოღვაწე იოანე ბატონიშვილი „კალმასობაში“ ანუ „ხუმარ-სწავლაში“, სადაც ნახევრად სახუმარო ტონით გადმოცემულია მეცნიერების ყველა დარგის ენციკლოპედიური ცნობა. აქ ცოცხალი დიალოგი და მეცნიერული მსჯელობა ერთმანეთს ენაცვლება. „კალმასობაში“ I ყალიბის მრავალ უნიშნო ზმნათა შორის აღმოჩნდა რამდენიმე -ი ელემენტის ფორმაც:

მე შენი ლაპარაკი არ ვიცი, წედანვე გითხარი უკატისიზმოსი ხარ (ბატონიშ., II, 149);

და აწ მითხარ, თუ ვითარ იუბენი მიტროპოლიტთან (ბატონიშ., II, 216).

აქვეა „იუბენ“ უნიშნო წარმოების ზმნა:

ამას ზედა კეთილად **იუბენ**, ვითარცა სკოლათა შინა გისწავიეს და ვით უძლეველისა მიერ გარდმოცემულნი სხვათა მოწაფეთაგან მოცემულნი ჩვენდა (ბატონიშ., II, 147).

თხზულება 1828 წელს დაუსრულებია ავტორს. ლოგიკურია, თუ XIX საუკუნის დასაწყისის პროზაულ ტექსტში I ყალიბის მხ. რიცხვის -ი ელემენტთან ფორმებს ვნახავთ, მაგრამ ვერ ვხვდებით „მოვკალთ“ არქაული წარმოების ზმნებს.

სამართლებრივი ძეგლებიდან XVI საუკუნის სიგელში აღმოჩნდა -ი ელემენტის ფორმა:

სადაც რომ დაგასაქმე – ან ყაენთან და ან ხვანთქართან –
ყოველგნით კარგის საქმობით **მიმოსხვედი** (სამ. ძეგლ., II, 192).

მხ. რიცხვის ფორმებთან ნართაული ხმოვანი არ დადასტურდა საშუალო ქართული ენობრივი პერიოდის ისტორიულ საბუთებსა და წარწერების კორპუსში. თუმცა, შეიძლება, თავად მასალის სიმცირის გამო ვერ ვნახეთ ჩვენთვის საინტერესო ფორმები. I ყალიბის მხ. რიცხვის -ი ელემენტთან ზმნებს ვერც „ქართლის ცხოვრებაში“ მივაკვლიეთ, გარდა ერთი მოგვიანო ხანის ხელნაწერისა. ეს არის „ახალი ქართლის ცხოვრების“ გაგრძელებათა ტექსტი, რომელიც XVIII საუკუნის შუა წლებში უნდა იყოს გადაწერილი:

რამეთუ ესეოდენი ბოროტი გიყოფიეს და არა **განსძედი** სისხლითა ჩუენთაგან (ქ. ცხ., II, 461, 17).

ახალი სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი ფორმები აღნიშნული ძეგლებისთვის თუ უცხოა, სამაგიეროდ, „მოვკალთ“ ტიპის ძველი წარმოების ზმნებია მათში აქა-იქ შემორჩენილი.

საინტერესო მაგალითს შევხვდით ქართული სამართლის ძეგლების I ტომში. XVIII საუკუნით დათარიღებულ ერთ-ერთ სამართლებრივ ძეგლში გვერდი-გვერდ არის „დავსკთ“ და „დავსხით“ ზმნები. ნიშანდობლივია ისიც, რომ ძველ ფორმაში **ჭარია** შემონახული, ახალში კი – **ხანი**. ამასთან ახალში არ ჩანს ნარიანი პირდაპირი ობიექტის ამსახველი ფორმანტი. კარგად იკვეთება დოკუმენტის შემდგენლის ენობრივი პოზიცია: შესასრულებელი სამუშაოს ხასიათი და სტილი მისგან ძველი ენობრივი ნორმების დაცვას მოითხოვს, ცოცხალი სასაუბრო ენის ინერცია კი ავტორს ახალი ფორმების გამოყენებისაკენ უბიძგებს:

დავსხედით და **დავსკთ** წმინდა მეუფე და ქართლისა კათალიკოზი ევფთვიმე, **დავსხით** ვეზირნი და ეპისკოპოზნი და მოურავნი (სამ. ძეგლ., I, 401).

ამავე წიგნის II ტომში, რომელშიც XII-XIX საუკუნეთა ძეგლებია შესული, „მოკვალთ“ ტიპის სამ ზმნას ვხვდებით. ისინი დაცულია 1466, 1545 და 1722 წლებით დათარიღებულ დოკუმენტებში:

და ჩუენსაცა ღალატსა და ავსა აპირებდა, ღმერთმან მოგუარჩინა, **წარმოუველთ** და თქუენ დიდი ვალი და ნამსახური დაგუდევით (სამ. ძეგლ., II, 134);

აწ ვიგულებთ და ვიგულსმოდგინეთ და **ჭელვყავთ** საყდრისა და მონასტრისა წმიდისა გიორგისა მეორედ აღშენებად (სამ. ძეგლ., II, 184);

არამედ მათი ნაკლულევანება ჩვენ აღვავესეთ და რომელ ბისონისა შემოსითა რუსთველ **პატიოსან ვყავთ** (სამ. ძეგლ., II, 361).

მრ. რიცხვის უნიშნო ფორმები შემორჩენილია „ქართლის ცხოვრებაშიც“. ყველა მათგანი ე. წ. „ძველი ქართლის ცხოვრების“ ქრონიკათა კრებულში ვნახეთ. საგულისხმოა, რომ ამ არქაულ ფორმათა უმრავლესობა იმ ეპიზოდებში დადასტურდა, სადაც ქრისტიანობაზე, უფალზე, მაცხოვარზეა საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ XV საუკუნეზე უადრესი ნუსხები არ მოგვეპოვება, მაინც აშკარაა ზოგიერთი გადამწერის მცდელობა, ხელნაწერი დედანს დაუახლოვოს და მაქსიმალური სიზუსტით მიჰყვეს სასულიერო მწერლობის ტრადიციას იქ, სადაც თხრობა რელიგიურ საკითხებს შეეხება.

ლეონტი მროველს „მეფეთა ცხოვრება“ XI საუკუნის II ნახევარში დაუწერია, მაგრამ ჩვენ ხელთ არსებული ხელნაწერები უფრო გვიანდელია. ერთ-ერთ ჩანართში, რომელიც XVIII საუკუნეზე უადრესი არ უნდა იყოს, ამგვარი უნიშნო ფორმა ვიპოვეთ. ამ მონაკვეთში მეისტორიე სარწმუნოებრივ პრობლემას ეხება:

მშუდობით, მეფობაო ისრაელისაო, რამეთუ უგუნურობით **მოკალთ** უბადრუკნო და წარწყმედილნო (ქ. ცხ., I, 37, 5),

იმავე ფუძის ზმნა გვხვდება XV საუკუნის ანასეულ ნუსხაში. აქაც მაცხოვარზე საუბრობს ლეონტი მროველი:

მშუდობით, მეფობაო ჰურიათაო, რამეთუ **მოჰკალთ** თავისა თქვენისა მაცხოვარი და იქმნენით მკვლელ შემოქმედისა (ქ. ცხ., I, 99, 11),

ჯუანშერის ისტორიაშიც, რომელიც ასევე XI საუკუნის II მეოთხედში დაწერილად ითვლება, აღმოჩნდა ასეთი ფორმა. XVII საუკუნის მარიამისეულ ნუსხაში გვითხულობთ:

განვამრავლეთ ცოდვა ღმრთისა მიმართ, და არა კეთილად **ვიპყართ** სჯული ქრისტესი და წესი იოვანეს მცნებისა (ქ. ცხ., I, 146, 7).

დავით აღმაშენებლის შესახებ დაწერილ ისტორიაში „მოგვალთ“ ტიპის ზმნებს იქ ვხვდებით, სადაც ავტორი ქრისტიანულ მრწამსსა და მასთან დაკავშირებულ თემებზე ჰყვება. აქედან ერთი ზმნა XV საუკუნის ანასეულ ნუსხაშია შემორჩენილი, II – XVI საუკუნის II ნახევრის ჭალაშვილისეულ ხელნაწერში:

ანუ თუ ვითარ მოვიქეცით და მოვიღეთ სჯული ქრისტიანობისა და **ვიცანთ** ღმერთი, ისმინეთ მოთხრობილი აბიათარისა (ქ. ცხ., I, 363, 22);

ამას ყოველსა ზედა არავე დასცხრა გულის-წყრომა უფლისა ჩუენ ზედა, რამეთუ არა შევინანეთ, არცა **გულისხმა ვყავთ**, არცა ჯეროვნად მოვიქეცით გზათა მიმართ უფლისათა (ქ. ცხ., I, 322, 21).

თამარ მეფის ისტორიათაგან კი უცნობი ავტორის თხზულებაში აღმოჩნდა ჩვენთვის საინტერესო ფორმა. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ XIII საუკუნეში დაიწერა. აღნიშნული ზმნა კი XVIII საუკუნის I მეოთხედის თეიმურაზისეულ ხელნაწერშია:

აწ მოიყვანეთ ძაღლი, რომელი მე **მიგეცთ** (ქ. ცხ., II, 87, 15).

წყვეტილის -ი სუფიქსიან წარმოებაში იშვიათი ნართაულხმოვნიანი ფორმებისაგან განცალკევებით დგანან II ყალიბის ზმნები. ამ უკანასკნელთა უმარცვლო საყრდენ მორფემას მწკრივის მაწარმოებლად მიერთვის -ი ხმოვანი, რომელიც როგორც გენეზისით, ასევე ფუნქციით განსხვავებულია I ყალიბის ზმნებში დადასტურებული ნართაული -ი-სგან. საშუალი ქართულის ჩვენ მიერ დამოწმებულ სამწერლობო ძეგლებში წყვეტილის -ი სუფიქსიანი წარმოების ძირითად ნაწილს სწორედ II ყალიბის ზმნები ქმნიან, განსხვავებით ახალი სალიტერატურო ენისაგან, სადაც, პირიქით, ნართაულხმოვნიანი ფორმები ჭარბობენ.

საშუალო ქართულში II ყალიბით იწარმოებენ წყვეტილის მწკრივს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ზმნები.

მოქმედებითთაგან ამგვარ წარმოებას მიმართავენ -ამ თემისნიშნიანი ზმნები, -ავ თემისნიშნიანთგან – ორიოდვე ზმნა (დავწვი, დავფქი) და -ებ თემისნიშნიანთაგან – ერთი (გავუშვი).

ვნებითი გვარის ზმნათაგან II ყალიბით იწარმოება -დ სუფიქსიანი ვნებითები, „უნიშნო ვნებითთა“ ნაწილი, ზოგიერთი პრეფიქსიანი ვნებითი, აგრეთვე სათანადო სტატიკური ვნებითები.

მოქმედებითი გვარი:

-ამ თემისნიშნიანები:

წყალი სწრაფით რად **დავასხი** ცეცხლსა ძნელად დასაშრეტსა (ვეფხ., 1330, 3);

გული **დავაბი** ათასითა ბასრითა ტოილოითა (ვის., 279, 4);
მე **წამართვი** სიცოცხლე და სული, მერმე თვალთა ჩენა (თ. I, 110. 87, 1);
ვერ გავძლებ მეცა, თუ ნაცვლად თავს არ **დავარტყი** ხვედაი (ბეს., 59. 90, 4);

სენები **სთქვი** და გამხსენდა ცივებით აძაგძაგება (დავითიანი, 168. 15, 2);
მაშინ თქვენ **შეირტყით** მახვილი თქვენი წელთა თქვენთა და აღსდევით მოსრად მტერთა ჩვენთათვის (სამ. ძეგლ., II, 388).

-**ავ** და -**ებ** თემისნიშნინები:

აღარ **გაგუშვით**, დაჭირვა ვჰკადრეთ ხელითა ჩვენითა (ვეფხ., 1217, 4);
აწცა მოვიდა ჩუენ წინაშე არიშიანი და გუეჰაჯა, რაითამცა **გაუშვით** და გაგათავისუფლეთ ნიანია, გრიგოლ მაოჭრებელისა შვილი, მისითა მამულითა ვე-
ძისკვეითა (ისტ. საბ., 51-7);

გუეჰაჯა, რომელ ჩუენისა ზროხისა შებმაი ზედ ედვა ფუძესა ზედა, რა-
თამცა იგი **გაუშვით** (სამ. ძეგლ., II, 36);

ღირს ვართ ჩუენ ღმერთთა ჩუენთაგან ბოროტისა ყოფასა, რამეთუ ვიქმნე-
ნით მსახურებასა მათსა და **მიუშვით** ჩვენ ქრისტიანეთა გრძნეულთა ქადაგებად
სჯულსა მათსა ქუეყანასა ჩუენსა (ქ. ცხ., I, 108, 22);

ჭაღას უბადრუკში

მარტოკა **გაგუშვი**

მე საყვარელი! (დავითიანი, 221. 284, 4);

რად, სოფელო, სხვა არ **დასწვი** ჩემებრ, მე მქენ დასადაგე?! (თ. I, 110. 85, 1);

რამდენის რიგით ცეცხლით **დამწვი**, მით მჭირს ძალები (ბეს., 8. 4,3).

ვნებითი გვარი:

-**დ** სუფიქსიანი ვნებითები:

აღარ **დაჰბრუნდით**, მოხვედით, შუქნი თქვენ ჩემთვის არენით (ვეფხ., 1196, 1);

გაგვიცხდით ასრე, რომე ვითამც ახლა დაგუეწყო ომი (ამ., 256, 7);

ბნელში მგდებარე გამოვედ გარე,

ვითა –**დავღამდი**, ისევე **გავსთენდი**! (დავითიანი, 112. 6, 4);

თვარა მე ვისზე რა დანაშაული მაქვს, რაც ცუდად არ **ამიმტერდით** (საბა,
ს.ს., 124);

შენ **გამოსჩნდი** უმჯობესი ყოველთა შორის ნათესავთა ფარნავაზისათა (ქ.
ცხ., I, 35, 3).

„უნიშნო ვნებითები“:

ხედავთ, ვითა მუხთლად **მოგკუდიო** ვითართა კაცთა კველითაო! (ამ., 613, 10);

განგჳკრთი, რა ვნახე, რომელს მდიდრად ჰშვენიან თალხნი (ბეს., 91. 2,1);

იმ დღეს უწირავი **დავრჩით** (საბა, მოგზ., 228);

რასთვის ჩამოგყევ ბაასში, რად **შევსცდი**, რა დამეფეთა? (არჩ. II, 128, 1);

და რაჟამს მიგყავ კელი, ვაგრძენ ჰამოდ აღყვანებად და **მოვსწყდი** მიწასა (აბუს. ტბ., 63, 119);

უცხოებით მოხვედ და **შეუვრდი**, და ზედა-აც მათ წყალობა შენი და მოგანიტეს ძალი კურნებათა, რათა მით სცხოვნდებოდი უცხოთა ქუეყანასა (ქ. ცხ., I, 106, 10);

ვითარმედ შეისუენა მამამან ჩემმან, **დავშთი** ყრმა მცირე მძლავრებასა შინა თათართასა (ქ. ცხ., II, 287, 11).

პრეფიქსიანი ვნებითები:

სულო, მოშორდი სოფელსა, მუდამ მას რად **დაებია?! (თ. I, 139. 12, 4);**

განვერი მარტო და მოვედ თხრობად, ვარ დაღალულათა (თ. II, 21. 167, 3);

შენის ვაზირების სიტყვის ბადეში **გაეები** (თ. II, 169, 31);

მათ არ იცოდენ, თუ ჩვენა **გავეებით** რა გვარს მახესა (დავითიანი, 102. 536, 4);

მე ვარ, დიდო ყაენო, რომელი **შემოვები** არღუნ აღას (ქ. ცხ., II, 247, 26);

რად ჰქმენ განდგომა ჩემი და ბრძანებასა ჩემსა რად ურჩ ექმენ, და არღუნს **შემოვები?** (ქ. ცხ., II, 247, 18);

ვინათგან შენ იკადრე ეგვევითარი ბოროტი, რომელი არა არს წესი მეფეთა, და მუხთლად **დამესხი** შეუვრად მძინარესა (ქ. ცხ., II, 527, 17);

მისი მჭვრეტელი **დავიწვი**, გავხე გულითა მკვდართა (ვეფხ., 1128, 4);

განვიშვ სულითა საწადელისა მისთვის კრებულისა და მხიარულებით აღვივსე სამოთხის მსგავსის მის ლავრისთვის (სამ. ძეგლ., II, 13);

მრავალი იძახა: **დავიწვი**, ნუ დამწვაეთო (საბა, ს.ს., 77).

წყვეტილის -ი სუფიქსიან II ყაღიბის ზოგიერთ ზმნას საყრდენი მორფემა ისტორიულად მარცვლოვანი ჰქონდა. შესაბამისად, ისინი უმწკრივისნიშნონი იყვნენ:

შევი-რტყ-ი ← შევი-რატყ-Ø

დავ-წვი-ი ← დავ-წუ-Ø

მივა-რთვი-ი ← მივა-რთუ-Ø

დავ-ფქვი-ი ← დავ-ფქუ-Ø

შევ-ვსვი-ი ← შევ-სუ-Ø

გავუ-შვი-ი ← გავუ-შუ-Ø

ვა-რქე-ი ← ვა-რქუ-Ø

მოგ-კედ-ი ← მოგ-კუედ-Ø

განე-ხმ-ი ← განე-ხემ-Ø

შეე-ერთ-ი ← შეე-კერთ-Ø

ამ ისტორიული ვითარების კვალი ალაგ-ალაგ შემორჩენილია საშუალო ქართულის ძეგლებშიც:

უკმოვისაშ კარი, ჩემგან მათი ჭვრეტა ვერა ცნესა (ვეფხ., 1120, 4);

დაეშუერთ ომითა და ღონე ვერა ავიგეთ, რომელმცა მორეულ ვიყვენით (ამ., 301, 4);

რად არ **მოგკუედ** მამისა ჩემისაგან წინათ (ვის., 52, 17);

მიკვირს, დღეო, რად ვერ **დაშვერ** გრძელ საუბარ ამბის თქმითა? (თ. II, 17. 128, 1);

ახლა მეც **შემოვსწყერ** და წამოველ (საბა, ს.ს., 118);

ჟ ჩემდა, ნუ უკუე და-სამე-ვაკლე დიდებასა დიდისა ამის ღმრთისა არმა-ზისსა, ანუ **შე-საქმე-ვსცეთ** სიტყუად ებრაელთა თანა, გინა მოგუთა თანა სმენისა (ქ. ცხ., I, 89, 13);

რაჟამს ავასხენ ღმერთსა ბუნებად ადამისი და **შეე** ღმერთი და კაცი ორითა ბუნებითა (სამ. ძეგლ., II, 176).

და ვ ა ს კ ვ ნ ი თ: უნიშნო წარმოებისა I ყალიბის „მოგკალ“ ტიპის ზმნები და იშვიათი გამოვლინების ფორმები, რომელთა საყრდენი მორფემა უმარცვლო (დავა-ბ-Ø) ან ნაწილობრივ რედუცირებადია (ვ-თქუ-Ø). ამ უკანასკნელთ ახალ ქართულში წყვეტილის მწკრივის მაწარმოებლად -ი სუფიქსი მიიღეს და II ყალიბის ზმნებს შეუერთდნენ. ნაწილობრივ რედუცირებადი საყრდენი მორფემის მქონე ზმნები ისტორიული უანრის თხზულებებში, სახელდობრ, იურიდიულ დოკუმენტებსა და „ქართლის ცხოვრებაში“ შეგვხვდა. რამდენიმე ამგვარი ფორმა სამიოდე მწერლის ცალკეულ ნაწარმოებშიც შევნიშნეთ. უნდა აღინიშნოს, რომ დასახელებულთა უმეტესობა „ვთქუ“, „ვარქუ“ ზმნათა ფორმებია. რაც შეეხება უმარცვლო საყრდენი მორფემის შემცველ ძველი ქართულის ადრეული საფეხურისათვის დამახასიათებელ ფორმებს, მათგან რამდენიმე არჩილის პოეზიაში დადასტურდა.

უნიშნო წარმოების „მოგკალ“ ტიპის ზმნათა გვერდით იშვიათად ნართაულხმოვნისანი ფორმებიც გამოვლინდება. ნართაული -ი, როგორც ცნობილია, ენაში ჯერ კიდევ IX საუკუნიდან დასტურდება. იგი თავდაპირველად რთული თანხმოვანთკომპლექსის გასათიშად გაჩნდა მრ. რიცხვში. ფაქტი, რომ საძიებელი ენობრივი პერიოდის სამწერლობო ძეგლებში მხ. რიცხვის ფორმებთან ნართაუ-

ლი -ი იშვიათად გვხვდება, მიგვანიშნებს იმაზე, რომ საშუალო ქართული აღნიშნულ ფორმებში მისი დამკვიდრების ეტაპს წარმოადგენს. ანუ საშუალო ქართულში წყვეტილის წარმოების I ყალიბის ზმნათა მხ. რიცხვის ფორმები უნიშნო წარმოებიდან -ი სუფიქსიან წარმოებაზე გადადის. ეს ეტაპი შეიძლება 2 ქვეეტაპად წარმოვადგინოთ: I – საშუალო ქართულის ენობრივი პერიოდის დასაწყისიდან XVI საუკუნემდე და II – XVI საუკუნიდან ამ პერიოდის დასასრულამდე. XII-XV საუკუნეები ის საფეხურია საშუალო ქართულისა, როდესაც ნართაული -ი მხოლოდ მრ. რიცხვის ფორმებთანაა სისტემებზე წარმოდგენილი, მხ. რიცხვში კი ის თითქმის ჯერ არ მოჩანს. თუმცა, ამ ეპოქის ცოცხალ მეტყველებაში აღნიშნული ელემენტი უკვე დამკვიდრებულად მოიაზრება. წყვეტილის მწკრივის I ყალიბის ზმნათა წარმოებისას აღნიშნული ენობრივი პერიოდი ახალ სალიტერატურო ფორმებს გზას XVI საუკუნიდან აძლევს. მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ „მოკკალი“ ტიპის რამდენიმე ზმნა დადასტურდა, მათი გამოყენება აქ ყველა შემთხვევაში პოეტური აუცილებლობითაა განპირობებული. XVI საუკუნის სამართლებრივ ძეგლში შეგვხვდა პირველად ამგვარი ნართაულხმოვნისანი ფორმა. აქედან მოყოლებული I ყალიბის ზმნებთან ნართაული -ი იშვიათად, თუმცა, მაინც ყველგან გამოვლინდა, თუ არ ჩავთვლით სულხან-საბას „წავლანს“ და „დავითიანის“ ნაწილს. ორივე ძეგლში რელიგიური თემატიკაა წინ წამოწეული, რაც, სასულიერო მწერლობის ტრადიციისამებრ, ძველი ენობრივი ნორმებისა და ძველი სტილის დაცვას მოითხოვს ავტორისაგან. აღნიშნული ელემენტი მოვიძიეთ ამ პერიოდის როგორც პროზაულ, ისე პოეტურ თხზულებებში. თავად პოეზიაში შეგვხვდა იგი არა მხოლოდ როგორც ლექსთწყობის იარაღი, არამედ როგორც თავისთავადი გრამატიკული ფორმანტიც. არაპოეტურ ტექსტებში მხ. რიცხვის ფორმებთან ნართაული -ი-ს გამოვლენა კი ცხადყოფს, რომ ის საშუალო ქართულის სამწერლობო ენაში ფეხს იკიდებს.

თუ „მოკკალი“ ტიპის ზმნებმა ჩვენ მიერ განხილულ მასალაში მხოლოდ ოთხი ათეული შეადგინა, ნართაული -ი მრ. რიცხვის ფორმებთან ყოველთვისაა წარმოდგენილი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა. ამ გამონაკლისთა უმრავლესობას „სამართლის ძეგლებში“ და „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ნუსხაში მივაკვლიეთ. ხელნაწერთა პირველწყაროები XI-XII-XIII საუკუნეებს ეკუთვნის. და, რაც მთავარია, „მოკკალთ“ ტიპის ძველი ქართულისეული ზმნები ისტორიულ ქრონიკათა იმ ეპიზოდებში ვნახეთ, სადაც ავტორები სარწმუნოებრივ პრობლემატიკას შეეხებიან. ამავე მიზეზითაა განპირობებული „მოკკალთ“ ტიპის

ზმნათა გამოჩენა სულხან-საბა ორბელიანთან და დავით გურამიშვილთან. ცალკეა აღსანიშნი არჩილის პოეზია, რომელიც ენობრივი სიჭრელით გამოირჩევა. აქ თითქმის თანაბრად გვხვდება ძველი და ახალი ფორმები. თუმცა, არჩილის შემოქმედებაში მონიშნული მრ. რიცხვის ჩვენთვის საინტერესო ზმნები სალექსო საზომს ემორჩილება. საერთოდ კი „მოგვკალთ“ ტიპის ზმნათა რიცხვი საშუალო ქართულის სამწერლობო ძეგლებში ორ ათეულს აღწევს.

ნართაული -ი წარმომავლობით და ფუნქციით განსხვავებულია -ი ნიშნისაგან, რომელიც უმარცვლო საყრდენი მორფემის მქონე ზმნებთან გვხვდება წყვეტილის მაწარმოებლად. ესენია II ყალიბის ფორმები, რომელთაც საშუალო ქართულის სისტემაში უკვე გამოკვეთილი ადგილი უჭირავს.

4.2. -ე ბოლოსართიანი წყვეტილი

წყვეტილის მწკრივის მაწარმოებელ ელემენტთაგან -ე ერთ-ერთი პროდუქტიული სუფიქსია. როგორც უკვე ნათქვამია, წყვეტილის ფორმებში გამოვლენილი -ე ბოლოსართი ყველა შემთხვევაში ერთი და იგივე ოდენობა არ არის. სხვაა ის -ე ნიშანი, რომელიც ზმნათა დიდი ჯგუფთან გვხვდება და განსხვავებულია წარმოშობით ის -ე სუფიქსი, რომელიც ზმნათა შედარებით პატარა ჯგუფთან დასტურდება (გოგოლაშვილი 1984: 42). შესაბამისად, ცალ-ცალკე განვიხილავთ თითოეულ ფორმობრივ ჯგუფს.

-ე ბოლოსართიან ზმნათა წარმოებას ძველი ქართულიდან თანამედროვე სალიტერატურო ენამდე მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. მხოლოდ გაიზარდა რიცხვი ფორმათა, რომლებიც III და IV ყალიბით იწარმოებენ წყვეტილის მწკრივს.

საშუალო ქართულში მკაფიოდაა ასახული ახალი ყალიბის გაჩენისა თუ ერთი ყალიბიდან მეორეში ზმნათა გადაჯგუფების პროცესი. შესაძლებელი ხდება პარალელური წარმოების ყალიბთა დამოწმებაც არა მხოლოდ ერთი ეპოქის ენობრივ ძეგლებში, არამედ ერთი და იმავე მწერლის შემოქმედებაშიც, რაც აღნიშნული პროცესის სირთულესა და ხანგრძლივობაზე მიგვანიშნებს.

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში -ე სუფიქსიან წყვეტილთაგან III ყალიბის ზმნები წარმოადგენენ ყველაზე დიდ ფორმობრივ ჯგუფს. აქ გამოვლენილი -ე ელემენტი ყველა შემთხვევაში მარცვლოვან არარედუცირებად საყრდენ მო-

რფემას მიერთვის, ხოლო სუბიექტის მესამე პირს, შესაბამისად, -ა სუფიქსი აწარმოებს:

თმობა **გსთხოვე** შემოქმედსა, **ვჰკადრე** სიტყვა სამუდარი (ვეფხ., 346, 4);
ვითა შუენოდა ჭაბუკობასა შენსა, ეგრე **შეჰკაზმე** საქმე ჩუენიო (ამ., 291, 7);
ღმერთი ზრახვიდა პირის-პირ, ჩვენ მისგან **შევიწამეთა** (თ. II. 16, 4);
კათოლიკოზ ანტონისთან **გაიზარდეთ** და თანამდებობა არ იცით (ბატონიშვ., I, 24);

და ვინაფთვან **ვიიძულე** შეკადრებად, შეპყრობილი სურვილისა მიერ, ესეცა მოთხრობილი კელეკო (აბუს. ტბ., 64, 124).

ვითარება უცვლელია, როცა საყრდენი მორფემა რომელიმე სუფიქსია:

მღვაკვლევინეთ ვითარი კაცი ბედითთაო (ამ., 273, 7);

დედ-მამა გვეტყვის: „რად შეგვარცხვინეთ“

ქვეყანას თავი **დააძრახვინეთ** (დავითიანი, 193. 92, 2);

უბრალო სული **მომაკვდინე**, ლახვარი დამეც! (ბეს., 10. 3, 4);

იქნების, რომე პატრონიც ამბობდეს, რომ თავი **დავაჯსნევინეო**, მართალი არისო (სამ. ძეგლ., I, 548);

შვიდასი ფეხი კიბე აიარს, რაც **დავათვლევინე** (საბა, მოგზ., 183).

IV ყალიბის ზმნებთან გამოვლენილი -ე ბოლოსართი სრულიად განსხვავებულია არარედუცირებადი მარცვლოვანი საყრდენი მორფემის მქონე III ყალიბის ზმნებთან არსებული -ე მწკრივის ნიშნისაგან. განსხვავების საფუძველი მისი -ვე სუფიქსიდან წარმომავლობაა. -ვე სუფიქსის გამოვლენის ფაქტები ძველ სალიტერატურო ენაში მეტად იშვიათია. დიალექტებში არაიშვიათია -ვე სუფიქსი მარცვლოვან ფუძეებთან (ვნახ-ვე-ი, მოვი-ტან-ვე-ი...), ეს ფორმები შესაძლებელია III ყალიბის ზმნათა ანალოგიით იყოს წარმოებული, ამდენად მეორეულია. საშუალი ქართულის ჩვენ მიერ განხილულ ტექსტებში მსგავსი შემთხვევები არ შეგვინიშნავს. იგი ყოველთვის უმარცვლო საყრდენ მორფემასთან დასტურდება:

პურად და საჭმლად **მივენდევე** ჩემას მშვილდსა და ცერასა (ვეფხ. 164, 4);

გზა და კვალი ვეღარ **გავიდევით** (ამ., 76, 1);

ნეტარ ხარ შენ მკნეო, რომელმან შესძინენ ღვაწლთა ჩვენთა და ცრემლნი დასთხიენ და სიხარულნი **მოიმკევე** (საბა, სწავლ., 166, 509).

არჩილი -ვე სუფიქსს ზოგჯერ მეტრიკის საჭიროებით იყენებს:

გავჯებირეთ ორს მთას შუა, უკან რაზმი **დავაწყევით**,

რა შეიგნა, მოგვაშურა, ვითა შმაგი მოვა წყევით (არჩ., II, 464, 3).

ვაკვირდებოდით რთული და გამარტივებული III ყალიბის ზმნათა რაოდენობრივ თანაფარდობას ცალკეული ძეგლის მიხედვით. აღმოჩნდა, რომ -ე ბოლოსართიანი ზმნები შესამჩნევად სჭარბობენ -ვე სუფიქსიან ფორმებს. ამას ვერ ვიტყვით ისტორიულ საბუთებსა და სამართლის ძეგლებზე, სადაც, პირიქით, აშკარაა -ვე სუფიქსიანი ზმნათა უპირატესობა. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ 47 -ე ბოლოსართიანი ზმნის გვერდით 7 -ვე სუფიქსიანი ფორმა დავადასტურეთ. სამართლის ძეგლებში 36 -ვე სუფიქსიანი ზმნასთან 26 -ე ბოლოსართიანი ფორმა დასტურდება.

ისტორიული საბუთები და სამართლებრივი დოკუმენტები შედგენილია სხვადასხვა ეპოქის, დიალექტური წრისა და ლიტერატურული ტრადიციის პირთა მიერ. მათ ენობრივ მანერას ხალხური მეტყველება განაპირობებს. ხალხურ მეტყველებასთან ყველაზე ახლოს კი ამ ძეგლთა ენაა, სადაც ყოველდღიური საყოფაცხოვრებო, საჭირობოროტო საკითხებია განსჯილ-დაკანონებული. აქვეა -ვე სუფიქსიდან მომდინარე -ე ბოლოსართიანი ზმნებიც.

საშუალო ქართულის ძეგლებში ხშირია შემთხვევები, როცა -ვე და -ე სუფიქსიები ერთ ავტორთან ერთსა და იმავე ძირეულ მორფემასთან გვხვდება. თეიმურაზ I-თან რამდენიმე მაგალითია:

სოფელი თქვენთვის **შევაძე** ტყითა, წყლითა და ველითა (თ. I, 109. 80, 2);

შევაძევე კედელ-ყურენი, ვეჭვ თავსაც კარგად ბურავსო (თ. I, 142. 5, 2);

ენა **დავაშვრე** და პირი, ვარდი ვყარე და სულ ია (თ. I, 98. 309, 3);

მითხრას ვინმე: „რად **დააშრევე** ცუდ საქმეზედ ენა შენი? (თ. I, 100. 8, 1).

თეიმურაზ II „თიმსარიანში“ -ვე და -ე ბოლოსართიან ზმნებთან ერთად -ვინფიქსიანი „შევიტყვე“ ფორმასაც იყენებს:

შევიტყე გზაზე – ქმარი შინა ჰყავსო და ვეღარ მიუტანე (თ. II, 196, 19);

მე ეგ ყველა კარგად **შევიტყევე** (თ. II, 186, 18);

ახლა მომპაროდა, განა ვერ **შევიტყევე?** (თ. II, 187, 32).

ამგვარი პარალელიზმი გვხვდება სულხან-საბა ორბელიანთანაც. მაგალითად, თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“ -ვე და -ე სუფიქსები ტყ ძირეულ მორფემასთან რამდენჯერმე ენაცვლება ერთმნეთს:

ვერ ვნახე, ვერც **შევიტყე**. რა იყო (საბა, მოგზ., 156);

ვერ **შევიტყევე** როგორ მომხდარიყო (საბა, მოგზ., 202).

„სწავლანშიც“ დადასტურდა მსგავსი პარალელიზმი:

შიშველი იყავ და არარა გამოიღე დედის მუცლით შენით (საბა, სწავლ., 108, 313);

შრომათა ჩვენთა სარეწავი რა მოიღეუთ (საბა, სწავლ., 186, 575).

„დავითიანშიც“ აღმოჩნდა პარალელური ფორმები:

ქრთილის პურის ქერქში შიგ თავთუკი ჩავდეო (დავითიანი, 79. 773, 3);

რა გამოვშიგნე, ცეცხლი ავანთე,

მწვადი დაუდეო, შენს შვილს მივმართე (დავითიანი, 205. 171, 2).

კიდევ უფრო ხშირია ერთსა და იმავე ძირეულ მორფემასთან გამოვლენილი პარალელიზმის შემთხვევები არჩილის პოეზიაში, თუმცა აქ დადასტურებული პარალელური ფორმებიდან უმრავლესობა სწორედ IV ყალიბის -ე სუფიქსიანი ზმნებია. მაგალითად, გდ ძიეულ მორფემასთან 8 IV ყალიბის -ე ბოლოსართიანი და 1 III ყალიბის -ევ სუფიქსიანი ზმნა დადასტურდა, -ვლ ძირეულ მორფემასთან 9 -ე ბოლოსართიანი და 3 -ევ სუფიქსიანი ფორმა შეგვხვდა, ასევე -რთ ძირეულ მორფემასთან 4 -ე და 1 -ევ სუფიქსიანი ზმნა გამოვლინდა:

რად დააგდე ეს სოფელი, რამცა გაკლდა მისი ნივთი? (არჩ., II, 391, 1);

არ დავაგდე უბოძვარი, ღარიბები მოურთავი (არჩ., II, 372, 4);

რა ვქნათ, სოფელო, პირველსა მამა-ჩვენს ცოლმა დაადევ,

სიცრუეზედან აუფლე, სიმართლით გარე განაგდეო (არჩ., I, 27. 64, 3);

განვლე მე ჩემი ცხოვრება მოწყენით, არა შვებითა (არჩ., I, 246. 109, 1);

განვლე ზღვა და ხმელეთიცა, მამაწყინა ხანთა ზმამა (არჩ., II, 1056, 3);

წავედით ნახუნის გზას, გავლეო, მივედით ჯუღასა (არჩ., II, 938, 1);

გარდმოვიარეთ ლიხის მთა, ქართლისა სიგრძე ჩავლეუთ (არჩ., II, 540, 1);

მოვირთე შემწვედ ამისდა წმიდათა კაცთა იკონი (არჩ., I, 90. 65, 3);

შეათვისე და ატომე, შერთევ და აძმე და ადეო (არჩ., I, 27. 64, 2);

ვერ შესატყვისად შევამკეთ, მისთვის გვლევს სხივ-შუქებითა (არჩ., I, 130.

26, 2);

მე რიტორი ვარ, მიჯნურნი შევამკეო ხელი ხელითა (არჩ., II, 783, 4).

პარალელური წარმოება დადასტურდა სამართლის ძეგლებში:

და მივიღე ლოცვა ყოველთა მამათაი (სამ. ძეგლ., II, 12);

არცა-რა გამოერთმეოდათ, არც ჩვენ ავიღეთ საური (სამ. ძეგლ., II, 232);

შევამკეო მონასტერი ესე ჩუენი საძუალე და საუკუნო სამკვიდრებელი (სამ. ძეგლ., II, 140);

და დაჰბადე კაცი თაყუანის-მცემლად შენდა, და **შეამკვე** ყოვლითავე მადლითა შენითა (სამ. ძეგლ., II, 339).

ამგვარად, საშუალო ქართულის ჩვენ მიერ მიმოხილული სამწერლობო ძეგლების მიხედვით -**ე** ბოლოსართიანი წყვეტილის წარმოებაში მნიშვნელოვანი თავისებურება არ გამოკვეთილა. თუმცა საყურადღებო იყო შემოსხენებული პარალელიზმი, რაც რთული და გამარტივებული III ყალიბის ზმნებთან დადასტურდა.

4.3. ყალიბთა მონაცვლეობისათვის

საშუალო ქართულის ჩვენ მიერ მოძიებულ მასალაში გამოიყოფა რამდენიმე ჯგუფი ზმნებისა, რომლებიც წყვეტილის მწკრივს ერთდროულად ორი ან მეტი ყალიბით იწარმოებს.

პარალელიზმი უმეტესად I და IV ყალიბის ზმნებთან გვხვდება; აქ სამი ქვეჯგუფის გამოყოფაა შესაძლებელი: 1) რამდენიმე ზმნა პარალელურ ფორმებს S_3 პირში გამოავლენს, S_1 და S_2 პირთათვის კი მხოლოდ I ყალიბის უმწკრივის-ნიშნო ფორმები დასტურდება. ესენია „ჩავეუსწარ – ჩავეუსწრე“, „შევიგრძენ – შევიგრძნე“, „აღვეგზენ – აღვეგზნე“, „შევიცან – შევიცნე“ ფუძეთა მიხედვით მონაცვლე ზმნები:

ჩავეუსწარ-Ø // —

ჩაუ-სწარ-Ø // —

ჩაუ-სწრ-ა // ჩაუ-სწრ-ო

ფიცხლა შეეჯე, ჩავეგებე, მე **ჩავეუსწარ**, ჩავე წინა (ვეფხ., 587, 2);

შუღლი გეკონდა, თქვენც **მოვეესწარ**, თქვენმა მოსვლამ გაგვაშველა (თ. I. 88. 224, 4);

მუნ უამსა რასმე **შევეესწარ** სიცოცხლის დასამწარესა (დავითიანი, 84. 407, 4);

ველარ **აესწრა**, იღუმალ მოკლა, ვერცა თუ ვცანიტა (ვეფხ., 1103, 3);

აასწრა სიმან სინდთა მეფისა ძემან ხოსრო ხაზართა მეფისა ძესა (ამ. 229, 4);

ბედმან **შემასწრა** საშოვარს, თეთრი მერგება მე ბევრი (ბეს., 58. 78, 2);

მეფე ვახტანგცა მიბრძანდა აშტრახნის არე-მარესა,

იქ უვარესად **შაესწრა** ამბავსა საწყინარესა (დავითიანი, 100. 519, 3).

აღნიშნული ზმნის S₃ პირის -ა და -ო სუფიქსიანი ფორმები თეიმურაზ I-ის სხვადასხვა პოემაში გვხვდება:

ვთქვით: **მოგვესწრა** ჩვენ ასული, ალვის ნორჩად გვენაყოფის (თ. I. 28. 30, 1);

დაესწრო პირველ ყოველთა ყვავილთა მოხვლა იამან (თ. I. 4. 14, 1).

საგულისხმოა, რომ აღნიშნულ ფორმათა პარალელიზმს სულხან-საბა მიმართავს „სიბრძნე სიცრუესა“ და „მოგზაურობა ევროპაში“, „სწავლანში“ კი მხოლოდ -ა ბოლოსართიანი ფორმებია:

თუმცა უნათლავმა იესო ქრისტე აღიარა და ნათლისცემა არა **ესწრა** და ქრისტესთვის მოკლეს (საბა, სწავლ., 278, 132);

ასე გაშმაგდა მკალავი, ვირსაც **გაუსწრა** (საბა, ს.ს., 70);

რა აქიმთან შევიდნენ, აქიმმან **დაასწრო**, აგინა და ეგრე უთხრა (საბა, ს.ს., 91);

ორმოცი მილი ვლეთ და დამე **გვესწრა** (საბა, მოგზ., 203);

დამემ **გვისწრო**, ჯენევიას ზევიდამ ერთი სოფელი იყო, იქ დავდექით (საბა, მოგზ., 156).

დასახელებული ზმნის ფორმობრივი პარალელიზმი დასტურდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ და „ქართლის ცხოვრების“ სხვადასხვა ავტორთან:

ამან მოილოცა იერუსალიმი და **დაესწრაცა** კრებასა შინა და სიბრძნითა თვისითა ამხილა მწვალებელთა (ბატონიშ., II, 165);

გარნა **უსწრო** მათ სიღამემან და დასდგნენ საჯავახოსა გარდმოსავალსა მთასა ზედა (ბატონიშ., II, 59);

და არავინ განერა მათგანი, გარნა რომელი **შეესწრა** ზღუად და ივლტოდეს ნავითა (ქ. ცხ., I, 176, 2);

ხოლო წმიდამან ნინო **შეუსწრო** ციხედ არმაზად (ქ. ცხ., I, 89, 5).

განხილული შემთხვევიდან აშკარაა, რომ I ყალიბის -ა ბოლოსართიანი ფორმები სჭარბობენ -ო სუფიქსიან ზმნებს, თუმცა, ზოგ ავტორთან მხოლოდ ეს უკანასკნელი ფორმები გვხვდება:

ამასობაში ქმარი **მოესწრო** მას დიაცსა (თ. II, 164, 28).

ვი-გრძენ-Ø // —

ი-გრძენ-Ø // —

ი-გრძენ-ა // ი-გრძენ-ო

ვეფხი-ავაზა პირ-ქუშად ზის, წყრომა ვერ **ვეგრძენითა** (ვეფხ., 1147, 2).
და რაუამს მიყვევ ჰელი, **ვაგრძენ** ჰამოდ აღყვანებად და მოვსწყდი მიწასა
(აბუს. ტბ., 63, 119);

რამინს გულმან **ურძნა**, რომელ ეგდენ ჰამო ყოფნა დაუმწარდებოდა (ვის.,
152, 36);

გაუკვირდა მეფესა და სიქიშპე მათი ვერ **აგრძნა** (საბა, ს.ს., 18);
ხოლო **იგრძნა** საურმაგ, და წარვიდა ფარულად და ივლტოდა (ქ. ცხ., I,
26, 19).

IV ყალიბის -ო სუფიქსიანი ფორმები იოანე ბატონიშვილის „კალმასობა-
ში“ ვნახეთ:

მირ მეფე წყლულებითა შეურვებულმან **გრძნო**, რომელ მოკვდების იგი
(ბატონიშ., II, 85).

აღვა-გზენ-Ø // —

აღა-გზენ-Ø // —

აღა-გზნ-ა // აღა-გზნ-ო

ჰაღვაგზენ ყოვლი გულისთქმა, აღვლადენ ვა მაღლა ქედი (არჩ., I, 269);
მაშინ გამოჩნდა ცხადად, რაუამს გესმა უმთავრესისა შენისა ქართლად
მოყვანება, და **აღეგზენ** შურითა ბოროტად (ქ. ცხ., I, 197, 5);

გულისა ჩემსა ასეთი ცეცხლი **აეგზნა**, რომელ თმობა და სიხარული ორი-
ვე დამიწუა (ვის., 289, 9).

პარალელური ფორმები სხვა ძეგლებში აღმოჩნდა:

შამბისა პირსა გარდახდა, ცეცხლი **დააგზო** კვესითა (ვეფხ., 192, 4);

აეგზნო ნაკვერცხალი და გარეცხილს გვანდა (საბა, მოგზ., 200);

მაშინ **აღეგზნო** რისხვითა მურვან-ყრუ (ბატონიშ., II, 79).

ვი-ცან-Ø // —

ი-ცან-Ø // —

ი-ცნ-ა // ი-ცნ-ო

შეკსთვალე: „რამაზ მეფეო, **ვცან** შენი დანაპირები (ვეფხ., 419, 2);
თუ კაცნი ვინმე გინახვან ბედითნი და მათი ამბავი ვერა **სცანით**, რა სა-
კუირველია (ამ., 12, 6);

რა ახლა **იცან** საწუთრო დასაბამითგან მზრუნავი,

მიბრძანე მისი შემხები ვინ დარჩა გაუთხუნავი?! (დავითიანი, 101. 526, 3);

აწ მივედით დარიელამდის და **ვსცანით** ესე (სამ. ძეგლ., I, 401);

და **გცან** სიცრუეგენნი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს! (ქ. ცხ., II, 93, 13).
 S₃ პირის ფორმათაგან I ყალიბის ფორმები უფრო ხშირად გვხვდება:
 მაშინ **სცნა** ხანთა მეფემან შესვლა იამანთაგან (ამ., 130, 1);
 შენ, შემოქმედი, ვერ **გიცნა**, ვერ მისწვდა მიუწდომელსა (თ. I, 15. 7, 2).
 იმან გვიკითხა, **გვიცნა** (საბა, მოგზ., 170);
 და **სცნა** ესე ალათემურ, აიყარა ბარგითა და დედაწულითა (ქ. ცხ., II,).
 არჩილისა და იოანე ბატონიშვილის თხზულებებში ერთიმეორის გვერდითაა -ა და -თ სუფიქსიანი ფორმები:
 რა **გამიცნა**, თაყვანისმცა, ენა იწყო შესამკობრათ (არჩ., II, 255, 3);
 უსაზომოდ გაეხარა, **სცნო** საცოლო ქალწული ჰყვა (არჩ., I, 168. 263, 1).
 არჩილთან თუ -ა სუფიქსიანი ფორმები სჭარბობენ -თ ბოლოსართიანებს,
 „კალმასობაში“, პირიქით, IV ყალიბის -თ სუფიქსია უმრავლესობაში:
 და **იცნა** ბოქაულთუხუცესმან, რომელ ესე იყო აზნაურთაგანი რაჭისა
 (ბატონიშ., II, 117);
 მეთოდიმაც რა **გამოსცნო** ბერისა მუნ ყოფა, სიყვარულით მოიკითხა და
 შეიტკბო დიდად (ბატონიშ., II, 60).
 2) ცალკეა აღსანიშნი I და IV ყალიბთა მონაცვლეობის ისეთი შემთხვევა,
 როცა ფორმობრივი პარალელიზმი S₁ – S₂ პირებშია წარმოდგენილი, S₃ პირში
 პარალელიზმი არ დასტურდება: ე. ი. ერთ-ერთი პარადიგმაა ნაკლული. როდესაც
 I პარადიგმაა ნაკლული, ამის მაგალითი „დავაკელ – დავაკელ“, „გავსძელ – გა-
 ვსძელ“ ფუძეთა მიხედვით მონაცვლე ზმნებია.
 დავა-კელ-Ø // დავა-კელ-ე
 დაა-კელ-Ø // დაა-კელ-ე
 ——— // დაა-კელ-ო
 ქრისტიანმან უთხრა: მაჰმადი რად **დააკელო** (საბა, ს.ს., 72);
 რაზომ გამსაჯა სოფელმან, ცდა არ **დავაკელ** სიკვდილდი,
 არ გავსტყდი, არც შეუხარდი, ვირე არ მოგჰკვდი, მანამდი (არჩ., II, 1095, 1);
 ასე გავაჩინეთ და გავარიგეთ, რომ რაც ზოგისა მოსაკლებელი იყო, **მოუ-
 კელით**, და ზოგი, როგორც ძველთაგან ყოფილიყო, აგრევე გავარიგეთ (სამ.
 ძეგლ., II, 410).
 პარალელური -ე სუფიქსიანი ფორმები კი „ვისრამიანსა“ და „ქართლის
 ცხოვრების“ ერთ-ერთ ნუსხაში ვნახეთ:
 რაის მიზეზისათვის **დავიკელე** აქამდისი სიყმისა სიხარული (ვის., 182, 32);

ჰ ჩემდა, ნუ უკუე და-სამე-ვაკლე დიდებასა დიდისა ამის ღმრთისა არმა-ზისსა, ანუ შე-სამე-ვსცეთ სიტყუად ებრაელთა თანა, გინა მოგუთა თანა სმენისა (ქ. ცხ., I, 89, 12).

ს₃ პირის -თ ბოლოსართიანი ზმნები „დავითიანში“, და სულხან-საბას თხზულებებში დადასტურდა:

წყალმან მრავალი აკლო, შემცირდა,

მეათის თვემდი მთა წყალს შესცილდა (დავითიანი, 256. 549, 1);

წავიდა, ხუთასი მარჩილი დათვალა და ათი დააკლო (საბა, ს.ს., 115).

რა ჯენოვანის თემში შევედით, კლდემ იკლო და ტყემ იმატა (საბა, მოგზ., 154);

ვინათგან ნებსით დააკლო, საიდუმლო არა შესრულდების (საბა, სწავლ., 292, 163).

შეიძლება ვიფიქროთ, რომ აქ „დააკლა“ ფორმის უქონლობა ომონიმისა-გან თავის არიდების ფაქტს წარმოადგენს. ეს უკანანსკნელი მოკვდინების შინა-არსის მქონე ზმნას რომ არ დამსგავსებოდა, ენამ IV ყალიბის -თ სუფიქსიანი ფორმით ჩაანაცვლა.

გავს-ძელ-Ø // გავს-ძლ-ე

გას-ძელ-Ø // გას-ძლ-ე

———— // გას-ძლ-ო

ველარ გავუძელ, იგიცა მოგვკალ გულითა ხელითა (ვეფხ., 900, 4);

ველარ გაუძელ შვიდ ზაფხულ მოწყენით ცუდად გდებასა (თ. I, 23. 68, 2);

ამით გავსძლე, რომელ რამინ შენსა გუერდით იყო (ვის., 119, 27);

ველარ გავსძლეთ უღომობა, გურიისკენ ვიწყეთ რება (არჩ., II, 568, 2).

საინტერესო ვითარებაა „დავითიანში“. პოეტურ ნაწილში ავტორი ყოველ-თვის I ყალიბს მიმართავს, IV ყალიბის -ე სუფიქსიანი ფორმას კი დავით გურა-მიშვილი მხოლოდ ანდერძ-მინაწერში, გაულექსავ ნაწილში ხმარობს:

მოგკვდი, დამრჩა უნათლავი, ვერ შევიძელ მე სიმწირით,

ვინც მონათლავს, მე მას ვლოცავ ცოდვილისა ჩემის პირით (დავითიანი, 23. 10, 3);

ჩემის კვლით მეტი ვერ შევიძლე და სხვა ვერავის ვენდეე ამის მოუპარა-ობის მიზეზებითა (დავითიანი, 284).

პარალელური ფორმები „სამართლის ძეგლებშიც“ აღმოჩნდა. სახელდობრ, -ე ბოლოსართიანი ზმნა 1125 წლის დავით აღმაშენებლის ანდერძში აღმოჩნდა, I

ყალიბის უმწკრივისნიშნო ფორმები კი XVIII საუკუნის წყალობის სიგელში და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში დადასტურდა:

და ვერ უძლე დატევებად საწუთოდსა, ვიდრე არა დამიტევა მე საწუთოდან (სამ. ძეგლ., II, 19);

და თუ მეტი შევიძელით, მეტს მოვართმევთ დიდებულებასა თქუენსა (სამ. ძეგლ., II, 425);

რამეთუ ჩვენ ასრე შევიძელით და დავწერეთ (სამ. ძეგლ., I, 225).

S₃ პირის -თ სუფიქსიანი ფორმები სხვადასხვა ძეგლში გამოვლინდა:

რად დავვიწყდი, რა მივსცილდი, რად ვერ გასძლო, რა მისჭირდა? (ვეფხ., 836, 2);

მერე კულა ველარ გაუძლო გულმან და მივიდა სარკუმელთა ზედა (ვის., 247, 16);

ველარ გაძლო, მან იცოცხლა ხანი რამე დია მცირე (თ. I, 83. 190, 1);

მის გამო ველარ შეიძლო მან ქვეყნის პატრონობანი (დავითიანი, 53, 186, 4);

ავსიტყვამ მეფის უნახაობა ველარ გასძლო და წავიდა მათად ნახვად (საბა, ს.ს., 32);

თვინიერ უფლის ვერვინ შეუძლო

თავის თვისისა მტკიცედ მცველობა (არჩ., I, 244. 98, 7).

ყალიბთა ზემოთ განხილულ მონაცვლეობას მიუთვინება „დავასკვენ – დავასკვენ“, „შევიგენ – შევიგენ“ ტიპის მონაცვლეობა იმ განსხვავებით, რომ აქ უკვე IV ყალიბის პარადიგმაა ნაკლული, საშუალი ქართულის ძეგლებში აღნიშნულ ზმნათა S₃ პირის -თ სუფიქსიანი ფორმები არ დადასტურდა. თუმცა „დაასკვნო“ ფორმა არც ახალ სალიტერატურო ქართულში გვხვდება:

დავა-სკვენ-Ø // დავა-სკვენ-ე

დაა-სკვენ-Ø // დაა-სკვენ-ე

დაა-სკვენ-ა // —————

აღსანიშნავია, რომ პარალელური წარმოების ფორმები მხოლოდ არჩილთან, ერთსა და იმავე პოემაში შეგვხვდა:

გამომისტუმრა, წამოველ, კაცი თან გამომატანა,

მეც ნება დავრთე, დავასკვენ მე მისი აქ წამოტანა (არჩ., II, 419, 2);

ვითა დაასკვენ გაწირვა შენ ჩემი გულ-ნალებისა (არჩ., II, 388, 4);

დავასკვენეთ ომი აღგეთხედ, მიემართეთ გულით მაგართა (არჩ., II, 635, 1).

რაც შეეხება S₃ პირის -ა ბოლოსართიან ფორმებს, სამ ავტორთან ექვსიოდე ზმნა მოვითვალეთ:

ფარსადანს წინა **დაასკენა** გაგზავნა მოციქულისა (ვეფხ., 309, 1).

ვერა რომელმან **დაასკენა** (საბა, ს.ს., 65);

არჩივეს, მეფემ **დაასკენა** თავისის ელჩის გაგზავნა (არჩ., II, 484, 1).

შევი-გენ-Ø // შევი-გენ-ე

შეი-გენ-Ø // შეი-გენ-ე

შეი-გენ-ა // ———

მე სარკმელთა გარდავაღებ, რა **შევიგენ**, არ მოჰყიდეს (ვეფხ., 1123, 1);

სიბნელისაგან თავისი გზა ვეღარა **შევიგენით** (ამ., 431, 8);

რა მრავალი გულისთქმა შევექმენ, მის სენის თავი **შევიგენ** (საბა, ს.ს., 92).

არჩილის პოემაში დადასტურდა -ე სუფიქსიანი ფორმა. აქვე ვნახეთ აღნიშნული ზმნის -ევ სუფიქსიანი ფორმაც:

რა **შევიგენთ** მისი მოსვლა ავემზადეთ ჩვენც საომრად (არჩ., II, 548, 1);

თუმც მასინ ვერ **შევიგენეით**, მერმე შეგვექნა ჩივილი (არჩ., II, 687, 4).

S₃ პირის -ა ბოლოსართი სხვადასხვა ძეგლშია:

შეიგნა მისლვა მეფისა მისად უკანა მდეველად (ვეფხ., 95, 4);

თავისა გზა და კუალი ვეღარა **შეიგნა** (ამ., 255, 1);

რა დაუდასტურდა მოაბადს ვისის ქალწულობა, თავისა გზა ვეღარა **შეიგნა** მიჯნურობისაგან (ვის., 55, 32);

შეიგნა ვაზირმან, ყოველივე ამხანაგთა ხრიკი იყო (საბა, ს.ს., 18);

რა ამათი ხმა **შეიგნა**, ყარჩიხახანს უწყო დაღვა (არჩ., II, 600, 4).

3) საშუალო ქართულის ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში „შერეული პარადიგმის“ ნიმუშს წარმოადგენს შემდეგი მაგალითი:

ვა-მცენ-Ø // ———

ა-მცენ-Ø // ———

———— // ა-მცენ-ო

ეს I და IV ყალიბთა მონაცვლეობის ის შემთხვევაა, როცა S₁ – S₂ პირებში I ყალიბის უნიშნო ფორმებია მხოლოდ წარმოდგენილი (არ ჩანს -ე ბოლოსართი), S₃ პირში კი, პირიქით, არ დასტურდება I ყალიბის -ა სუფიქსიანი ფორმა და პირის ნიშნად მარტო -ო ბოლოსართი გვხვდება:

მის ხისგან სჭამე, რომლისგან **გამცენ**, დაგიღვე სჯულია (თ. II, 7. 48, 2);

არამედ ეკლესიათა წმიდათა და კაცთა ღმრთის მსახურთა ეკრძალებოდეთ, ვითარცა იგი **გამცენ** კურანსა შინა ჩემსა (ქ. ცხ., I, 238, 4);

საკმაო წმინდანი გეოლიათ ქართველთა და გმადლობ, რომელ კარგად **შემამცენ** ცხოვრებასა მათსა (ბატონიშ., II, 161);

და ყოველნი იგი მცნებანი შენნი, რომელნი **მამცენ**, დავიმარხენ (სამ. ძეგლ., I, 124).

მრავლად გვხვდება S_3 პირში **-ო** სუფიქსი:

თვალმან გულს **ამცნო** ცათა შევენება (დავითიანი, 243. 445, 1);

ამცნო ესე მწყემსობა და ასწავა წინამძღრობა პეტრეს (საბა, სწავლ., 208, 645);

თავ-უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა, ვითარცა **გამცნო** შენ უფალმან (სამ. ძეგლ., I, 105);

მაშინ **მიუმცნო** გურიელსა საქმე ესე (ქ. ცხ., II, 501, 18).

წყვეტილის ფორმათა პარალელური წარმოების ცალკე ჯგუფს ქმნიან ზმნები, რომლებიც აღნიშნულ მწკრივს I და II ყალიბების მიხედვით იწარმოებენ. ასეთია „დავშვერ – დავშვრი“, „გარდავკედ – გარდავკდი“, „მოგკუედ – მოგკუდი“, „შევსცეთ – შევსცთი“, „შევკერბ – შევკერბი“ ფორმათა მიხედვით მონაცვლე ზმნები.

„დავშვერ – დავშვრი“ და „გარდავკედ – გარდავკდი“ ფორმობრივი პარალელიზმი I და II ყალიბთა მონაცვლეობის ისეთი მაგალითია, როცა საშუალი ქართული I ყალიბს აძლევს უპირატესობას, II ყალიბის ზმნები კი იშვიათობას წარმოადგენს: მაგალითად, „დავშვერ – დავშვრი“ მონაცვლეობისას I ყალიბის 10 ზმნასთან II ყალიბის მხოლოდ 1 ზმნა დადასტურდა:

მე **დავშვერ** ვითა წესია საურავ-გადახდილისა (გეფხ., 546, 1);

დავშვერით ომითა და ღონე ვერა ავიგეთ, რომელმცა მორეულ ვიყვენით (ამ., 301, 4);

ვინადთგან გვიხილენით ჩვენ გლახაკნი და **მოშვერით** ჩვენთვის (საბა, სწავლ., 207, 642).

II ყალიბის **-ი** სუფიქსიანი ზმნა გამოვლინდა თეიმურაზ II-ის პოემაში. ამავე ავტორთან I ყალიბის ფორმებიც აღმოჩნდა:

მიკვირს, დღეო, რად ვერ **დაშვერ** გრძელ საუბარ ამბის თქმითა? (თ. II, 17. 128, 1);

გუთხრათ: „რად **დაშერი** ტყუილზედ, რად სთქვი არ იყო წესიო (თ. II, 122, 1).

იგივე ითქმის „გარდავკედ – გარდავკდი“ ფორმათა მონაცვლეობაზე: I ყალიბის ზმნები შეგვხვდა თითქმის ყველა ავტორთან, II ყალიბისა – იშვიათად:

გვყვეს ლაშქარნი უთვალაენი, წყლისა პირსა **გარდავხედით** (გეფხ., 197, 2);
და ესევეითართვე საკურველებითა მრავალნი გამოიკსნნა ამან წმიდამან
კელისაგან წარმართთაძესა, რომლისა აღწერასა **თანაწარვედ** სიმრავლისათუს
საკურველებათაძესა, ღმრთისა მოყვარენო (აბუს. ტბ., 61, 89).

პარალელური წარმოება „დავითიანში“ და არჩილის პოეზიაში გამოვლინდა:

მე შენსა მცნებას **გარდავკე**, ამად აღარა მიწამე (დავითიანი, 264.23, 2);

ამაზე **წავკდი**, მცნებას **გარდავკდი** (დავითიანი, 163. 14, 3);

ნათლისღება შევაგინე, სჯულს **გარდავკედ** სიჭაბუკებს (არჩ., I, 65. 6, 1);

უამთა სიმუხთლემ ესე ქმნა, **გარდავკდით** მე და ი სარი (არჩ., I, 89. 61, 3).

საშუალი ქართული თუ ზემოთ განხილულ შემთხვევებში I ყალიბის ფორმებს ანიჭებს უპირატესობას, „მოგკუედ– მოგკუდი“, „მოვსცეთ – მოვსცთი“ ფორმათა მონაცვლეობისას აღნიშნული ენობრივი პერიოდის სამწერლობო ძეგლებში, პირიქით, II ყალიბის -ი მწკრივისნიშნიანი ფორმები დომინირებენ:

ვაი თავსა ჩემსა, რომელ არა წინვე **მოგკუედ**, რათამცა არა სმენილ იყო ყურთა ჩემთა (ქ. ცხ., I, 99, 12).

„ვისრამიანში“ ფორმობრივი პარალელიზმი დადასტურდა:

რად არ **მოგკუედ** მამისა ჩემისაგან წინათ (ვის., 52, 17);

რად არ მასვე კარგსა ყოფასა შიგან მყოფი **მოგკუდი**?! (ვის. 225, 38).

თითქმის ყველა დანარჩენ ძეგლში II ყალიბის ზმნები შეგვხვდა.

ანალოგიური ვითარებაა „შევსცეთ – შევსცთი“ ფორმათა მიმართებისას:

გამწირე და მეცა **მოვსცეთ** (ვის., 238, 10);

მ ჩემდა, ნუ უკუე და-სამე-ვაკლე დიდებასა დიდისა ამის ღმრთისა არმაზისსა, ანუ **შე-სამე-ვსცეთ** სიტყუად ებრაელთა თანა, გინა მოგუთა თანა სმენისა (ქ. ცხ., I, 89, 13);

კვლავ თავსა დაგმობს: „უჭკუოდ **შევსცთიო** ვითა სულელი (ბეს., 57. 74, 1);

შევსცდი და მწყემსსა წაუველ, გაუდექ მრუდათ ძოვნასა (დავითიანი, 108. 584, 1);

რისთვის ჩამოგყევ ბაასში, რად **შევსცდი**, რა დამეფეთა? (არჩ., II, 128, 1).

„შეკერბით – შეკერბით“ ფორმათა მონაცვლეობა ქამთააღმწერლის თხზულების სხვადასხვა ნუსხაში გვხვდება. სახელდობრ, I ყალიბის ზმნა ვახტანგის შემდეგდროინდელ (v) ხელნაწერშია, ხოლო II ყალიბის -ი მწკრივისნიშნის ფორმა რუმინანცვეისუელ ნუსხაში დასტურდება:

ჩვენ ყოველნი ამად **შეკერბით**, რათა განვაგოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანება თქუენი აღვასრულოთ (ქ. ცხ., II, 217, 4);

არა განდგომად **შეკერბით**, არამედ რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკი განგიჩინოთ (ქ. ცხ., II, 215, 18).

I და II ყალიბთა მონაცვლეობის მაგალითია „დავხაშ – დავხში“ პარალელიზმი. I ყალიბის ზმნა „ვეფხისტყაოსანშია“:

უკმოვისხაშ კარი, ჩემგან მათი ჭვრეტა ვერა ცნესა (ვეფხ., 1120, 4).

პარალელური ფორმა ბასილი ეზოსმოძღვრის თხზულებაშია:

აქა **დავკში** სიტყვსა წყობა (ქ. ცხ., II, 150, 3).

I ყალიბის ფორმად ჩაითვლება ბესიკის პოეზიაში გამოვლენილი „დამიხშევ“ ზმნაც, რომლიდანაც ისტორიულად მომდინარეობს IV ყალიბის „დამიხშე“ ფორმა. თუმცა, ეს უკანასკნელი საშუალი ქართულის მასალაში არ დადასტურებულია:

სამართლიანი გზა დააგდე, **დამიხშევ** კარი! (ბეს., 8. 3, 4).

საინტერესო ფორმა აღმოჩნდა „დავითიანში“. „ქაცვია მწყემსის“ ერთ ეპიზოდში გვხვდება „დასცი“ ზმნა. საფიქრებელია, ეს უკანასკნელი „დასცა“ ზმნის II პირის ფორმაა, I ყალიბის „დაეც“ ზმნის პარალელურად წარმოებული:

დავ-ეც-Ø // დავ-ს-ც-ი

და-ეც-Ø // და-ს-ც-ი

და-ს-ც-ა // და-ს-ც-ა

თუმცა, აშკარაა, ამგვარი ფორმა დავით გურამიშვილის პოემაში მოსაზღვრე რითმითაა განპირობებული:

ვინც ეკალზედ **დასცი**

ახივე, ზედ აცვი

ღმერთმან დავზარდოსთ (დავითიანი, 198. 1128, 3).

საშუალი ქართულის ძეგლებში მოვიძიეთ იშვიათი ფორმებიც, რომლებიც წარმოების ტიპით II ყალიბის ზმნებს მიეკუთვნება. უმარცვლო საყრდენ მორფემასთან გამოვლენილი -ი მწკრივის ნიშანი მათ -ე ბოლოსართიან IV ყალიბის ზმნათა პარალელურ ფორმებად მიგვაჩვენებს. თუმცა, ფორმობრივი პარალე-

ლიზში მხოლოდ S₁ – S₂ პირებში დასტურდება. „აგენტი“ ზმნის არსებობა „გეფხისტყაოსანში“ და თეიმურაზ I-ის „შამი-ფარვანიანში“ არ არის შეპირობებული პოეტური საზომით:

აგენტი, დამწვეს მამისა სახმილთა დაუშრტობელთა (ვეფხ., 330, 1);

რა შენ ბრწყინვალედ **აენტი**, მე დასაწვაგად მზა ვარ და (თ. I, 19. 35, 1).

ასევე ვერ დაგადასტურეთ S₃ პირის „გერგა“ ფორმა, მაგრამ „დავითიანში“ გვხვდება „გერგი“ ზმნა, რომელიც საყრდენი მორფემის სტრუქტურითა და -ი მწკრივის ნიშნით II ყალიბის ფორმად მოიაზრება. სალექსო მეტრი არც ამ შემთხვევაში წარმოადგენს ამგვარი წარმოების საფუძველს:

თუ შენ **გერგი** წილად, ფიცხლავ საქორწილად

მამას ვთხოვ დასტურს (დავითიანი., 244. 454, 3).

III და IV ყალიბთა მონაცვლეობის მაგალითია „ვსძლი(ვ)ე – ვსძლე“ ფორმათა პარალელიზმი, რომელიც საშუალო ქართულის ძეგლთა ენაში დადასტურდა:

ვს-ძლი(ვ)-ე // ვს-ძლ-ე

ს-ძლი(ვ)-ე // ს-ძლ-ე

ს-ძლი(ვ)-ა // ს-ძლ-ა

პარალელური ფორმები სამივე პირშია რეალიზებული:

დანღიზში ქიზიყის ბოლოს **ვძლიეთ** ლეკთა და მრავალი აღვხოცეთ (ბატონიშ., I, 20).

„ქართლის ცხოვრებაში“ ჟამთააღმწერელი აღნიშნული ზმნის წყვეტილს III ყალიბით წარმოადგენს:

ვარნა იქმნა ქცეულება ბედისა ხუარაზმშას სახლისა და ყოვლგან **ვიძლიე** (ქ. ცხ., II, 173, 18).

იგივე ზმნა ჯუანშერთან IV ყალიბითაა წარმოებული:

არა ძალითა ჩემითა **ვსძლე** თარგანს, არამედ ძალითა დამბადებელითა ჩემისათა (ქ. ცხ., I, 154, 14).

ჯუანშერისავე თხზულებაში გამოვლინდა ამ ზმნის ფორმობრივი პარალელიზმი. ერთი ფრაზის სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა ყალიბია წარმოდგენილი. კერძოდ, XV საუკუნის ანასეულ ნუსხაში IV ყალიბის ფორმაა, XVII – XVIII საუკუნეთა მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ხელნაწერებში კი III ყალიბის „ვსძლივეთ“ იკითხება:

არა ძალითა ჩუენითა, არცა სიმკნითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპათათა **ვსძლეთ** მტერთა, არამედ ჯუართა უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესითა (ქ. ცხ., I, 140, 14).

S₃ პირის III და IV ყალიბის ფორმები გვერდი-გვერდაა არჩილის პოემებში, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“, „ქართლის ცხოვრებაში“. მაგალითად, არჩილის შემოქმედებაში ერთ -ა სუფიქსიან ფორმასთან ხუთი -თ ბოლოსართიანი ზმნაა. თვით პოემა „ვისრამიანშია“ პარალელური ფორმათწარმოება:

შენსა ეშმაკსა ბოროტსა ვერას ცდით ვერას **დასძლია** (არჩ., I, 214. 662, 3);

სიხარულმან **სძლო** ჭმუნვასა, დასწყდა რუ ცრემლთა დენისა (არჩ., I, 195. 501, 2).

„კალმასობაში“ ერთ -ა ბოლოსართიან ზმნასთან სამი -თ სუფიქსიანი ზმნა გამოვლინდა:

და მასცა **სძლივა** ბერმან, რომელმანცა მოახსენა იამამანს (ბატონიშ., II, 177);

ამან **სძლო** ავარიის მთავარსა, მჭადიჯვარს მდგომარესა (ბატონიშ., II, 188).

„ქართლის ცხოვრებაშიც“ ანალოგიური ვითარებაა. პარალელური წარმოება დასტურდება თხზულებებში „მატიანე ქართლისა“ და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“:

სძლია და აოტა ბანაკი მათი (ქ. ცხ., I, 56, 17);

სძლო თრდატ და ჳელად შეიპყრა და იოტეს ბანაკი გუთთა (ქ. ცხ., I, 68, 14);

და **სძლია** ლიპარიტვე, და გააქცია მეფე (ქ. ცხ., I, 301, 19);

ხოლო გიორგი მეფემან **სძლო** სიკეთითა, სიბრძნითა და ძურ-უჭსენებელ იქმნა (ქ. ცხ., I, 316, 4);

და **სძლია** ამირ-ბუბაქარ და აოტა უფროსი ძმა, და დაჯდა ათაბაგად (ქ. ცხ., II, 63, 1);

ამას შინა **სძლო** მსჯავრისა და სიმართლისა მქონებელმან, და გააქცივნეს ჳერნი, დიდებულნი აზნაურნი და ლეკნი (ქ. ც., II, 19, 10).

წყვეტილის მწკრივის წარმოებაში ყალიბთა მონაცვლეობის განსაკუთრებულ სახეობას წარმოადგენს ისეთი ტიპის მონაცვლეობა, როცა სამი ყალიბი იყრის თავს კონკრეტული მწკრივის ენაში. საშუალო ქართულის სამწერლობო ძეგლებიდან ასეთი შემთხვევა არჩილის ერთ პოემაში დადასტურდა. აქ ერთმანეთის გვერდით I, II და IV ყალიბები გვხვდება: პარალელური ვარიანტები მხოლოდ S₁ პირში გამოვლინდება:

მოსკოვს, სტამბოლს და ისპაანს, მას შიგნით მთა და ბარამდი, ჩემის სახელის ძეგლები ყოვლგან **დავასვე** მანამდი (არჩ., II, 1095, 4); ხუთასთავ შუბი **დავასვით** კაცთა და ზოგმა ჰუნესა (არჩ., II, 940, 4).

IV ყალიბის ფორმათა გამოჩენა ორივეგან მოსაზღვრე რითმით უნდა აის-სნას:

ხისიყსაც ხმა დაგვივარდა, ამბობდეს ლაშქრის მოსვლასვე,
დათუნა იქით გაგვზავნე, მტერს ხრმალი ვეღარ **დავასვე** (არჩ., II, 1006, 4);
რაც დარჩა სასიკვდინე, შენ ლახვარი მე **დამასე**,
რად არ მამკლავ, რად გინდივარ, დამაბერე, დამანასე (არჩ., II, 1040, 3).

ზემოთქმულის შეჯამებისას დავასკვნით: განსახილველი ენობრივი პერიოდის ძეგლების მიხედვით წყვეტილის წარმოებაში ყალიბთა მონაცვლეობის რამდენიმე შემთხვევა დადასტურდა:

- 1) ზმნათა გარკვეული ჯგუფი წყვეტილს ერთდროულად I და IV ყალიბებით იწარმოებს.
- 2) რამდენიმე ზმნა პარალელურ ფორმებს I და II ყალიბებით წარმოადგენს.
- 3) ერთი ზმნა წყვეტილს III და IV ყალიბებით იწარმოებს.
- 4) გამოვლინდა ორიოდ იშვიათი ფორმა, რომელიც შესაძლებლობას გვაძლევს, II და IV ყალიბთა მონაცვლეობაზეც ვიმსჯელოთ.
- 5) აქვე დადასტურდა შემთხვევა, როცა ერთი ზმნა წყვეტილის მწკრივს პარალელურად სამი ყალიბით იწარმოებს (I, II და IV).

4.4. წყვეტილის მესამე სუბიექტური პირის წარმოება

ძველ ქართულში წყვეტილის წარმოებაზე საუბრისას ზოგადად S_3 პირის გამოხატვასაც შევეხეთ. აქვე აღვნიშნეთ განსხვავება, რომელიც ამ საკითხთან დაკავშირებით ძველსა და ახალ სალიტერატურო ენებს შორის გამოიკვეთა. სახელდობრ: თუ ძველ ქართულში მესამე სუბიექტურ პირს მხ. რიცხვში -ა და -თ, იშვიათად კი -ნ და -დ ბოლოსართები გამოხატავდა, თანამედროვე ენას მხოლოდ -ა და -თ სუფიქსები შემორჩა; ძველ სამწერლობო ენას მრ. რიცხვში აღნიშნული პირის გადმოსაცემად -ეს და იშვიათად -ედ ბოლოსართი ჰქონდა. -ეს სუფიქსი დაერთვოდა როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებს. მოგვიანებით -ეს

ბოლოსართი მხოლოდ მოქმედებითი და საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნებს შემორჩა, გარდაუვალ ზმნებთან ამ უკანასკნელს **-ენ** აფიქსი ჩაენაცვლა, რომელიც საბოლოოდ **-ნენ** ბოლოსართმა შეცვალა. დღეს აღნიშნულ ფორმებში ნორმად **-ნენ** სუფიქსის დართვა ითვლება. **-ეს**-ის **-ენ** სუფიქსით ჩანაცვლება ჯერ კიდევ საშუალ ქართულში დაიწყო. საშუალ ქართულშივე მოხდა მისი **-ნენ** ნიშნით შეცვლა. ამის ფაქტები მრავლად მოიპოვება საშუალი ქართულის ძეგლებში.

საშუალი ქართულის ენობრივ მასალაში **-ა** და **-თ** სუფიქსების შესახებ აღარ ვისაუბრებთ. ყალიბთა მონაცვლეობაზე მსჯელობისას ყურადღება მესამე სუბიექტურ პირში ფორმობრივ პარალელიზმზე შევაჩერეთ, სადაც პარალელიზმის შესაძლო შემთხვევებში **-ა** სუფიქსიან ფორმათა აშკარა უპირატესობა დადასტურდა. გამოვლინდა ისეთი ზმნები, რომელთაც ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში **-ა** სუფიქსიანთა პარალელურად თეორიულად დასაშვები **-თ** ბოლოსართიანი ფორმები ვერ დაეძებნა. თუმცა, ამავე მასალაში ისეთი ფაქტებიც დაიძებნა, როცა სუბიექტის **-თ** ნიშანს შესაძლო **-ა** ვარიანტი არ მოეპოვება.

რაც შეეხება მრ. რიცხვს, აქ ყურადღებას მხოლოდ გარდაუვალ ზმნებზე შევაჩერებთ, სადაც ერთმანეთს **-ეს**, **-ენ**, **-ნენ** აფიქსები ენაცვლება. საშუალი ქართული ენის ის პერიოდია, სადაც სამივე ბოლოსართი თანაარსებობს. აღნიშნულ სუფიქსთა განაწილებაში არაერთგვაროვანი სურათია, თუმცა, ზოგჯერ ხერხდება კონკრეტულ ავტორთან ვითარების ქრონოლოგიური თუ ჟანრობრივი მოტივაცია. საშუალი ქართულის ადრეული საფეხურის ძეგლებში **-ენ** და **-ნენ** სუფიქსები თითქმის არ გვხვდება. „ვეფხისტყაოსანში“ გარდაუვალ ზმნათა მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის გამოსახატავად მხოლოდ **-ეს** ბოლოსართია. „ამირანდარეჯანიაში“ რამდენიმე **-ენ** და **-ნენ** ნიშნიანი ფორმა მარტოოდენ გვიანდელ დანართშია. მაგალითად, ერთ წინადადებაში ორივე ფორმა დასტურდება:

რა ლახტების ცემით დაიღალნენ, ლახტები წელში ჩაიპყრეს და კვლადაჰელ ერთმანერთსა ზედა შესცვიფდენ (ამ., 737, 1).

„ვისრამიანში“ კი ორიოდ **-ენ** სუფიქსიანი ზმნაა, არ ჩანს **-ნენ** ბოლოსართი:

სიყუარულისა უარაკოსა შედეგად უარაკოსავე საერთმანერთოსა უწყალო გამწირაობასა მიჰხუდენ (ვის., 267, 7).

ვერ დავადასტურეთ **-ენ** და **-ნენ** ნიშნები XII – XIII საუკუნეთა ისტორიულ საბუთებსა და ლაპიდარულ წარწერებში და არც აბუსერიძე-ტბელის 1233 წლით

დათარიღებულ თხზულებაში. აქ ყველგან მხოლოდ **-ეს** სუფიქსი გვხვდება. შეიძლება თავად ძველთა მოცულობითაც აგვეხსნა მათში ახალ მაწარმოებელთა უქონლობა. მაგრამ ეპოქისა და ძველთა შინაარსის გათვალისწინება ვითარებას თვალნათელს ხდის. მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ იცვლება როგორც ამავე პერიოდის, ისე მომდევნო საუკუნეთა სამართლის ძეგლებსა და ისტორიულ თხზულებებში. აქაც **-ეს** სუფიქსის უჩვეული უპირატესობა აშკარავდება.

ძველი ვითარებაა შენარჩუნებული ისტორიულ თხზულებათა კრებულშიც „ქართლის ცხოვრება“. „ქართლის ცხოვრების“ ენა ჯერ კიდევ ძველი ქართულია. იგი მხოლოდ იწყებს საშუალო ქართულის ნიშნების ათვისებას“ (ქართლის ცხოვრება, I, 1955, 046). **-ენ** და **-ნენ** სუფიქსები დიდ იშვიათობას წარმოადგენს ე. წ. ძველი ციკლის საისტორიო თხზულებათა კრებულში. თითო-თითო ფორმა ჯუანშერის ისტორიის დანართ ნაწილში ვნახეთ, სახელდობრ, ორივე ზმნა XVIII საუკუნის ნუსხაშია, სადაც იოანე ზედაზნელის წმინდა მოწაფეზე, შიო მღვიმელზე მოგვითხრობს ჩანართის ავტორი. თვით ძირითად ტექსტში კი მხოლოდ **-ეს** სუფიქსია ყველგან:

და ყოველსა გარემოს სოფლებსა **მოვიდენ** სხუანი ურიცხუნი სულნი მონაზონებად (ქ. ცხ., I, 211, 12).

-ნენ სუფიქსიანი ზმნაც ამავე ეპიზოდშია:

და მწყემსად **იდგნენ** მგელნი ვირთა (ქ. ცხ., I, 211, 13).

ერთი **-ენ** სუფიქსიანი ზმნა ლაშა გიორგის-დროინდელ მემატეიანესთან ანასეულ ნუსხაშიც მოვიპოეთ:

ესდენად სიშორესა შინა **მივიდენ**, რომელ არცა თუ სახელი ქართველობისა ისმოდა (ქ. ცხ., I, 369, 12).

ძველი ციკლის თხზულებათაგან ბასილი ეზოსმოდგურის ისტორიაშიც გვხვდება ერთი **-ენ** ბოლოსართიანი ზმნა:

ფიცხლად **დამორჩილდენ** შიშითა და სიყუარულითა მისითა (ქ. ცხ., II, 369, 12).

ძველი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები XV – XVIII საუკუნეებშია გადაწერილი, თუმცა, პირველწყაროები გაცილებით ადრინდელ საუკუნეებს ეკუთვნის და, შესაბამისად, ახალი **-ენ/-ნენ** აფიქსებიც არ ჩანს. ხელნაწერთა ავტორები მაქსიმალური სიზუსტით ცდილობენ დედნისეულ ფორმათა შენარჩუნებას. გადაწვერთა ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელი ახალი ფორმები მაინც აღწევენ აღნიშნულ ძველთა ენაში.

ე. წ. ახალი ციკლის ისტორიათა კრებულში შემავალ თხზულებათა შორის ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება“ ერთადერთი, სადაც **-ნენ** სუფიქსიანი ფორმები ძველ **-ეს** ბოლოსართიან ზმნებს – უმნიშვნელოდ, **-ენ** ბოლოსართიანებს კი 2-ჯერ აღემატებიან:

და ძლიერად **შეიბნენ** მუნ ალათანგი ხერხეულიძე და კახი ასლანიშვილი დავით და ორნივე **დაიჭოცნენ** მუნ (ქ. ცხ., II, 408, 27);

და რომელნიმე კახნი **აიყარნენ** და **გაჰყვნენ** ცოლშვილიანად თეიმურაზს (ქ. ცხ., II, 400, 29);

წარმოემართნეს და **მოვიდეს** ხუნანს და **დაიბანაკეს** მუნ ხუნანს, რომელ არს გატეხილი-ჭიდი (ქ. ცხ., II, 417, 4-5);

შერიგდენ დადიანი და გურიელი (ქ. ცხ., II, 361, 24).

როგორც „ქართლის ცხოვრების“ მკვლევარნი მიიჩნევენ, ბერი ეგნატაშვილის სახელით ცნობილი ისტორია ვახტანგ VI-ის „სწავლულ კაცთა“ კომისიის მიერ არის დამუშავებული 1745 წელს. დანარჩენი ორი მომდევნო ტექსტი კი არ შეიძლება ჩაითვალოს ვახტანგისეულად. ისინი მხოლოდ XVIII საუკუნის II ნახევრის ნუსხებშია დაცული. ამ თვალსაზრისის მართებულობას მხარს უჭერს იმ კვლევის შედეგი, რომელიც ახალი „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში **-ეს**, **-ენ**, **-ნენ** სუფიქსთა განაწილებაზე ვაწარმოეთ. აღმოჩნდა, რომ ამ თვალსაზრისით მათში სრულიად განსხვავებული ვითარებაა. ახალი „ქართლის ცხოვრების“ II და III ტექსტებში, პირიქით, **-ეს** ბოლოსართიანი ზმნები მნიშვნელოვნად სჭარბობენ დანარჩენებს. რაც იმაზე მეტყველებს, რომ ამ უკანასკნელთა შედგენა-დამუშავება სხვა ავტორთა მიერ განხორციელდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ზემოაღნიშნული ენობრივი საკითხი ბერი ეგნატაშვილის ტექსტთან იქნებოდა შესაბამისობაში.

ბერი ეგნატაშვილის ისტორიის ერთსა და იმავე ეპიზოდში ერთი და იგივე ზმნა სხვადასხვა სუფიქსით გვხვდება:

მერმე **შეიყარნეს** ბარათიანნი (ქ. ცხ., II, 344, 5);

შეიყარნენ და მოადგნენ ტფილისს (ქ. ცხ., II, 344, 2);

შეიბნეს მუნ გოფანთოსა და იქმნა ბრძოლა ძლიერი (ქ. ცხ., II, 376, 3);

დაიწყო სამდურავი და მტერობა ჩამოვარდა ორთავეს შინა ესრეთვითარი, რომე აქეთ ეს შეიყარა და იქით ისი, და **შეიბნენ** (ქ. ცხ., II, 376, 13).

დასტურდება „შემოქცეს // შეიქცენ // შეიქცნენ“ პარალელური ფორმებიც, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ პრეფიქსიან ვნებითებში ნორმად დამკვიდრებული თავისებურება ამ დროისათვის უკვე საფუძვლიანად წაშლილია:

წარმოსტყუენეს და წარმოიდეს მრავალი ნატყუნავი და **შემოქცეს** ძღევა-შემოსილნი (ქ. ცხ., II, 416, 12);

ხოლო ყიზილბაშნი **შეიქცენ** გამარჯვებულნი (ქ. ცხ., II, 376, 21);

მაშინ სძლია ათაბაგმა და **შეიქცნენ** ქართველნი (ქ. ცხ., II, 347, 19).

აქვე მრავლად შეიძლება ისეთი ფაქტების დამოწმებაც, როცა პარალელური წარმოება ერთ წინადადებაშია:

და მიერთგან **აღიყარნეს** და **წარვიდნენ** (ქ. ცხ., II, 379, 29);

იძლიენეს სპა ქართველთა და უკუნ **იქცენ** (ქ. ცხ., II, 356, 20);

რა მიეწია როსტომ მეფე ნოდარს, **გამოუბრუნდენ** ორნივ ძმანი ჩხეიძენი, **შემოებნენ**, იომეს და დაჯოცნეს იგინიცა (ქ. ცხ., II, 422, 14).

პარალელური ფორმათწარმოება გამოვლინდა ახალი „ქართლის ცხოვრების“ II ტექსტშიც:

და **აღიყარნენ** და **წარვიდენ** და **მიადგნენ** ციხესა ბირთუსისა (ქ. ცხ., II, 469, 23);

ამისა შემდგომად **აღიყარნეს** და **წარვიდეს** (ქ. ცხ., II, 452, 23).

გარდაუვალ ზმნათა მესამე სუბიექტის მრავლობითობას უპირატესად **-ეს** ბოლოსართი გამოხატავს, როგორც XVIII საუკუნეში შედგენილ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, ასევე XII – XVIII საუკუნეთა საერო საკანონმდებლო ძეგლებში. **-ენ** და **-ნენ** სუფიქსები კი სხვადასხვა საუკუნეების სიგელ-გუჯრებში აქა-იქ იშვიათად გვხვდება.

-ნენ ბოლოსართიან ფორმას გამოავლენს XIV საუკუნის „ძეგლი ერისთავთა“:

და შემდგომად მცირედისა **ეუფლნენ** ყოველსა ქუეყანასა ჩუენსა (სამ. ძეგლ., II, 102).

მსგავსი ფორმებია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში და ამავე პერიოდის (1721 წ.) გარიგების სიგელში:

იმას ყაზახნი **დაესხნენ** და ის ცხვარი ძალად წაუსხეს (სამ. ძეგლ., I, 204);

რომე თიანელნიც **შემოგვეხვეწნენ** ამას, და ჩვენც ეს გაუგონეთ ასე და ამრიგად (სამ. ძეგლ., II, 335).

უფრო იშვიათად **-ენ** ბოლოსართიანი ფორმები დასტურდება:

განძლიერდენ ნებითა და ბრძანებითა შენითა... და დანიჰყრნეს საპატრონოდ ტახტი შვიდთავე საქართველოთანი (სამ. ძეგლ., II, 353).

სხვადასხვა საუკუნის სამართლებრივ ძეგლებში ერთ ზმნურ ფუძესთან პარალელური (-ეს და -ნენ სუფიქსიანი) წარმოება გამოვლინდა: XVIII საუკუნის დმრთაების გუჯარში ძველი ფორმაა, XVII საუკუნის სხვა საკანონმდებლო ძეგლში კი – ახალი.

...მოიწივნეს შუამდინართ ათორმეტნი ესე წმიდანი მამანი (სამ. ძეგლ., II, 367);

ოდეს **მოიწივნენ** უღმრთონი ლეკნი საფლავსა და მონასტერსა წმიდისა დავითისასა, წმიდანი მღვდელთ-მონაზონნი და კრებულნი მოსრეს (სამ. ძეგლ., II, 230).

XII – XVIII საუკუნეთა და XIX საუკუნის დამდგვის საერო საკანონმდებლო ძეგლებში **-ენ//ნენ** აფიქსთა სიმცირე ლოგიკურია. მდივან-შემდგენელნი იცავენ იმ ძველ მწიგნობრულ სტილს, რომელიც ნაკლებად შეესაბამება მათ თანამედროვე ცოცხალ მეტყველებას.

გარდაუვალ ზმნებთან **-ენ//ნენ** ბოლოსართთა რეგულარული ფიქსაცია XVII საუკუნიდანაა შესაძლებელი. თეიმურაზ I-თან ისინი იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდება. აქ **-ეს, -ენ, -ნენ** აფიქსები რაოდენობრივად ისე შეეფარდება ერთმანეთს, როგორც 64 : 4 : 2. ავტორი ზოგჯერ აღნიშნულ ბოლოსართებს ერთსა და იმავე ფუძესთან იყენებს. მაგალითად, „ლეილმაჯნუნიანში“ სამივე სუფიქსი ერთ ზმნასთან დასტურდება:

საფლავზე **დადგენ** მშობელნი, სანთელს უნთებენ შამებ და (თ. I, 52. 215, 13);

კარს **მიუდგნენ** მოციქულნი ლეილისა დედ-მამათა (თ. I, 31. 51, 1);

ზედ **მოადგეს** ღამე ბნელსა მას შუქთაგან დაუმაღსა (თ. I, 35. 83, 4).

საგანგებო ყურადღების ღირსია სულხან-საბა ორბელიანის თხზულებები. სპეციალურ ლიტერატურაში შენიშნავენ: „დამახასიათებელია, რომ საბა ორბელიანი, ავტორი „სიბრძნე სიცრუის წიგნისა“, რომლის ენა არსებითად ახალი ქართულია, თხზულებას „სწავლანი ანუ ქადაგებანი“ ძველი ქართული სასულიერო მწერლობის სტილით წერს. რა თქმა უნდა, სულხან-საბა ორბელიანი ამ შემთხვევაში ვერ ახერხებს ძველი ქართულის ვერც მორფოლოგიური და ვერც სინტაქსური ნორმების დაცვას – ძველი ქართული არ იყო მისთვის ბუნებრივი ლიტერატურული მეტყველება, ძველი ქართულის ნორმები მას შეთვისებული

ჰქონდა ხელოვნურად, ძველი ტექსტების კითხვა-შესწავლის შედეგად, მაგრამ სტილის მხრივ სულხან-საბა აღწევს ძველი ქართული სასულიერო ძეგლების ენასთან საოცარ მსგავსებას“ (გიგინეიშვილი 1959: 33).

„სულხან-საბა ორბელიანი სრულიად არ ცდილობს თავის უფლებებში აღადგინოს ძველი ქართული ენა, მაგრამ ზოგ შემთხვევაში – გარკვეული სტილისტიკური დანიშნულებით – იგი დიდი მხატვრული ოსტატობით იყენებს ძველი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ გრამატიკულ ფორმებსაც“ (გეწაძე 1969: 40).

გამოთქმულ თვალსაზრისს ეხმიანება ჩვენი კვლევის შედეგიც. „სწავლანში“ 58 -**ეს** სუფიქსიანი ფორმის გამოყენებას უთუოდ სტილისტური ფუნქცია აკისრია, ამგვარი არქაიზაციით სასულიერო ჟანრის თხზულებისათვის ნიშანდობლივი კოლორიტის შექმნა.

თუმცა, ამავე ნაწარმოებში ძველ ფორმათა გვერდით 9 -**ენ** და 3 -**ნენ** სუფიქსიანი ზმნაც დასტურდება.

საინტერესოა „მიექცენ“ ფორმა. ეს იმ ზმნათაგანია (მოიქცეს, დაირღუეს), რომლებიც პრეფიქსიან ვნებითა ძველ ენაში მოქმედ წესს არ ემორჩილებიან – **-ნ** ფორმანტს **-ეს** სუფიქსის წინ არ ჩაირთავენ და ამიტომ თავისებურ ზმნათა რიგში დგებიან. ძველ ქართულში აღნიშნული ზმნა მხოლოდ „მიექცეს“ ფორმით გვხვდება. მოგვიანებით, როცა **-ეს** სუფიქსი **-ენ** ბოლოსართმა შეცვალა, მოსალოდნელი „მიექცენ“ ფორმა უნდა ყოფილიყო, რაც ამ თხზულებაში დადასტურდა კიდევ, ე. ი. ძველი გრამატიკული ნორმა ახალი ფორმანტით აღიჭურვა:

რაოდენნი უშვილონი შვილიერ **იქმნეს**, რაოდენნი მკვდარნი **აღდგეს**, რაოდენნი მადლითა აღვსებულნი სახლად თვისად **მიექცენ** (საბა, სწავლ., 206, 637).

ამ წინადადებაში გვერდი-გვერდაა ძველი და ახალი წარმოება.

ამ ნაწარმოებშივეა პარალელური წარმოების ისეთი შემთხვევა, როცა **-ეს** და **-ენ** ბოლოსართები ერთსა და იმავე ზმნურ ფუძესთანაა გამოვლენილი:

და ყოველნივე მოციქულნი ძვირ-ძვირითა ტანჯვითა **მოსწყდეს** და დადვეს სული ცხოვართათვის ქრისტესათა (საბა, სწავლ., 208, 645);

უწესონი იყენენ და ნამეტნავისა მიღებითა ვითარისა რისხვითა **მოსწყდენ** და შჯულის კიდობანიცა მიეღოთ (საბა, სწავლ., 215, 667).

სრულიად განსხვავებული ვითარებაა „სიბრძნე სიცრუეში“. საერო თემატიკის იგაგარაკთა კრებულში გარდაუვალ ზმნათა დიდ უმრავლესობას მრ. რიცხვ-

ში პირის ნიშნად თანამედროვე ქართულისეული **-ნენ** სუფიქსი დაერთვის, 74 **-ნენ** სუფიქსიანი ფორმის გვერდით 40 **-ენ** და 21 **-ეს** ბოლოსართიანი ზმნაა:

მოიწივნეს სადაც იყო საფლავი და კიდობანი იგი, დათხარეს, პოვეს და გამოიდეს (საბა, ს.ს., 9);

შეიცილნენ და ყადთან საჩივნელად **წავიდნენ** (საბა, ს.ს., 115);

ჯალაბნი **მომპულდენ** და გავეყარე (საბა, ს.ს., 86).

პარალელური წარმოება ზოგჯერ აქაც გვხვდება:

სლვასა შინა მეკობრენი **შეხვდენ**, სამნი **გაეუბნეს** და მან ხმა არ გასცა (საბა, ს.ს., 15);

ერთი აქლემი და ერთი ვირი, დიად დადლეტილნი, **დაძმობილდენ** და თავის პატრონს **გაეპარნენ** (საბა, ს.ს., 54);

დამოყვრდენ, დიდად **გაიწყვნენ** (საბა, ს.ს., 112);

სამნივ **გამოებნეს** და ერთად **მივიდნენ** (საბა, ს.ს., 62).

პარალელური წარმოება იშვიათად ერთ ზმნასთან რეალიზდება:

რა მივიდა მეფე, **მოეგებნეს**, დასვეს (საბა, ს.ს., 35);

რა მისი სახელი ვახსენე, **მომეგებნენ** კაცნი (საბა, ს.ს., 94).

ზოგჯერ კი სამივე აფიქსია ერთ ფუძესთან:

ძოდან რომელთა ვაჭართა მოეცათ, იგინი მუნ **დახვდეს** (საბა, ს.ს., 15);

კარგა **დამხვდენ**: გამათბეს, მალხინეს, გამანებიერეს (საბა, ს.ს., 94);

დახვდენ მეფისა ვაჭარნი, ცნეს მათი მპარაობა (საბა, ს.ს., 15);

განთიად მოვიდა ყადი და მოწამენი და იგი მტერი მოლაცა **მივიდეს** (საბა, ს.ს., 24);

მივიდენ მასთან (საბა, ს.ს., 27);

მივიდნენ მეფე და ვაზირი (საბა, ს.ს., 109).

თუ „სწავლანში“ „მოიქცენ“ ზმნა **-ნ** ფორმანტის გარეშეა, „სიბრძნე სიცრუეში“ ძველი ნორმა უკვე აღარსად ჩანს. სამივე შემთხვევაში აღნიშნული ზმნა **-ნ** ელემენტით დასტურდება:

მოიქცნენ და მასვე მძორზე შუღლი დაიწყეს (საბა, ს.ს., 145).

-ენ ბოლოსართიანი ფორმა შეგვხვდა თხზულებაში „მოგზაურობა ევროპაში“. ჩვენთვის საინტერესო ეპიზოდში თხრობა რელიგიურ თემას შეეხება:

წმინდა პავლე მოციქული რომ მოვიდა აქ პირველადო და ქრისტე ქადაგაო, მაშინვე **მოიქცენ** ჩვენი მამანიო (საბა, მოგზ., 225).

თუმცა სულხან-საბას ჩვენ მიერ შესწავლილ ნაწარმოებთა შორის **-ეს**, **-ენ**, **-ნენ** აფიქსთა განაწილების თვალსაზრისით ვითარება ამ ძეგლში შედარებით უფრო ახალი ქართულისებრია. აქ ძალზე იშვიათია **-ეს** სუფიქსიანი გარდაუვალი ზმნები, სამაგიეროდ თითქოს თანაბრად გვხვდება **-ენ** და **-ნენ** ბოლოსართები:

ფრანცისებმა გვიცნეს. **მოგვეგებნეს** (საბა, მოგზ., 200);

ექვსი ფლურის თხოვა დაგვიწყეს, ძლივ ხუთას მარჩილს **დაგვჯერდენ** (საბა, მოგზ., 155);

არ **მომეშენენ**. წმიდის პაპის სასახლეში დამაყენეს (საბა, მოგზ., 205).

ნაწარმოებში დასტურდება პარალელური წარმოებაც. ერთ ფრაზაში **-ენ** და **-ნენ** სუფიქსიანი ფორმები გვერდი-გვერდ ჩნდება:

ყოველი კარდინალი თვითო თვითო მოვიდა და ხელს აკოცეს და **გამობრუნდენ** და **დასხდენ** (საბა, მოგზ., 171);

დარბაისელნი **მოგვეგებნენ**. **შეგვიძღვენ** (საბა, მოგზ., 211).

ზოგჯერ კი **-ენ** და **-ნენ** ბოლოსართები ერთ წინადადებაში ერთსა და იმავე ზმნასთან გვხვდება:

გაბრუნდენ, პაპას თაყუანისცეს. **გამობრუნდენ** (საბა, მოგზ., 171).

XVII – XVIII საუკუნეების მწერალია არჩილიც. მაგრამ სულხან-საბა ორბელიანისაგან განსხვავებით, მის პოეზიაში ძველ ფორმებს უფრო ხშირად გვხვდება. მაგალითად, პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ გარდაუვალ ზმნებთან 107 **-ეს**, 54 **-ენ** და 23 **-ნენ** სუფიქსიანი ფორმა დავადასტურეთ. მართალია, „ვისრამიანში“ **-ენ** ბოლოსართიანი ფორმები ჭარბობენ, მაინც მთლიანობაში სურათი არ იცვლება.

აქაც ბევრი ისეთი მაგალითის დამოწმება შეიძლება, როცა ერთ ზმნურ ფუძესთან **-ეს**, **-ენ**, **-ნენ** აფიქსები ცვლიან ერთმანეთს. მაგალითად, პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ ავტორი მეზობელ ტაეკებში მიმართავს ძველსა და ახალ წარმოებას:

ავს დღეს შეასწრო გიორგიმ ქალი გამდელი, ხადუმი,

რა **გამოსცილდეს** ლომისას, ხმა არის მო დასადუმი (არჩ., II, 664, 4);

გამოსცილდენ ლომისასა, უკან მოჰყვა მათ გიორგი (არჩ., II, 665, 1).

„ვისრამიანში“ **-ეს** და **-ნენ** აფიქსებია ერთ ზმნასთან:

ყოვლგნით **მოვიდნენ** მძღვეკელნი ღაშქარნი გამარჯვებულნი (არჩ., I, 143. 77, 1);

მოვიდეს ყოვლგნით ლაშქარნი, მინდორი ველარ იტევდეს (არჩ., I, 162. 214, 1).
აღსანიშნავია, რომ ერთსა და იმავე პოემაში აღმოჩნდა „გაგვექცნეს“, „გამოექცეს“, „გაექცნენ“ ფორმები. ერთ შემთხვევაში თუ ნორმა დაცულია, მეორეგან **-ნ** ფორმანტია ჩართული ზმნაში, რამდენჯერმე კი **-ნეს** ბოლოსართს **-ნენ** ენაცვლება:

სომხები თუ **გამოექცეს**, რა გიკვირს თხისგან-უთხია (არჩ., II, 928, 4);

რაც გადაგერჩა, მალ **გაგავექცნეს**, ვინ-ვის წინა წაუსწრობდა (არჩ., II, 555, 1);

ყველა უომრად **გაექცნენ**, ეს ვინ არ გაიკვიროსა? (არჩ., II, 235, 3).

ეს ფაქტი ძველი გრამატიკული ნორმის მოშლაზე მეტყველებს.

-ეს, -ენ, -ნენ აფიქსთა განაწილების ამსახველი სურათი კიდევ უფრო საინტერესოდ XVIII საუკუნის მწერალთა შემოქმედებაში გამოიყურება. XVIII საუკუნე ენის განვითარების ის ეტაპია, როცა ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმები უკვე კარგადაა დამკვიდრებული როგორც ცოცხალ მეტყველებაში, ისე სამწერლობო ენაში, მაგრამ ძველი ქართულიდან მომდინარე ენობრივი ნორმები ჯერაც ძალაშია. ამის მიზეზი თავად ძველის შინაარსი შეიძლება იყოს, ან ცალკეული ავტორის სურვილი, ძველი სამწერლობო ტრადიციის გამგრძელებლად დარჩეს. ამიტომაც არაერთგვაროვანი ვითარებაა თეიმურაზ II-ის, ბესიკის, დავით გურამიშვილის შემოქმედებაში.

თეიმურაზ II-ის ნაწარმოებებში მცირედით სჭარბობენ ახალი ფორმები ძველს. მნიშვნელოვანია, რომ აქ **-ეს** და **-ნენ** აფიქსთა გადანაწილებისას გადამწყვეტი თვით ნაწარმოების უანრია. ლექსებსა და პოემებში აშკარად შეიმჩნევა **-ეს** სუფიქსთა სიმრავლე, ხოლო პროზაულ ნაწარმოებებში პირიქით, **-ეს** სუფიქსიანი ზმნები ახალ **-ნენ** სუფიქსიან ფორმებზე ორჯერ ნაკლებია. მაგალითად, ჩვენ მიერ მოძიებული 21 **-ეს** ბოლოსართიდან 15 პოეზიაზე მოდის, 6 კი „თიმსარიანში“ გვხვდება. 24 **-ნენ** ბოლოსართიდან 16 „თიმსარიანშია“, დანარჩენი 8 – პოეტურ თხზულებებში. საგულისხმოა, რომ პოეზიაში გამოვლენილი 15 **-ეს** სუფიქსიდან 13 შეგვხვდა პოემაში „სარკე თქმულთა“ ანუ „დღისა და ღამის გაბაასება“. თითქმის ყველა მათგანი პოემის სასულიერო ნაწილშია, სადაც ძველი და ახალი აღთქმის ამბებია მოთხრობილი. რელიგიური თემატიკა კი თავისთავად ძველ ფორმებს გულისხმობს. თუმცა პოემის სასულიერო ნაწილში იშვიათად **-ნენ** ბოლოსართიანი ფორმებიც გვხვდება, ისევე როგორც საეროში – **-ეს** ბოლოსართიანები:

რად აღიძრნესო წარმართნი, ერმან იზრახა ცუდათა (თ. II, 37. 299, 2);

იყო სიბერე ისაკის, მას **დაუბრყვილდეს** თვალნია (თ. II, 14. 104, 1);

მის ნაყოფის გემოს ნახვით იგ **დაეცნენ** ჭამისაგან (თ. II, 6. 42, 3).

სპარსულიდან თარგმნილ „თიმსარიანში“ **-ნენ** ბოლოსართის სიჭარბეც ლოგიკურია. საყოფაცხოვრებო თემებზე შექმნილ იგავ-არაკთა კრებულში ავტორი უფრო ახალ ფორმებს აძლევს უპირატესობას:

სპილოები სულ **დაირუჯნენ** და **დაიწვნენ** (თ. II, 158, 17);

და **დაღონდნენ** ვეზირები და მუნაჯირები (თ. II, 144, 27).

დავიმოწმებთ პარალელურ ფორმათწარმოებასაც, რომელსაც თეიმურაზ II მიმართავს ხანდახან. „თიმსარიანში“ **-ეს** და **-ენ** სუფიქსებია გვერდიგვერდ:

შემოკრბეს დღესა ერთსა შვიდნივე იგი ვეზირნი (თ. II, 146, 30);

რა ბრძანება ესმათ, ყველანი **შემოკრბენ** (თ. II, 204, 28-29).

XVIII საუკუნის II ნახევრის პოეტი ბესიკი ძველ წარმოებას მიჰყვება. მის პოეზიასა და პირად წერილებში უფრო ნაკლებად ახალ ფორმებსაც ვხვდებით. აქ **-ენ** და **-ნენ** სუფიქსიან ზმნათა რიცხვი თითქმის თანაბარია:

ცრემლით **აღმევსნეს** მწირნი თვალები (ბეს., 4. 5, 3);

ოთხნივე ძმანი **შეითქვნეს**, შარვაშის-ძენი მძლეველნი (ბეს., 29. 3,3);

თითო მჯილი ერთმანერთსა შემოჰკრეს და **შეიტაკნეს** (ბეს., 48. 5 1);

როს **გაშველდენ**, **წაცაიქცნენ**, ერთი იქით, ერთი აქეთ! (ბეს., 49. 10, 1);

განეშორნენ შეუსწრებელსა შესამატსა ნაყოფსა მას პოლიტიკისას (ბეს., 106).

„ბესიკის თხზულებებში დადასტურებული არქაული მოვლენების ხვედრითი წონა გაცილებით უფრო მეტია ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელ ფორმებთან შედარებით... ჯერ კიდევ ძლიერია ძველი ქართული ენის ენობრივი ნორმების გავლენა, მაგრამ ამ ნორმებს ბესიკი ბოლომდე ვერ იცავს. ამის დადასტურებას წარმოადგენს ახალი ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი მოვლენების არსებობის ფაქტი“ (ქლენტი 1989: 163).

გარდაუვალ ზმნებთან მესამე სუბიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელ აფიქსებზე წარმოებული დაკვირვებაც უთუოდ ეხმიანება საყოველთაოდ ცნობილ აზრს იმის შესახებ, რომ დავით გურამიშვილმა პოეზიაში ახალი ქართული სალიტერატურო ენის დამკვიდრებას ყველაზე დიდი სამსახური გაუწია. „დავითიანში“ თითქმის არსად გვხვდება **-ეს** სუფიქსი გარდაუვალ ზმნებთან. აქ ყველგან

-ენ და -ნენ ბოლოსართებია. აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელთა რიცხვი თითქმის თანაბარია:

მაგრამ კვლავ **შესცდენ** მის გზათა, რა ცოდვის ბურმან მონისა,

ჩაცვიფდენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს მადლთა ფონისა (დავითიანი, 47. 145, 3-4);

გამოესალმნენ მეფესა ქართველნი მუკლზედ ხვევითა (დავითიანი, 102. 540, 1);

კაცს **წაეკიდნენ** გოგო და ბიჭი (დავითიანი, 199. 134, 1).

არის პარალელური წარმოების შემთხვევებიც:

აღიძრენ ერნი, იზრახეს ცუდისა მიდებ-მოდება (დავითიანი, 28. 6, 3);

შეითქვნენ ერნი, **აღიძრნენ** ცუდისა განძრახებადა (დავითიანი, 38. 82, 4).

„კალმასობაში“, მართალია, **-ენ** და **-ნენ** ბოლოსართიანი ზმნები ძველ **-ეს** სუფიქსიან ფორმებს საგრძნობლად სჭარბობენ, ძველ წარმოებას მაინც თავისი ადგილი უჭირავს:

და ოდეს **დაუახლოვდეს** ურთიერთსა მეწინავენი სპარსთა და ქართველთანი, პირველსავე კვეთებასა შინა მამაცად **ეკვეთნეს** ქართველნი (ბატონიშ., II, გვ. 120);

ამაზედ ბევრი იცინეს და მადლობელნი ორნივე კერძონი **განშორდენ** ერთიმეორეს (ბატონიშ., II, 8);

და ესრეთ ძლეულნი **განიბნივნენ** სპარსები და მხედარნი ქრისტესნი **მოადგნენ** ბახტრიანის ციხესა (ბატონიშ., II, 111).

აქ საკმაოდ ბევრია ისეთი შემთხვევები, როცა ერთ წინადადებაშია ძველი და ახალი ფორმები:

აღიძრნენ ბილწნი ესე და **მოიწივნეს** მანგლისსა, რომელსა ეწოდა კველთა (ბატონიშ., II, 91);

იხილეს რა ბერი, ყოველნივე **მიესალმნენ** და მოიკითხნეს ურთიერთი და **დასხდენ** ესენი (ბატონიშ., II, 140);

შემოეხიზნენ ქართველთ და **დასახლდენ** ესენი (ბატონიშ., II, 228).

„კალმასობაში“ დასტურდება იმის მაგალითიც, როცა ერთ წინადადებაში ერთსა და იმავე ზმნასთან რეალიზდება ძველი და ახალი წარმოება:

და ოდეს მტარვალნი და სხვანი უკვე სპარსნი **წარვიდენ** სახლად თვისა და იყვნენ მოცულ განკვირვებითა დიდითა, **მოვიდეს** იღუმალ კაცნი ნათესავით სომეხნი (ბატონიშ., II, 118).

გარდაუვალ ზმნათა მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობის აფიქსთა შესახებ საშუალო ქართულის ძეგლებში მოპოვებულ მასალას თუ მთლიანობაში შევავლებთ თვალს, ასეთი სურათი გამოიკვეთება:

საშუალო ქართულის ადრეული ხანის (XII – XIII სს.) ძეგლებში **-ეს** აფიქსია ძირითადი. „ვეფხისტყაოსანში“ ის ერთადერთი მაწარმოებელია როგორც გარდამავალ, ისე გარდაუვალ ზმნებში. „ამირანდარეჯანიაში“ მხოლოდ მერმინდელ დანართშია რამდენიმე ახალი ფორმა; „ვისრამიანში“ ერთგან თუ შევხვდით ახალ წარმოებას. შემდგომ საუკუნეებში **-ეს** სუფიქსის გვერდით ახალი მაწარმოებლები ჩნდება. **-ენ//ნენ** აფიქსთა რეგულარული ფიქსაცია XVII საუკუნიდან ხერხდება, მაგრამ **-ეს** ბოლოსართი მაინც ინარჩუნებს ძველ პოზიციას. XVIII საუკუნიდან მოყოლებული კი ავტორთა უმრავლესობა ახალ წარმოებას ირჩევს.

-ენ და **-ნენ** სუფიქსთა ურთიერთმიმართებას რაც შეეხება, ისინი საშუალო ქართულში თანაარსებობენ. თუმცა, ყველგან აშკარაა **-ნენ** ბოლოსართის უპირატესობა. შევეცადეთ, მათ განაწილებაში გარკვეული წესრიგი დაგვეჩვენო: პრეფიქსიანი ვნებითები უფრო ხშირად **-ნენ** სუფიქსიან წარმოებაზე ეწყობიან; დონიანი ვნებითები და **დ** თანხმოვანზე ფუძედასრულებული სხვა ზმნები უფრო მეტად **-ენ** ბოლოსართს დაირთავენ; საშუალო-ვნებითები და უნიშნო ვნებითები შუალედურ მდგომარეობაში არიან. ხშირად კი პარალელურ ფორმათა გამოყენებას სტილისტური დანიშნულება აქვს.

4.5. ბრძანებითის ფორმები

საუღლებელ ერთეულთა რაოდენობაზე მსჯელობისას მიმოვიხილეთ თვალსაზრისები, რომლებიც ზმნის უღლების სისტემაში ზოგიერთი მწკრივისათვის ადგილის მიჩენას შეეხებოდა. სადავო მწკრივთა შორისაა ე. წ. „II ბრძანებითიც“, რომელიც წყვეტილისაგან მხოლოდ ფუნქციითა და სუბიექტური მესამე პირის ნიშნებით განსხვავდება.

გაზიარებული თვალსაზრისისამებრ, ბრძანებითის ფორმებს განვიხილავთ არა როგორც დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულს, არამედ როგორც წყვეტილის ფორმობრივ ვარიანტებს, მისგან მხოლოდ მესამე სუბიექტური პირის ნიშნებით განსხვავებულს. საწარმოებელი ფუძის პრინციპი საფუძველშივე გამორი-

ცხავს ოდენ ფუნქციით განსხვავებულ ფორმათა დამოუკიდებელ მწკრივებად მი-
ჩნევას.

თ. უთურგაიძის აზრით, წყვეტილისაგან II ბრძანებითის გამოცალკევება
შესაძლებელი ხდება მათი კონვერსიული წყვილების მეშვეობით:

წყვ:	კავშ:	ბრძ:
დამხატე ~ დავიხატე	დამხატო ~ დავიხატო	დამხატე ~ დავიხატო
დახატე ~ დაიხატა	დახატო ~ დაიხატოს	დახატე ~ დაიხატოს

(უთურგაიძე 1996).

მაგრამ კავშირებითსა და ბრძანებითში კონვერსიულ წყვილთა ფორმობრი-
ვი დამთხვევისას მათი განსხვავება ამჯერად უკვე მხოლოდ „სინტაქსური გარე-
მთი ხერხდება“. მორფოლოგიის სფეროში სინტაქსური ინვენტარის შემოტანა
და მათი გამოყენებით კლასიფიკაციის პრობლემის გადაჭრა ვითარებას მხოლოდ
ართულებს და ტრადიციულ გრამატიკათა ოდინდელ ქაოსში გვაბრუნებს.

ბრძანებითის ფორმათა განკერძოებულად მიმოხილვა ემსახურება მიზანს,
საშუალო ქართულის მასალაზე დაყრდნობით წყვეტილის ფორმებთან მათი
იდენტურობა ვაჩვენოთ: განსახილველ ფორმათა წარმოება წყვეტილის წარმოე-
ბის ანალოგიურია. ბრძანებითის ფორმები იზიარებენ თითქმის ყველა იმ თავისე-
ბურებას, რაც წყვეტილის მწკრივზე მსჯელობისას გახდა საცნაური.

I ყალიბით წარმოებული წყვეტილის სხვა დანარჩენ ზმნათა მსგავსად
ბრძანებითის ფორმებშიც იშვიათია მხ. რიცხვის ნართაულხმოვნისანი „მოგკალი“
ტიპის ზმნები. ისინი აქაც ძირითადად მხატვრულ ტექსტებშია. პოეზიაში მათი
გამოვლენა უმეტეს შემთხვევებში სალექსო საზომით აიხსნება. ნართაულხმოვნი-
ან ფორმათა დამოწმება უმთავრესად XVII საუკუნიდანაა შესაძლებელი. თუმცა
„ვეფხისტყაოსანშიც“ ვნახეთ „მოგკალი“ ტიპის ზმნა, რომელიც მხოლოდ სარიტ-
მო ერთეულადაა აქ გამოყენებული:

ამას გკადრებ, არ ეგების მარტოსაგან წასლვა შენი,

თანა ყმათა წამოგატან იმსახურენ, **იახლენი** (ვეფხ., 1006, 2).

პოეტური აუცილებლობა შეაპირობებს ამგვარი ფორმების გამოჩენას თეი-
მურაზ II-ის, ბესიკის, დავით გურამიშვილის, არჩილის პოეზიაშიც:

უბრძანა: რადგან ცოდნა გაქვს, ლექსები **გამოსთქვენო**

გინახავს ყველას, მოგწონსცა სულ ჩემნი დანაწერნიო (თ. II, 123. 15, 3);

სად ფერნამკრთალსა მარტორქის ძალსა,

ძლითღა უპყრიან სიკვდილნი მზანი!

გაწირვად მისულს სოფლის განსასრულს
მუშთარი შვებად **შეამეცანი** (ბეს., 63. 6, 8);

ამას გწერ გრიგოლ კრემენ-ჩუკელი,
გირჩევ, ცოტადრე ჭამას **უკელი** (ბეს., 78);

კარგად განწყობით მაგრად **შეკარი**
იგერივად უქმენ კიდობანს კარი (დავითიანი, 253. 521, 1);

ქნა შიშით კანკალი
თქვა: „ღმერთო, **მამკალი** (დავითიანი, 226. 315, 4);

მაგიტ სხვას ნუ ემსგავსეთ, თქვენ მაღალ-ხართ და სხვა ქენი,
თვარ კაცობას ნულარ იტყვით და პირუტყენი **დაირქენი** (არჩ., I, 28. 69, 4);
სახლი დავაგლო, დამრჩება, ვით მონაგლეჯი, ნახევი,
ეს შენი უსამართლობა, უწყალოვ, მოდი, **ნახევი** (არჩ., I, 38. 154, 4).

დასახელებულ შემთხვევებში რითმან „მოვკალი“ ტიპის ზმნათა გამოვლენის საფუძველი, მომდევნო ტაეპებში კი მუხლთა თანაბარზომიერება:

ტანსა რაც გინდა **უყავი**, თავს ნუ შემირყეო (დავითიანი, 82. 395, 1);
უთხარ: უკანვე **ქენი** ნავარდი (დავითიანი, 244. 454, 2);

ნოემ გაუშვა სარკმლით ყორანი,
სცანი, თუ ღმერთმან წყალთ უყო რანი (დავითიანი, 257. 550, 2);

ბატონი თუ ჯდეს მოწყენით, უთქმელად დასულელებული,
ნურც შენ იცინი, მათთანა **დუმენი** სულდაღებული (არჩ., I, 9. 54, 2);

თათბირი **ჰქენი**, მანდ იხმე, ღრუბლით მზე აღარ დაჭმუნდეს (არჩ., I, 153. 146, 3).

I ყალიბის ზმნათა მხ. რიცხვის ფორმებთან ნართაული -ი კიდევ უფრო იშვიათად პროზაულ ტექსტებში შეგვხვდა:

რაცა გთხოვოს ფასი, **მიეცი** (თ. II, 193, 17);

მოიქეცი, ცხოვარო წარწყმედილო (საბა, სწავლ., 49);

თუცა რისხვა გნებავს ჩემი, **მომკალი** და ამიკლე (საბა, ს.ს. 149);

მე შენგან გამიგონია სანდურავი ჩემზედ, და რა არის საგანი, **მიტხარი** მე (ბატონიშ., II, 232).

საინტერესოა, რომ ბრძანებითის არქაულ ფორმათაგან „მოგკალთ“ ტიპის იშვიათი ზმნები უმეტესად პროზაულ თხზულებებში დასტურდება, პოეზიაში კი მათი გამოჩენა თითქმის ყველა შემთხვევაში ლექსთწყობის საკითხია.

ისტორიული და სამართლებრივი ხასიათის ძეგლებში ასეთი ფორმები აქა-იქაა შემორჩენილი.

ლენტი მროველის თხზულებაში „მოგკალთ“ ზმნა მარიამისეულ (XVII ს.) ხელნაწერშია:

ყოველმან ქართველთაგანმან რომელმან პოვოს საჭურველი, **მოკალთ** იგი (ქ. ცხ., I, 20, 11).

ჯუანშერის ისტორიაშიც შეგვხვდა ასეთი ზმნები. მარიამისეულ ნუსხაში დადასტურდა ამგვარი წარმოება:

ჩემ ზედა და თქუენ ზედა სწორად მოწვენული არს განსაცდელი ესე, არამედ ესრეთ **იყართ**, ვითარცა არა მოწვენულ არს თქუენ ზედა (ქ. ცხ., I, 148, 1);

უთხართ მეფესა ხუასროს: პირველად განემზადეთ ბრძოლად ჩუენდა (ქ. ცხ., I, 200, 10).

ეს უკანასკნელი XVIII საუკუნის I მეოთხედის თეიმურაზისეულ ხელნაწერში უკვე ნართაული ხმოვნით არის წარმოდგენილი (უთხართ).

XVI საუკუნის ანასეულ ხელნაწერში ძველი ქართულისეული ფორმაა, რომელსაც XVII საუკუნის მარიამისეულ და XVIII საუკუნის მაჩაბლისეულ ნუსხებში ახალი წარმოება ენაცვლება:

თაყუანის-ეციოთ ჯუარსა და ვსძლოთ მტერსა, რომელმან არა თაყუანისცეს, **მოკალთ** (ქ. ცხ., I, 174, 1).

ვატანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, კერძოდ, ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში დადასტურდა „მოგკალთ“ ტიპის ზმნა:

რამეთუ ესე, რომელი ვსთქუა, **გულისხმა ყავთ** და დაიდევით გონებასა თქუენსა (სამ. ძეგლ., I, 132).

სულხან-საბას ნაწარმოებებიდან მხოლოდ „სწავლანში“ შეგვხვდა ამ ტიპის არქაული ფორმები. თუმცა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, სტილისა და გრამატიკულ ფორმათა არქაიზაციას აქ სხვა დანიშნულება აქვს, შექმნას ძველი ქართული სალიტერატურო ენის ილუზია. ამიტომაც გვერდი-გვერდაა ძველი და ახალი წარმოება:

გულისხმა-ყავთ ღოცვასა ზედა, მოუბარნო, თუ ვითარისა სატანჯველისა თანა-მდებ ხართ! (საბა, სწავლ., 26);

გულისხმა-ყავით, ვითარ სანატრელ არს ადგილი უფლისა და სახლი ღმრთისა (საბა, სწავლ., 164, 503);

საყვარელნო, ამით **სცანთ** სიბოროტე მემთვრალობისა (საბა, სწავლ., 217, 676);
და **სცანტცა** მართლმადიდებელთა, რამეთუ სამნი საჯმარ არიედ პური, ღვინო და წყალი ზიარებად (საბა, სწავლ., 42);

სცანით, რამეთუ ესე იგი არს განზავება (საბა, სწავლ., 43).

პოეზიაში მოძიებული ბრძანებითის ძველი ქართულისეული ფორმებიდან თითქმის ყველა მათგანი ლექსის საზომს ემსახურება.

მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“ ახალი ქართულისათვის დამახასიათებელი ფორმის გამოყენება თექვსმეტმარცვლიან ტაეპში მუხლთა („რეულთა“) თანაბარმარცვლიანობას დაარღვევდა, ამიტომაც ავტორმა ძველ ფორმას მიმართა:

მართალ ხართ, **მომკალთ**, რა გესმას ამბავი გაკვირვებული (ვეფხ., 744, 2).

ასეთივე საფუძველი აქვს „მომკალთ“ ტიპის ზმნათა გამოჩენას თეიმურაზ I-ის პოეტურ ნაწარმოებებში:

ჰქენთ, წადით გალილიასა, მუნ ნახოთ – მიელოდებით (თ. I, 152. ქ4);

სცანთ, უცილოდ გარდახდების – კაცი იქმსო რასაც ავად (თ. I, 41. 126, 4);

იცანთ ღმერთი უკეთესი, სჯობს კერპთაგან განყენება (თ. I, 95. 282, 2).

იგივე ითქმის ბესიკის პოეზიაში დადასტურებულ არქაულ ფორმებზეც. მარცვალთა თანაფარდობა შეაპირობებს მათ არსებობას როგორც „რძალ-დედამთილიანის“ თექვსმეტმარცვლიან სტრიქონში, ისე მუხამბაზის ფორმით დაწერილი „ტანო ტატანოს“ ტაეპის მონაპირე მუხლებში:

მიუპყართ ყური მთქმელსაცა, ამისა წარმომჩენელსა (ბეს., 48. 1, 4);

მკვდარი მიჯნური დამიტირეთ, **დამფალთ** სამარეს (ბეს., 7. 5,4).

ანალოგიური ვითარებაა დავით გურამიშვილის „ქაცვია მწყემსში“:

სცანთ, მათ ქნეს სარფა რა, აჭამვა ფანფარა

ედემთ ხილთ ნაცვლად (დავითიანი, 243. 442, 3).

როცა ქრისტიანობასთან დაკავშირებულ თემებს ეხება „კალმასობაში“, სასულიერო უანრისათვის ნიშანდობლივი ენისა და სტილის მისადაგებას იოანე ბატონიშვილი ამგვარი ფორმებითაც ცდილობს:

ყოველთა მამათ ანუ **უარჰყავთ** ქრისტედ და ანუ შეკრულნი შეგიყვანეთ შინაგან ეკლესიისა თქვენისა (ბატონიშ., II, 129);

ჰყავთ იგი, ჩვენ უკვე ხრწნადისა სოფლისა ამის დიდებამან ვერა განგვაყუნოს სიყვარულსა მას ქრისტესა (ბატონიშ., II, 129).

რაც შეეხება ნაწილობრივ რედუცირებადი საყრდენი მორფემის მქონე უნიშნო ბრძანებითის ფორმებს, როგორც მოსალოდნელი იყო, ძველი ქართულიდან შემორჩენილი ეს იშვიათი ზმნები დადასტურდა „ქართლის ცხოვრებაში“ და სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანში“. თითო-თითო ზმნას იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ და არჩილის პოემებშიც შევხვდით.

ლენტი მროველის მარიამისეულ ხელნაწერში ორიოდე ფორმა ვნახეთ:

მიაართუ მცხეთას მეფესა მას წარმართთასა (ქ. ცხ. I, 86, 7);

და სადა პოვნე ვნებანი იგი ცეცხლისანი, ცეცხლითა დაწუნ, და ნაცარი **შეასუ** რომელნი მათ ესვიდენ (ქ. ცხ., I, 130, 2).

XVIII საუკუნის მაჩაბლისეულ და დადიანისეულ ნუსხებში ამ ზმნას „შეასვ“ ფორმა სცვლის.

ასეთივე ზმნის ფორმებია ჯუანშერის ისტორიაშიც:

რეცა ეგევითარივე გურგუნი მისცა ვახტანგს, და რქუა: „**დაარქუ** ეგე პეტრეს“ (ქ. ცხ., I, 167, 17);

უკეთუ გნებავს, რათა მოგცე გურგუნი, **აღუთქუ** ვინ ესე დგას ჩუენ ზედა, რათა ჰბრძოდი მტერსა მისთა და მიიღე მისგან გურგუნი (ქ. ცხ., I, 167, 22);

დადეგ წინაშე პირსა მტერისასა და ერისა ჩუენისასა, და **არქუ** ყოველთა: „თაყუანის-ეცით ჯუარსა და ესძლოთ მტერსა (ქ. ცხ., I, 173, 20);

რა გნებავს **სთქუ**, და ყოველი მიგცე (ქ. ცხ., I, 214, 15).

უამთააღმწერლის თხზულებაშიც ვნახეთ ნახევრად რედუცირებადი საყრდენი მორფემის შემცველი ზმნა:

წარვედ და **თქუ**, რამეთუ შენ მოჰკალ კაცი იგი (ქ. ცხ., II, 210, 15).

სულხან-საბა ორბელიანი ამ ტიპის არქაულ ფორმას „სწავლანში“ მიმართავს იქ, სადაც რელიგიურ საკითხზე მსჯელობს:

მითხარ მე, სხვა რაღა მოითმინენ ესეთი, რომელ ჯოჯოხეთისა სატანჯველთა მსგავსი იყოს ანუ სასუფეველთა სიხარულის დამვიწყები, – **სთქუ** აწ (საბა, სწავლ., 177, 544).

ბრძანებითის ანალოგიური ფორმა დადასტურდა პოეზიაშიც, თუმცა არჩილის „ვისრამიანში“ მის გამოვლენას პოეტური აუცილებლობით ვერ ავხსნით:

უთხრა: „**არქუთ** ვისს აქ მოსულს, ნუმც ექნება დღე მოწყენის“ (არჩ., I, 187. 431, 3).

საშუალო ქართულის ენობრივ მასალაში ასევე იშვიათია უმარცვლო საყრდენი მორფემის შემცველი ბრძანებითის ფორმებიც. პოეზიაში თუ პოეტური

აუცილებლობითაა ისინი გამოყენებული, პროზაში მათი გამოვლენა მიეწერება ავტორისეულ ცდას, შექმნას ძველი ქართული ენის ილუზია:

გარდაეთხ უხვად, ნუგეშის მქუხვად
მას მიახმარენ ზენარი ცანი (ბეს., 63. 6, 3);

შეირტყთ სარტყელი სჯულისა, სიმხნისა, გულადობისა (არჩ., I, 53. 286, 1);
ავის სიტყვის აღმოშვებად ენას შენსა კბილნი **დაადგ**,
გიჯობს, იწვრთნა, დაადუმო, გარედამაც ბაგე **მოადგ** (არჩ., I, 92. 80, 1-2);
დაართხ, უკვე **დაართხ** მანოეს ძის ძლიერისებრ ლომ-ლეკვი მყვირალი
თამნად ჩვენ შორის ძლევით (ბეს., 85, 24);

მარქე, რომელიდა მოგიტეოს მამამან? (საბა, სწავლ., 163, 500);

დაადგ თავსა მისსა გურგუნნი ქვისა მისგან პატიოსნისა (სამ. ძეგლ., II, 53);
მივედ და აცნობე ჩემი ქიზიყის ქვეყანით მისვლა მონასტერს და **არქე**
ლოცვა-კურთხევაცა (ბატონიშ., I, 11);

ნუ გეშინინ, განვედ და ზედან **დაესხ** მტერთა მათ შენთა (ბატონიშ., II, 84).

საინტერესოა, რომ უმწკრივისნიშნოდაა წარმოდგენილი ბრძანებითის ისეთი ფორმებიც, რომელთა საყრდენი მორფემა ასევე უმარცველოა, მაგრამ მწკრივის ნიშნად -ე სუფიქსი ივარაუდება, ე. ი. უნიშნო წარმოება IV ყალიბის ზმნებთან დასტურდება. ამგვარი რამ უცხოა ძველი ქართულისათვის.

თეიმურაზ II-ის პოემაში IV ყალიბის უმწკრივისნიშნო ბრძანებითის ფორმა საღექსო საზომის სამსახურშია:

ადიმსთვ, აღკარვდი, მიგვალე, ღამე ვლენ, ანუ დღისია! (თ. II, 12. 93, 2).

ენისა და სტილის არქაიზაციით გატაცების უფრო ცხადი მაგალითია III ყალიბის უმწკრივისნიშნო ზმნის დადასტურება. თუმცა არჩილთან ასეთი ფაქტის არსებობა პოეტური აუცილებლობითაა განპირობებული:

ღმერთო ძლიერო, გულთ მეცნიერო,

მომხედ წყალობით შენ-მიერთა (არჩ., I, 243. 90, 2).

ძველ ქართულში წყვეტილის მწკრივში თხრობითი და ბრძანებითი კილოს II პირის ფორმებს ურთიერთისაგან მხოლოდ სუბიექტის ნიშანი განასხვავებდა – ბრძანებითს სუბიექტური ნიშანი არ ჰქონდა, თხრობითს კი ჰქონდა:

ბრძ. მო-კალ! თხრ. მო-ჰ-კალ

მო-კალ-თ! მო-ჰ-კალ-თ

ძველი ქართულისეული დაპირისპირება ახალ სალიტერატურო ენას აღარ შემორჩა. ფორმობრივი განსხვავება „ამჟამად მხოლოდ თანხმონით დაწყებულ

ფუძეებში ხერხდება (§ 52): მეორე სუბ. პირს წყვეტილში ნიშანი უნდა, ბრძანებითში – არა. ესეც იმ შემთხვევაში თუ ზმნა ერთ-პირიანია ან ორ-პირიანი, მაგრამ გარდამავალი, თანაც პირდ.-ობიექტური პირი მესამეა... ფორმობრივი განსხვავება წყვეტილსა და ბრძანებითს შორის დაიკარგება, ა) თუ ზმნა ორ-პირიანია და პირდ.-ობიექტური პირი პირველი,... ბ) იგივეა მაშინაც, თუ ზმნა სამ-პირიანია და პირდ.-ობიექტური რომელიც უნდა იყოს, თუნდაც მესამე, რადგანაც აქ ორგანვე ფორმაში მესამე პირის ობიექტური ნიშანი ექნება“ (შანიძე 1980: 431-432).

„ჯერ კიდევ ძველ ქართულში დაიწყო გაუგებრობა და ფორმების აღრევა. ეს გაუგებრობა თანდათან იზრდებოდა და მატულობდა საშუალ ქართულში... წაიშალა ფორმალური განსხვავება ბრძანებითსა და თხრობითს შორის“ (შანიძე 1981: 218). გათანაბრების პროცესი საშუალ ქართულში უკვე დაწყებულია. ამიტომაც ჩვენ მიერ შესწავლილ სამწერლობო ძეგლებში სუბიექტური პირის ნიშანი ბრძანებითის ხსენებულ ფორმებთან იშვიათობას არ წარმოადგენს. იგი ძირითადად XVII საუკუნიდან გვხვდება. თეიმურაზ I-ისა და თეიმურაზ II-ის პოეზიაში ალაგ-ალაგ დადასტურდა ბრძანებითის პრეფიქსიანი (S₂) ფორმები:

ჰქენთ, წადით გალილიასა, მუნ ნახოთ – მიელოდებით (თ. I, 152. ქ-4);

სცანით, სიბრძნისა ტრფიალნო, ძალნი სიტყვათა თქმულისა (თ. I, 3. 3, 1);

პრქვა მათ იესო: „**განჰსენით**, ვიდოდეს ჩემის ძალითა! (თ. II, 34. 269, 4);

გულისხმა ჰყავით, ჩემნითა შესხმა რით გაიბედოთა (თ. II, 117. 3, 1);

მიბრძანა: „რადგან ცოდნა გაქვს, ლექსები **გამოსთქვენით** (თ. II, 123. 15, 3).

ბესიკის, დავით გურამიშვილის, არჩილის შემოქმედებაში კი ამგვარი ფორმები საკმაოდ ხშირია:

აღლესე ენა დამამშვიდარო,

დასჭერ სავსენი გამაფლიდარო! (ბეს., 62. 2, 6);

ძოწნი ბაგენი ჩემნი მდაგენი,

ჩემდა საუბრად **აღსძარ** ენანი! (ბეს., 95. 8, 2);

მიჰგვალენ, მზეო, მზისად აზიით სიმდაბლის-ქვაბად ოქროის

ძღვნობით მურ-გუნდრუკების კმევად მეფეთ მეფისად (ბეს., 86, 33);

გასწყერ, **დასჭერ** და დახივე მტყუვანთ ტყუილის გულები (დავითიანი, 65. 275, 2);

სცან ამ ლექსთა იგავი, თარგმნე თუ გიყვარდო (დავითიანი, 79. 373, 2);

აწ **დასწყნარდი**, ნუ შფოთავ-ბორგავ, ნუ გაქვს ზმირინთ ზინზლად შვება (დავითიანი, 148. 1, 2);

სოლადის ციხე მოშალეთ, **დასცალეთ** გაღმა მკარია (დავითიანი, 99. 514, 2);

მტანჯვენ, **სთმეო**: აწ ვით დავთმო, ვით უმანკოვ ტრედო-გვრიტო (დავითიანი, 73. 335, 1);

სცან, იტალიას მარკოზს სწერს, ვიტყვი იმასთან მომტანსა (არჩ., II, 173, 2);

თანა **წარჰკვედ** წარმავალსა, წარუვალი მოიგონენ (არჩ., I, 247);

მეფევე, **დასწყნარდი**, ნუ სჯავრობ, ყური მამიგდე, გონია (არჩ., II, 102, 1);

გზა კაპნოვანი **დასტოვე**, შეიტკებე ცად აღმავალი! (არჩ., I, 109. 107, 3).

თხრობითისა და ბრძანებითის ხსენებულ ფორმათა ძველი ქართულისეული გარჩევა კიდევ უფრო ხშირ შემთხვევაშია უგულვებელყოფილი სულხან-საბას თხზულებებში და იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“:

მგადს რად სჭამთ, კიდობანში ორი თეთრი ფუნთუშა ძევს და ისა **სჭამეთო** (საბა, ს.ს. 101);

სადაც ხელი ჯდეს მელნიანი კართა, იგი იქმნება და შევიპყრათ, და რაც გენებოს, **ჰქმენო** (საბა, ს.ს. 108);

მითხარ მე, სხვა რაღა მოითმინენ ესეთი, რომელ ჯოჯოხეთისა სატან-ჯველთა მსგავსი იყოს ანუ სასუფეველთა სიხარულის დამვიწყები, – **სთქუ** აწ (საბა, სწავლ., 177, 544);

ცეცხლისა აღნო, მსწრაფლ **დასწვენით** ვორცნი ჩვენნი! (საბა, სწავლ., 64);

გამოსცან, თუ რისათვის უწოდეთ სახელი ესე? (ბატონიშ., I, 66);

და **ჰყვენ** ასონი ჩვენნი მკურნალ ყოველთა სენტა (ბატონიშ., II, 80);

დასტები განსვენებით წიაღთა შინა მიყრდნობილი ახლისა მეუღლისა თანა (ბატონიშ., II, 38).

პრეფიქსიანი და უპრეფიქსო ფორმები ზოგჯერ ერთსა და იმავე თხზულებაშია:

ამით ავი კაცია ლეონ, ნუ გინებს სიცოცხლე მისი და **მოკალ** (საბა, ს.ს. 66);

მოჰკალთ და სისხლს მე გარდავიხდიო (საბა, ს.ს., 56);

ჩვენ რაც გითხრათ, ის **დაწერე** (ბატონიშ., II, 24);

ბერო, რას დასდევე, **დასწერე**, რაც გთხრან, საძღვნო კი ავიღოთ (ბატონიშ., II, 25).

ბრძანებითის სუბიექტური ნიშნის მქონე ფორმათა დაძვება აქა-იქ ისტორიულ საბუთებში, სამართლის ძეგლებსა და „ქართლის ცხოვრების“ ზოგიერთ თხზულებაშიცაა შესაძლებელი:

შემცვალელებნი ამისნი **შესცვალენ** ღმერთო, სჯულისაგან შენისა (ისტ. საბ., I, 156, 33);

ესე რომ თქუას სჯულმა, რომე დამნაშავე კაცს თავი მოსჭერ ანუ **გასტანჯო**... (სამ. ძეგლ., I, 212);

უკეთუ მეფემან შეცვალოს მეფობისა და კვლმწიფობისა მისისათუის, მეფეო ყოველთა მეფეთა ქრისტე, შენ იგი **შეჰსცვალე** მეფობისა და პატრონობისა მისისაგან (სამ. ძეგლ., II, 197);

ჰყავ ადრე ბრძანებული შენდა (ქ. ცხ., I, 214, 3);

რა ნებავს, **სთქუ** და ყოველი მიგცე (ქ. ცხ., I, 214, 15);

ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენო და, თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით **მოჰკალო** (ქ. ცხ., II, 401, 18);

დასწყენარდით, კაცნო, რამეთუ არა არს ნათესავი ქართველთა კაცის მკვლელი (ქ. ცხ., II, 209, 3).

წყვეტილის თხრობითი და ბრძანებითი კილოს ფორმათა გარჩევის ძველი წესი ნაშთის სახით შემონახულია მხოლოდ „ვედ“ ძირის მქონე ზმნებში:

თხრ.: მო-ხ-ვედ-(ი) — ბრძ.: მო-ვედ-(ი) → მო-დი

გამოთქმულია აზრი (შანიძე 1980: 177), რომ „მოდ“ მიღებულია „მოვედ“ ზმნის ფონეტიკური ცვლილების შედეგად, სხვა თვალსაზრისით (გოგოლაშვილი 1984: 65-66), ამგვარი ვარაუდის დაშვებას რამდენიმე წინააღმდეგობა ახლავს, კერძოდ: ა) ზმნური ფუძის გამარტივება მოსალოდნელია მხოლოდ ბოლოკიდურ პოზიციაში; ბ) თუ ვ-ს დაკარგვა შესაძლებლად ითვლება, ძირისეული ე ხმოვნის გაუჩინარებისათვის ფონეტიკური საფუძველი არ არსებობს; გ) „მოდ“ ფორმაში -ი ხმოვანი არ შეიძლება ჩაითვალოს „მოვედ(ი)“ ზმნაში გამოვლენილი -ი ელემენტის ტოლფასად, რადგან პირველი მათგანი ნულთან არ მონაცვლეობს და ამ ნიშნით II ყალიბის ზმნებთან დადასტურებულ -ი ნიშანს ესადაგება. მეორე ფორმაში კი ის თავისუფლად ვარირებს ნულთან და I ყალიბის -ი ელემენტადაა მიჩნეული.

ბრძანებითის „მოვედ(ი)“ ფორმის „მოდ“ ზმნით ჩანაცვლება ჯერ კიდევ საშუალო ქართულშია ჩვეულებრივი მოვლენა. მათი დამოწმება ჩვენ მიერ მოპოვე-

ბულ მასალაში სისტემებზე ხერხდება, თუმცა ზოგიერთ ძეგლში ახალი ფორმა არ ჩანს.

მაგალითად, „მოდ“ ფორმა „ქართლის ცხოვრების“ მხოლოდ ახალ ნაწილში, სახელდობრ, ბერი ეგნატაშვილის ტექსტში დადასტურდა:

მოდ ჩუენ თანა და გათათრდი (ქ. ცხ., II, 336, 25).

ძველი „ქართლის ცხოვრების“ გადამწერნი ცდილობენ, დაიცვან დედნისათვის დამახასიათებელი სტილი და გრამატიკული ფორმები. მაგრამ ამგვარი მცდელობის მიუხედავად, იშვიათად ცოცხალი ენისათვის ნიშანდობლივი წარმოებაც იჩენს თავს. ზოგჯერ კი ძველი ნორმისა და თანამედროვე მეტყველებისათვის ნიშნეული ფორმის თავისებურ ნაზავს ვხვდებით. მაგალითად, „მატიანე ქართლისას“ ჭალაშვილისეულ ხელნაწერში „გამოვედ“ ზმნა იკითხება. ამავე თხზულების მარიამისეულ და მაჩაბლისეულ ნუსხებში კი მას „გამოდ“ ფორმა სცვლის, სადაც -ი ელემენტი გაუჩინარებული. ხელნაწერის შემსრულებლებმა ახალ ფორმას -ი ელემენტი ჩამოაცილეს და ამგვარად შეეცადნენ ძველი წარმოებისათვის მის მორგებას:

გამოვედ, ჩუენ წარგიყვანოთ აფხაზეთად, შენ დაჯდე მეფედ და მამა შენი დარჩეს გარეგნით (ქ. ცხ., I, 267, 10).

XII – XIII საუკუნეთა ძეგლებში „მოვედ(ი)“ – „მოდ“ ზმნები შემდეგნაირად ნაწილდება. „ვისრამიანში“ ძველი წარმოების ფორმები 4-ჯერ აღემატებიან ახალს. მაგრამ ძველი ქართულისეული ფორმები აქ ფონეტიკურად სახეცვლილია, ზოგი მათგანი ძირეული **გ** თანხმოვნის გარეშეა, ზოგსაც **ვ**-სთან ერთად ასევე ძირეული -**დ** თანხმოვანი აქვს ჩამოკვეცილი. არ დასტურდება ძველი ლიტერატურული ფორმები:

აწ ადრე **მოედ**, დიდხან ერთად ვინადიროთ და გავიხარნეთ (ვის., 102, 18);

წაე, ძიძაო, სამახარობლო სთხოე შაჰროს (ვის., 110, 2);

ჰე გულმაგარო, ადგე და **წამოდი** (ვის., 218, 7).

„ამირანდარეჯანიანში“ ძველი და ახალი ფორმები თითქმის თანაბრად გვხვდება. აქაც ძველი წარმოების ზმნები ძირეული **გ** თანხმოვნის გარეშეა:

თუ ჭაბუკი ხარ, **გამოედ** და შემაქციეო! (ამ., 36, 11);

აწე, ჩემსა მზესა, **წადით** და ახლოს ნადირი მომინახეთო! (ამ., 4, 10).

რუსთაველი აღნიშნული ზმნის ბრძანებითს ახალი ფორმით წარმოადგენს:

ფატმან უხმო: „**მოდ**, მნახე, მარტო ვარო თავის წინა (ვეფხ., 1247, 4).

მხოლოდ ოთხიოდე ზმნა თუ ვნახეთ ძველი წარმოებით და ოთხივე შემთხვევაში – ფონეტიკურად სახეცვლილი. ორგან ძველი ფორმის გამოყენება ტაქსონში მუხლთა თანაბარმარცვლიანობას ემსახურება:

ნულარა სდგათ, **წაედითო**, კვლა მოგვხედნა რისხვით ცამან (ვეფხ., 442, 2);
ჩაეპარენით, **ჩაედით** წყნარად, ნუ ჩქარად მხლტომელნი (ვეფხ., 1121, 3).

სხვაგან ასეთი ფორმა სარიტმო ერთეულია:

დაბნედილსა ნუ დამაგდებ, მიშველე რა, მარგე, **მოვე**.

სოფელს მყოფსა უშენოსა კაცსა ვისმცა შევეპოვე (ვეფხ., 498, 3).

ერთ შემთხვევაში კი ძველი წარმოების ზმნის ჩართვა პოეტური აუცილებლობით არ უნდა იხსნებოდეს:

რაცა გითხრა, ჩემ მაგიერ როსტანს ჰკადრე, **მიედ** სრასა (ვეფხ., 728, 1).

აბუსერიძე ტბელის XIII საუკუნის თხზულებაში, ძველის მოცულობიდან გამომდინარე, ჩვენთვის საინტერესო ბრძანებითი მხოლოდ ერთი ფორმა შეგვხვდა და ისიც ძველი წარმოებით:

ისმინე ჩემი, ბოლოკ-ბასილი, და **წარვედ** უდაბნოსა კლარჯეთისასა, რომელსა ჰრქვან ოპიზად (აბუს. ტბ., 57, 37).

რაც შეეხება XVII – XVIII საუკუნეთა ძეგლებს, აღნიშნულ ფორმათა გადანაწილების თვალსაზრისით, აქაც არაერთგვაროვანი ვითარებაა.

თეიმურაზ I-ის პოეზიაში მხოლოდ ახალ წარმოებას შევხვდით:

წადი, რას ჰყოფნი, რასა მრჯი შენ სულო ამოსულო და (თ. I, 20.44, 4).

თეიმურაზ II-ისა და ბესიკის ნაწარმოებებში ორივე წარმოება დასტურდება. თეიმურაზ II პოემებში უფრო ძველ ფორმებს მიმართავს, „თიმსარიანში“ კი – ახალს:

ჰრქვა კაენ თვის ძმას აბელსა: „**მოვედ**, განვიდეთ ველობით (თ. II, 7. 53, 3);

მიდი და უჩუმრად იმის ლოგინს ქვეშ შეწევ (თ. II, 211, 29);

მივედ, ყარიბო, უთხარ ბულბულსა (ბეს., 5. 3, 1);

ბულბულო, **გადი**, ამ ბალიდამ შენის ნებითა (ბეს., 6. 1, 3).

დავით გურამიშვილის პოეზიაში ძველი წარმოება თითქმის არ დასტურდება:

წადი და მასვე ევედრე, დაეკსენ ცუდსა ბორგვასა! (დავითიანი, 66.286, 2).

არჩილი კი ძველ ქართულისეულ ფორმებს იშვიათად მიმართავს და მაშინაც ყოველთვის ლექსის საჭიროებითაა განპირობებული მათი გამოყენება:

სიხარულით **წადით** ლაშქარს, თუცა სისხლი გენტხეოდეს (არჩ., I, 54. 287, 1);

მოვედით, შეიყარეთ უმანკოთ და უბიწოდა (არჩ., I, 137. 21, 3);

მოვედით, დაიმკვიდრენით, ეს თქვენთვის განმზადებული (არჩ., I, 44. 205, 2).

სულხან-საბას თხზულებებში ნაცნობი სურათია: „მოგზაურობა ევროპაში“ მხოლოდ ახალი წარმოების ფორმები გვხვდება, „სწავლანში“ ახალ წარმოებას თითქმის ვერსად ვხვდებით, „სიბრძნე სიცრუისაში“ კი უამრავი ახალი ფორმის გვერდით ძველი ქართულისეული მხოლოდ რამდენიმე ზმნა დასტურდება:

წადით, ჯერ უწინ ჩემი თავი ნახეო და მერმე მე მნახეო (საბა, მოგზ., 162);

უკეთუ სასიხარულო რამე მოგცეს ღმერთმან, **მოვედ** ეკლესიად (საბა, სწავლ., 24);

წარვედ ბაღდადად ხურო ნაზარისასა, ეს უძღვენ (საბა, ს.ს., 13);

წადი, ასეთი საჭმელი მომიტანეო (საბა, ს.ს., 21).

იოანე ბატონიშვილი მხოლოდ ძველ წარმოებას არჩევს:

მოვედ, გეამბორო, უფალმან წარგიმართოს ყოველნი ქმნულნი ხელთა შენთანი! (ბატონიშ., I, 2).

ძველ ქართულში წყვეტილის მწკრივის ბრძანებითი კილოს ფორმებთან მესამე სუბიექტურ პირს მხ. რიცხვში -**ნ**, ხოლო მრავლობითში – **-ედ** სუფიქსები გამოხატავდა. როგორც ლ. ბარამიძე ვარაუდობს, „მათ კავშირი უნდა ჰქონდეთ სხვა სისტემასთან, რომელიც გადმონაშთის სახით გვხვდება ძველი ქართულის წერილობით ძეგლებში... შეიძლება ვიფიქროთ, რომ ისინი სხვადასხვა სისტემას წარმოადგენდნენ. ძველი ქართულის ძირითადი სისტემის პარალელური სისტემა, შესაძლოა, მართლაც დიალექტური წარმოშობისა იყოს (ვ. თოფური, ბ. ფონხუა ზ. სარჯველაძე).

ამ პარალელური სისტემიდან უნდა იყოს ნახესხები **ნ** და **ედ** აწმყოს ხოლომობითში და ბრძანებითში. შესაძლებელია, ძირითად სისტემაში ბრძანებითებს არც ჰქონოდათ საგანგებო პირის ნიშნები, რადგანაც ბრძანებითი ისედაც გამორჩეულია ინტონაციით, რაც ახალ ქართულში მათი გამოკვეთის საშუალებაა“ (ბარამიძე 2003: 34, 39).

ახალ სალიტერატურო ენას III პირის ბრძანებითი აღარ შემორჩა. მისი ფუნქციები სხვა მწკრივებს დაეკისრა.

საშუალო ქართულში III პირის ბრძანებითის ფორმათა უმეტესობა ისტორიული და სამართლებრივი ხასიათის ძეგლებში შეგვხვდა. ლაპიდარულ წარწერებსა და ისტორიულ საბუთებში, სამართლის ძეგლებსა თუ „ქართლის ცხოვრე-

ბის“ თხზულებებში ისინი ძირითადად დალოცვისა და წყევლა-შეჩვენების შინა-
არსის მქონე ფრაზებში დასტურდება:

ადიდენ ღმერთმან მეფეთა მეფე კოსტანტინე, ძე დავითისი, ამენ! (ლაპიდ.
წარწ., II, 176, 216);

ვინცა ესე განგებული ჩუენი სალოცველი მეფობისა მათისაჲ შეცვალოს,
იყავნ წყეულ (ექვთ. თაყ., 27, 5);

შემცვალებელნი ამისნი იყვენ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ და დამამ-
ტკიცებელნი ღმერთმან **აკურთხენ** და წმიდამან დედაქალაქმან (ისტ. საბ., I, 184);

ვინც ეს ჩემგან ქმნილი საცილობელად შეჰქმნათ: ანუ საქმითა, ანუ სი-
ტყვითა, ღმერთმან **მოგკადენ** პატიუი შეუნდობელი (ისტ. საბ., I, 124);

იცვალებიედ და განვარდენ იგინი ნატამალისაგან მათისა, და შვილნი
მათნი **დაითხიედ** (სამ. ძეგლ., II, 379).

სამართლის ძეგლებში ბრძანებითი III პირის ფორმები გვხვდება ისეთ
კონტექსტებშიც, რომლებიც მითითების, ბრძანების, შეგონების შინაარსისაა:

განვედინ ბრძოლისაგან და **მიიქეცინ** სახედ თვისად (სამ. ძეგლ., I, 109);

არამედ უხუცესი იგი ნაწილი მას საძულელისასა **მიეცინ** (სამ. ძეგლ., I, 119).

მსგავსი სემანტიკის მქონე III პირის ბრძანებითი ფორმებია „ქართლის
ცხოვრებაშიც“:

რომელი იტყოდა ქუეყანასა ზედა თავსა თუსსა ძედ ღმრთისად, **მოკუედი-
ნო** (ქ. ცხ., I, 96, 4);

და **კმა გეყავნ** ჩემგან ბრძანება ესე (ქ. ცხ., I, 107, 3);

გრწმენინ იესო ქრისტე, ძე ღმრთისა ცხოვრებისათუს ყოვლისა სოფლისა
ჯორცითა მოსრული (ქ. ცხ., I, 115, 10);

და სახელსა ზედა ქრისტესსა სიკუდილი ცხოვრებად **გიჩნდინ**, რომლითა
წარუვალი ცხოვრება მოიგო (ქ. ცხ., I, 129, 23);

ადიდენ ღმერთმან და **დაამყარენ** ორთავე ცხოვრებათა შინა პატრონნი (ქ.
ცხ., I, 363, 23);

უკეთუ ვისმე ნებავენ, **დაუტევენ** მამული და **წარმოვედინ** ჩემ თანა (ქ. ცხ.,
II, 239, 3).

საშუალო ქართულის მხატვრულ ტექსტებში აღნიშნული ფორმები არქაუ-
ლი სამკაულია, რომელსაც ავტორი საჭიროებისამებრ მოიხმარს. როგორც პოე-
ზიაში, ისე პროზაში III პირის ბრძანებითი ფორმები თითქმის ყოველთვის იმ
შესიტყვებაშია, სადაც უფლისადმი თხოვნაა აღვლენილი:

ღმერთმან ათასწელ აცოცხლენ მეფობა თქუენი (ამ., 325, 1);

დაუსრულებელ ყავნ ღმერთმან დიდება და გამარჯუება მეფობისა თქუენისა (ამ., 360, 3).

როგორც ცნობილია, „ამირანდარეჯანიანის“ XVII საუკუნეზე უადრესი ხელნაწერი არ მოგვეპოვება. სხვა ნუსხეებში ამ ძველ ფორმებს ახალი წარმოება ენაცვლება.

შვილო, **მოგეცინ** შენ ღმერთმან მსთვად ცვარისაგან ცითაო (თ. II, 15. 118, 2);

მოვედინ, ევა, ტირილითა არს მოწვევა! (ბეს., 37. 2, 1);

შენი უხვი მოწყალება შორს ნუ წამგვარეო,

მოვედინ მოწყალებითა, ისევ შემყარეო! (დავითიანი, 80. 377, 4);

ღმერთმან **განაგენ** მეფობა თქვენნი, მრავალწელ გრძელობდეს (არჩ., II, 875, 4).

ამავე ფუნქციით დასტურდება ისინი „კალმასობაში“ და „სწავლანში“:

ჰოი დედოფალო, სასოებითა ძისა შენისა და ღვთისა ჩვენისათა, მისა შესწირე ოხად ჩვენთვის და **თანამავალ მეყავნ** ჩვენ წყალობად შენი (ბატონიშ., II, 84);

ნუმცა დაითხევა ნელსაცხებელი, არამედ გლახაკთა **მიეცინ** განვაჭრებული დრაჰკანი (საბა, სწავლ., 220, 686);

მოვედით, ცოდვილნო, **მოისწრაფედ** უფლისა მიმართ, დაუტკევენიო ძველნი იგი ნაქმარნი თქვენნი (საბა, სწავლ., 160, 488).

ამ უკანასკნელში III პირის ბრძანებითის ფორმა კონტექსტთან შეუსაბამოა, რაც ნიშნავს, რომ სულხან-საბას თანამედროვე ენაში ჩვენთვის საინტერესო ფორმათა ფუნქცია უკვე საკმაოდ ბუნდოვანია.

კიდევ უფრო ხელოვნურია „იპოედ“ ზმნა არჩილის ლექსში:

მანს ვიტყვი ძნელს სათარგმნოსა, შემდგომი ასო იონებს,

მამულად არა თარშე აქვს, **იპოედ** წარსვლად იონებს (არჩ., I, 280. 28, 2).

ამგვარად, ბრძანებითის ფორმები საშუალო ქართულის ენობრივ მასალაში უმთავრესად ახალი წარმოებით გვხვდება, თუმცა ამავე ძეგლებში დასტურდება ბრძანებითის ძველი ქართულისეული ფორმებიც. მათი ნაწილი პოეზიაში თუ უმეტესად ლექსის საჭიროებით გამოიყენება, სხვაგან მათი ფუნქცია ძველი კოლორიტის შექმნაა. ზოგჯერ კი მათ გამოჩენას ასეთი მიზეზებით ვერ აგხსნით.

4.6. თავისებურებანი

პრეფიქსიანი ვნებითის წყვეტილის ფორმათა წარმოების საკითხები საშუაალ ქართულში

ძველ ქართულში (ი/ე) პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნები წყვეტილის სამივე პირში (აგრეთვე II ბრძანებითის II პირის ფორმებში) სუბიექტის მრავლობითობისას სისტემატურად გამოავლენენ -ენ ფორმანტს. მესამე პირში აღნიშნული ელემენტი ხმოვნით დაწყებული ბოლოსართის გავლენით რედუცირდება (შანიძე 1980: 447):

დავ-ი-მალ-ენ-ი-თ	შევ-ე-ბრალ-ენ-ი-თ
და-ი-მალ-ენ-ი-თ	შე-ე-ბრალ-ენ-ი-თ
და-ი-მალ-ნ-ეს	შე-ე-ბრალ-ნ-ეს

ეს ფორმანტი წარმოშობით პირდ. ობიექტის მრავლობითობის ნიშანია, რომელიც ზმნას მოქმედებითიდან კონვერსიის შედეგად გადმოჰყვა, „რადგანაც პასივი მრავლობითში ფუძედ აქტივის ინფიქსიან ფორმას იყენებდა“ (შანიძე 1980: 446):

S Oპ. S
და-მ-მალ-ენ შენ ჩუენ — დავ-ი-მალ-ენ-ი-თ ჩუენ

ძველი ქართულისათვის ეს განუხრელი ნორმაა, რომელიც პრეფიქსიან ვნებითებს სხვა სახის ვნებითებისაგან გამოარჩევს.

პასიურ ზმნათა ამ თავისებურებას არ იზიარებს მხოლოდ ორი ზმნა. ესენია **მოიქცეს** და **დაირღუეს** „ყველა შესაძლო ზმნისწინითა და ვნებითის (ი, ე) ნიშნით“ (იმნაიშვილი... 1996: 302).

ჯერ კიდევ ძველსავე ქართულში დაიწყო გათანაბრების პროცესი: გამო-ნაკლისმა ზმნებმა საერთო წესისამებრ -ენ ფორმანტი მიიღეს. ამავე პერიოდისათვის სათანადო ვნებითთა გავლენით აღნიშნული ფორმანტი საშუაალი გვარის ზმნებსაც დაერთვის (იმნაიშვილი... 1996: 303).

ახალ ქართულში აღნიშნული წარმოება პოეზიის ენას შემორჩა. „თუმცა ეხლაც ძალაშია აღმოსავლურ კილოებსა და სალიტერატურო ქართულში. მართალია, ეს ძალა ძალზე შესუსტებულია და უინფიქსო წარმოება თანდათან უფრო მეტ გასაქანს პოულობს, მაგრამ ინფიქსიანსაც რამდენადმე თავისი ადგილი დღესაც შერჩენილი აქვს“ (შანიძე 1980: 447). თანამედროვე სალიტერატურო ენაში ოდინდელი ნორმის ნაშთი S₃ პირშია შემორჩენილი. S₃ პირი ასახავს ენის იმ

საფეხურს, როცა ჯერ კიდევ მოქმედებდა ძველი ნორმა, სუბიექტის **-ეს** ნიშანი კი **-ენ** ბოლოსართმა შეცვალა. პირდ. ობიექტისეული **-ნ** ფორმანტისა და **-ენ** ბოლოსართის შეხვედრამ მოგვცა **-ნენ** სუფიქსი, რომელიც დღეს მრ. რიცხვში მდგარი **ს₃** პირის ნიშნად ითვლება (შანიძე 1980: 447):

დავ-ი-მალ-ე-თ	შეე-ე-ბრალ-ე-თ
და-ი-მალ-ე-თ	შე-ე-ბრალ-ე-თ
და-ი-მალ-ნენ	შე-ე-ბრალ-ნენ

საშუალო ქართული ენა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზნათა წყვეტილის წარმოებისას ძველ ქართულს მიჰყვება. ნორმა დაცულია თითქმის ყველგან, როგორც პოეტურ, ისე არაპოეტურ ტექსტში:

მისსა მნახავსა სულდგმულსა კაცსა ვერ **შევეყარენით** (ვეფხ., 116, 3);

ზოგნი ამას იტყუიან: არა პატივი დაგუდვა და არ **მოვეწონენითო** (ვის., 67, 38);

ქრისტეს მიერ საბრხე შეიმუსრა და **განვერენით** (ბეს., 28);

ნუ შეაწუხებთ სულსა წმიდასა რომლითაცა **აღიბეჭდენით** (სამ. ძეგლ., II, 383);

დაღაცათუ ჩვენ **შეუძლებელ ვიყვენით**, არამედ ბრძანებათა მისთა ვეღარა **ურჩ ვექმნენით** (ქ. ცხ., I, 346, 16-17);

ჩვენ სიცივიტ კინალამ **დავიხოცენით** და შენ რაოდენი ოფლი გდენიაო? (ბატონიშ., I 156).

ჩვენ მიერ შესწავლილ ტექსტებში ყველგან წარმოების ძველ წესს ემორჩილება გამონაკლისი ზმნებიც:

ავწყუიტეთ ლაშქარი და **შემოვიქეცით** მშვიდობით (ამ., 188, 9);

ლომი აგვიჩნდა უსახო, ჩვენ **გავექეცით** რბენითა (თ. I, 65. 42, 3);

ხოლო **ვიქეცით** ნაკუთად ჯორცისად (სამ. ძეგლ., II, 350);

რამეთუ არა შევიჩანეთ, არცა გულისხმა ვყავთ, არცა ჯეროვნად **მოვიქეცით** გზათა მიმართ უფლისათა (ქ. ცხ., I, 322, 21).

ზოგჯერ პრეფიქსიანი ვნებითებისათვის დამახასიათებელ თავისებურებას იზიარებენ სხვა ზმნებიც. ესენია საშუალო-მოქმედებითი გვარის ზმნები. ამის მიზეზი, შესაძლოა, მედიო-აქტივ ფორმათა გარეგნული იერ-სახეც იყოს: სათავისო ქცევის ფორმები **-ი** პრეფიქსიან ვნებითებთანაა გათანაბრებული. აღნიშნული კატეგორიის ზმნებში ზოგჯერ თუ რითმაა **-ენ** ფორმანტის გამოჩენის საბაბი, იშვიათად ამის მაგალითები პროზაულ ტექსტებშიცაა:

მაგრა ვერ ვპოვეთ იგი ყმა, მით ვერა **გაგისარენით** (ვეფხ., 116, 2);

ღვინო ვსვით და **გაგისარენით** (საბა, ს.ს., 85);

ჩუჭნ, ვითა შენდა მომართ სასოებად გუქონდა ეგრე **გაგისარენით** და სამწირველოდ თქუჭნ მოგაჯსენეთ (ისტ. საბ., 191, 44).

„ამირანდარეჯანიანში“ ერთმანეთის პარალელურადაა საშუალ-მოქმედებითი გვარის ზმნათა **-ენ** ფორმანტიანი და ამ ფორმანტის უქონელი ფორმები:

და დავწევით და **დავიძინენით**, ვითა მიმწუხრი იქმნა (ამ., 396, 3);

და დიდი ხანი **ვიტირეთ** (ამ., 613, 6);

არა არს ხილი ესე ამა ქუეყანისაო, **ვიტყუეთო** (ამ., 338, 3);

ვიბრძოლეთ სამი დღე და გავაქციენით და დავიხოცენით (ამ., 110, 1);

და ჩუენ **წარვისწრაფეთ** და ომსა ზედა მივედით (ამ., 570, 6).

ამ ნაწარმოებში ძველი ნორმა ბოლომდეა დაცული, დარღვევის ფაქტებითი არ შეგვინიშნავს. ვნახეთ უცნაური ზმნაც, რომელიც საშუალ-მოქმედებითი (ვ-ი-ლად-ობ-ე) და სუფიქსიანი ვნებითი (აღ-ვ-ლად-ენ) გვარის ზმნათა კონტამინაციური ფორმა უნდა იყოს, პრეფიქსიანი ვნებითის კვალობაზე წარმოებული:

გა-რასმე-ვლადობენით ქაოზ ქოსისძისა სიტყვასა ზედან (ამ., 701, 5).

საგულისხმოა, რომ სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანში“ **-ენ** ფორმანტს საშუალ-ვნებითის ორიოდე ზმნაც დაირთავს:

რომლისა მიერ **გამოგსცვივენით** სამოთხით საშეებლით და მიგვეტაცა და მიგველო პატიოსნება ჩვენი (საბა, სწავლ., 137, 412).

საშუალი ქართულის ენობრივ მასალაში ალაგ-ალაგ ახლებური წარმოებაც შეინიშნება. ახლებურ წარმოებას (ძველი ნორმიდან გადახვევას) ზოგჯერ პოეტური აუცილებლობის გამო მიმართავს მწერალი:

ჰკვირობდენ ჩვენი მჭვრეტელნი, მგონია, კიდევ გვძრახესა,

მათ არ იცოდენ, თუ ჩვენა **გავეებით** რა გვარს მახესა (დავითიანი, 102. 536, 4).

გურამიშვილი თუ მუხლთა თანაბარმარცვლიანობისათვის მოიხმობს ახლებურ ფორმას, არჩილთან ის სარითმო ერთეულად გამოიყენება:

მამილოცეს, იმერელნი, ქართველები, მერმე მესხით,

შეუზახე: „დიდებულნო, რას საქმეზედ თავს **დამესხით** (არჩ., II, 696, 2).

ზოგჯერ კი ძველ ნორმას მწერალი განგებ არიდებს თავს. ეს ძირითადად პროზაულ ტექსტში გვხვდება:

ვიახელით. ფეხს გაკოცეთ (საბა, მოგზ., 188);

იქილამ აღარ **დავიძარით** (საბა, მოგზ., 239).

ამავე ზმნას ასევე **-ენ** ფორმანტის გარეშე სულხან-საბა ხმარობს „სწავლანში“, სადაც, ძველის თემატიკიდან გამომდინარე, მეტწილად ძველი ქართული სათავის ნიშანდობლივი ზმნები ჭარბობს:

ქრისტესთვის **ადიძარით**, ქრისტესთვის მოშვერით (საბა, სწავლ., 206, 638).

„სწავლანში“ ახალი ქართული სათავის დამახასიათებელი ფორმების გამოჩენას კი მ. კობალაძე შემდეგნაირად ხსნის: ჰომილექტიკური ლიტერატურის ამ ნიმუშში არქაული ფორმები ჩვეულებრივი მოვლენაა. „მათი მეშვეობით, ცხადია, სხვა თავისებურებებთან ერთად ქმნის სულხან-საბა ორბელიანი ძველი ქართული სალიტერატურო ენის ილუზიას, თუმცა არც ერთ თავისებურებას არ იცავს ბოლომდე. არ იცავს, რადგანაც მას მხოლოდ შთაბეჭდილების შექმნა სჭირდება და არა ძველი ქართულის აღდგენა, რაც, ცხადია, XVII – XVIII საუკუნეების მიჯნაზე შეუძლებელი იყო (ივ. გიგინეიშვილი, 1959, გვ. 36). ასე რომ გრამატიკულ მოვლენათა არქაიზაცია „სწავლანში“ უნდა განვიხილოთ, როგორც სათქმელისა და შერჩეული ჟანრის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებლობა“ (კობალაძე 1995: 129).

უნდა აღინიშნოს, რომ ძველი ნორმის დარღვევათა მეტი წილი „ვიქმნენით“ და „ვიყვენით“ ფორმებზე მოდის. ძველ ქართულში ისინი სინონიმურ წყვილს წარმოადგენენ. გამოთქმულია აზრი, რომ „ვიქმნენით“ და „ვიყვენით“ ზმნები სხვადასხვა დიალექტურ წრეს უნდა ეკუთვნოდნენ (იმნაიშვილი... 1996: გვ. 158). ისინი ხშირად ზმნა-შემასმენლის ზმნურ ნაწილად გვევლინებიან. თუ ძველ სალიტერატურო ენაში სუბიექტის მრავლობითობისას ყოველთვის დაირთავენ **-ენ** ელემენტს, საშუალო ქართულის ენობრივ ძეგლებში აღნიშნული ზმნები არაიშვიათად ამ ფორმანტის გარეშეც გვხვდება:

ვ-ი-ქმნ-ენ-ი-თ → ვ-ი-ქმნ-ი-თ

ვ-ი-ყვ-ენ-ი-თ → ვ-ი-ყავ-ი-თ

შესაძლოა, „ვიქმნენით“ ზმნაში **ნ** ბგერის გაუჩინარება დისიმილაციური დაკარგვის შედეგი უფროა, ვიდრე ძველი ქართული ენის სისტემაში მოქმედი მორფოლოგიური ნორმის მოშლის ფაქტი. მნიშვნელოვანია, რომ ახლებური წარმოებით მხოლოდ აღნიშნული ზმნის (ვიქმნენით) ფორმები გვხვდება იმ ტექსტებში, სადაც არქაული სტილია მაქსიმალურად შენარჩუნებული. ეს შეეხება სამართლებრივი და ისტორიული ხასიათის ძეგლებსა და აგრეთვე რამდენიმე თხზუ-

ლებას, სადაც რელიგიური თემატიკა დომინირებს. თუ არა ფონეტიკური ფაქტორით, ამგვარი ჟანრის ძეგლებში ძველი წარმოების ზმნათა გვერდით ერთი ან ორი ახალი ფორმის გამოჩენა, სხვა არაფრით აიხსნება.

„ქართლის ცხოვრებაში“ „იქმენით“ ზმნა გვიანდელ ჩანართში ვნახეთ, რომელსაც სხვა ხელნაწერში „იქმნენით“ ფორმა ენაცვლება:

და **იქმენით** ბოროტად **მკვლელ** შემოქმედისა თქუენისა (ქ. ცხ., I, 37, 5).

„ვიყავით“ ფორმა ძირითადად XVII საუკუნიდან გვხვდება. მანამდე ის **ენ** ფორმანტითაა წარმოდგენილი:

დავშუერთ ომითა და ღონე ვერა ავიგეთ, რომელმცა **მორეულ ვიყვენით** (ამ., 301, 4).

„სიბრძნე სიცრუისა“ და „მოგზაურობა ევროპაში“ რამდენჯერმე გამოავლენს ახალ ფორმას:

ღღისით **დამალული ვიყავით** და ღამით ვიარებოდით (საბა, ს.ს., 103);

ოთხნი ძმანი **ვიყავით** ცოლიანები (საბა, ს.ს., 86);

იმ ღამეს იქ **ვიყავით** (საბა, მოგზ., 160).

პრეფიქსიან ვნებითა წყვეტილის ფორმებში სუბიექტის მრავლობითობისას ასეთი წარმოება (-**ენ** ელემენტის გარეშე) XVII საუკუნიდან იწყება. თუმცა „ვეფხისტყაოსანში“ ვნახეთ ერთი ახლებური წარმოების ზმნა, მაგრამ აქ **-ენ** ფორმანტის გამოტოვებას თავისი საფუძველი აქვს. კერძოდ, ზმნასთან სუბიექტად კრებითი სახელია შეწყობილი:

თქვა: „ქარავანი ეგვიპტით **გამოვემართეთ** ერთა (ვეფხ., 1021, 1).

საინტერესო სურათია არჩილის პოეზიაში. აქ ძველსა და ახალ წარმოებას შორის თანაფარდობაა. 14 **-ენ** ფორმანტიან ზმნას 13 ახალი (**-ენ** ფორმანტის უქონელი) ფორმა უდგას გვერდით. **-ენ** ელემენტის ფორმათა უმრავლესობა რითმის ან სხვა სალექსო საზომის გამოა მოხმობილი. იშვიათად კი ასეთი მიზეზი არ ჩანს, მაგრამ ახალი წარმოებაა:

ღიანის ველსა **ვეწიეთ**, მათ ხორცთა შუბნი უყავით (არჩ., II, 823, 2).

ჩვენ ხელთ არსებული ენობრივი მასალის მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ საშუალ ქართულში პრეფიქსიანი ვნებითის წარმოების ძველი ქართულისეული თავისებურება კვლავ ძალაში რჩება. **-ენ** ფორმანტი თითქმის ყოველთვისაა წარმოდგენილი. XVII საუკუნიდან მხატვრულ ნაწარმოებებში უკვე იცვლება წარმოების ტიპი, მაგრამ უმნიშვნელოდ. **-ენ** ფორმანტიანი ფორმები

უმეტესად პოეზიის ენაში გვხვდება და განპირობებულია ძირითადად ლექსის საჭიროებით.

მიე-ეც-(ი) და მიე-ე-ც-ი

„მიცემა“ ზმნის ვნებითი და მოქმედებითი გვარის ფორმები წყვეტილის პირველსა და მეორე პირში ერთმანეთს ემთხვევა. მოქმედებითი გვარის ზმნა ძველ ქართულში უმწკრივისნიშნოდაა წარმოდგენილი, მოგვიანებით ნულოვან მაწარმოებელს ნართაული ხმოვანი ჩაენაცვლა. ვნებითი გვარის ზმნას კი როგორც ძველად, ისე დღეს მწკრივის ნიშნად ნულთან არმონაცვლე -ი ხმოვანი მიერთვის:

მოქ.: მე $\begin{matrix} S & O_{ორ.} & O_{პირ.} \\ & \text{კაცს} & \text{სიტყვა} \end{matrix}$ მივეც(ი)
ვნ.: მე შევებას — მივეცი.

აღნიშნულ ზმნათა ფორმებში გამოვლენილ -ე ხმოვანზე აზრთა სხვადასხვაობაა. ერთი შეხედულებით, ის ვნებითი გვარის პრეფიქსია, მეორე თვალსაზრისით – ძირისეული (გოგოლაშვილი 1985: 95; იმნაიშვილი... 1996: 158). ამთავითვე დავძენთ, რომ ჩვენი მსჯელობისათვისაც ეს უკანასკნელი თვალსაზრისია ამოსავალი.

თუ დავუშვებთ, რომ -ე პრეფიქსია, მაშინ ამგვარი კვალიფიკაცია სადავო ხმოვნისა წინააღმდეგობაში მოვა საყრდენი მორფემის პრინციპთან, რომელსაც საფუძვლად მორფემათა კანონზომიერი ურთიერთშეპირობებულობა უდევს, ნულთან მონაცვლე სუფიქსი მარცვლოვან საყრდენ მორფემას გულისხმობს, ე. ი. მოქმედებითი გვარის ფორმაში (მიე-ეც-(ი)) -ე ძირისეულია. თუმცა, -ე ხმოვნის ძირისეულობას მხარს არ უჭერს ამავე ზმნის ვნებითი გვარის ფორმა, სადაც ნულთან არმონაცვლე -ი მწკრივის ნიშანი საყრდენ მორფემად ოდენტანხმოვნიან ძირს მოიაზრებს (მიე-ე-ც-ი). მაგრამ დღევანდელი ვითარება მეორეულია და ვნებითი გვარის ფორმაში ისტორიულად ორი -ე ხმოვანია ნაგარაუდევო (შანიძე 1980: 551): ერთი ვნებითის პრეფიქსისეული და მეორე – ძირისეული, რომელიც რედუქციის ძალის მქონე -ი მწკრივის ნიშნის გაგლენით იკარგება:

*მიე-ე-ეც-ი → მიე-ე-ც-ი

ამიტომაც დღეს სხვადასხვა ყალიბით იწარმოებს მოქმედებითი და ვნებითი გვარის ფორმებს წარმოშობით ერთი ძირის (ეც) ზმნა. მოქმედებითი გვარის

ფორმა წყვეტილის წარმოების I ყალიბია, ხოლო ვნებითისა – II ყალიბი. შესაბამისად, მოქმედებითი გვარის ზმნისათვის ძირია **ეც**, ვნებითი გვარისთვის კი – **ც**:

მოქ. (I)	ვნებ. (II)
მივ-ეც-(ი)	მივ-ე-ც-ი
მი-ეც-(ი)	მი-ე-ც-ი
მის-ც-ა	მი-ე-ც-ა

საშუალო ქართულის ძეგლებში ორივე ყალიბის ზმნათა დამოწმება ხერხდება. I ყალიბის (მოქმ. გვარის) ფორმები უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე II ყალიბის (ვნებ. გვარი). ამასთან მოქმედებითი გვარის ფორმათა დიდი ნაწილი -ი ელემენტის გარეშეა წარმოდგენილი:

მე პასუხი არა **გავეც**, ვითა შმაგი შევეკრთი ღია (ვეფხ., 343, 3);

ავიღე და სამამასახლისოსა სამსახურებლისა ჩუენისაგან ბარეგანი სოფელი და **მივეც** ოპიზართა სატრაპეზოდ (ისტ. საბ., 33, 3);

რომელმან ცითა უწვიმე და დარი **მოეც** მზიანი (თ. I, 14. 95, 2);

რომელმან **მოგუეც** ჳორცი შენი, რათა მოსაჳსენებლად შენდა ვჳყოფდეთ (ქ. ცხ., II, 88, 12);

რაიც ათიათას თეთრად ღირდეს, ხუთი ათასად ძლივ გავეყიდი და ეგრე **გარდავეც** ყუელაი (სამ. ძეგლ., II, 58).

ვნახეთ მოქმედებითი გვარის ზმნათა სასხვისო და სათავისო ქცევის ფორმებიც:

და თქვენი მკუდრი და ნასყიდი სოფელი ნაბახტევი წაგართვით და **გაგიეცით** (სამ. ძეგლ., II, 228);

თავს **ვიეც** ქვა-ხე და შემოვსძახე (დავითიანი, 162. 3, 3).

იშვიათად -ი ელემენტისანი ფორმებიც შეგვხვდა:

რადგან ერთს ავს კაცს **მიმეცი**, მე აღარ ვიკადრებ ამის გამოცვლასო (საბა, ს.ს., 11);

თასი გთხოვს და შენ არ **მიეცი**,

შვილსა და სარძლოს ორსავ **გვიეცი** (დავითიანი, 202. 155, 1-2).

აღაგ-აღაგ II ყალიბის ვნებითი გვარის ფორმებიც დასტურდება. უმეტესი ნაწილი მოძიებული ფორმებისა „ვეფხისტყაოსანში“ ვნახეთ:

დავეცი, დავბნდი, წამიხდა ძალი მხართა და მკლავისა (ვეფხ., 341, 2);

ვა, კრულია დღემცა იგი, მე **მივეცი** ამირბარსა (ვეფხ., 313, 3);

კვლა **დავეცი** დაბნედილი, გულსა სისხლი გარდმეთხია (ვეფხ., 343, 4);

მონა შემოდგა, **მივეცი** საქმესა გაკვირვებულსა (ვეფხ., 339, 1);
 მე მუნა მყოფი **მივეცი** შვებასა მეტის-მეტასა (ვეფხ., 477, 1).
 ვნებითის ფორმები ბესიკისა და არჩილის პოეზიაში, პროზაული ტექსტ-
 ბიდან კი „ვისრამიანში“ შეგვხვდა:
 ამაღ **მივეცი** დაუცდელად სულთქმასა ხშირსა (ბეს., 91. 5,4);
 ბრანგვსა შეგტყორცე, ბაყვს **ეცი**, ვის ჩვევით სისხლი გწყუროდა (ბეს., 71.
 2, 4);
 რად აღუდგომლად **დავეცი**, თუ მეტომე ვარ მე რევის? (არჩ., I, 90. 62, 3);
 რად არ ასპიტისა გუელისა ზარი შევსუი? რად არ ნადირთა სამე **მივეცი**
 შესაჭმელად? (ვის., 225, 36).

გავაძე – გავაძევე ფორმათა ურთიერთმიმართებისათვის

გავაძე – გავაძევე ფორმებს საერთო ოდენტანხმოვნისანი (ძ) ძირი აკავში-
 რებს. ამათგან პირველი IV ყალიბის ზმნაა, მეორე წყვეტილს III ყალიბით იწარ-
 მოებს. „გავაძე“ ფორმა ახალ სალიტერატურო ენაში „გავაძევე“ ზმნამ შეცვალა.
 სემანტიკურად იდენტურ ამ ორ ზმნას ფორმოებრივად მხოლოდ **-ვე** სუფიქსი
 განასხვავებს, რაც გვაფიქრებინებს, რომ „გავაძევე“ ტიპის შუალედური ფორმა უნ-
 და არსებულებო:

- *გავა-ძევე-Ø
- *გაა-ძევე-Ø
- *გაა-ძ(ე)ვე-ა → გაა-ძ-ო

I ყალიბის ეს სავარაუდო ფორმა საშუალო ქართულის ჩვენ მიერ მოკვლე-
 ულ ენობრივ მასალაში არ შეგვინიშნავს. რამდენიმე ავტორთან მხოლოდ ძველი
 ქართულისეული „გავაძე“ IV ყალიბის ფორმები შეგვხვდა:

გამაძე, შენ მოგძულდი და უხანობასა მე მაყუედრებ (ვის., 266, 35);
 რომ არ გამწირე სიკვდილად, აღარ **გამაძე** გარე მე (თ. I, 13. 83, 1);
 თურე იგი გუშინდელი დავრიში მართალს უბნობდა, და ცუდად **გავაძეო**
 (საბა, ს.ს., 126);
 რაც მინდოდა ყველა მქონდა, მე ნაკლები გულს არ მაძე,
 მუნ სიმრავლე სპა-ლაშქართა, ჩემნი მტერნი ყოველგნით **ვაძე** (არჩ., II, 379, 2).

-**ევ** სუფიქსით მისი გართულება საშუალო ქართულის დიალექტებში „ავა-გევ“ ტიპის სხვა ზმნათა ანალოგიით უნდა მომხდარიყო. ახალმა ფორმამ სა-მწერლობო ენაშიც იჩინა თავი.

ენის განვითარების ახალ ეტაპზე აღნიშნულ ფორმაში -**ევ** სუფიქსი ფუძისეულად იქნა გააზრებული. I ყალიბის ზმნამ ხელახლა მიიღო მწკრივის მაწარმოებელი და ამჯერად III ყალიბის ფორმად მოგვევლინა:

გავა-ბევ-ე

გაა-ბევ-ე

გაა-ბევ-ა

ამგვარი წარმოებისათვის, სავარაუდოდ, მასთან მნიშვნელობით დაახლოებულ „განვუტევე“ ზმნასაც უნდა შეეწყო ხელი, რომლის ფუძისეული -**ევ** ელემენტიც, შესაძლოა, ისტორიულად ჩვენთვის საინტერესო -**ევ** სუფიქსს უკავშირდებოდეს. თუმცა, საწერლობო ენის არც ერთ ეტაპზე „განვაძე“ ზმნის ანალოგიური „განვუტე“ ფორმა არ შეინიშნება. მაგრამ გვაქვს ძველი ქართულისეული „გავამხნე“ და ახალი ქართულისეული „გავამხნევე“ ფორმები, რომლებიც ასევე -**ევ** სუფიქსით უპირისპირდებიან ურთიერთს:

გავა-მხნ-ე

გავა-მხნევე-ე

გაა-მხნ-ე

გაა-მხნევე-ე

გაა-მხნ-ო

გაა-მხნევე-ა

ბუნდოვანი რჩება -**ევ** სუფიქსის ფუნქცია წარმოდგენილ მაგალითებში. თუმცა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს უკანასკნელი (განვაძევე, გავამხნევე) წარმოადგენენ ახალ სალიტერატურო ენაში დამკვიდრებულ ფორმებს, სადაც ოდინდელი -**ევ** სუფიქსია შემორჩენილი.

სიარულისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი ზოგი ზმნის თავისებურება

რიგ თავისებურებას სიარულისა და მდგომარეობის აღმნიშვნელი „უნიშნო ვნებითისა“ და საშუალო გვარის ზოგიერთი ზმნაც ავლენს. ეს შეეხება „კედ“, „კედ“, „ჯედ“, „დეგ“, „წევ“ ფუძეებისაგან წარმოებულ ფორმებს და ორიოდვე სხვა ზმნას.

„ვედ“ და „ვედ“ ფუძეებისაგან ნაწარმოები ზმნური ფორმები ძველ ქართულში სისტემატურად გამოიყენებოდა. ეს სინონიმური მნიშვნელობის ზმნები I ყალიბისაა და წყვეტილს უნიშნოდ იწარმოებენ საშუალ ქართულშიც:

მო-ვედ-Ø, გარდავ-ვედ-Ø

საშუალო ქართულის სამწერლობო ძეგლებში ფონეტიკური ფაქტორის გავლენით ისინი ხშირად სახეცვლილნი წარმოგვიდგებიან. სახელდობრ, სიტყვის აბსოლუტურ ბოლოში ორივე ზმნა თანხმოვანს კარგავს. ამათ ბედს იზიარებენ „ვედ“ ფუძისაგან ნაწარმოები ზმნებიც:

მო-ვედ → მო-ვე, გარდავ-ვედ → გარდავ-ვე, დავ-ვედ → დავ-ვე

ამგვარი ფონეტიკური ცვლილების მიზეზი, როგორც მიუთითებენ, ხშირად ხმარებულ ფორმათა გაცვეთაა. აღნიშნული ზმნები კი იმ ლექსიკის ნაწილია, რომელიც ენაში ყველაზე ხშირად გამოიყენება.

აღნიშნული ფონეტიკური ცვლილების შედეგად ეს ზმნები ფორმალურად -ე ბოლოსართიანი წყვეტილის IV ყალიბის ზმნებს წააგავს, სადაც -ე ხმოვანი -ედ ელემენტის ნაშთია.

ამგვარად სახეცვლილი არ შეგვხვედრია მსგავსი სემანტიკის „დედ“ და „წევ“ ფუძიანი ზმნები, რაც გ და ვ ბგერათა ძირისეულობაზე მიგვანიშნებს, განსხვავებით „ვედ“, „ვედ“, „ვედ“ ფუძეთა იმ -ედ ელემენტის თანხმოვნითი ნაწილისაგან, რომლის გამოყოფაც აღნიშნული ფორმებიდან შესაძლებლადაა მიჩნეული ზოგიერთი მოსაზრებით (ჩიქობავა 1942: 69; თოფურია 1942: 491; ქავთარაძე 1954: 320).

„ვეფხისტყაოსანში“ მხოლოდ ამგვარი ბოლომოკვეცილი ფუძეები გვხვდება, არსად დასტურდება „ვედ“, „ვედ“, „ვედ“ სრული ფორმები:

შინა მოვე, უარ გავვე, სხვა დამერთო ჭირი ჭირსა (ვეფხ., 350, 3);

დავევე, რუსთველმან გავლექსე მისთვის გულ-ლახვარ-სობილი (ვეფხ., 7, 3).

სხვაგან კი სალიტერატურო ფორმათა გვერდით მათი თანხმოვანმოკვეცილი ვარიანტებიცაა:

რომელ წახუედ და უშობელი ასული გაათხოვე? (ვის., 44, 4);

ნადირობად მოხუე ხორასნით და დია ადვილად მოგხუდა ნადირი (ვის., 114, 6);

და მუნ ქმნილთა საკურველებათა მის ტაძრისა აღშენებისათა თანა-წარვევე, რომელი არს ორღართას (აბუს. ტბ., 61, 84);

და ესევეთართოვე საკურველებითა მრავალნი გამოიქსნნა ამან წმიდამან კელისაგან წარმართთაჲსა, რომლისა აღწერასა **თანაწარვეჲკედ** სიმრავლისათჳს საკურველებათაჲსა, ღმრთისა მოყვარენო (აბუს. ტბ., 61, 89).

„ვეფხისტყაოსნის“ გარდა, საშუალი ქართულის თითქმის ყველა ძეგლში სალიტერატურო („მოვედ“) ფორმათა გვერდით ხშირად „ველ“ ფუძიანი ზმნებიც გვხვდება:

სევდის ბადს **შეველ** შენადონები (ბეს., 3. 1, 1);

და წარსულმან ავგვალე რაჭით მთანი მყინვარენი და **მივედ** დიგორს (ბეს., 104);

თუ ჩემთან **მოსველ**, უნდა მოგეკითხე და მშვიდობით მოსვლა გეთქვა (ბატონიშ., II, 243);

რომელ **მოსვედ** შენ ესოდენსა უკვე სიბრძესა შინა (ბატონიშ., II, 43).

„მოველ“ ტიპის ფორმები ჯერ კიდევ ძველ ქართულშია შენიშნული. მიჩნეულია, რომ „ველ“ ვარიანტი „ვალ“ ფუძის ანალოგიით უნდა გაჩენილიყო ენაში („ველ“ ფუძეს „ვალ“ ენაცვლება I სერიის მწკრივებში) (გოგოლაშვილი 1980: 67). თუმცა არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც „ველ“ შემთხვევითი ან მთლად ახლად გაჩენილი ფუძე არ არის ქართულში. უკვე ადრეული პერიოდის დან **ვალ-ველ-** მონოლითურ ფუძეებად გაიგებოდა ქართულში. ამიტომაც „შესაძლებელია მათი შერაცხვა გახმოვანებით დაპირისპირებულ ფუძეთა რიგში“ (ჯორბენაძე 1980: 231). ამჟამად იგი ძირითადად ქართლ-კახურსა და მთის დიალექტებშია შემორჩენილი. საშუალი ქართულის ზოგ სამწერლობო ძეგლში შეინიშნება ტენდენცია **„ვედ“ – „ველ“** ფუძეთა მიერ გავლენის სფეროთა გადანაწილებისა. კერძოდ, „ველ“ ფუძე მხ. რიცხვის ფორმებთან გვხვდება, მრ. რიცხვში სალიტერატურო ფორმები დასტურდება მხოლოდ. რიცხვში შენაცვლების ამგვარი ფაქტების რეგულარული დამოწმება არჩილთან გრამატიკული ნორმის ილუზიას ქმნის:

მაგრამ ბედს არ ემდუროდა, რა მე **მიველ** ღმერთს მადლობდა (არჩ., II, 283, 4);

დამრთო მანც ნება ვითა მე, **წარვედით** ჩემსა წალკოტსა (არჩ., I, 8. 6, 1).

რაც შეეხება „დეგ“ ფუძიან ზმნებს, თანხმოვანმოკვეცილი (*ავდეგ → ავდე) ვარიანტები არ დასტურდება წყვეტილის თხრობითი კილოს ფორმებთან: საშუალი ქართულისათვის „დექ“ ფუძიანი ზმნებია ჩვეულებრივი, სადაც ქ ფუძისეული გ თანხმოვნის დაყრუების შედეგადაა მიღებული. აღნიშნულის ანალოგიით

არაიშვიათად საშუალო ქართულის ენობრივი პერიოდის ძეგლებში „ჯედ“ ფუძეში ქ თანხმოვანია გამოვლენილი:

დილაზე **ავდექ**, წინაწინ წავკელ კაციოთა ორითა (დავითიანი, 72. 726, 1);

მოველ და **დაფჯექ** ტახტზედა ნათელმოსილი, მზიანი (არჩ., II, 287, 4).

საშუალო ქართულის სხვა ძეგლებში საკმაოდ ჭრელი სურათია; აღნიშნული სემანტიკის ზმნათა ფონეტიკურად სახეცვლილი სხვადასხვა ფორმა არაიშვიათად ერთი მწერლის ენაში ერთმანეთის პარალელურადაც შეინიშნება. ყველა მათგანი წყვეტილს მხოლოდ I ყალიბით იწარმოებს. ზოგჯერ კი ფონეტიკური ცვლილების შედეგად ფორმალურად IV ყალიბის ზმნებს ემსგავსებიან.

სიტყვის აუსლაუტში თანხმოვნის დაკარგვის განხილულ შემთხვევათა რიგში დგება „მივე“ და „გავექე“ ზმნებიც. ისინიც I ყალიბის ფორმებია, რომლებიც ც ბგერის გაუჩინარებით IV ყალიბით წარმოებულ წყვეტილის ფორმებს მოგვაგონებენ გარეგნულად:

მივე-ე ← მივე-ეც-Ø გავე-ქე ← გავე-ქეც-Ø

წყვეტილის თხრობითი კილოს ფორმებთან საშუალო ქართულის ჩვენგან შესწავლილ თხზულებებში ასეთი ფაქტები იშვიათია:

როს მეწალკოტე სახე ნაამი

ენახე და მივე ცრემლით სალამი (ბეს., 14. 1, 4);

რძალმან უთხრა: „**გამოგექე**, რათ მომდევდი შესაპყრობლად? (ბეს., 49. 13, 1).

II. II კავშირებითი

1. II კავშირებითის წარმოება ძველ ქართულში

II სერიის ერთ-ერთი მთავარი საუღლებელი ერთეულია II კავშირებითი, რომლის გადმოსაცემადაც ძველ ქართულში იხმარებოდა -თ, -ა, -ე სუფიქსები. ზოგჯერ კი ორიოდ ზმნაში -ი ნიშანი გამოიყენებოდა.

საენათმეცნიერო ლიტერატურში გამოთქმულია აზრი, რომ აღნიშნული მწკრივის მაწარმოებელ ელემენტთაგან პირვანდელია -ე, ხოლო -ა და -თ აფიქსები – გვიანდელი. არნ. ჩიქობავას ამ მოსაზრების მხარდასაჭერად შემდეგი არგუმენტები მოჰყავს: „1) დ/ნ-თი ნაწარმოებ ვნებითა კონიუნქტივი, ე-თი ნაწარმოე

ბი: განმდიდრ-დ-ე-ს, ამაღლ-დ-ე-ს... განკაც-ნ-ე-ს, განჭაბუკ-ნ-ე-ს... ასეთი ვნებითი უძველესი ფორმაციისა და მისი ჩვენებაც სათანადო წონის მქონეა; 2) კონიუნქტივი პირველის -ე ფორმანტი წარმოება ყველა ზმნაში: ჰპოებ-დ-ე-ს, მდიდრდებ-ოდ-ე-ს... და სხვ. კონიუნქტივს პირველში ჩვენ უნდა გვქონდეს შენახული კონიუნქტივი მეორის პირვანდელი დაბოლოება, ისევე, როგორც ნამყო უსრულში გვაქვს ნამყო ძირითადისა და ნამყო ჩვეულებითის დაბოლოებანი; 3) ზმნა **მისცა** ახლაც ე-თი აწარმოებს კონიუნქტივ მეორეს, ამას გარდა, ზოგჯერ ზმნებს, რომელთაც ამჟამად უკვე -ა აქვსთ ჩვეულებრივად, შემოუნახავთ ე-ნიანი ფორმებიც; ჩვენ ძველი ქართულის ნორმების მიხედვით ვიტყვით: შვას, ივსნას, ქმნას... მაგრამ ტექსტებში ე-ნიან ფორმებსაც წავაწყდებით: მაგ.: შთაევზნეს, ვქმნე, შვეს, დავიცვეთ, ვივსნე“ (ჩიქობავა 1929: 116-117). „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ არნ. ჩიქობავა ამბობს: „-ა აწარმოებს კავშირებითს პირველს მეგრულშიც; ეს -ა უნდა იყოს ქართულში კავშირებითის მაწარმოებელი ძირითადი სუფიქსის -ე-ს კანონზომიერი შესატყვისი (ჩიქობავა 1936: 139). ვ. თოფურიაც მიიჩნევს, რომ II კავშირებითის მაწარმოებელ სუფიქსთაგან „ძირითადი -ე უნდა იყოს“ (თოფურია 1967: 167); ნ. კოტინოვი თვლის, რომ კავშირებითი კილოს გამოხატვა ზმნაში რამდენიმე სუფიქსით ქართულში მეორეული მოვლენაა. კავშირებითის უძველესი სპეციფიკური მაწარმოებელია -ე. მკვლევარი აღნიშნული თვალსაზრისის საბუთად რამდენიმე გარემოებას ასახელებს: „1) -ე კავშირებითის მაწარმოებლად გვევლინება ქართული ენის განვითარების ყველა საფეხურზე; 2) იგი აწარმოებს კავშირებითის ყველა ფორმას (კავშირებით პირველს – ვწრედე; კავშირებით მეორეს – გავწითლდე, დავდნე; კავშირებით მესამეს – გასწითლებოდეს, გასდნობოდეს); 3) -ე ძველ ქართულში ერთადერთი სუფიქსია იმ ზმნათა კავშირებითისა, რომლებშიც აღნიშნულია სახელობითში დასმული ობიექტის მრავლობითობა (დავწერნე მე ივინი, დასწერნე შენ ივინი); 4) -ე-ს მხარს უჭერს სხვა ქართველური ენების მონაცემებიც. ზანურის -ა წარმოადგენს -ე-ს კანონზომიერ შესატყვისობას. მაგ.: ბზუმტა (=ვზომავდე), ბზუმა (=ვზომო), ხოლო სვანურში მოიპოვება მისი იდენტური -ე სუფიქსი. მაგ.: კედენდეს (=მოდიოდეს), ანკეს (=მოვიდეს); 5) -ე კავშირებითის ნიშნად გვხვდება ყველა ქართულ დიალექტში მეტ-ნაკლებად; 6) -ე სუფიქსის პირველადობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ იმ ფორმებში, სადაც დღევანდელ ქართულში კავშირებითის მაწარმოებლად -ა ან -ო გვაქვს, ძველ ქართულში ბევრგან -ე გვქონდა“ (კოტინოვი 1959: 388-389).

წყვეტილის -ე სუფიქსის გენეზისის შესახებ არსებული თვალსაზრისები ზემოთ მიმოვიხილეთ. გაურკვეველია თავად II კავშირებითის -ე ბოლოსართის წარმომავლობა. არნ. ჩიქობავას აზრით, მეგრულში I კავშირებითის ფორმასთან -ა სუფიქსის პარალელურად დადასტურებული ეე ბოლოსართი ფონეტიკურად გამარტივებული სახეა ერე „რომ“ დამხმარე სიტყვისა. სვანურში კი ერე ამ მნიშვნელობით დღესაც იხმარება (ჩიქობავა 1936: 142). ქართულისა და მეგრულის მონაცემთა გათვალისწინებით გ. როგავამ გამოარკვია, რომ -ეე სუფიქსიანი ფუძე საერთოა წყვეტილისა და II კავშირებითისათვის. მაგრამ განსხვავებულია წარმოშობით ამ მწკრივთა მაწარმოებელი აფიქსები. თუ წყვეტილის -ე -ეე სუფიქსიდან მომდინარეობს, სხვაგვარია II კავშირებითის -ე ბოლოსართის გენეზისი, მეგრულში იგი ერე სიტყვიდან არის წარმომდგარი, როგორც ეს მანამდე არნ. ჩიქობავამ ივარაუდა. მკვლევარს დასაშვებად მიაჩნია კავშირებითის -ე მაწარმოებლის ერე სიტყვიდან მომდინარეობის შესახებ გამოთქმული ვარაუდი (როგავა 1945: 447-453).

ვ. თოფურია ნამყოს სახეობათა საერთო -ე ნიშანზე საუბრისას არ გამოირიცხავს წყვეტილისა და კავშირებითის -ე სუფიქსთა წარმომავლობის იდენტურობას, არც განსხვავებულ თვალსაზრისს მიიჩნევს დაუშვებლად, რომლის მიხედვითაც კავშირებითის -ე, შესაძლოა, ერე-სგან მომდინარეობდეს: „საკითხი დგას ნამყოსა და კავშირებითის -ე ნიშანთა ურთიერთობის შესახებ: წარმოშობით ორივე ერთი და იგივე ფორმანტია, თუ კავშირებითის -ე მართლაც ერე-სგან მომდინარეობს“ (თოფურია 1955: 459).

II კავშირებითს აწარმოებს -ა სუფიქსიც, რომელიც, საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისისამებრ, მეორეულია. უცნობია -ე და -ა სუფიქსთა ურთიერთმიმართების დეტალები, „-ა სუფიქსი -ე-ს ფონეტიკური ვარიანტია თუ თავისთავადი, დამოუკიდებელი აფიქსია განსხვავებული ფუნქციისა, რომელმაც შემდგომ შეიძინა კავშირებითის ფუნქცია“ (გოგოლაშვილი 1984: 76). ბ. გიგინეიშვილი და ზ. სარჯველაძე ვარაუდობენ, რომ კავშირებითის -ა საერთო-ქართველური /*-ე/-სგან მომდინარეობს, რომელიც ქართულ-ზანური ერთიანობის დონეზე უნიფიკაციის ტენდენციით გაბატონდა: „უნიფიკაციის ტენდენციამ კავშირებითში მხოლოდ საერთო-ქართველური /*-ე/-სგან მომდინარე /ა/ გაბატონა (გიგინეიშვილი... 1973: 83).

სხვადასხვაგვარადაა ახსნილი სამეცნიერო ლიერატურაში -ო სუფიქსის წარმომავლობაც. ნ. მარის აზრით, -ო სუფიქსი მიღებულია კავშირებითის -ა მა-

წარმოებულთან ფუძისეული ვ-ს შერწყმით (მარი 1925: 161). ეს თვალსაზრისი გაზიარებულია დეეტერსის მიერ (დეეტერსი 1930: 150). გ. როგავას -**თ** სუფიქსის პირველსახედ -**ე** ბოლოსართი მიაჩნია: „-**ევ** სუფიქსიანი აორისტის ფუძე საფუძვლად უნდა ედვას კავშირებით მეორესაც. ამ ვარაუდის დაშვება დაკავშირებულია -**თ** სუფიქსის გენეზისის საკითხთან, სახელდობრ: -**თ** სუფიქსიანი კავშირებითის პირვანდელი აფიქსი უნდა ყოფილიყო -**ე** სუფიქსი. კავშირებითის -**თ** უნდა იყოს მიღებული ფუძისეულ -**ევ** სუფიქსთან კავშირებითის -**ე**-ს შერწყმით: და-**ვწერ-თ** ← *და-**ვწერ-ე-ე** ← *და-**ვწერ-ე-ე-ე**“ (როგავა 1945: 652).

სხვა მოსაზრებით, კავშირებითის -**თ** მაწარმოებელი ძველსავე ქართულში თავისთავადი აფიქსია და არა ფონეტიკური ცვლილების შედეგი. ბ. გიგინეიშვილი და ზ. სარჯველაძე ფიქრობენ, რომ „კავშირებითი კილოს -**თ** ისევე თავდაპირველია ქართულ მორფოლოგიურ ინვენტარში, როგორც სხვა -**თ**-ს შემცველი ფორმები. იგი არაა მიღებული **ჟე/ვე** და **ჟა/ვა** დიფთონგების შერწყმით. ამაზე მეტყველებს ოპოზიცია დასახელებული სეგმენტებისა [ო] სეგმენტთან“ (გიგინეიშვილი... 1973: 82).

რაც შეეხება -**ი** სუფიქსს, II კავშირებითის ნიშნად იგი მხოლოდ „წოდება“ ზმნაში გვხვდება. ეს უკანასკნელი კი ძველ ქართულში მოხმობის, დარქმევის მნიშვნელობით იხმარება. ა. შანიძის აზრით, „-**ი** გადმოსულია ამ ზმნაში **ოდ**იანი ზმნების I კავშირებითის ანალოგიით. იცოდ-ი, უწყოდ-ი, ტიროდ-ი-ს, იქმნოდ-ი-ან, ჰხადოდ-ი-ან ქმნის ანალოგიის საფუძველს, რომ გადამწერმა საანალიზო ზმნის **წოდ** ფუძეში **ოდ** სავრცობი სუფიქსად მიიჩნიოს და კავშირებითში, როგორც **ოდ**იან ზმნებს შეჰფერის, **ი** დაურთოს“ (შანიძე 1945: 843). ბ. გიგინეიშვილის ვარაუდით, შესაძლოა, ასეთი ანალოგიით წარმომდგარი ფორმები აღმოაჩნდეს **ოდ** ელემენტის შემცველ სხვა ზმნებს, როგორცაა **კოდა**, **შეცოდება** (გიგინეიშვილი 1964: 213-225).

ძველ ქართულში II კავშირებითის მაწარმოებელ აფიქსთა განაწილების შესახებ სხვადასხვა მოსაზრებაა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებისამებრ II კავშირებითის მაწარმოებელ აფიქსთა განაწილებაზე საუბრისას ყურადღება წყვეტილის წარმოებაზეა გამახვილებული. აღნიშნული მოსაზრებით, წყვეტილის წარმოების ტიპი შეაპირობებს II კავშირებითის -**ე**, -**ა**, -**თ** ბოლოსართთა გამოვლენას. წყვეტილისა და II კავშირებითის სუფიქსთა კანონზომიერებად ქცეულ ამ ურთიერთმიმართებას საურთიერთო დეტერმინაციის ერთ-ერთ ფაქტად მიიჩ-

ნეგს ბ. ჯორბენაძე. ფორმანტთა დეტერმინაცია „ფორმანტთა მიზეზ-შედეგობრივ ურთიერთდამოკიდებულებას გულისხმობს“ (ჯორბენაძე 1980: 272). ხოლო საურთიერთთა (სამიმართებო) დეტერმინაცია, „როცა ერთი ენობრივი მონაცემი გულისხმობს მეორე ენობრივი მონაცემის არსებობას, მაგრამ არა როგორც საყრდენს“ (ჯორბენაძე 1980: 273). სწორედ იმ ნიშნით, რომ საყრდენის ფუნქციაა გამორიცხული, განსხვავდება იგი გენეტიური დეტერმინაციისაგან. თუმცა, „მართალია, ზოგჯერ იქ ფონეტიკური ფაქტორის ჩარევასაც ვარაუდობენ და მაშინ ოდინდელ გენეტიურ დეტერმინაციასთან უნდა გვქონდეს საქმე, მაგრამ ამჟამად ამ პრინციპით მიდგომა ხსენებული საკითხისადმი შეუძლებელი ხდება, რადგან ეს კანონზომიერება უკვე ისეთ ფორმებშიც იჩენს თავს, სადაც რაიმე ფონეტიკური ფაქტორის არსებობა გამორიცხულია. იგულისხმება კანონზომიერება, რომლის მიხედვითაც ნამყო ძირითადში დამოწმებული -ე სუფიქსი II კავშირებითში -ო სუფიქსს ვარაუდობს, ნულ-სუფიქსი (ახლა: „ნართაული“ -ი ელემენტური ფორმები) – -ა სუფიქსის არსებობას, ხოლო სუფიქსიან და მესამე ტიპის (უნიშნო) ვნებითში დამოწმებული -ი სუფიქსი კი იმავე II კავშირებითში -ე სუფიქსის აუცილებლობას:

ნამყო ძირითადი: და-გ-წერ-ე მო-ვ-კალ(ი) გავ-თბ-ი

II კავშირებითი: და-გ-წერ-ო მო-ვ-კლ-ა გა-ვ-თბ-ე“ (ჯორბენაძე 1980:290).

ძველ ქართულში მოქმ. გვარის ზმნებთან II კავშირებითის მაწარმოებელთა განაწილების შესახებ ა. შანიძე ამბობს: „ა არის იმ შემთხვევაში, თუ წყვეტილი უნიშნოა: შევიპყარ – შევიპყრა, მოვკალ – მოვკლა, შევკარ – შევკრა, შთავიცუ – შთავიცუა და მისთ.

ე მოუდის ც ფუძის ზმნებს: მივსცე, დავსცე და მისთ. და აგრეთვე ვშვე და დავიცვე ზმნებს.

ო მოუდის დანარჩენ ზმნებს: დავწერო, შევკერო, შევკრიბო, აღვზარდო, აღვაგსო და სხვ. ამ ნიშანთაგან ა და ო იმ შემთხვევაში აქვს II კავშირებითის (ანუ II მყოფადს), თუ მასთან შეწყობილი პირდ. ობიექტი მხოლოდით რიცხვში დგას. ხოლო, თუ იგი ნ-არიან მრავლობითში დგას, მაშინ ზმნაში პირდ. ობიექტის მრავლ. რიცხვის აღმნიშვნელი ნ გაჩნდება და ა ნიშანიცა და ო-ც ედ გადაკეთდება; მაგ.: შევიპყრა იგი – შევიპყრნე იგინი, აღვზარდო იგი – აღვზარდნე იგინი და მისთ...

ის ზმნები, რომელთაც კუმშვადი ფუძის ბოლოკიდურად **ნ** აქვთ, II კავშირებითში **ე**-ს გვიჩვენებენ: რადთა ვქმნე, განვხრწნე, განვრყუნე და მისთ.“ (შანიძე 1976: 98-99).

ვნებითი გვარის ზმნათაგან პრეფიქსიან ვნებითებთან – **-ო** ბოლოსართი, სუფიქსიან და უნიშნო ვნებითებთან კი **-ე** სუფიქსია წარმოდგენილი ა. შანიძისეულ ტაბულებში (შანიძე 1976: 112, 116).

წყვეტილთან მიმართებაშია განხილული II კავშირებითის მაწარმოებელთა გამოვლენის საკითხი ივანე და ვახტანგ იმნაიშვილების წიგნში „ზმნა ძველ ქართულში“:

1. **ო** იხმარება ყველა იმ შემთხვევაში, როცა წყვეტილშია **ე**

გ-წერ-ე – გ-წერ-ო

გ-ა-ქე – გ-ა-ქო

2. როცა წყვეტილში ზმნას მწკრივის ნიშანი არ მოეპოვება, II კავშირებითში **ა** მოუდის:

გ-თქუ – გ-თ-ქუ-ა

და-გ-ა-ბ – და-გ-ა-ბ-ა

მო-გ-კალ – მო-გ-კლ-ა

შე-გ-თხაზ – შე-გ-თხზ-ა

კუმშვადი ზმნების მეორე ნაწილი (წყვეტილში უნიშნოდ რომ იხმარებოდა) II კავშირებითში **ე**-ს გვიჩვენებს. ესაა უმთავრესად ის ზმნები, რომელთაც ფუძის ბოლო ბგერად **ნ** აქვთ:

აღ-გ-ა-გზენ – აღ-გ-ა-გზნ-ე

გ-ა-გრძენ – გ-ა-გრძნ-ე

გ-ქმენ – გ-ქმნ-ე

გ-ი-ჯმენ – გ-ი-ჯმნ-ე

ასეთია **გ-ზე** დაბოლოებული ორი ზმნაც, სიარულის აღმნიშვნელი **სღვა** და **კღმა** ზმნები და ზოგი სხვა ზმნა:

გ-შევ – გ-შე-ე

და-გ-ი-ცევ – და-გ-ი-ცე-ე

მო-ვედ – მო-ვიდ-ე

მო-უ-კედ – მო-უ-კდ-ე

აღ-გ(ჰ)ფხუერ – აღ-გ(ჰ)-ფხურ-ე

მ-გ-ეც – მი-გს-ც-ე

3. ზმნებს, რომელთაც წყვეტილში მწკრივის ნიშნად **ი** მოუდის, II კავშირებითში უეჭველად **ე** დაერთვის:

გან-ე-ე-რ-ი – გან-ე-ე-რ-ე

და-ე-ე-ც-ი – და-ე-ე-ც-ე

გპ-რწმენ-ი – გპ-რწმენ-ე

და-ე-ბერ-დ-ი – და-ე-ბერ-დ-ე

გან-ე-რცხ-ი – გან-ე-რცხ-ე

4. II კავშირებითის მწკრივის ნიშნად **ი** იხმარებოდა ზოგჯერ წოდება ზმნაში (იმნაიშვილი...ი 1996: 188-191).

2. II კავშირებითის წარმოება ახალ ქართულში

ახალ სალიტერატურო ენაში II კავშირებითს **-თ**, **-ა**, **-ე** სუფიქსები აწარმოებს. იგივე კრიტერიუმებია გათვალისწინებული აღნიშნულ სუფიქსთა განაწილებისას ახალ ქართულში, რითაც მკვლევართა უმრავლესობა ძველ ქართულში ხსენებულ საკითხზე მსჯელობისას ხელმძღვანელობს. ე. ი. აქაც II კავშირებითის წარმოებას წყვეტილის წარმოება შეაპირობებს.

არნ. ჩიქობავა „ჭანურის გრამატიკულ ანალიზში“ ამბობს: „ქართულში ამ დროის საწარმოებლად სამი სუფიქსი იხმარება: **-ე** (დ-თი ნაწარმოებ ვნებითებთან მეტწილად და ზოგ სხვა გარდაუვალ ზმნებთან), **-ა** და **-თ** გარდამავალ ზმნებთან და **-ი-თ**, **-ე-თი** ნაწარმოებ ვნებითებთან: თუ **-ი** ანდა ნული გვაქვს მაწარმოებლად, აქ **-ა** გვექნება (დაეკარ – დაეკრა, ეთქვი – ეთქვა, დავაბი – დავაბა), თუ აღორისტში **-ე** არის, აქ **-თ** იქნება მაწარმოებელი სუფიქსი (გავაკეთე – გავაკეთთ, ვწერე – ვწერთ)“ (ჩიქობავა 1936: 142).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მოქმ. გვარის ზმნებზე ა. შანიძე შენიშნავს: „ამ მწკრივის წარმოებას მჭიდრო კავშირი აქვს წყვეტილის წარმოებასთან. ის ზმნები, რომელთაც ნიშანი არა აქვთ წყვეტილში, ან თუ აქვთ, ნართაული **ი**, აქ ნიშნად მიიღებენ **ა**-ს (ოფიანებს გარდა), ყველა დანარჩენი კი (ემიანებს გარდა) მიიღებენ **-თ**-ს, მათ შორის **ოფიანებიც**... ერთად-ერთი მოქმ. გვარის ზმნა, რომელსაც II კავშირებითი ენით აქვს ნაწარმოები, არის **ცემა** (მი-, გა-, და- და სხვ.): მივსცე, მისცე, მისცეს“ (შანიძე 1980: 433-434). ვნებითი გვარის ზმნებს რაც შეეხება, ა. შანიძე ყურადღებას ამახვილებს ისეთ შემთხვევებზე, როცა პრეფიქ-

სიან ვნებითებთან მოსალოდნელი -ა და -თ სუფიქსების ნაცვლად -ე ბოლოსართი გამოვლინდება. ასეთია ნ ფორმანტის მქონე მრ. რიცხვის ფორმები: „ნ ინფიქსის ხმარება მრავლობითში ერთ ცვლილებას იწვევს, რომელიც ახასიათებდა ძველ ქართულს და ახასიათებს ახალ ქართულსაც, რამდენადაც ძველი წარმოება დღესაც ხმარებაშია: როგორც უნდა იყოს მწკრივის ნიშანი მხოლოდობითში (ა,თუ თ), სულ ერთია, მრავლობითში, ნ ინფიქსის ხმარების შემთხვევაში, ეს ნიშანი ე-დ შეიცვლება“ (შანიძე 1980: 448-449). მარტოოდენ ე ნიშანს მიიღებენ სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითებიც (შანიძე 1980: 451).

II კავშირებითის წარმოებას წყვეტილის მწკრივთან მიმართებაში განიხილავს ა. კიზირიაძე. -ა -ე, -თ აფიქსთა განაწილებისას კრიტერიუმებად კი გარდამავლობა-გარდაუვალობასა და ფუძეკუმშვადობას მოიხმობს: „II კავშირებითი იწარმოება ნამყო წყვეტილისაგან შემდეგი წესით: თუ ზმნა გარდაუვალია (დონიანი ვნებითი, უნიშნო ვნებითი და ზოგი საშუალი გვარის ზმნა), II კავშირებითის ნიშნად გვაქვს -ე, თუ გარდამავალია, გვაქვს -ა და -თ. -ა გვაქვს იმ შემთხვევაში, როცა წყვეტილში ზმნა ფუძეკუმშვადია, უნიშნოა, -თ გვაქვს დანარჩენ შემთხვევაში“ (კიზირია 1974: 101).

II კავშირებითის მაწარმოებელ ელემენტთა საკითხთან დაკავშირებით განსხვავებულ მოსაზრებას წარმოადგენს გ. გოგოლაშვილი. ავტორის აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება არა თავად წყვეტილისა და II კავშირებითის ურთიერთმიმართებას, არამედ – ამ მიმართების საფუძველს. ამიტომაც პრობლემას შემდეგნაირად წარმოაჩენს: „ნამყო ძირითადის წარმოება არის განმსაზღვრელი II კავშირებითის წარმოებისა, თუ ამ ნაკვთთა წარმოებას რაიმე სხვა საფუძველი აქვს? ანდა, ნამყო ძირითადის ფუძეს ემყარება II კავშირებითი თუ ორივე ამ ნაკვთისათვის საერთო ფუძეა საყრდენი“ (გოგოლაშვილი 1984: 79). ავტორი პრობლემის გადაჭრის გზებსაც ამ მიმართულებით ეძებს. წყვეტილის -ე სუფიქსიან (III და IV ყალიბის) ფორმებს II კავშირებითის -თ ბოლოსართიანი ფორმები შეესატყვისება. ეს შესაბამისობა კანონზომიერია. ხოლო იქ, სადაც ეს წესი პირუკუ არ მოქმედებს (ე. ი. როცა II კავშირებითი -თ სუფიქსითაა ნაწარმოები, შესაბამისი წყვეტილის ფორმებში კი -ე არ ჩანს), ადგილი აქვს ფორმობრივ პარალელიზმს. პარალელური ფორმებია II კავშირებითში: იცნას//იცნოს, იგრძნას//იგრძნოს, ჩაფლას//ჩაფლოს, დაამყნას//დაამყნოს, დადვას//დადოს. პარალელიზმი დასტურდება შესაბამისი წყვეტილის ფორმებშიც (გოგოლაშვილი 1984: 80-81). თუ -თ სუფიქსის გამოვლენასთან შეინიშნება მყარი შესაბამისობა წყვეტილისა

და II კავშირებითი წარმოებას შორის, ურთიერთმიმართება წყვეტილის I და II ყალიბის ზმნებსა და შესაბამისი II კავშირებითი ფორმათა შორის განსხვავებულია, აქ გვარის ფაქტორიც იჩენს თავს, წყვეტილის ფორმათა ნაწილს II კავშირებითი -ე სუფიქსით ეწარმოება, ნაწილს კი – -ა სუფიქსით. -ა და -ე სუფიქსთა გადანაწილებისას გადამწყვეტია უკვე საყრდენი მორფემის სტრუქტურა. „საყრდენი მორფემის სტრუქტურა შეაპირობებს II კავშირებითის -ა და -ე ფორმანტების გამოვლენას I და II ყალიბის ზმნებთან (ახალ ქართულში ძირითადად ვნებითი გვარის ზმნებში), ოღონდ საფუძველი შეპირობებისა სხვაგვარია. თუ ნამყო ძირითადის წარმოებისას ყურადღება არ ექცევა იმას, საყრდენი მორფემისეული ხმოვანი, რომელიც რედუცირდება, რა ხმოვანია, II კავშირებითის წარმოებისას ამას არსებითი მნიშვნელობა ენიჭება“ (გოგოლაშვილი 1984: 91).

ახალ სალიტერატურო ქართულში ძველი ვითარება მხოლოდ უნიშნო და -დ სუფიქსიან ვნებითებში შენარჩუნდება.

მოქმ. გვარის ზმნებთან თანამედროვე ქართულში, საყრდენი მორფემის სტრუქტურის მიუხედავად, ყველგან -ა ბოლოსართი გაბატონდა (გარდა მისცა ზმნისა). აღნიშნული სუფიქსის უნიფიკაცია აქ უკვე დამთავრებულია.

პრეფიქსიან ვნებითებში პარალელიზმის შემთხვევებმა იჩინა თავი. -ე სუფიქსიან ფორმათა გვერდით -ა ბოლოსართიანი ზმნებიც გამოვლინდება და, პირიქით, -ა სუფიქსიან ზმნებს ზოგჯერ -ე ბოლოსართიანი ფორმებიც ახლავს. როგორც ავტორი ამბობს, პრეფიქსიანი ვნებითებისა და მოქმ. გვარის ზმნათა შემთხვევაში „ახალი სისტემის ჩამოყალიბების პროცესთან და ზოგჯერ უკვე ჩამოყალიბებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე“ (გოგოლაშვილი 1984: 85).

საშუალ ქართულში ხსენებული მწკრივის კვლევისას მნიშვნელოვანია ის განსხვავება, რაც ამ ნიშნით ძველსა და ახალ სალიტერატურო ენებს შორის გამოიკვეთა.

როგორც ვნახეთ, წარმოების ტიპი არ შეცვლილა იმ ზმნათათვის, რომელნიც წყვეტილს III და IV ყალიბით იწარმოებენ, ესენია ზმნები, რომლებიც II კავშირებითში -თ ბოლოსართს მიიღებენ (ავაშენ-ე – ავაშენ-თ, ავაგ-ე – ავაგ-თ). იმ ზმნათაგან, რომელთაც წყვეტილი I და II ყალიბით ეწარმოება, ძველი ქართულისეული ვითარება უნიშნო და დ სუფიქსიანმა ვნებითებმა შემოგვინახეს. ეს უკანასკნელნი როგორც ძველ, ისე ახალ სალიტერატურო ენაში II კავშირებითში -ე სუფიქსს დაირთავენ (გავთბ-ი – გავთბ-ე, დავბერდ-ი – დავბერდ-ე). I და II ყალიბის ზმნათაგან არსებითი ცვლილება შეეხო მოქმ. და პრეფიქსიანი ვნებითი

გვარის ზმნებს. სახელდობრ, თუ ძველ სალიტერატურო ენაში მოქმ. გვარის ზმნები მწკრივის მაწარმოებლად II კავშირებითში -ე და -ა სუფიქსებს მიიღებენ, ახალ ქართულში წარმოების ტიპი გამარტივდა, მხოლოდ -ა ბოლოსართი მოგვევლინა მწკრივის მაწარმოებელ ელემენტად, ე. ი. მოქმ. გვარის ზმნებთან მოხდა -ა სუფიქსის უნიფიკაცია. პრეფიქსიან ვნებითებს რაც შეეხება, ახალ სალიტერატურო ენაში მათთან პარალელური წარმოება კვლავაც რჩება.

საინტერესოა, რა ვითარებაა ამ თვალსაზრისით საშუალო ქართულის სამწერლობო ძეგლებში. II კავშირებითის წარმოებისას აღნიშნული პერიოდის ენა იცავს ძველ ტრადიციას თუ ახალი ვარიანტი უფრო ჭარბობს მასში. გვხვდება თუ არა პარალელური ფორმათწარმოება. თუ გვხვდება, რომელი საუკუნის ძეგლებშია მათი სიმრავლე შესამჩნევი. გვაინტერესებს, რომელი ავტორი მიმართავს ძველსა თუ ახალ ფორმებს, ან არქაული ფორმების გამოყენებას აქვს თუ არა მასთან რამე კონკრეტული საფუძველი. ამა თუ იმ მწერალთან, ამა თუ იმ ტექსტში დასტურდება თუ არა პარალელიზმის შემთხვევები. ამ საკითხთა შესწავლისას არსებითია თავად ძეგლთა თემატიკისა და ნაწარმოებთა ჟანრის გათვალისწინებაც.

3. II კავშირებითის წარმოება საშუალო ქართულში

3.1. -ა და -ე სუფიქსიანი II კავშირებითი

საშუალო ქართულის ძეგლებში II კავშირებითის -ა და -ე სუფიქსთა გადაწინაწილება ახალი ქართულის მსგავსად ხდება, ძველი წარმოების კვალი კი მხოლოდ აქა-იქ თუ შეინიშნება.

ეს განსაკუთრებით მოქმედებითი გვარის ზმნებთანაა საცნაური. მოქმედებითი გვარის ზმნები თითქმის მთლიანად ახალ წარმოებაზეა გადასული. თუ ძველ ქართულში მათთან -ა და -ე მაწარმოებელთა გამოვლენას საყრდენი მორფემის ხმოვანი განაპირობებდა, საშუალო ქართულის თითქმის ყველა ძეგლში II კავშირებითის ნიშნად -ა სუფიქსი გვხვდება განურჩევლად იმისა, საყრდენ მორფემაში რომელი ხმოვანია გაუჩინარებული. აღნიშნული გვარის ფორმებში -ა სუფიქსის უნიფიკაცია ჯერ კიდევ საშუალო ქართულში დამთავრებული ჩანს, -ე ბოლოსართი კი მხოლოდ ნაშთის სახით არის შემორჩენილი.

-ა სუფიქსია წარმოდგენილი იქ, სადაც საყრდენ მორფემაში -ა ხმოვანი მოიაზრება:

მაგრა **გითხრა** პირველ ხვალმე, სენი მე მჭირს რაცა ჭირად (ვეფხ., 126, 4);
რომელსაცა ქუეყანასა შემიხინოთ, თავი ჩემი არა შევიწყალო, ანუ აღ-
გისრულო საწადელი ანუ **მოვიკლა** თავი (ამ., 202, 5);

ჭირნი რად **აღვძრა** საჩემოდ, საქმენი რად დავიმაშე? (თ. I, 116, 4);
ასეთს საქმესა იქმს, შენვე თავსა **შემოიკრა** და აღარა გეშველოს რა
(საბა, ს.ს., 27);

ღმერთმან ნუ რომელი მიჯნური **დააპყრას** ესეთსა უნებელსა ყოფასა
გულდამწუარი და დაუთმობელი (ვის., 279, 24);

ათას წელ ვერსით შეუვალოთ, თუ ზედ **დაგვიხშან** კარია (ვეფხ., 1379, 4).

-ა სუფიქსია II კავშირებითის ნიშანი ზმნებში, რომელთა საყრდენ მორფე-
მაშიც სხვა ხმოვანია რედუცირებული ანდა უმარცვლოა:

აღ-თუ-უთქუა აღნათქუემი შენი უფალსა ღმერთსა შენსა, არა დააყენო აღ-
სრულებად მისი (სამ. ძეგლ., I, 120);

უკეთუ ძალად არა **შთავაცვათ** ხალათი ესე, იმკაცვრის ბერი ესე ქარ-
თველთაგან (ბატონიშ., II, 176);

და მიუმცნო მანცა ეგრეთ, რათა პაემანსა შეკრბენ ერთად, და **დაამკუან**
აბაღა ყაენი და დაიპყრან ჳელმწიფობა (ქ. ცხ., II, 258, 14);

და სამდღვიროდ ღუნოდ ჟამსა სთულისასა შემსგავსებულად მოსულისა
შინათ **მოართუან** მსახურთა მონასტრისათა ყოველთა ერთი საწყავი (ისტ. საბ.,
56, 8);

რომელ გიხუაიშნოთ მეფეთ-მეფისა წინაშე, და **გაგიშუას** მშუიდლობით (ამ.,
143, 3);

გული ასრე დაუყენოს, ეგონოს თუ თოკი აბას,
ერთი რამე სალალობო ზედ ხუმრობა **წამოაბას** (არჩ. II, 17, 3);
ვით სითბოთ ვარდმან ყვავილი, სუნი გამოსცეს იამა,
დაბუკებულმან, ნაზამთრმა მკარი **ადისხას** ჳიამა (დავითიანი, 55.200, 2).

ძველი ქართულისაგან განსხვავებით, II კავშირებითში -ა ბოლოსართი
დასტურდება იმ ზმნებშიც, რომელთა საყრდენ მორფემაში -ე ხმოვანია გაუჩინა-
რებული. მოქმედებითი გვარის ფორმათა II კავშირებითის ამგვარ წარმოებაზე
გადასვლა საშუალო ქართულში უკვე დასრულებულად გამოიყურება. ამაზე მი-
გვანიშნებს აღნიშნული პერიოდის ადრეულ ძეგლებში -ა სუფიქსის გამოვლენა

ყველგან, სადაც, ძველი ტრადიციისამებრ, -ე ბოლოსართი იყო მოსალოდნელი. ამის მაგალითები კი მრავლადაა:

რომე **დამხსნა** შეჭირვება, ეშმა ბილწი ასაპყრე (ვეფხ., 130, 2);

და თავმან მეფობისა თქუენისამან, ერთი ტურფა ასეთი რამ **გიძღუნა**, რომე კაცისა თუალისაგან ეგეთი არა ნახულ იყოსო (ამ., 198, 9);

ანუ მოვკვდე ანუ **შევიგნა** მიზეზი მწუხარებისა მისისა (თ. II, 140, 8);

განგრცხათ სამოსელნი სულთა ჩვენთანი ცრემლითა მღუღართა (საბა, სწავლ., 188, 582);

ავი საქმე, ავი სიტყვა გულით აღარ გაიცადო,

რა ესე **ჰქნა**, დახალასდე, ნაწველმან გამოიცა ღო (არჩ., II, 1126, 4);

დედამ რა **შვას** ძე, პირველთა ჭირთ აღარ მოივსენებსა (დავითიანი, 31. 31, 1);

არამედ რომელმან არა **დაიცვას** საწოლი თუხი წმიდად, არა ჯერ არს მის თანა დათმენა (ქ. ცხ., II, 121, 10);

ეს ყველამ შევიტყვევით, რომ, ვინც ვის **მოუჭრას**, ერთი დიდი მტერობა ისიც არის (სამ. ძეგლ., I, 307);

თქვა, „ნაქმარი ნუთუ **მიგძნან**, მარჯვე სიტყვა მოვიახლო (ბეს., 56. 66, 3);

ვაზირთ სიტყვა უნდა შეამოწმონ და, რომელი ამჯობინონ, იგი **დაასკენან** (საბა, ს.ს., 45);

ვიცი, რაგინდ კარგადა **გწერთნა**, მაშინცა მმზერ ისევ მტერად (არჩ., I, 40. 171, 1);

უკეთუ არა დაიშთო თავი შენი და **განრყენა** ფრთენი სულისა შენისანი (საბა, სწავლ., 149, 453).

ბოლო მაგალითში ზმნასთან ნარიან მრავლობითში პირდ. ობიექტია შეწყობილი, ნორმა -ე ბოლოსართს მოითხოვს კავშირებითის ნიშნად. გარდა ამისა, „რყვენ“ ძირეულ მორფემაში -ე ხმოვანია გაუჩინარებული და მაინც ახალი წარმოება გვხვდება. თუმცა „სწავლანში“, რელიგიური ჟანრის ნაწარმოებში, გამომდინარე თვით ძეგლის ხასიათიდან, მოსალოდნელი იყო, ძველ წარმოებას შევხვედროდით.

მსგავსი შემთხვევა არჩილთანაცაა. თუმცა პირდ. ობიექტის მიხედვით რიცხვში მონაცვლე ზმნასთან მხ. რიცხვში მდგარი პირდ. ობიექტია შეწყობილი:

დროა შევიდე საუნჯეს ძეგლად ხელ-მიუყოფელსა,

განვახენა ღართა ზარდახშა, გაუყო ყოვლსა სოფელსა (არჩ., I, 142.69,2).

ეს ცხადყოფს იმას, რომ XVII საუკუნისთვის მოქმედებითი გვარის ზმნებთან II კავშირებითის -ა სუფიქსიანი წარმოების უნიფიკაცია უკვე დიდი ხნის დასრულებულია. აქა-იქ ნაშთის სახით შემონახულ -ე ბოლოსართიან ფორმებსაც ზოგჯერ თავისი საფუძველი აქვს.

ჩვენ მიერ შესწავლილ საშუალო ქართულის ძეგლებში მოქმედებითი გვარის -ე ბოლოსართიანი ათიოდე ფორმა დადასტურდა. მათი უმრავლესობა „ქმნე“ და „იკსნე“ ზმნებია და ისინი „ქართლის ცხოვრებაში“ გვხვდება.

ჯუანშერის ისტორიაში ასეთი 4 ზმნა მოვიხივთ:

რომელ გინდა ჩემგან, მე ვქმნე აწ (ქ. ცხ., I, 184, 1).

ჯუანშერისავე თხზულების სხვადასხვა ხელნაწერში იგივე ზმნა ორივე სუფიქსითაა წარმოდგენილი. „ქმნეს“ ფორმა გვხვდება 1633-1646 წლის მარიამისეულ ნუსხაში, რომელსაც XVIII საუკუნის დადიანისეულ ნუსხაში „ქმნას“ ენაცვლება:

და უბრძანა, რათა გამონახოს ჳევსა მას შინა ადგილი სამონასტრე და აღაშენოს ეკლესია, და ქმნეს მონასტრად (ქ. ცხ., I, 178, 1).

აქვე, ანასეულ (XV ს.) და დადიანისეულ (XVIII ს.) ხელნაწერებში არის „გიკსსნეს“ ზმნა, რომელსაც რამდენიმე სხვა ხელნაწერში (ჭალაშვილისეული (XVI ს.-ის II ნახევარი), მარიამისეული (1633-1646 წწ.), მაჩაბლისეული (1736 წ.), ჯანაშვილისეული (XVIII ს.-ის შუა წლები)) -ა სუფიქსიანი ფორმა ცვლის:

მაშინ გიხილოს შენ ჳირსა შინა და გიკსსნეს ღმერთმან (ქ. ცხ., I, 162, 19).

ამავე ფუძის მქონე ზმნები -ე სუფიქსით დასტურდება ლეონტი მროველის ისტორიაში:

და მადლობდა ღმერთსა და ევედრებოდა, რათა მოხედნეს წყალობით ერსა მას შეცთომილსა და იკსსნეს ეშმაკისაგან (ქ. ცხ., I, 92, 16);

მან გიხილოს ჳირსა შინა და გიკსსნეს შენ (ქ. ცხ., I, 105, 21).

„სამართლის ძეგლებშიც“, კერძოდ, მოსეს სამართალშიც ვნახეთ მოქმედებითი გვარის -ე სუფიქსიანი ფორმა:

რომელმან ქმნეს ბოროტი წინაშე უფლისა ღმრთისა შენისა და გარდაჰკვდეს მცნებათა მისთა (სამ. ძეგლ., I, 109).

მოქმედებითი გვარის ფორმები II კავშირებითის -ე ბოლოსართით გვხვდება თეიმურაზ I-თან და თეიმურაზ II-სთან. თეიმურაზ I „მიჯნურთ ამბავში“ -ე სუფიქსს ლექსის საზომისათვის უნდა მიმართავდეს:

მათ მისი ცხენი მიჰყვანდათ, ნეტარ მისთანა შეხვა რა!

სხვა მსგავსი იოსებისა, ვეჭობ, დედამან **შეეს** არა! (თ. I, 65. 40, 4).

თეიმურაზ II-ის პოემაში „სარკე თქმულთა“ სახარებისეული თემატიკა უნდა განაპირობებდეს ძველი ქართულისათვის დამახასიათებელი წარმოების გამოყენებას:

შენ მუცლად ილო და **შეე** ძე, იესო ეწოდისაო (თ. II, 27. 216, 4).

სხვა ავტორებთან იგივე ზმნა მხოლოდ -ა ბოლოსართით გვხვდება. მაგალითად, დავით გურამიშვილი, როცა იესოს შობაზე გვიამბობს, აღნიშნულ ზმნასთან -ა სუფიქსს მოიხმარს:

ოცდახუთს მარტს გაბრიელ ანგელოზმან ახარა,

ზეგარდმო მოკითხვა ჰრქვა: ყრმა **შეაო** პატარა (დავითიანი, 117).

სულხან-საბასთანაც -ა ბოლოსართით გვხვდება ეს ზმნა:

მამამან შეილი **შეას** ესეთი და მზრდელმან აღზარდოს მსგავსი ამისო (საბა, ს.ს., 66).

არჩილიც მხოლოდ -ა სუფიქსიან წარმოებას მიმართავს:

აჰა, მიუდგეს ქალწული, **შეას** ძეო-განკვირებული (არჩ., II, 138, 2);

სხვა ამ ბედითა ნუღარ **შეას**, რით რაებადა მათ ვისი (არჩ., 173. 312, 2).

თუ გავიზიარებთ გამოთქმულ თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ „ვიც“ ზმნაში ე საყრდენი მორფემისეულია, მაშინ კავშირებითის „ვიცე“ ფორმაში -ე მაწარმოებლის არსებობა ლოგიკურია და რუსთაველი ამ შემთხვევაში ამგვარ წარმოებას მხოლოდ რითმის საჭიროებით არ მიმართავს:

გნახე სულთან გაუყრელმან, ფიცი ასრე დავამტკიცე:

აწ დამეხსენ, სიკვდილამდის ვიტრო და თავსა **ვიცე** (ვეფხ., 863, 3);

არვის უთხრა სულიერსა, საფიცარი მომეც მტკიცე,

ფიცი ფიცა საშინელი: „თავიცაო კლდეთა **ვიცე!**“ (ვეფხ., 1141, 4).

სალექსო საზომით ვერ ავხსნით -ე ბოლოსართის გამოყენებას სხვა ტაეპში:

მოდი და გავხსნათ, **შევიგნეთ**, საჭურჭლე თუ რა ზომია (ვეფხ., 1352, 2).

„ვეფხისტყაოსანშივე“ იგივე ზმნა -ა მაწარმოებლით გვხვდება:

რა შემოვიდენ ინდოეთს, **შევიგნა** მათი გვარობა,

გუჩვენო ჩემი ძალ-გული და ჩემი მეომარობა (ვეფხ., 534, 2);

მეფე ბრძანებს: „რა **შევიგნათ**, გული ჩვენი რათ იხსნების? (ვეფხ., 1171, 1).

„შევიგნა“ ფორმებია თეიმურაზ II-ის „თიმსარიანში“ და სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუეშიც“:

ანუ მოკვედვ ანუ **შევიგნა** მიზეზი მწუხარებისა მისისა (თ. II, 140, 8);

მე უგუნური ნუ გგონივართ, ვერა **შევიგნა** რა (საბა, ს.ს., 130).

აღნიშნული ზმნა -ე ბოლოსართით დასტურდება „ვისრამიანშიც“. როგორც ცნობილია, „ვისრამიანის“ ქართული ხელნაწერები გვიანდელი ხანისაა. თუმცა, აქაც აუხსნელია ჯერ კიდევ ამ პერიოდისათვის იშვიათი წარმოების ფორმათა გამოვლენა:

რაცა შემიძლია, მოვიჭირვებ, რომელ გულისა ჩემისა ნადები ვერ **შეიგნეს** (ვის., 132, 14).

ზემოთ განხილულ ფორმათაგან ყველას, როგორც ძველი ქართულისათვის იყო ჩვეულებრივი, საყრდენ მორფემაში -ე ხმოვანი აქვს გაუჩინარებული (-ქმენ-, -ჭსენ-, -ეც-, -გენ-, -შევ-).

გაირკვა, რომ საშუალ ქართულში მოქმედებითი გვარის I და II ყალიბის ზმნები II კავშირებითს ახალი ქართულის მსგავსად იწარმოებენ. თითქმის ყველა ძველში -ა სუფიქსი გვხვდება მაწარმოებლად. -ე ბოლოსართი კი, რომელიც ძველ ქართულში ჩვეულებრივ გამოვლინდებოდა იქ, სადაც ძირეულ საყრდენ მორფემაში ე ხმოვანი იყო გაუჩინარებული, ჩვენ მიერ მოკვლეულ მასალაში საკმაოდ იშვიათია. ამ იშვიათ ფორმათაგან ზოგიერთის გამოყენებას თუ ლექსთწყობის მიზეზით ან თავად ძველის თემატიკით ავხსნით, რამდენიმე მათგანის არსებობა ზოგჯერ ამგვარი მიზეზების მიღმა რჩება.

საყრდენი მორფემისეული ხმოვანი შეაპირობებდა -ა და -ე II კავშირებითის სუფიქსთა განაწილებას პრეფიქსიან ვნებითებთან ძველ ქართულში. აქ მკაფიოდ იყო განსაზღვრული -ა და -ე ბოლოსართთა გამოვლენის არეალი. კერძოდ, უნიშნო და -ი ელემენტებიანი წყვეტილის მქონე ზმნები, რომელთა ფუძისეულ საყრდენ მორფემაში ე ხმოვანია გაუჩინარებული, II კავშირებითს -ე ბოლოსართით იწარმოებდა; ხოლო ის უნიშნო და -ი ელემენტებიანი წყვეტილის მქონე ზმნები, რომელთა ძირეულ მორფემაში ნულთან მონაცვლე ე ხმოვანი არ დასტურდებოდა, II კავშირებითში მწკრივის ნიშნად -ა სუფიქსს დაირთავდნენ. ახალ ქართულში ფორმათა პარალელუზმმა იჩინა თავი. „არის შემთხვევები, როცა პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში II კავშირებითის -ე სუფიქსიან ფორმებს უჩნდება პარალელური, -ა სუფიქსიანი ფორმები და პირიქით, -ა სუფიქსიან

ფორმებს უნდება -ე სუფიქსიანი პარალელური ფორმები (გოგოლაშვილი 1984: 88-89).

საშუალო ქართულში ვითარება განსხვავებულია. საყრდენი მორფემისეული ხმოვანი თითქოს უკვე კარგავს ძველ ფუნქციას და მასზე მონიშნული სადემარკაციო ხაზიც ფერმკრთალდება. საშუალო ქართულში უკვე მოჩანს პარალელური ფორმები, თუმცა ამ ფორმობრივ პარალელიზმში -ა სუფიქსის უპირატესობაც იკვეთება, განსხვავებით ახალი ქართულისაგან, სადაც II კავშირებითის ეს ორი მაწარმოებელი თანაბრად გვევლინება პარალელურ აფიქსებად. საშუალო ქართულის ძეგლებში ვხვდებით ზმნებს, რომელთა საყრდენ მორფემაშიც ე ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან, ხოლო II კავშირებითის ტრადიციული -ე სუფიქსის გვერდით -ა მაწარმოებელიც არის. პირიქით კი არ ხდება: ჩვენ მიერ მოკვლეულ მასალაში ვერ დავადასტურეთ ვერცერთი ფაქტი, როცა საყრდენ მორფემაში არ არის ნულთან მონაცვლე ე ხმოვანი, II კავშირებითს კი -ა სუფიქსის პარალელურად -ე ბოლოსართიც აწარმოებს. შეიძლება, ვიფიქროთ, საშუალო ქართულის განვითარების ის ეტაპია, როცა ამ ტიპის პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა II კავშირებითის მაწარმოებლად ჯერ მხოლოდ -ა ბოლოსართი გვევლინება.

საშუალო ქართულის ძეგლებში პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა დიდი ნაწილი, რა თქმა უნდა, საყრდენი მორფემისეული ხმოვნის მიხედვით იწარმოებს II კავშირებითს. ზმნები, რომელთა საყრდენ მორფემაში არ არის ნულთან მონაცვლე ე ხმოვანი, -ა სუფიქსს დაირთავს მწკრივის მაწარმოებლად. ყველა ძეგლში ანალოგიური ვითარებაა:

სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე **მერტყას** ჩემი ხრმალია? (ვეფხ., 558, 4);

რა იგი მათ შეეზნეს, იგი ასი კაცი ზედა **გარდაესხას** (ამ., 185, 6);

შენ რომ შემცდრობით **დაიწვა**, სისხლი რად ჩემსა ქელობით? (თ. I, 20. 45, 4);

ყოველთავე სთვალავს და სწერს, რათა **მიერთვას** ქრისტესა (საბა, სწავლ., 126, 376);

რადას **შევესწრა**, ან თუ **დავესწრა**

სიჭაბუკესა ქვე დამდებარე? (არჩ., I, 238. 68, 7);

როცა **დაიფქვას**, როგორც გაგხვდეთ ფქვილი, ისე გაიყავით, რადგან გაკლიათ ფქვილი (ბატონიშ., I, 201);

ვინიცობა არის, რომლისგან მარადის ღმერთმან დაგვიცვას სწორედ, ჩვენ-სავე ქვეყანაში ერთი-ერთმანერთისაგან შფოთი **ადიძრას** (სამ. ძეგლ., II, 434);
თუ წარვიდე, უბრალო ერი **მოისრას** (ქ. ცხ., II, 290, 6);
უკეთუ ენებოს მოკუდინება შენი, მე **მოვიკლა** და არა შენ (ქ. ცხ., II, 197, 16);
სადაცა იქადაგოს სახარება ესე, მუნცა **ითქუას** დედაკაცი ესე (ქ. ცხ., I, 86, 12).

რაც შეეხება ზმნებს, რომელთა საყრდენ მორფემაშიც ე ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან, მხოლოდ მცირე ნაწილი დაირთავს II კავშირებითში -ე ბოლოსართს:

მით ვისწავლებით **მოგვეცეს** შერთვა ზესთ მწყობრთა წყობისა (ვეფხ., 781, 4);
ნუთუ ანაზღად გატყდეს და შენვე **გეცეს** (ვის., 215, 15);
პირისპირ ჭვრეტით განვნათლდეთ, **მივეცეთ** დიდსა შეებასა (თ. II, 119.. 16, 3);

ნუ შემიყვანებ ღრმა ზღვათა, რომ არ **დავინთქეო** (დავითიანი, 81.384, 1);
რა აღვიდეს დასასრულსა, კიბეთა ხარისხი შეიმუსროს და **ქვეჩამოინგრეს** (საბა, სწავლ., 116, 340);

ეკლესია ქვათა ოდესმე **დაირღუეს** და აღაშენიან მითვე ქვითა (ქ. ცხ., I, 164, 15).

ნაწილი ზმნებისა, რომელთა საყრდენ მორფემაშიც ნულთან მონაცვლე ე ხმოვანია, -ა სუფიქსით იწარმოებს II კავშირებითს. ამგვარი წარმოება შეინიშნება საშუალი ქართულის როგორც ადრეული, ისე მოგვიანო პერიოდის ყველა ენის ძეგლში:

შვიდ დღის შემდგომად **წარიღვნას** ცხოველი უშენ-შენობით (თ. II, 10. 71, 4);

ერთს ჭაზედ რომ მოდილო სახლი ფეჩიანი **დაიდგას**, რომ ათი მაგისტანა მაშინა დაეტიოს, ათი თვალი წისქვილი იქნება (დავითიანი, 286).

სულხან-საბასთან -ა სუფიქსიანი წარმოება სხვადასხვა თემატიკის თხზულებაში დასტურდება. -ა ბოლოსართი გვხვდება არა მხოლოდ „სიბრძნე სიცრუეში“, სადაც ახალი ფორმები ჩვეულებრივია, ის დასტურდება „სწავლანშიც“, სადაც დიდაქტიკურ-მორალისტური თხრობა უმეტესად სასულიერო თემებს შეეხება, რაც, შესაბამისად, ძველ სამწერლობო ნორმებს გულისხმობს:

ამით სცან, რომე უღვაშნი და წვერნი მისნი თან **აღმოიფხვრას** (საბა, ს.ს., 10);

და ვითარცა მარგლასა შინა ფრთხილ იყოს კაცი, რათა ეკალთა წილ არა **ადმოიფხვრას** ჯეჯილი (საბა, სწავლ., 84, 225).

ამაგე თხზულებაშია:

მოიღე და დასთხიე მიწათა და რა **განიბნას**, არღარა იხილვებიან და უჩინარ (საბა, სწავლ., 332, 247 B).

ახალ წარმოებას უფრო ხშირად მიმართავს არჩილი:

გიჯობს, **იწვრთნა**, დაიდუმო, გარედამეც ბაგე მიაღე (არჩ., I, 92. 80, 2);

გაიკრტნას, ჩაჯდეს ვარდს შუა, მაშინ ჰკრავს რასტ-მულამებსა (არჩ., I, 139. 41, 3).

ამგვარი წარმოება ხშირია სამართლის ძეგლებშიც. ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ სამართლის წიგნთა კრებულში, სახელდობრ, ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში დასტურდება ასეთი -ა ბოლოსართიანი ფორმები:

უკეთუ ვინმე ქალწული ქალი, დაუნიშნავი ვისგანმე, **განიხრწნას**, ცოტას ხანს შეიხვენოს კაცი იგი (სამ. ძეგლ., I, 152);

უკეთუ თავის შუა ეზოში ხე ედგას ვისმე და იმისმა ფესუმა მეზობლის სახლის საძირკველს ავნოს რამე, ბრძანებითა მთავრისათა ძირითურთ **ადმოიფხურას** (სამ. ძეგლ., I, 189).

ასეთი ფორმების დამოწმება კიდევ შეიძლებოდა, თუმცა, ჩვენ მიერ მოკვლეულ მასალაში უფრო საინტერესოა ფორმობრივი პარალელიზმი, რომელიც დასტურდება ზმნებთან, რომელთა საყრდენ მორფემაშიც ე ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან. -ა და -ე ბოლოსართთა პარალელური გამოყენება ყველაზე ხშირი „ქმენ“ ზმნის II კავშირებითშია. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ -ა ბოლოსართიანი წარმოება აშკარად სჭარბობს -ე სუფიქსიან ფორმებს. -ა ბოლოსართიანი წარმოების დამოწმება შესაძლებელია ჩვენ მიერ შესწავლილი ძეგლების უდიდეს ნაწილში, მხატვრულსა თუ არამხატვრულ ტექსტებში, პოეტურსა თუ გაულექსავ თხზულებებში. მაგალითად, „ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანში“, „დავითიანში“, „სიბრძნე სიცრუეში“, „სამართლის ძეგლებში“ აღნიშნული ზმნის მხოლოდ -ა სუფიქსიანი ფორმები გვხვდება:

მე წავალ და შენ დაგაგდებ, **იქმნას** შენი საქადელი! (ვეფხ., 880, 4);

შეუნდობელი რისხვა მოვიდეს თქუენგან მას ზედა და აგრეცა **იქმნას** ნება და წადილი თქუენი (ვის., 33, 18);

სჯობს, რომ ჩვენ ერთნი **შევიქნათ**, აგებ გვეღირსოს ძილები (დავითიანი, 60. 240, 4);

მათ ყველას **ექმნას** წყლის გამო დანთქმა,

მე შენთან ჩემი ვამკვიდრო აღთქმა! (დავითიანი, 253. 523, 1);

უკეთუმცა ოდესმე აღდგინებულ **იქმნას** ახალი რაიმე ქალაქი სამეფოსა შინა იმერეთისასა, ... ვისარგებლო მეცა რომელიმესა ნაწილითა მისგან შემოსვლისათა (სამ. ძეგლ., II, 562);

რათა სრულ **იქმნას** წყალობა და წადილი პატრონისა ტკბილისა და სახიერისა ლაშქართა და სპათა მისთა ზედა (ქ. ცხ., II, 35, 11);

და მივიდა ძისა თანა ლანგ-თემურისა, და ევედრებოდა, რათამცა თანაშემწე **ექმნას** მამისა მისისა (ქ. ცხ., II, 467, 28);

ამისთვის ჰყო საქმე იგი, რათა საცნაურ **იქმნას** ციხისა მყოფთა მიერ კადნიერება მათი (ქ. ცხ., II, 470, 25).

„ქმენ“ ზმნის II კავშირებითის პარალელური წარმოება დასტურდება „ქართლის ცხოვრებაში“. კერძოდ, ლეონტი მროველისა და ჯუანშერის თხზულებათა სხვადასხვა ხელნაწერში სხვადასხვა ფორმით ვნახეთ დასახელებული ზმნის II კავშირებითი. მაგალითად, -ა ბოლოსართიანი ფორმა ვნახეთ ლეონტი მროველის თხზულების ერთ-ერთ ჩანართში, რომელიც XVIII საუკუნის I მეოთხედის თეიმურაზისეულ ხელნაწერშია და აგრეთვე ჯუანშერის ისტორიის ერთ-ერთ ჩანართში, რომელიც 1803 წლით თარიღდება:

რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე **ექმნას** მათ (ქ. ცხ., I, 38, 13);

და უკეთუ არა გზა **გექნას**, იყავ სახლად და სარწმუნოდ მნებებელად (ქ. ცხ., I, 211, 3).

-ე სუფიქსიან წარმოებას ვხვდებით ლეონტი მროველის თხზულებათა და „მატიანე ქართლისას“ სხვადასხვა ნუსხაში:

ჩუენება ესე შენი **არს**, რამეთუ აღგილი ესე შენ მიერ **იქმნეს** სამოთხე (ქ. ცხ., I, 102, 4);

უკეთუ უღონო **იქმნეს** ყოფა ჩუენი, უმჯობეს არს, რათა შევიდეთ საბერძნეთად და მივმართოთ ქრისტიანეთა, ვიდრედარა შეიგინოს შვილი ჩუენი წარმართთა მიერ (ქ. ცხ., I, 249, 10).

საინტერესოა, რომ პარალელური ფორმები ერთსა და იმავე ნუსხაში აღმოჩნდა. მაგალითად, ლეონტი მროველის ჭალაშვილისეულ ხელნაწერში „იქმნე“ ზმნას ანასეული ხელნაწერის „იქმნა“ ფორმა ცვლის. ასევე ლეონტი მროველი-

სავე ისტორიაში ანასეული ნუსხის „იქმნას“ ზმნა ენაცვლება მარიამისეული ხელნაწერის „იქმნეს“ ფორმას:

რამეთუ შენვე გვპყრენ და შენვე ყავ ესე ჩუენ ზედა, და უბრალო **იქმნე** სისხლისა ჩუენისაგან, ახოვანო (ქ. ცხ., I, 73, 9);

ესრეთვე იყოს წარყვანება შენი, ოდეს ეგე ეკალი, რომელი არს გარემოს შენსა, ყოველი **იქმნეს** ვარდის ფურცელ სულნელ (ქ. ცხ., I, 85, 2).

მაშინ როცა ჯუანშერის ისტორიის ანასეული ხელნაწერი „ექმნეს“ ფორმას ინახავს, ამ უკანასკნელს ბროსესეულ, ჭალაშვილისეულ, დადიანისეულ ვარიანტებში „ექმნას“ ზმნა ცვლის:

და ვევედრებოდა, რათა იპყრას შვილი მისი მამულსა შინა მისსა, და მოურავ **ექმნეს** იგი სპარსთა მეფესა წინაშე (ქ. ცხ., I, 144, 16).

აქ ბროსესეულ, ჭალაშვილისეულ, დადიანისეულ ვარიანტებში „ექმნას“ ფორმაა დამოწმებული.

იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“ და სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანი“ საუკეთესო მაგალითებია იმისა, როცა აღნიშნული ზმნის პარალელური ფორმები ერთი ავტორის ერთსა და იმავე თხზულებაშია. თუმცა, კონკრეტული საფუძველი -ე და -ა ბოლოსართიან ფორმათა გადანაწილებას არ მოეძებნება სულხან-საბას ნაწარმოებში, სადაც ხსენებული ზმნის II კავშირებითი ძველი (-ე სუფიქსიანი) ფორმები რაოდენობრივად ჩამორჩება -ა სუფიქსიან ფორმებს:

უკეთუ არა აღასრულა საწადელი შენი, იხილე, თუ ვითარ გულკლებულ მისა **იქმნე** და კვნესით ღმერთსა შეასმინო (საბა, სწავლ., 96, 268);

და საშეგებლნი სასუფეველისანი დაუსრულებლნი უკუნისამდე მაშინ იხილო შენ, უკეთუ სოფელსა ამას სძლიო და ეშმაკსა მრე **ექმნა** (საბა, სწავლ., 165, 507).

ასევე არ არის მოტივირებული -ე და -ა ბოლოსართთა განაწილება იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“:

ოდეს იქმნების დროდ, რათა წინამძღვარ **გვექმნა** საქართველოსა ზედა (ბატონიშ., II, 97);

უკეთუ აწ ამას ზედა **გექმნე** მორჩილ, მერმელა მაწვიო მე სჯული მამადისა (ბატონიშ., II, 104).

თანაბარი სიხშირით გვხვდება ისინი არჩილთანაც:

მნათობთ შუქი არ მოაკლდეს, დუხჭირთ **ექმნას** ტურფადა ვით (არჩ., II, 51, 4);

შემწყნარებელი ობოლთა მძლე **ექმნეს** თვისსა მძლეველსა (არჩ., I, 73. 6, 2).

შეიძლება ითქვას, რომ საშუალო ქართულში -**ე** ბოლოსართის ტრადიციულ ადგილს -**ა** სუფიქსი იკავებს. თქმულის საფუძველს ჩვენ მიერ მოძიებული პარალელური ფორმები გვაძლევს. მაგალითად, გესმას//გესმეს ზმნასთან -**ა** ბოლოსართიანი ფორმები დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“, „ვისრამიანში“, თეიმურაზ I-თან, არჩილთან, სულხან-საბას „სწავლანში“, სამართლის ძეგლებში:

მართალ ხართ, მომკალთ, რა **გესმას** ამბავი გაკვირვებული (ვეფხ., 744, 2);

წაედ, რომელ არა **გესმას** სიტყუა გულისა დამბნედელი (ვის., 248, 31);

საყვირთა **ისმას** მაშინ ხმა, სამკედრეთი აიყაროსა (თ. I, 129. 25, 2);

რაცა გმსახურო, **მოგესმას**, მოწმად მყვეს თქვენი სადრია (არჩ., II, 429, 2).

-**ე** ბოლოსართი ამ ზმნასთან გვხვდება „სწავლანსა“ და სამართლის ძეგლებში. თუმცა აქ აღნიშნული ბოლოსართის პარალელურად -**ა** სუფიქსის არსებობაც ფაქტია:

ენუქი აღფრინდების შემთხვევად გაბრიელისა, რათა **ესმას** საიდუმლო დაფარული ანგელოზთაგან (საბა, სწავლ., 47, 103);

იხილე და განეკრძალე, რათა მოგცეს ღმერთმან და არა **გესმეს** ჳმა იგი საზარელი (საბა, სწავლ., 71, 183);

და **გვესმას** ჳმა საშინელი მათ ღრუბელთა განპობისა და უწოდოთ ქუხილად (სამ. ძეგლ., II, 349);

და რათა **გვესმეს** სანატრელი იგი ჳმაჲ (სამ. ძეგლ., II, 142).

პარალელური ფორმათწარმოება „ვსენ“ ძირეული მორფემის მქონე ზმნათა II კავშირებითანაც გვხვდება. თუ სამართლის ძეგლებში ეს ზმნა -**ე** სუფიქსით არის წარმოდგენილი, „ვისრამიანში“, თეიმურაზ II-ის „თიმსარიანსა“ და არჩილის პოემებში იგი -**ა** ბოლოსართით გვხვდება.

1470 წლით დათარიღებულ შეწირულობის წიგნში -**ე** მაწარმოებელი იპრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნასთან არის:

და რათა **ვივსენე** საუკუნეთა სატანჯველთაგან და ღირს-მყოს ნაწილსა მართალთასა და ხილვად ნათლისა პირისა მისისასა ღმერთმან უტყუელმან (სამ. ძეგლ., II, 142).

„ვისრამიანში“ -**ე** პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნასთან რამდენჯერმე შეგვხვდა -**ა** სუფიქსი:

ანუ დიდსა წყალსა თავსა ჩავიგდებ, რომელ **დავექსნა** ჩემსა ყოფასა (ვის., 92, 32);

რომელ **დავექსნა** ჭირსა და შენისა საეჭუისაგან გამოვიდე (ვის., 196, 3);

გული მივსცე ამა მზესა, **დავექსნა** ვისის ჭირსა (ვის., 252, 22);

ნუთუ ესრე დაება ერთხელ, რომელ ვეღარაით ღონითა **დავექსნა** (ვის., 176, 27).

ე გახმოვანების ძირეული მორფემის მქონე (კსენ) ზმნასთან II კავშირებითის მაწარმოებლად -ა სუფიქსი გვხვდება თეიმურაზ II-ის „თიმსარიანში“:

რომ ასეთსა შეჭირვებასა და შიშსა **დავექსნათო** (თ. II, 167, 17).

-ა სუფიქსიანი ფორმის გამოყენება არჩილის პოემებში რითმით ან რომელიმე სხვა სალექსო საზომით არ არის შეპირობებული:

სჯობს, გამიტყდე, **ჩამომექსნა**, თვარემ მოგგერი თვალთა ნამას (არჩ., II, 74, 3);

აგრე ყოფას დია გიჯობს, ლხინით სოფელს შეექცეო,

უმეცრებას **ჩამოექსნა**, ჩემს მცნებაზედ მოიქცეო (არჩ., I, 200. 542, 4);

რაცა ეტლსა გაებედოს, ვინ **დაექსნას** ანუ სვესო? (არჩ., I, 165. 243, 2).

„შევ“ ძირეული მორფემის მქონე პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნათა II კავშირებითში პარალელური ფორმები დაგადასტურეთ რამდენიმე ძეგლში, კერძოდ, -ა სუფიქსიანი ფორმა ვნახეთ „დავითიანში“, არჩილის პოემებსა და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში:

ნუ გონებ, კიდევ ჰელახლა **ვიშვა** და მოგკვდეო,

ან მისებრ ჯოჯოხეთშიგან მეღა მივიდეო (დავითიანი, 128. 52, 1);

დაწერე და, ვირ არ ნახო, შენ არ მოჰკვდე, იყო ზეზე,

ქვაბსა **იშვას** ბეთლემისას, სად მიუშვან ხარი ბზეზე (არჩ., II, 140, 3);

აღმციხოცება ქვეყანა, სად შენებრ **იშვას** არჯალი (არჩ., I, 204. 583, 1);

რა სხვა სხვას გვარსა მიუდგეს, მით **იშვას**, მით მოშენდება (არჩ., I, 281.

41, 2);

უკეთუ დედის მუცლითგან ბრმა **იშვას** ვინმე ანუ სენთაგან დაბრმავდა, მან რომ ანდერძი ქმნას უწიგნოდ, ... დაიჯერება (სამ. ძეგლ., I, 160).

თეიმურაზ II-ის „სარკე თქმულთაში“ და სულხან-საბას „სწავლანში“ კი აღნიშნული ზმნის II კავშირებითს -ე ბოლოსართი აწარმოებს:

ქრისტე რომ **იშვეს** ღამითა, იყოს რა შენი ქმნილობა (თ. II, 29. 230, 2);

ამისთვის ენება ყოველთა შვილიერ ყოფა, ნუ უკვე შვილისა მისგან იშვეს ქრისტე (საბა, სწავლ., 304, 162).

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში პრეფიქსიან ვნებითა II კავშირებითში ფორმობრივი პარალელიზმი გამოვლინდა „ჭერ“ ძირეული მორფემის შემცველ ზმნასთან, რომელიც გაქცევის, ველად გაჭრის მნიშვნელობით იხმარება. -ე სუფიქსი გამოყენებულია „ვეფხისტყაოსანსა“ და ბესიკის „რძალ-დედამთილიანში“:

ვა თუ **გავიჭრე**, გაჭრილსა სადა, გლახ, დამწვავს სამ-ალი (ვეფხ., 699, 1);

გული მინდორს არ **გაიჭრეს**, არ იირმოს, არცა ითხოს (ვეფხ., 658, 2);

თუ მკვდარია, მეცა მოგკედე, კლდეს **გარდვიჭრე** დაფარულად (ბეს., 57. 71, 3).

ამავე თხზულების ერთ-ერთ ხელნაწერში „კლდეს **გავიჭრა**“ ფრაზა ამოვიკითხეთ.

აღნიშნული ზმნის II კავშირებითის -ა ბოლოსართიანი ფორმები კი დასტურდება როგორც პოეტურ, ისე არაპოეტურ ტექსტში, სახელდობრ, „ამირანდარეჯანიანის“ დამატებაში, თეიმურაზ I-ის „ლეილ-მაჯუნუნიანში“, „სიბრძნე სიცრუეში“, არჩილის გალექსილ „ვისრამიანში“:

ესრეთ ვითა მარტორქა დედის მუცლით **გამოიჭრას**, ეგრე საგებლით ახლტის (ამ., 717, 8);

იტყვის: „მომცა ბედმან ხელქმნა, აწ **გავიჭრა**, ნეტარ, მე სად?“ (თ. I, 29. 38, 4);

დაღონდა: „ვირი არსად **გარდამეჭრას** და არ დაგკარგო (საბა, ს.ს., 70);

გაიჭრას ველად, გავარდეს, ცუდი ხელობა სწადევდეს (არჩ., I, 136. 16, 3).

იმავე ძირეული მორფემის (ჭერ) მქონე ზმნა სხვა მნიშვნელობითაც გვხვდება, სახელდობრ, ჭრის, კვეთის შინაარსის მატარებელი. პარალელური ფორმები II კავშირებითისა ამ ზმნასთანაც დასტურდება. მაგალითად, იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“ ვკითხულობთ:

და მერე განაჩინა სულთანმან სიკვდილი ბიძინასი ესეგვართა სახითა, რათა თვითეული ასოდ სხეულისა მისისა **მოიჭრას** სახსართა შინა (ბატონიშ., II, 116).

-ა სუფიქსითვეა წარმოდგენილი ეს ზმნა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, ბერძნული სამართლის ქართულ ვერსიაში:

ხოლო უკეთუ არა შეეძლოს და არა ჰქონდეს რა, მარცხენა ხელი **მოეჭრას** (სამ. ძეგლ., I, 141).

თუმცა იქვე ეს ზმნა -ე სუფიქსით გვხვდება:

ვინცაგინ მკვდარი წავლენ ლაშქარსა, იქ რომ დაიჭრეს და გზაზე მოკუდეს, და იქ ქნა ანდერძი სამ კაცს წინაშე ანუ ორს კაცთანა,... დაიჯერება (სამ. ძეგლ., I, 160-161).

ერთი ავტორის ერთსა და იმავე ძეგლში არსებული ფორმობრივი პარალელიზმის კიდევ ერთი საუკეთესო მაგალითია სულხან-საბას „სწავლანში“ გამოვლენილი შემთხვევა. „რყვენ“ ძირეული მორფემის შემცველ პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნას II კავშირებითის მაწარმოებლად ერთგან თუ -ე სუფიქსი მიერთვის, მეორეგან მას -ა ბოლოსართი მოუდის:

იგი საქმე დაუტეოს და სხვასა რომელსამე საუბარსა იწყოს თქმად, თუცა საქმე იგი არა განირყვენეს (საბა, სწავლ., 27-28).

ფრინველნიცა განჰყრიან, რა განერყვენას ფრთენი და დაუმწიკვლდეს თვისითა ნაკრტენითა (საბა, სწავლ., 159, 486).

როგორც მოკვლეულმა მასალამ ცხადყო, II კავშირებითში პარალელური ფორმები პრეფიქსიან ვნებითთაგან ეწარმოება მხოლოდ იმ ზმნებს, რომელთა საყრდენ მორფემაშიც ე ხმოვანი მონაცვლეობს ნულთან. თუ ძველ ქართულში ამ ზმნებს II კავშირებითის მაწარმოებლად ყოველთვის -ე სუფიქსი მოუდის, საშუალ ქართულში -ე სუფიქსის გვერდით უკვე -ა ბოლოსართიც გვხვდება – უფრო მეტიც, ამ ტიპის (ე გახმოვანების) ზმნებში II კავშირებითს უმეტესად -ა სუფიქსი აწარმოებს. შევეცადეთ, პარალელიზმის ჩვენ მიერ მოძიებული ფაქტების მიხედვით მიახლოებით მაინც განგვესაზღვრა -ე ბოლოსართიან და -ა ბოლოსართიან ფორმათა თანაფარდობა. აღმოჩნდა, რომ ყველა შემთხვევაში -ა სუფიქსიან ზმნათა რიცხვი შესაბამისი ზმნის -ე ბოლოსართიან ფორმებს აღემატება. მაგალითად, გესმას//გესმეს ფორმათა შეპირისპირებისას გაირკვა, რომ -ა სუფიქსიანი ფორმები თითქმის ოთხჯერ სჭარბობს -ე ბოლოსართიან ფორმებს, ანდაც ვიშვა//იშვეს ზმნათა წყვილში -ა სუფიქსიანი ფორმები -ე სუფიქსიან ფორმებს თითქმის 10-ჯერ აღემატებიან. ამგვარ ზმნებთან -ე ბოლოსართის გვერდით -ა სუფიქსი გვხვდება ნებისმიერი ჟანრის ძეგლში, პოეტურსა და არაპოეტურ ტექსტში.

პარალელიზმის ფაქტები დასტურდება ამ პერიოდის როგორც ადრეული, ისე მოგვიანო ხანის ძეგლებში. ავტორის ენობრივი პოზიცია უნდა შეაპირობებდეს პარალელურ ფორმათაგან ერთ-ერთის არჩევანს. თუმცა ერთსა და იმავე თხზულებაში ერთსა და იმავე ზმნასთან დადასტურებული პარალელური ფორმათწარმოების შემთხვევებს უკვე ახალი ქართულის ფაქტებად მივიჩნევთ.

3.2. პრეფიქსიანი ვნებითი II კავშირებითი ფორმათა წარმოების თავისებურება

ძველ ქართულში პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებში სუბიექტის მრავლობითობა II კავშირებითში სისტემატურად **ნ** ფორმანტით გამოიხატებოდა:

და-ვ-ი-მალ- ნ -ე-თ	შე-ვ-ე-ბრალ- ნ -ე-თ
და-ი-მალ- ნ -ე-თ	შე-ე-ბრალ- ნ -ე-თ
და-ი-მალ- ნ -ე-ნ	შე-ე-ბრალ- ნ -ე-ნ

როგორც უკვე წყვეტილის მწკრივზე საუბრისას აღვნიშნეთ, ეს **ენ→ნ** ფორმანტი წარმოშობით პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის ნიშანია, რომელიც ზმნას მოქმედებითიდან კონვერსიის შედეგად გადმოჰყვა:

და-მ-მალ-**ნ**-ე შენ ჩუენ – და-ვ-ი-მალ-**ნ**-ე-თ ჩუენ

ძველი ქართულისათვის ეს განუხრელი ნორმაა, რომელიც პრეფიქსიან ვნებითებს სხვა სახის ვნებითებისაგან გამოარჩევს.

გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება, როლმელიც ძველ სალიტერატურო ენაში II კავშირებითს ახასიათებდა და რომელიც **ენ→ნ** ფორმანტის გამოყენებას უკავშირდება:

„**ნ** ინფიქსის ხმარება მრავლობითში ერთ ცვლილებას იწვევს, რომელიც ახასიათებდა ძველ ქართულს და ახასიათებს ახალ ქართულსაც, რამდენადაც ძველი წარმოება დღესაც ხმარებაშია: როგორც უნდა იყოს მწკრივის ნიშანი მსოფლობითში (ა თუ თ), სულ ერთია მრავლობითში **ნ** ინფიქსის ხმარების შემთხვევაში, ეს ნიშანი **ე-დ** შეიცვლება; მაგალითები:

მხ.	1.3.	გავეკრა	წავეკიდო
	2.3.	გაეკრა	წაეკიდო
	3.3.	გაეკრას	წაეკიდოს

			შდრ.		შდრ.
მრ.	1.3.	გავეკრნეთ,	გავეკრათ	წავეკიდნეთ,	წავეკიდოთ
	2.3.	გაეკრნეთ,	გაეკრათ	წაეკიდნეთ,	წაეკიდოთ
	3.3.	გაეკრნენ		წაეკიდნენ	

თქმულის თანახმად, „ვესწრები“ ზმნა (დავესწარ, შევესწარ) ამ მწკრივში ა-ს მოგვცემს მსოფლობითში: შევესწრა („ნეტაი კი იმ ბედნიერ დღეს შევესწრა“,

ჭავ., 368, 30), მრავლობითში კი ეს ა იმ შემთხვევაში დარჩება (ისიც 1-ლსა და მე-2 პირში), თუ წარმოება ახალია (შევესწრათ, შეესწრათ), მაგრამ ძველი წარმოების თანახმად ე-დ გადაკეთდება: შევესწრნეთ, შეესწრნეთ, შეესწრნენ“ (შანიძე 1980: 449).

თუმცა თანამედროვე სალიტერატურო ენაში უკვე მყარად მოიკიდა ფეხი ახალმა წარმოებამ. მხოლობითი რიცხვის კვალობაზეა წარმოებული არა მხოლოდ პირველი და მეორე პირის ფორმები, მხოლობითში გამოვლენილი მწკრივის ნიშანი გვხვდება მე-3 სუბიექტურ პირშიც. „თანამედროვე სალიტერატურო ქართულში კავშირებითი მეორის საკითხი გადაწყვეტილად შეიძლება ჩაითვალოს: დავიძალოთ, დაიძალოთ, დაიძალონ... დავეწიოთ, დაეწიოთ, დაეწიონ – გაბატონებული ფორმებია (დავიძაღნეთ, დაიძაღნეთ, დაიძაღნენ... დავეწივნეთ, დაეწივნეთ, დაეწივნენ – კავშირებით მეორეში იშვიათად თუ შეგვხვდება“ (თანამედროვე ნორმები 1986: 186).

საშუალო ქართულის ჩვენ მიერ შესწავლილ ტექსტებში ძირითადად ძველი სალიტერატურო ნორმა მოქმედებს. აღნიშნული ნორმა გატარებულია ყველა ძეგლში, ყველა ჟანრისა და თემატიკის თხზულებაში, როგორც პროზაულ, ისე პოეტურ ნაწარმოებში:

მით **შევეწივნეთ** ტარიელს, ტურფადცა უნდა ხსენება (ვეფხ., 5, 3);

უგანგებოდ ვერას მიზმენ, **შე-ცა-მეზნენ** ხმელთა სპანი (ვეფხ., 1027, 1);

აწ **შევიყარნეთ** და წინა **მივეგებნეთ** (ამ., 130, 4);

არა, ძმაო, ოდეს კაცნი ორნი ერთგან **შეიყარნენ**, ვინ ჩუენნი მოყუარენია, მე მაჯობინებენ (ამ., 460, 11);

მე შორით მჭურეტლით, მიჯნურნო, რომელ არ **დამეახლნეთ**, თუარა დაიწუებით (ვის., 202, 21);

თუ ჩემოდენნი ჭირნი მთასა **დამართნენ**, წყლისა ნაცულად მასცა სისხლი გამოეცემის (ვის., 283, 26);

მოვიჭირვოთ, აღარ **ვიყვნეთ** ჭირსა ჭირზედ დასართავად (თ. I, 31. 51, 4);

საწოლს გარს **შემოეხვივნენ**, თვალთა არ მისცენ რულები (თ. II, 66. 528, 2);

ლაზარესა დათა

ვესტუმრნეთ ცრემლ-ზღვათა (ბეს., 41. 15. 2);

შემომაცარენ მიწა, ყორები

არ **დამეხვივნენ** ყორან-ბორები (ბეს., 53. 46, 6);

განისწავლენით, ჯამბაზებრ წარეთ,
რომ არ ჩასცვივდეთ, **დაიწვნეთ** მწარეთ (დავითიანი, 275. 33, 4);
მათ ქნეს პირობა, ვთხოლოთ ღმერთსა,
თუ **დაიზარდნენ**, ვრთოთ ერთმანერთსა (დავითიანი, 190. 72, 2);
ვისცა **ეწვივნეთ**, მასცა თქვენთვის ასრე აქმნევინოს-მეთქი (საბა, ს.ს., 147);
ი-ე მარიამობისთვის წმიდა პაპას ებძანა ჩემი წირვა მოისმინონო და ჩემ-
გან **ეზიარნენო** (საბა, მოგზ., 200);

სიხარულითა უოხგნოთა დამთვრალი **მოვიწვივნეთ** სამყოფსა მას ანგე-
ლოხოთასა (საბა, სწავლ., 190, 589);

აწ უკვე ჰგონებთა, ძმანო, მკედარნი ესე, რომელნი ქრისტეს მიერ **მიიცი-
ვალნენ**, არღარა აღდგენა (საბა, სწავლ., 73, 189);

და უკეთუ აწ ძლეულნი უკუნიქცევით, სადღა **მივილტვნეთ** სირცხვილეულ-
ნი (ბატონიშ., II, 128);

მაგაზე მეტი უბედურება რა იქნება, რომ სულით უნდა წარწყმდეს და
ხორციოთ თავის მშობლის მამულითგან **დაიკარგნენ** (ბატონიშ., I, 12);

ერთმანეთს მსწრაფლად **მივეშველნეთ** და ყოვლისფრით, რაც კი შეიძლე-
ბოდეს, **გავისარჯნეთ** (სამ. ძეგლ., II, 434);

თუ დიდებულნი **გაიყარნენ**, ერთი უკეთესი სოფელი საუხუცესოდ აიღონ
და სხუად შუა გაიყონ (სამ. ძეგლ., I, 469);

არამედ **იყვნენ** ჳელნი თქვენნი ვითარცა ჳელნი ჩემნი, რათა არა **ვიძლიე-
ნეთ** სრულიად (ქ. ცხ., I, 173, 15);

და მოდი **შევიფიცნეთ**, მივიდეთ და ამოვსწყვიტოთ ყიზილბაშნი (ქ. ცხ., II,
406, 21);

და ამისთვის გლახაკნი ღამით ფოლოცთა შინა ვიდოდინან, რათა **შე-
ემთხვენენ** მეფესა (ქ. ცხ., II, 272, 1);

იცხენით დაწუნებულნი, უსაჯეთ სამართალი მართალი, რაითა მართალთა
თანა **დაეწესნეთ** (ისტ. საბ., I, 170, 88).

საშუალო ქართულის ენობრივ მასალაში მოვიძიეთ რამდენიმე ათეული
ფაქტი იმისა, როცა ძველ სამწერლობო ენაში მოქმედი ნორმა დარღვეულია: სუ-
ბიექტის მრავლობითობისას პრეფიქსიან ვნებითა II კავშირებითში ზმნაში
აღარ არის **ნ** ფორმანტი, მწკრივის ნიშნად კი მოსალოდნელი -**ე** ბოლოსართის
მაგიერ -**ა** ან -**ო** სუფიქსი გვხვდება. ამგვარი წარმოება ახალი ქართულისათვის
თუ ჩვეულებრივია, საშუალო ქართულისათვის სიახლეს წარმოადგენს.

ახალი წარმოება საშუალო ქართულის სამწერლობო ძეგლთა უმრავლესობაში დადასტურდა. ასეთი ფორმა პირველად „ამირანდარეჯანიანში“ შეგვხვდა:

ხვალე ცისკრისა ჟამსა კამს, რომე ზედან **დავესხათო** (ამ., 152, 6).

ამავე ფრაზაში იგივე სიტყვა სხვა ხელნაწერებს სხვადასხვაგვარად შემოუნახავს. ვნახეთ როგორც ძველი ფორმა „დავესხნეთო“, ასევე უჩვეულო (დავესხნათო) ფორმა, რომელიც ძველი და ახალი წარმოების აღრევით უნდა იყოს რომელიმე გადამწერის მიერ ხმარებული.

ამის შემდეგ მხატვრულ ტექსტთაგან მსგავსი წარმოება XVII საუკუნის პოეტის, თეიმურაზ I-ის თხზულებაში დავადასტურეთ. სახელდობრ, პოემაში „წამება ქეთევან დედოფლისა“ -**ო** სუფიქსიანი ზმნა ვნახეთ:

თუ არ **ეწამოთ**, ნუ წახვალთ, აქ დამემოწამენითა (თ. I, 132. 52, 3).

XVII საუკუნიდან მოყოლებული II კავშირებითის ხსენებული ფორმები, თუმცა იშვიათად, მაგრამ უკვე თითქმის ყველა ძეგლში შეგვხვდა.

თეიმურაზ II-სთან ასეთი ფორმები ვნახეთ როგორც პოეტურ, ისე პროზაულ ტექსტში. „თიმსარიანში“ და პოემაში „სარკე თქმულთა“ თითო-თითო -**ა** ბოლოსართიანი ზმნა აღმოჩნდა:

რომ ასეთსა შეჭირვებასა და შიშსა **დავესხნათო** (თ. II, 167, 17);

გარს **შემოერთყან** საწოლსა, მოეცვასთ მისი არე-და (თ. II, 69. 555, 2).

პოეტურ ნაწარმოებთაგან ახალი ქართულისებრი ფორმები შეგვხვდა ბესიკის, დავით გურამიშვილის და არჩილის თხზულებებში:

ქმარს უთხრა: „აღრე ვისწრაფოთ, სახლს **ვეპატრონოთ** ჩქარაო (ბეს., 61. 99, 2);

სჯობს, რომ ჩვენ ერთნი **შევიქნათ**, აგებ გვეღირსოს ძილები (დავითიანი, 60. 240, 4).

არჩილის თხზულებებში ახალი წარმოების ათამდე ზმნა ვნახეთ:

სხვას ამბავსა **ჩამოვესხნათ**, გავათაოთ მოდი ჯერ ეს (არჩ., II, 264, 4);

ან თუ სტუმარი გეწვიოსთ, ძალისგან უფრო **ეჩვენოთ**,

თქვენი არ გქონდეს, სხვისი რამ ინათხოვროთ და უჩვენოთ (არჩ., I, 44. 212, 2-3).

ამ უკანასკნელზე შეიძლება ვიფიქროთ, პოეტი ახალი ენისათვის ნიშანდობლივ ფორმას სარიტმოდ ერთეულად იყენებს. ანალოგიური ვითარებაა შემდეგ მაგალითშიც:

რაზომნიცა დღენი გვესხნეს, საწუთროსა ხელი ვყაროთ,

მოყვრულად და საყვარელად ერთმანერთსა **შევეყართ** (არჩ., I, 172. 298, 1-2).

თუმცა იმავე ზმნის -ი პრეფიქსიანი ფორმა არც სარიტმო ერთეულია და არც სალექსო საზომის სხვა შემთხვევად განიხილება:

დილას შევესხდეთ სამინდოროდ და მიზეზით ნადირობის,

ისრე ცხენზე **შევეყართ**, ჯარი შესხდეს ერთ-პირობის (არჩ., II, 521, 1).

აქვეა ამ ზმნის მესამე სუბიექტური პირის ფორმები ძველი წარმოებით:

საჩოქეთ რა **შეყარნენ**, უწინ მან წაიწიოსო (არჩ., I, 8. 44, 3);

შემოყარნენ დარბაზსა, დღე წართონ სმა და მღერითა (არჩ., I, 39. 163, 1).

პრეფიქსიან ვნებითა II კავშირებითში პარალელური წარმოების ფაქტები არჩილთან ზოგჯერ ერთსა და იმავე თხზულებაში დასტურდება. პოემაში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“ ახალ, -ო სუფიქსიან ფორმას ერთგან თუ მომდევნო ტაეპის „დავროთო“ ზმნის მოსაზღვრე რითმად მივიჩნევთ, სხვა მაგალითში ასეთი მიზეზი აღარ არის:

ამ ერთით **გამოიზარდნენ** ღარიბნი, ყველას აყონო (არჩ., I, 41. 184, 3);

მაშ რით დავრჩეთ, ისიც ბძანეთ და ან რით **გამოვიზარდოთ?**

შენ ამბობ და **დაგემოწმეთ**, ჩვენცა სიტყვა სიტყვას დავროთო (არჩ., I, 47; 235, 1-2);

თქვენც **დამემოწმნეთ** ყოველნი, მოგგონდესთ, თითზე იკბინოთ (არჩ., I, 50. 257, 4).

პოემაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ პარალელიზმის კიდევ ერთ მაგალითს ვხვდებით, როცა ძველი და ახალი წარმოების თანაარსებობა არ არის განპირობებული ლექსთწყობის აუცილებლობით:

თუ ვინმე დაგხვდეს, რას ჰქვიან, **შეებათ** მოსვლად ჩვენამდინ? (არჩ., II, 939, 3);

კარგი თურმე არ გნდომია, მაშ **შევებნეთ** ერთმანერთსა (არჩ., II, 479, 2);

დილას **შევებნეთ** სივრილით, ამას სხვა რჩევა არ უნდა (არჩ., II, 628, 4);

ორჯელ გალახულთ **შევებნეთ**, ვინცა ხართ ომის მნდომია (არჩ., II, 629, 4).

მხატვრულ ნაწარმოებთაგან ახალი წარმოება პოეტურთან ერთად არაპოეტურ ტექსტშიც გვხვდება. სულხან-საბა ორბელიანის თხზულებათაგან „სიბრძნე სიცრუესა“ და „მოგზაურობა ევროპაში“ თითო-თითო მაგალითს თუ შევხვდით, „სწავლანში“ თხუთმეტამდე ასეთი ზმნა მოვითვალეთ:

მე და შენ ღმერთს შესაყრელად ვუნდოდით და აწ გულის ნებას **ვეწიოთ-**მეთქი (საბა, ს.ს., 103);

ღღესა ერთსა გახსნა და გასცა განძი ურიცხვი გლახაკთა ზედა, რათა **ვეედრონ** ღმერთსა ძისა ბოძებისა მისისათვის (საბა, ს.ს., 7);

მის მსგავსად, თვით ის იყო და აწ პატრონის ჩემის შვილი წაგიგვრია და ვითლა **ვეუბნათო?** (საბა, ს.ს., 55);

ესე არს ზიარება, რათა თანა ზიარ ქრისტესა **ვიქმნათო** (საბა, სწავლ., 281, 138).

საინტერესოა, რომ საშუალი ქართულის ჩვენ მიერ მიმოხილული ძეგლებიდან ყველაზე მეტი ახალი ფორმა სულხან-საბას „სწავლანში“ ენახეთ:

შვილთა და შვილისშვილთად მათისა თესლისათვის გამზადებთ სამარხოთა აკლდამათა და დიდებულთა მონასტერთა, რათა ივინი **დაეფლან** (საბა, სწავლ., 79, 209);

არიან ომთა შინა და კაცთაგან, არიან წყალთა და თოვლთა მიერ და მხეცთაგანაც **მოიკლან** უცბად (საბა, სწავლ., 323, 226).

კიდევ უფრო საინტერესოა ის, რომ ამგვარ ფორმათა უმრავლესობა იმ ეპიზოდებშია, სადაც ავტორი რელიგიურ პრობლემებზე მსჯელობს:

ჩვენცა **მივისწრაფოთ** სულიერისა მკურნალისა, რათა აღივოცნეს ცოდვანი ჩვენნი სინანულისა და აღსარებისა მიერ (საბა, სწავლ., 40, 77);

რათა მას თანა **დაემკვიდროთ** უკუნისამდე (საბა, სწავლ., 78, 207);

ლოცვისა დარულებადმდე მწუხარ და სულთქმით მკვნესარე **ეჩვენოთ** ქრისტესა, – რადა არ იღწვიით? (საბა, სწავლ., 135, 405);

აუბნებენ ენათა ზაკვით, რეცა **ეჩვენონ** მოწყალედ (საბა, სწავლ., 91, 250);

არიან წყრომათა და ომთა შინა მოკვდენ, ანუ წყალთა, თოვლთა შინა **მოითოშონ** (საბა, სწავლ., 323, 207).

„სწავლანში“ ფორმოზრივი პარალელიზმის შემთხვევებიც მოვიხილეთ:

ხოლო თქვენ მიირბინეთ მღდელმოდღვართა თანა, რათა **განეშოროთ** ცოდვასა და აღსარება და სინანული ჳელთა შინა მისცეთ (საბა, სწავლ., 135, 405);

განეკრძალენით, რათა არა შეხვიდეთ ჯოჯოხეთსა და არა **განეშორნეთ** დიდებასა ღმრთისასა (საბა, სწავლ., 29, 35);

თანა-გვაც, რათა არა **დავითროთ**, ვინაითგან ესრეთ არს სიმთრვალე (საბა, სწავლ., 216, 672);

განკმდეთ საჭმლითა წმიდითა ამით და **დავითგონეთ** სულიერითა სა-
ღმრთოთათა ამის სასმელითა (საბა, სწავლ., 105, 299);

და იგინი სახმრად იყოს თქვენდა და თქვენ არა მსახურ მათდა და **მიე-
გოთ** გონებასა (საბა, სწავლ., 194, 601);

მოვეგნეთ თავთა ჩვენთა და დაგადგნეთ ნებასა მეუფისასა (საბა, სწავლ.,
190, 587).

ჩვენ მიერ შესწავლილი ძეგლებიდან იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“
ყველაზე მოგვიანო პერიოდის ნაწარმოებია. თუმცა პრეფიქსიან ვნებითა ჩვენ-
თვის საინტერესო ფორმები აქ ისეთივე იშვიათობაა, როგორც სულხან-საბას
„სიბრძნე სიცრუეში“:

მაშა, ბერები ხომ არა ვართ, რომ მეფის სიტყვით ანუ სხვა ჩვენის უფ-
როსის სიტყვით **დავეჭერინოთ** ვისმე (ბატონიშ., II, 139);

ჩემს მოწაფეებს ამ მიზეზით გაგამხელ, რომ ეგებისთვის ცოდვა მოიშა-
ლონ და **შეირცხვინონ** ხალხისგან (ბატონიშ., II, 233);

გამოარჩიეს, თუ ვითარ სახითა **შეებან** მტერსა (ბატონიშ., II, 92);

და იზრახდა, ნუთუ **მოიკლან** ესენი ხელთაგან მტერთასა (ბატონიშ., II,
120).

„კალმასობაში“ ფორმოებრივ პარალელიზმსაც ვხვდებით:

გინდა **შეემცნათ** ამა მუმიათა ხასიათთა და თქვენს ლექსიკონში განმარ-
ტება ამათი დაწეროთ (ბატონიშ., II, 243);

გარნა ესე შეიძლება, რომელ იქონიოთ ფილოსოფიური და მათემატიკური
წიგნები და გულისხმებით იკითხოთ, მაშინ იქნება მცირედ **შეემცნეთ** (ბატონიშ.,
II, 236).

პრეფიქსიანი ვნებითის ჩვენთვის საინტერესო ფორმები ისტორიულსა და
სამართლებრივ ძეგლებშიც დადასტურდა. მნიშვნელოვანია, რომ აქ სწორედ მე-
სამე სუბიექტური პირის ფორმებთან გამოვლინდა ახლებური წარმოება.

1722 წლის „ღმრთაების გუჯარში“ ვკითხულობთ:

ვითარმედ **ვემსგავსოთ** მაღალსა მას (სამ. ძეგლ., II, 377).

XVII საუკუნის ერთ-ერთ საერო-საკანონმდებლო ძეგლშიც არის ასეთი
ფორმა:

და ვინცა ამის მამულში იდგეს, **გამოეცალონ** (სამ. ძეგლ., II, 233).

XVIII საუკუნეში ერეკლე II-ის მიერ განწესებულ ძეგლებშიც დადასტურ-
და ახალი ფორმები:

თუ თავს დასხმა ამჯობინონ, თავს **დაესხან** (სამ. ძეგლ., II, 426);

როგორც დაჩემებული არის და განწესებული, ისე უნდა შევიდნენ და **დაიხიზნონ** (სამ. ძეგლ., II, 512).

ანალოგიური წარმოების ფორმაა XIX საუკუნის დასაწყისის ერთ-ერთ საერო-საკანონმდებლო ძეგლშიც:

ნებადართულ მექმნას განვაგრძო დასჯა მეგრ უწინარესისა, რათა აღვირსხმული **იქმნან** ბოროტმოქმედებანი (სამ. ძეგლ., II, 562).

ჩვენთვის საინტერესო ზმნები ვხვდებით VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში, რომელიც XVIII საუკუნის დასაწყისშია შედგენილი:

და ყოველნი შეიქნენ მოცლით და დაგროვდენ მონასტერსა და საყდარსა ქრისტესასა, და **ვეედრონ** უფალსა გულის წმინდითა (სამ. ძეგლ., I, 239);

თუ ხელმწიფეს უკან შვილებიც მალ **მიიცვალონ** და შვილიშვილი დარჩეს, მას უნდა მისცენ ჳელმწიფობა (სამ. ძეგლ., I, 270);

თუ **წაიკიდნონ** კაცნი ორნი, ერთი წვერიანი და ერთი უწვერული (სამ. ძეგლ., I, 290).

ამ უკანასკნელში ძველი წარმოების კვალია შემორჩენილი, ზმნაში შემონახულია **ნ** ფორმანტი, მაგრამ **-ე** სუფიქსის ნაცვლად უკვე **-ო** ბოლოსართი მიერთვის ზმნურ ფორმას. ეს მაგალითი ძველისა და ახლის სიმბიოზის საინტერესო შემთხვევაა.

ვახტანგ VI-ის კრებულში, სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიის ერთ-ერთ თავში გვერდი-გვერდ გვხვდება ძველი და ახალი ფორმები, თუმცა **-ო** ბოლოსართიან ზმნაში ისევ შემორჩენილა **ნ** ფორმანტი. ეს შემთხვევაც შეიძლება ჩაითვალოს კონკრეტული მდივან-მწიგნობრის ცდად, ძველი სალიტერატურო ნორმის კვალის წაუშლელად მიმართოს ახალ წარმოებას:

თუ ვინც ძმანი **გაიყარნენ** და გაიყონ მამული და საქონელი, და კაცთა წინა **გაიყარნონ** და არა დასწერონ გასამყრელს წიგნი მართალი, უწიგნოთ გაყოფა რისაც და გაყრა არ არის ჳეშმარიტი (სამ. ძეგლ., I, 257).

პრეფიქსიან ვნებითა II კავშირებითის ახალი ფორმები კიდევ უფრო დიდი იშვიათობაა „ქართლის ცხოვრებაში“. ახალი ქართულისებრი წარმოება ვნახეთ ახალი „ქართლის ცხოვრების“ მესამე ტექსტში:

მაშინ მიუმცნო შაჰ-თამაზ შამხალსა, რომელსა ეწოდა ჩერქეზ, და სულთანსა შაქისასა და ყარაბაღელთა, და გარემოთა ყოველთა ყიზილბაშთა, რათა **შემწე-ყონ** დაუთხანსა (ქ. ცხ., II, 513, 30).

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნები სუბიექტის მრავლობითობისას II კავშირებით ძველ ქართულში მოქმედი წესისამებრ იწარმოებენ. მაგრამ ამავე პერიოდისათვის უკვე ძველის წიაღში ახალი ფორმებიც იკიდებენ ფესს. ახალ წარმოებას XII საუკუნიდან ვხვდებით „ამირან-დარეჯანიანში“. თუმცა, ხსენებული ფორმა, შესაძლოა, აქ გვიანდელიც იყოს. XVII საუკუნიდან მოყოლებული კი თითქმის ყველა ძეგლში გამოვლინდა ასეთი ფორმები. პოეტურსა და არაპოეტურ ნაწარმოებებში, მხატვრულ ტექსტებსა თუ ისტორიულსა და საკანონმდებლო ძეგლებში თანაბარი სიხშირით მათი გამოჩენა თითქოს შლის საზღვარს სამწერლობო ენის საშუალსა და ახალ პერიოდებს შორის. პოეზიის ენაში ახალი ფორმების არსებობას ვერც მხოლოდ ლექსის საჭიროებით ავსხნით, რადგან იშვიათ შემთხვევაში ასეთ ფორმებს თუ ლექსთწყობის რომელიმე ინსტრუმენტად მივიჩნევთ, უმეტესწილად ისინი სრულიად დამოუკიდებლად ჩნდებიან. „სამართლის ძეგლებსა“ და „ქართლის ცხოვრებაში“ ჩვენ მიერ დამოწმებული მესამე სუბიექტური პირის ფორმები ცხადყოფენ, რომ „გავეკრათ, გაეკრათ, გაეკრან“, „წავეკიდოთ, წაეკიდოთ, წაეკიდო“ პარადიგმებს არსებობის უფლება აქვს არა მხოლოდ ახალ სალიტერატურო ენაში, მათი არსებობა ფაქტია თვით მოგვიანო პერიოდის საშუალო ქართულის დონეზეც.

3.3. -ენ/-ნენ დაბოლოებისათვის II კავშირებითში

ძველ ქართულში მოქმედებითი გვარის ზმნებს II კავშირებითში **-ნენ** ბოლოსართი მოუდიოდა. აღნიშნულ სუფიქსში შემავალი **ნ** პირდაპირი ობიექტის სიმრავლეს გამოხატავდა, **ე** მწკრივის მაწარმოებელი ელემენტია, ხოლო ბოლოკიდური **ნ** მესამე სუბიექტურ პირს აღნიშნავდა მრავლობით რიცხვში. ამავე მწკრივში აღნიშნული ბოლოსართი დაერთვოდა პრეფიქსიანი ვნებითის ფორმებს მაშინ, როცა მესამე სუბიექტური პირი მრ. რიცხვში იდგა:

და-წერ-ნ-ე-ნ მან იგინი

და-ი-წერ-ნ-ე-ნ- იგინი

ხსენებულ ფორმათა გავლენით მოგვიანებით **-ნენ** სუფიქსი გავრცელდა სხვა მწკრივებსა და სხვა ტიპის ზმნებშიც:

„ა) სუფიქსიანსა და უნიშნო ვნებითის II კავშირებითში:

რომ ისინი დაბერდნენ, გათბნენ

ბ) ყოველგვარი ვნებითის წყვეტილში:

დაიტანჯნენ, დაბერდნენ, გათბნენ

გ) „ვიდა“ ზმნის წყვეტილსა და II კავშირებითში:

მოვიდნენ, წავიდნენ და სხვ.

დ) ყოველგვარი ზმნის სავრცობიან მწკრივებში:

წერდნენ, იტანჯებოდნენ, თბებოდნენ და მისთ.

-ნენ დაბოლოების აგრე გაგრცელებამ მოშალა განსხვავება მე-3 პირის მრ. რიცხვის ფორმებში, ერთი მხრით, უწყვეტელსა და აწმყოს კავშირებითს შორის (resp. I ხოლმეობითსა და მეოფადის კავშირებითს შორის) ყოველგვარ ზმნაში და, მეორე მხრით, წყვეტილსა და II კავშირებითს შორის ვნებითი გვარის ზმნებსა და „ვიდა“-ში (აქ განსხვავება დარჩა მოქმ. გვარის ზმნებში და მედიოაქტივებში)“ (შანიძე 1980: 452-453).

ახალ სალიტერატურო ქართულში **-ნენ** სუფიქსი II კავშირებითში აღნიშნავს მესამე სუბიექტური პირის მრავლობითობას პრეფიქსიანი (და-ი-მალ-ნენ), სუფიქსიანი (და-ბერ-დ-ნენ) და უნიშნო (გა-ხმ-ნენ) ვნებითი გვარის ზმნებთან, სათანადო პრეფიქსიანი ვნებითი გვარის ფორმათა კვალობაზე წარმოებულ სტატიკურ ვნებითებთან (ე-კიდ-ნენ) და საშუალ-ვნებითთა ნაწილთან (ი-დგ-ნენ). ე. ი. II კავშირებითის ჩვენთვის საინტერესო ფორმათაგან აღნიშნული ცვლილება შეეხო ძირითადად უნიშნო და სუფიქსიანი ვნებითი გვარის ზმნებსა და „ვიდა“ ზმნას:

რომ $\left\{ \begin{array}{l} \text{გათბ-ენ} \rightarrow \text{გათბ-ნენ} \\ \text{დაბერდ-ენ} \rightarrow \text{დაბერდ-ნენ} \\ \text{მოვიდ-ენ} \rightarrow \text{მოვიდ-ნენ} \end{array} \right.$

ეს განსხვავება გარკვეულწილად აისახა საშუალ ქართულშიც. თავიდანვე აღვნიშნავთ, რომ საშუალი ქართულის ჩვენ მიერ მიმოხილულ ძეგლებში **-ნენ** ბოლოსართი არც თუ ისე ხშირად ჩნდება და პოზიციას ისევე ძველი წარმოება ინარჩუნებს. კვლავაც **-ენ** სუფიქსიანი წარმოებაა აღნიშნულ ზმნებთან როგორც ადრეული პერიოდის, ისე მოგვიანო ხანის ტექსტებში. **-ენ** სუფიქსია ყველგან მხატვრულ თუ ისტორიულსა და სამართლებრივ ძეგლებში:

არ დაგმორჩილდენ, შერისხდი რისხვითა კვლა და კვლაცითა (ვეფხ., 418, 4);

რა შემოვიდენ ინდოეთს, შევიგნა მათი გვარობა (ვეფხ., 534, 2);

ნუთუ კვლა მიხვდენ მიჯნურნი ერთმანერთისა ხლებასა (ვეფხ., 1254, 4);

ჩემისა ტანისაგან შენი სიყუარული და ჩემი სული სწორად გამოვიდენ (ვის., 87, 3);

თუ მიჯნურობისაგან ეგზომნი ჭირნი **მომხუდენ** (ვის., 180, 20);
 ბრძანა: „**მოვიდენ** მტარვალნი, მათაც ჰყონ ერთი პირია (თ. I, 132. 48, 3);
 შორს მყოფნი ამაღ ნატრობენ, **მოგახლდენ**-იყენეთ ენასმით (თ. I, 143. 8, 3);
დასხდენ ქალების პირისპირ, არვინ დაიშლის ამასო (თ. II, 72. 579, 2);
 რომე ჩემს უკან ასეთის ზალუმის ხელმწიფის ხელში არ **ჩაცვივდენ** ჩემნი
 დაზრდილნი ყმანი და ჩემგან შენახულნი ქვეყანანი (თ. II, 142, 4);
 თუ ესე **ასტყდენ**, ვერ ვგონებ, გარდავლონ ჩიმი-დიდგორი (ბეს., 80);
 თუ არ **აღსრულდენ**, კიდევა ათ-ათი მაზე სართიო,
 მიეცით თანასწორადა, არა იყოს რა ხლათიო (დავითიანი, 107. 576, 3);
 ვამე, თუ შორს გზას წავიდე, საგძლად ვერა-რა წავილო,
 წინ მებაჟენი **დამიხვდენ**, რაც მთხლონ, ის ვერ გავილო (დავითიანი, 123. 6, 2);
 ყოველი კაცი ხარბია, უკანის არამც **გამიმტერდენ** და მიხრიკონ რამე (სა-
 ბა, ს.ს., 19);
 რათა ეტლთა ღმრთისათა **აღმკვდრდენ** და **შევიდენ** მარიამ მშობელისა ჩე-
 მისა თანა (საბა, სწავლ., 161, 493);
 უკეთუ არა აღვიარნეთ, ყოველნივე მუნ წინა **დაგვიხვდენ** (საბა, სწავლ.,
 40, 77);
 თუ **დასხდენ** ბრძენნი, სიბრძნეთა მნენი
 შესხმად ამისდა ერთად კრებულად (არჩ., I, 239. 71, 3);
წარვიდენ და ინადირონ ქოჩობას და მყვირალობას (არჩ., I, 38. 160, 2);
 მაშინც **დაშორდენ** ერთმანერთს, ხუნდიც ვინ შეუყაროსა (არჩ., I, 210. 633, 4);
 რომ არ **გათათრდენ**, ხომ ცხოვნდებიან (ბატონიშ., I, 12);
 და პირველად აიძულებდა მათ, რათა დაუტეონ ქრისტე და **შეუდგენ** მახ-
 მედსა (ბატონიშ., II, 137);
 ამან სცნა სულითა, რომელ მხედრობა მეფის თეიმურაზისა და ირაკლისა
 იძლეოდნენ ჭარელთაგან და აუწყა მეფეთა, რათა არა **წარვიდენ** მათზედა
 (ბატონიშ., II, 209);
 რომელსა არა დარჩეს ვაჟი, ბრძანებითა ღმრთისათა ქალნი **დაპატრონდენ**
 (სამ. ძეგლ., I, 316);
 თუ ვინმე იპყრას მამაკაცი ქმრის ცოლისა თანა სიძვასა, **მოსწყდენ** ორნი-
 ვე იგი ერთად (სამ. ძეგლ., I, 118);
 ოდეს მეფე, ათაბაგი, ქართლისა ერისთავი, სპასალარი და ყოველნი ერის-
 თავნი და ყოველნი მღვდელთ-მოდღუარნი **შემოკრბენ** მცხეთას (სამ. ძეგლ., II, 47);

და ვითარ განთენდეს და ლოცვა აღასრულონ, **წარვიდენ** ყოველნი სახიდ თუსად და განისუენონ (სამ. ძეგლ., II, 50);

ამაზე დიდად **გაფრთხილდენ**, რომ ამ განწესების წინააღმდეგი არ შეიქნენ (სამ. ძეგლ., II, 527);

რათა ყოველნი ძღუნითა **შემოკრბენ** და დიდითა სისარულითა **მოვიდენ** ბრძანებასა მეფისასა და ქორწილსა სამეუფოსა (ქ. ცხ., I, 81, 11);

მაშინ სომეხთა მოგზავნეს ვარაზ-ბაქარისსა მოციქული და რქუეს, რათა **შეკრბენ** და მოირთონ ძალი ბერძენთაგან, და განახუნენ კარნი კავკასიანთანი და გამოიყვანნენ ოვსნი და ლეკნი, და **წინააღუდგენ** სპარსთა (ქ. ცხ., I, 136, 6);

უკეთუ **განძლიერდენ** სპარსნი ჩუენ ზედა, საყუდელი ჩუენი აქა ყოფად არს (ქ. ცხ., I, 178, 2);

ნუ უკუე იგი თურქნი **გამოვიდენ** დევნად, და მოსწყუდნეს ამით ღონითა (ქ. ცხ., I, 349, 19);

და მან ერეკლე მეფემან ტფილისს და მცხეთას და უჯარმოს ქადაგნი განავლინნა, რათა ყოველნი ქრისტეანენი ეკლესიასა **შევიდენ** (ქ. ცხ., I, 375, 18);

და ეზრახა, რათა **განუდგენ** ყაენს (ქ. ცხ., II, 239, 14);

და უკეთუ იგინი **გაერთდენ**, მრავალი ბოროტი გუეწიოს ჩუენ მათ მიერ (ქ. ცხ., II, 502, 9).

-ნენ ბოლოსართი II კავშირებითის ხსენებული ფორმებიდან უმეტესწილად უნიშნო ვნებითებსა და „ვიდა“ ზმნასთან გვხვდება. თუმცა, აქაც ასეთი წარმოება საკმაოდ იშვითია.

XII-XIII საუკუნეთა ძეგლებიდან **-ნენ** სუფიქსიანი ფორმები მხოლოდ „ვეფხისტყაოსანსა“ და „ამირანდარეჯანიანში“ შეგვხვდა. უნიშნო ვნებითთა II კავშირებითის **-ნენ** სუფიქსიანი ზმნები აქა-იქ მაინც გამოერია, შესაბამისი სუფიქსიანი ვნებითები კი ვერ ვნახეთ:

შენ მოცუთ ციხე-ქალაქი, **მოყვენენ** ცოტანი ყმანია (ვეფხ., 416, 4);

მაგრა შევიწიო ღმერთი და არა **შერჩნენ** სისხლნი პატრონისა ჩემისანი (ამ., 175, 9).

XVII-XVIII საუკუნეების მხატვრულ ნაწარმოებთაგან რამდენიმე ასეთი ფორმა მოვიძიეთ თეიმურაზ II-სთან, სულხან-საბა ორბელიანის „სწავლანსა“ და არჩილის პოემაში „გაბაასება კაცისა და სოფლისა“. დავით გურამიშვილთან მხოლოდ „ვიდა“ ზმნის II კავშირებითი ვნახეთ **-ნენ** ბოლოსართით:

რა **მივიდნენ**, ალაყაფის კარს დაუჭერს ყაფიჩები (თ. II, 60. 480, 1);

ქალნი **შეპყენენ** თამაშისთვის, ერთმანერთზედ შენაჯარი (თ. II, 65. 523, 3);
რა ქალნი **ადგენენ**, საწოლით გამოვლენ, იქნას ჯრანი-და (თ. II, 66. 527, 1).
შეგნიშნავთ, რომ „სწავლანში“ ჩვენთვის საინტერესო ფორმებიდან
უმეტესობა უნიშნო ვნებითია და ყველა მათგანი A ვარიანტშია:

რომელთა ესე თავს იღვან შეკრძალვად, იგინი **განბდნენ** ღმრთისა მიერ
(საბა, სწავლ., 314, 186);

რათა ყოველნი მკვდარნი **ადღენენ** და კორცნი შეიმოსნენ და ყოველნი
მის წინაშე გაისაჯნენ (საბა, სწავლ., 331, 222).

ეს უკანასკნელი ზმნა ამ ტექსტში სხვაგან რამდენჯერმე შეგვხვდა **-ენ** სუ-
ფიქსით:

რათა განიღვიძონ ძილისაგან და **ადღენ** ლოცვად და ვედრებად უფლისა
(საბა, სწავლ., 212, 658).

სხენებული თხზულების A ვარიანტში გვერდი-გვერდ ვნახეთ **-ენ** და **-ნენ**
ბოლოსართიანი ფორმები:

და ოდეს მიიწვევიან აღსასრულნი, მაშინლა **მოკვდნენ** და ვერ განერნენ (სა-
ბა, სწავლ., 322, 205);

არიან წყრომათა და ომთა შინა **მოკვდენ**, ანუ წყალთა, თოვლთა შინა მო-
ითოშონ (საბა, სწავლ., 323, 207).

არჩილთანაც უნიშნო ვნებითები გამოვლინდა ახალი მაწარმოებლით:

მეკობრეს რა კარს **მიადგენენ** მძებნელნი შესაცნეველად,

თუცა დაინანს, სად წავა, მე ვჰყევიარ მისასეველად (არჩ., I, 42. 186, 3);

პირს **წარმოგიდგენენ** თამამად მოცილე და მოდავები (არჩ., I, 44. 204, 2).

არჩილისავე პოემაში „საქართველოს ზნეობანი“ იგივე ზმნა **-ენ** ბოლოსარ-
თითაა:

თუ ვინმე ცხენით ან ქვეით თავისთვინ ლაპარაკობდენ,

გნახონ და შენკენ **წარმოდგენ**, შენც მიდი თუ კამათობდენ (არჩ., I, 9. 55, 2).

ძნელი მოსაძებნია ასეთი ფორმები იოანე ბატონიშვილის „კალმასობაში“.

აქაც მხოლოდ უნიშნო ვნებითის დამოწმება შევძელით:

რათა არა **შესცთნენ** სხვათაგან კითხულთა ზედა (ბატონიშ., II, 234).

რაც შეეხება ისტორიულ თხზულებათა კრებულს, „ქართლის ცხოვრებას“
და სამართლის ძეგლებს, საძიებელი ფორმები შედარებით უფრო ხშირად ამ
უკანასკნელში გამოვლინდა. საერთოდ, ლოგიკურია II კავშირებითის ფორმათა
სიმრავლე იურიდიული ხასიათის ტექსტებში. აღნიშნულ ძეგლებს, როგორც

ცნობილია, სხვადასხვა დროს სხვადასხვა ენობრივი პოზიციის მდივან-მწიგნობარნი ქმნიდნენ. ცალკეულ სიგელ-გუჯრებში და განწესებებში, ბუნებრივია, თუ ერთი და იმავე ტიპის ზმნასთან ძველი წარმოების უამრავ ფორმას შორის ზოგჯერ ახალი წარმოების კვალიც გაჩნდება. აღვნიშნავთ იმასაც, რომ იურიდიულ ძეგლთა ენა ყველაზე ახლოს დგას მათი ავტორ-შემოქმედთა თანამედროვე საზოგადოების ცოცხალ სასაუბრო ენასთან, რომელთანაც სალიტერატურო ენა მეტ-ნაკლებად ყოველთვის დაშორებულია. იმ დროისათვის ცოცხალ მეტყველებაში უკვე კარგად დამკვიდრებულმა გრამატიკულმა ფორმებმა სწორედ ამ ძეგლთა ენაში იჩინა თავი.

სამართლის ძეგლებში უნიშნო ვნებითის **-ნენ** ბოლოსართიანი ზმნებითი თითზე ჩამოსათვლელია. ადრეული პერიოდის ძეგლთაგან **-ნენ** ვნახეთ XIII საუკუნის ძეგლში „კურთხევა მირონისა“:

მოდგნენ ყოველთა მონასტერთა მოძღუარნი და წინამძღუარნი და მათითა წესითა წინამოდსხდენ ეფისკოპოსთა (სამ. ძეგლ., II, 49).

უნიშნო ვნებითის ახალი ფორმები გვიანდელი ხანის ძეგლებიდან ერეკლე II-ის პერიოდის სიგელ-გუჯრებში და განწესებებში გვხვდება. ერეკლე II-ის 1749 წლის გუჯარში პატივისა და ადგილის შესახებ ვკითხულობთ:

რაჟამს იკურთხოს მეფე და დაჯდეს ტახტსა ზედა, ეპისკოპოზნი ამა წესითა **დაჰსხდნენ** (სამ. ძეგლ., II, 399).

ანალოგიური ფორმაა 1722 წლის ძეგლში „მღევრობის განწესება ერეკლე II-ისა“:

თუ წინ დახვედრა ამჯობინონ, წინ **დაუხვდნენ** (სამ. ძეგლ., II, 426).

ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში **-ნენ** სუფიქსი შეგვხვდა უნიშნო ვნებითებთან, სუფიქსიან ვნებითებთან და „ვიდა“ ზმნასთან:

უკეთუ მოდავესთან საჩივარში **დადგნენ** და პასუხი მისცენ, კარგია, თუ არადა **წავიდნენ** და **მივიდნენ** სასამართლოშია (სამ. ძეგლ., I, 176-177);

რომელმანცა კაცმა კაცსა აგინოს, და ჩუმად ქრთამი გაიღოს, და **შერიგდნენ** და მოსამართლესთან აღარ იჩივლონ, ...ამისათვის განიპატიოს (სამ. ძეგლ., I, 156);

რა რომ **დაპირდაპირდნენ**, გაუშვან და შეუტონ (სამ. ძეგლ., I, 482).

„ქართლის ცხოვრებას“ რაც შეეხება, II კავშირებითის ჩვენთვის საინტერესო ფორმები აქა-იქ მხოლოდ ცალკეულ ნუსხაში აღმოვაჩინეთ. უნიშნო ვნებითისა და „ვიდა“ ზმნის **-ნენ** ბოლოსართიანი ფორმები XVIII-XIX საუკუნეთა ხელნა-

წერებში გამოვლინდა. აღნიშნულ ზმნათა პარაფლური წარმოების რამდენიმე შემთხვევა ლეონტი მროველის, ჯუანშერის, სუმბატ დავითის-ძის თხზულებებში დავკებნეთ.

მაგალითად, ლეონტი მროველის თხზულების მარიამისეულ ნუსხაში თუ „დადგენ“ ზმნა გვხვდება, 1748 წლის საეკლესიო მუხეუმის ხელნაწერში მას **-ნენ** ბოლოსართიანი ფორმა ენაცვლება:

და ოდეს გამობრწყინდენ მთიებნი იგი, ნახონ თუ სადა **დადგენ**, და მუნცა აღემართნენ ჯუარნი ესე ქრისტესნი (ქ. ცხ., I, 121, 2).

ჯუანშერის ისტორიაშიც ასევე „დადგენ“ ზმნაა მარიამისეულ ნუსხაში, ხოლო 1839 წლის ბროსესეულ და XVIII საუკუნის შუა წლების დადიანისეულ ხელნაწერებში „დადგენ“ ზმნა იკითხება:

და უბრძანა, რათა მიეახლნენ ვახტანგს და **დადგენ** თვნიერ ბრძოლისა (ქ. ცხ., I, 171, 3).

ჯუანშერისავე ისტორიის ჭალაშვილისეულ ხელნაწერში „ვიდა“ ზმნის II კავშირებითი ძველი ფორმით გვხვდება. აქვე ამავე ზმნას სხვა ხელნაწერი **-ნენ** ბოლოსართით აჩენს:

ნუ უკუე **შევიდენ** საბერძნეთად სპარსნი და მოაოკრონ იგი (ქ. ცხ., I, 182, 8).

სუმბატ დავითის-ძის თხზულების მარიამისეული ხელნაწერის „ვიდა“ ზმნის **-ენ** სუფიქსიან ფორმას 1736 წლის მაჩაბლისეულ ხელნაწერში ახალი „შევიდნენ“ ზმნა ცვლის:

და მან ერეკლე მეფემან ტფილისს და მცხეთას და უჯარმოს ქადაგნი განავლინა, რათა ყოველნი ქრისტიანენი ეკლესიასა **შევიდენ**, და ყოველნი მოგუნი და ცეცხლისმსახურნი, რომელნიცადა არა მოინათლნენ, მოისრნენ (ქ. ცხ., I, 375, 18).

ამგვარად, საშუალო ქართულის ძველთა ენობრივი მასალის მიმოხილვამ გვიჩვენა, რომ აღნიშნული კატეგორიის ზმნათა II კავშირებითში კვლავაც ძველი (**-ენ** დაბოლოებიანი) წარმოება რჩება, ახალი წარმოება იშვიათია. **-ნენ** ბოლოსართი უმეტესწილად უნიშნო ვნებითებთან და „ვიდა“ ზმნასთან ჩნდება. ეს უკანასკნელი კიდევ უფრო იშვიათია სუფიქსიან ვნებითებთან.

3.4. -თ სუფიქსიანი II კავშირებითი, პარალელიზმები

-თ სუფიქსიანი II კავშირებითი -ე სუფიქსიან წყვეტილს შეესაბამება. -ე სუფიქსი კი წყვეტილში III და IV ყალიბის ზმნებს მოუდის. როგორც სამეცნიერო ლიტერატურაშიც აღნიშნავენ, ეს შესაბამისობა (-ე სუფიქსიანი წყვეტილი – -თ სუფიქსიანი II კავშირებითი) მყარია (გოგოლაშვილი 1984: 81). ხსნებული მიმართება უგამონაკლისოა საშუალო ქართულის ჩვენ მიერ განხილულ ძეგლებშიც. განურჩევლად ჟანრისა და თემატიკისა. -თ ბოლოსართს დაირთავენ II კავშირებითში წყვეტილის როგორც III, ისე IV ყალიბის ზმნები. ესენია გარდამავალი ზმნები, საშუალო-მოქმედებითი გვარის ზმნები, პრეფიქსიანი და სტატიკური ვნებითები:

არ დაეთმოთ, რა ვქმნათ, სევდასა, მითხარ, რა მოფუგვართთა (ვეფხ., 717, 3);

თუ მიბრძანოთ, მოგაკსენოთ, რაცა ვიცოდეთ (ამ., 14, 3);

შემომფიცე აწვე, რომელ ვისის სიყუარული აღარ გქონდეს და არცაღაოდეს დაეკარო (ვის., 174, 7);

შენ არა განიძარცო ცოდვა და ეგო უკურნებლად, არცაღა გველად საგონებელ იყო (საბა, სწავლ., 159, 487);

ვაზის მრგველთან ის არ ვაქო, ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო,

მასზე სული არ წარვსწყმინდო, რა გინდ ჳორციოთ დავიკარგო (დავითიანი, 50. 169, 4);

რა შეიმატოთ, რა ირგოთ, სულ ხმით ყვირილით იქმოდით?

თვარა ყოველმან სიცრუვე იზღვიოთ, მწარის იქ მოლით (არჩ., I, 14. 98, 4);

აწ განვისვენოთ და ხვალე ვიტყოდეთ სხვათათვის ჰსწავლათა (ბატონიშ., II, 146);

ნუ უგულებელს ჰყოფ ჳარსა ანუ კარაულსა ძმისა შენისასა, რომელი დაცემულ იყოს გზასა ზედა, არამედ შეეწიო მას და ადადგინო (სამ. ძეგლ., I, 116);

არ ხარ შენ კადნიერ ბრძოლად მეფისა, არამედ მე გებრძოლო მონა მონასა (ქ. ცხ., I, 189, 11);

მოიყიდე სხუად უმძიმესი ძელი და აღიტვრთე ჳურგითა შენითა, მოაწიო წინაშე ტაძრისა ჩემისა. და ამისი რა მყოფელი მოგწყვდო უეჭუელად ყოვლითურთ, რადცა არს შენი (აბუს. ტბ., 61, 93).

როცა -თ სუფიქსიან II კავშირებითზე ვსაუბრობთ, სხვა პრობლემათა გვერდით ჩვენს ყურადღების არეში ფორმობრივი პარალელიზმებიც ექცევა. II

კავშირებითის გამოხატვაში მომხდარი ზოგი ცვლილების ქრონოლოგიური საზღვრების დადგენისას ზ. სარჯველაძე ამბობს: „ძველი ქართული ენის ბოლო პერიოდში შეინიშნება ცვლილებები II კავშირებითის ალომორფთა განაწილებაში... ხდება აგრეთვე -თ ალომორფის გავრცელება თავდაპირველი ა-სა და ე-ს ნაცვლად“ (სარჯველაძე 1984: 451-452). საშუალო ქართულის ჩვენ მიერ მოკვლეულ მასალაში ამგვარი ფაქტების აღნუსხვა არ გაგვიჭირვებია. შევეცადეთ, მოგვენიშნა კონკრეტული მაგალითები, რომელთა არსებობა რეალურია არა მხოლოდ სხვადასხვა ძეგლში და სხვადასხვა ავტორთან, ისინი ზოგჯერ ერთ მწერალთანაც გვხვდება. პარალელური ფორმათწარმოების შემთხვევები სულ რამდენიმე ზმნასთან დავადასტურეთ:

ვიუბნო // ვიუბნა

-თ ბოლოსართი ამ ზმნის II კავშირებითთან ვნახეთ „ამირანდარეჯანიანში“:

აწ წავიყუანოთ შინა და მუნ ვიუბნოთ, ნუთუ არა გაგუცეს გზა (ამ., 206, 6).
სხვა ხელნაწერში იგივე ზმნა იმავე შესიტყვებაში -ა დაბოლოებით გვხვდება (ვიუბნოთ).

-ა ბოლოსართიან ზმნებს შევხვდით „ვეფხისტყაოსანში“, არჩილის, იოანე ბატონიშვილის, სულხან-საბას თხზულებებში:

კვლაცა მითხრა: „რა გეუბნა მტყუანსა და შენ მუხთაღსა (ვეფხ., 517, 3);
მათ რო იუბნან, ჩვენ რა გვრჯის, ვინცა დაათროს არაყმა? (არჩ., II, 67, 4);
კარგი, მერე ვიუბნათ ამგვარებისთვის (ბატონიშ., I , 69).

უსწრო // შევესწრა

აღნიშნული ზმნის II კავშირებითში -თ ბოლოსართია გამოყენებული სულხან-საბას, არჩილის თხზულებებში, „ქართლის ცხოვრებაში“:

და თქვენ უსწროთ საკმრად თქვენდა ყოფად (საბა, სწავლ., 195, 602);
აწ ჩუენცა უსწროთ და გარდავსტაცოთ ქება მაქებელთა და შემსხმელთა (ქ. ცხ., II, 69, 17);

თხუთმეტის დღისა მთვარესა შეჭურვა ვინ სულ დაასწროს (არჩ., I, 6. 30, 1).

-ა სუფიქსი კი ბევრ ძეგლში შეგვხვდა:

კაცმან ვერ ასწრას თვალისა დახაფვა, დაწამწამება (ვეფხ., 292, 1);

მორიელის ნაკბენარსა, სჯობს, **მომასწრა** ფაზარ-ხუფო (დავითიანი, 65. 272, 2);

ვამე თუ, სულო, **გისწრას** ღამემა

და შეგაშინოს გზაზედ რამემა! (დავითიანი, 222, 289, 1);

რომ თუ სიკვდილმან **მისწრას**, ან სხვის მიზეზით იმისა დადგმა ვერ შევიძლო, ის ოცი თუმანი ისევ უკანვე მიერთვას (დავითიანი, 286);

მასვე ღამესა წავიდენ, ხვალ ჩვენმან ძმამ არ **დაგვასწრასო** (საბა, ს.ს., 127);

იმერეთს არ **გარდაგასწრას**, დაცვე ტყე ან უგზებია (არჩ., II, 545, 2);

და თუ მზემ **უსწრას** და გათენდეს, დღისით მზისით თუ უკვლამწიფოდ მოკლას, მის მაგივრად ის უნდა მოკუდეს (სამ. ძეგლ., I, 303);

თუ პურობას ღამე **შემოესწრას** (სამ. ძეგლ., II, 85, 31);

სადედლოფლოს თავადსა ან აზნაურიშვილის გაყრაში დედლოფლის სახლთ-ხუცესი მდივანბეგთან უნდა **დაესწრას** (სამ. ძეგლ., I, 268);

მელიქი, მამასახლისი, ნაცვალი და ქეთხუდები უნდა **დაისწრას** და ისე უნდა მისცეს ნიხრი (სამ. ძეგლ., I, 499).

შევიპყრო // შევიპყრა

-ო ბოლოსართიანი ფორმები:

არა გულისხმაყოფ სიკვდილსა ქრისტესსა შენთვის, რათა განცვიფრებამან შევიპყროს (საბა, სწავლ., 30, 38);

ვისაც შვილმან შეაგინოს და ავად **მიეპყროს** მამასა მისსა (სამ. ძეგლ., 206).

აქაც -ა სუფიქსიანი ფორმები ჭარბობენ აშკარად:

ქალი **შევიპყრა**, მის ყმისა ამბავი ვაამბობინო (ვეფხ., 226, 2);

მნებავეს, რათა მრთელი **შევიპყრათო** (ამ., 5, 7);

ღმერთმან ნუ რომელი მიჯნური **დააპყრას** ესეთისა უნებლისა ყოფასა გულდამწუარი და დაუთმობელი (ვის., 279, 24);

ვინც უპატიოდ **მიეპყრას**, ცოლიც მისი ჰგავს ბაღასა (თ. I, 142. 4, 4);

ნუ შვილო, ადამის ტომი ხრიკიანია, არ **შეგიპყრასო** (საბა, ს.ს., 131);

კაცი თუ ეშხმან **შეიპყრას**, მიმოწმეთ არის წამება (არჩ., I, 129. 24, 1);

შეიპყრას სხუამან კაცმან ქალაქსა შინა და შეაგინოს იგი (სამ. ძეგლ., I, 118);

შე-თუ ვინმე იპყრას ქალი ქალწული... (სამ. ძეგლ., I, 119);

და თაყუანი-სცეს მეფემან მდაბლად კათალიკოსსა, **დაუპყრას** ჳელი მარჯუენე კათალიკოსმან (სამ. ძეგლ., II, 51);

ვინ უპატოსნეს არს ჩემსა, რომელმან **დაიპყრას** უპატოსნესი საჯდომი? (ქ. ცხ., II, 80, 9);

არა ჯერ არს, რათამცა ნაშობმან დედაკაცისამან **დაიპყრას** მეფობა და არა ძემან თვთმპყრობელისა მეფისა მამაკაცისამან (ქ. ცხ., II, 224, 19);

რათა შეკრბენ ერთად და **შეიპყრან** ალათემურ და მიჰგვარონ ულო ყაენს (ქ. ცხ., II, 252, 12);

და მიუმცნო მანცა ეგრეთ, რათა პაემანსა შეკრბენ ერთად, და დაამცუან აბაღა ყაენი და **დაიპყრან** ჳელმწიფობა (ქ. ცხ., II, 258, 14);

რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი **აღუპყრა** და შევეწიო მათ და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ (ქ. ცხ., I, 38, 13);

არამედ **შევიპყრა** ყუაგი ისი, მზრდელი ჩემი, შევჭამო და განვისუენო ორ დღე (ქ. ცხ., I, 190, 16);

აწ წარმოემართე მანდით შენ და აქათ მე და ორთავე შევმუსროთ აბაღა, და ჩუენ **დავიპყრათ** ქუეყანა მისი (ქ. ცხ., II, 258, 9).

ვსცნო // ვსცნა

-**ო** ბოლოსართიანი II კავშირებითის სულ რამდენიმე ფორმა შეგვხვდა. ისინი იოანე ბატონიშვილის „კალმასობასა“ და სულხან-საბას „სწავლანში“:

და ვითარ გისწავიეს, მინდა **გამოვსცნო** (ბატონიშ., II, 21);

რათამცა **სცნო** შენ წესი და განზრახვაჲ დამთხვეულისა მის ავქსონისა (ბატონიშ., II, 236);

ქვეყნიერნი მეფენი უკეთუ მსახურთა თვისთა ვითარ წარმავალსა კეთილსა უყოფენ და იგი არა განეკრძალება, ვითარი პატიუი მიიღოს მას ზედა, ვითარი ბოროტი **შეაცნოს?** (საბა, სწავლ., 172, 530).

-**ა** სუფიქსიანი ფორმები კი თითქმის ყველა ძეგლში ვნახეთ:

მისი ვერა **ვცნა** ჭორადღა, ვარ ვისთა გზათა მკვლეველად (ვეფხ., 184, 4);

შენი ვერავინ ვერა **ცნას**, შენი სიმუხთლე სად არე (ვეფხ., 1201, 2);

აწ თუ სჯობს, ესე ამბავი **ცნან**, რაცა გარემონია (ვეფხ., 141, 4);

ნუთუ ვინმე ყმა დარჩომილიყოს მისი და მისით **ვცნათო** (ამ., 19, 3);

რომე არა **მიცნანო** (ამ., 610, 5);

რომე მისი გულის-ნადები ვერცა მისმან პერანგმან **სცნას** და ვერცა მისისა თავისა თმამან (ვის., 265, 9);

თუ ჩემი ხუაშიადი კაცთა **ცნან**, ყოველსა წინ კაცსა გაგებდითდე (ვის., 84, 24);

ბოლოდ **სცნათ** ყოვლთა – არა ვარ მოშიარეთა ძმობილი (თ. I, 60. 3, 4);

რათა **სცნას** ხელმწიფემან, თუ რა გვარად გაწვრთნილი მყოლებია (თ. II, 149, 28);

დამკარით პირსა და ტკაცი მიქმენით, თუ **სცნათ** ვინც არი! (ბეს., 88);

მართალი **ვსცნათ**, რაც გვიჯობდეს, გულის ზღაპრით ღმერთს არ ვსცოდოთ (დავითიანი, 61. 249, 2);

შენ თვალეხი ღმერთმან მისთვის მოგცა, – ხედო სახედარი,

სულ **გამოსცნა** ავი-კარგი, რაც ნასახი სახედ არი (დავითიანი, 171. 11, 2);

თუ რომ მერვე რიცხვის შეძლებულობა ვერა **სცნან**, საიდუმლოდ მკითხონ და მოვახსენებ (დავითიანი, 286);

მათი სამსახური ვითა **სცნას**, რას მიიჭირვებენ მისთვის (საბა, ს.ს., 30);

მაშინ **სცნათ**, ოდეს შეხვიდეთ, რა ძალნი აქვან ამ ორთა სიტყვათა (საბა, სწავლ., 61, 49);

რათა ცოდვა მისი ვერა **სცნას** მოძღვარმან (საბა, სწავლ., 297, 144);

პირველ ღმერთი სხვა არ **იცნა**, იმას პატივ-ეც მხოლოდა (არჩ., II, 181, 1);

თუ დავირქვა ანხსაბერი, ველარ **მიცნან**, ვინც წინ მიდგა (არჩ., II, 650, 3);

და უკეთუ ვითარიმე საწყენი სარგებლისა და ღიდებისა მისისა ღიდებულებისა და მისისა იმპერიისა **გჰსცნა** საქმედ ანუ ჰაზრი, მყის განვაცხადო იგი (სამ. ძეგლ., II, 475);

უკეთუ ვინმე საქონელი მოიპაროს ანუ ძალად წაართვას ვისმე და გაყიდოს, ის საქონელი პატრონმა **იცნას**, უფასოდ გამოართვას თავისი საქონელი (სამ. ძეგლ., I, 202);

აწ უკვე მსწრაფლ მოვედით, რათა უმჯობესი წესი და სჯული გამოვარჩიოთ და **ვსცნათ**, თუ რად ჯერ არს (ქ. ცხ., I, 40, 38).

შეიმეცნოს // შეიმეცნას

პარალელიზმი ამ ზმნასთანაც დადასტურდა. არჩილი **-ო** ბოლოსართიან ფორმას მიმართავს, თუმცა შეიძლება ვიფიქროთ, პოეტი ასეთ ფორმას რითმის საჭიროებითაც იყენებდეს:

ესე მასა ჰგავს, ვინ მოყვასად არავინ არ **შეიმეცნოს**,

რა თუ მზე სურვილით ვისმე აქადგან იქ აიკოცნოს (არჩ., I, 83. 2, 3).

იოანე ბატონიშვილი **-ა** სუფიქსიან წარმოებას არჩევს:

გინდა **შეემეცნათ** ამა მუმიათა ხასიათთა და თქვენს ლექსიკონში განმარტება ამათი დაწეროთ (ბატონიშ., II, 243).

საინტერესოა, რომ II კავშირებითის პარალელური -ა და -ო ბოლოსართიანი ფორმები ერთდროულად ერთსა და იმავე ავტორთან შევნიშნეთ. ამ მხრივ სულხან-საბა ორბელიანი და არჩილი გამოირჩევიან. უფრო მეტიც, ფორმობრივი პარალელიზმის ფაქტი სულხან-საბას ერთ კონკრეტულ თხზულებაშიც დადასტურდა.

პარალელური ფორმები არჩილის სხვადასხვა თხზულებაში ვნახეთ. პოემაში „საქართველოს ზნეობანი“ და იამბიკო ლექსებში -ო ბოლოსართია:

თხუთმეტის დღისა მთვარესა შეჭურვა ვინ სულ **დაასწროს** (არჩ., I, 6. 30, 1);

ვირე სრულ ამოვიდოდეს, ცხენზედ შეჯდეს, **მიასწროს** (არჩ., I, 6. 30, 2);

ფერხით მსუბუქმან ფესმძიმეს დგენაზედ ადგილ **წაასწროს** (არჩ., I, 6. 30, 4);

ერიდებოდეს, ცოდვაში სიკვდილსა არ **შეესწროსა** (არჩ. I, 120. 14, 2).

-ა ბოლოსართი პოემებში და სხვა ლირიკულ ლექსებში აღმოჩნდა:

რადას **შევესწრა**, ან თუ **დავესწრა**

სიჭაბუკისა ქვე დამდებარე? (არჩ., 68, 7);

ვინ მადლს ელოდეს, მასმია, **შეესწრას** დიდსა ცოდვასა (არჩ., I, 87. 38, 1).

ამავე ზმნასთან შევხვდით პარალელური (-ო//ა) ფორმათწარმოების მაგალითს სულხან-საბას „სწავლანში“:

უკეთუ ნათელ იღოს კაცმან და მირონ არა **დაესწრას**, რამე ყოს? (საბა, სწავლ., 280, 135).

„სწავლანში“ პარალელური ფორმათწარმოების შემთხვევა სხვა ზმნასთანაც დადასტურდა:

არა გულისხმაპყოფ სიკვდილსა ქრისტესსა შენთვის, რათა განცვიფრებამან **შევიპყროს** (საბა, სწავლ., 30, 38);

ხოლო იუდა იჭირვის და ქსოვს ბადესა ვერაგობისასა, რათა ზაკვით **შევიპყრას** უფალი (საბა, სწავლ., 146, 445);

წინამავალ ექმნებოდა იუდა ერთა უსჯულოთათა, რათა **შევიპყრას** ძე ღმრთისა (საბა, სწავლ., 148, 451);

უკეთუ კაცსა ცოდვა არა ენებოს და იძულებით სხვამან **შევიპყრას** და ცოდოს? (საბა, სწავლ., 292, 161);

ამბორს-უყოფდა იუდა პირსა მოძღვარისასა სიცრუით, რათა **შეიპყრან** ერთა მათ, ხოლო თქვენ ამბორს-უყავით ფერკთა წინამძღვართა თქვენთათა სიყუარულით, რათა ერთა შეიყვარონ (საბა, სწავლ., 148, 451);

რა-მე **მიუპყრათ**, ძმანო ამისთვის განემზადენით: რამე უთხრათ? რა-მე მიუგოთ? (საბა, სწავლ., 70, 179);

ვითარცა აბელი **მიუპყრა** სიმრვლესა ნაკვერცხალთასა და მოედვას ცეცხლი, ეგრეთვე უთმინოება რა იხილონ ცოდვათა სიმრავლემან, ზედა შეეწებნენ (საბა, სწავლ., 111, 321).

„სიბრძნე სიცრუისაში“ ამ ზმნის მხოლოდ -ა სუფიქსიანი ფორმებია:

სადაც ხელი ჯდეს მელნიანი კართა, იგი იქმნება და **შევიპყრათ**, და რაც გენებოს, ჰქმენო (საბა, ს.ს., 108);

ნუ შეილო, ადამის ტომი ხრიკიანია, არ **შევიპყრასო** (საბა, ს.ს., 130);

შენს დროში ცოლ-ქმარნი ერთმანერთის ყოფისათვის გაიყვანონ და **შეიპყრან** და დაატყვევონ ვის უამად ქმნილაო? (საბა, ს.ს., 150).

სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში ვიუბნო//ვიუბნა პარალელური წარმოების ზმნებიც გვხვდება. „სწავლანში“ -თ ბოლოსართიანი ზმნაა, „სიბრძნე სიცრუისაში“ კი -ა სუფიქსიანი ფორმებია:

ხოლო გარეშე და მსოფლიო სიტყვა და ზრახვა არა **ვიუბნოთ** (საბა, სწავლ., 21);

მე და ჩემი მონაგები და ეს სოფელი ამაზე დაგუტევე, რომ დადუმებით ვიყო და არა **ვიუბნა** (საბა, ს.ს., 81);

რა გინდ ბევრი **იუბნა**, ღმერთს თავი შენი ჩემთვის მოუცია (საბა, ს.ს., 22);

მის მსგავსად, თვით ის იყო და აწ პატრონის ჩემის შვილი წავიგვრია და ვითლა **ვეუბნათო?** (საბა, ს.ს., 55).

სულხან-საბას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ამ ეპოქის ავტორ-შემოქმედთა შორის. მისი თხზულებები გვაძლევს საშუალებას, გვერდი-გვერდ ვიხილოთ ძველი და ახალი გრამატიკული ფორმები. მათთვის დამახასიათებელია გრამატიკულ მოვლენათა პარალელიზმი, ანუ ძველი, ახალი და სასაუბრო ქართულის ელემენტების ერთდროულად ხმარება, თუმცა არის ძველი ქართულის მთელი რიგი გრამატიკული თავისებურებებისა, რომლებიც მხოლოდ „სწავლანისათვის“ არის დამახასიათებელი. „სწავლანში“ გამოვლინდა -თ სუფიქსიანი ფორმათა დიდი ნაწილი. გასაგებია, რატომაც იჩენს თავს შერჩეული უანრის სპეცი-

ფიკიდან გამომდინარე აუცილებლობის მიღმა ავტორის თანამედროვე მეტყველებისათვის ნიშანდობლივი ახალი ფორმები.

ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში დავადასტურეთ რამდენიმე ზმნა, რომელთაც II კავშირებითი სავარაუდო პარალელურ (-ა//ლ) ფორმათაგან მხოლოდ -ა ბოლოსართი აქვთ:

შევიგნა (//შევიგნო)

რა შემოვიდენ ინდოეთს, **შევიგნა** მათი გვარობა (ვეფხ., 534, 2);

მეფე ბრძანებს: „რა **შევიგნათ**, გული ჩვენი რათ იხსნების? (ვეფხ., 1171, 1);

ანუ მოვეკვდე ანუ **შევიგნა** მიზეზი მწუხარებისა მისისა (თ. II, 140, 8);

მე უგუნური ნუ გგონივართ, ვერა **შევიგნა** რა (საბა, ს.ს., 130).

მოგითხრა (//მოგითხრო)

ათისავე თვითო **მოგითხრა**, რომელი რისაც ქმნელია (დავითიანი, 32.39, 3);

ვითარცა დასნეულდეს კაცი სხეულითა და **მიუთხრას** ჳელოვანსა მკუნალსა, მისის წამლისა მიერ განიკურნოს სხეული (საბა, სწავლ., 289, 134);

მამაო, იოანე, დიდად მსურს, რომ შემოკლებით **მომითხრა** ცხოვრებად და წამებად ამა მოწამეთად (ბატონიშ., II, 75);

ხოლო აწ ვიწყო და **მოგითხრა** ყოველივე (ქ. ცხ., I, 77, 14);

ხოლო აწ **მოგითხრა** სილაღე მათი ჩუენ ზედა, და მერმე ვყო ნება შენი (ქ. ცხ., I, 182, 16);

მოგითხრა თქუენ საკურველი ესე და ესრეთვე შეუძლებელი მარტოისა მიერ (აბუს. ტბ., 61, 96).

დახშას (//დახშოს)

ათას წელ ვერსით შეუვალოთ, თუ ზედ **დაგვიხშან** კარია (ვეფხ., 1379, 4);

თუმც ბაგე დახშას, თვალები ციმციმებს, წამს არ იფარავს (არჩ., I, 138. 33, 2).

დაფლას (//დაფლოს)

უკეთუ უპოვარ გლახაკი მოკვდეს, სხვამან უყიდოს მონაგებისაგან თვისისა და მითივე შემოსოს და **დაფლას** (საბა, სწავლ., 109, 314).

გიგრძნას (//გიგრძნოს)

აწ ამხანაგთა არ **გიგრძნან**, წადი, მათთან მიდია (ვეფხ., 429, 3);

სულითა ზედა აქა მოიტანე, რომელ ვერავინ **გიგრძნასო** (ვის., 122, 13);

ვირემ არ უკუვიყრები, ვერ **იგრძნან**, სმიდენ რეტადო (თ. I, 117. 3, 4);

მტერთა არ გიგრძნან საწადი აშკარად ანუ აზრითა (დავითიანი, 56. 208, 4);
და უწყო თხრა ქუეშე ზღუდესა, და ენება, რათა ეგრეთ შევიდენ, რ~ ვერ
აგრძნან, თუ ბრძავსო (ქ. ცხ., I, 213, 11);

მაშინ წარმოვიდა სიხარულითა სავსე, და წარვიდა მას უამსა აფხაზეთად-
ვე, რათა ვერ უგძნას რატი და უგრძნეულად მივიდეს ოდეს არა გონებდეს (ქ.
ცხ., I, 277, 18);

ქართველნი არა წარიტანნეს, რათა არა აგრძნან არდაველს მყოფთა (ქ.
ცხ., II, 102, 4).

მეორე მხრივ, გამოვლინდა ზმნები, რომელთაც II კავშირებითი შესაძლო
პარალელური ფორმებიდან მხოლოდ -თ ბოლოსართით ეწარმოება : მოვრწყო
(//მოვრწყა), დავრგო (//დავრგა), მოვიმკო (//მოვიმკა):

მოვრწყოთ კალონი იგი, სადა განიბილწებიან გვამნი ჩვენნი ცრემლითა
(საბა, სწავლ., 187, 587);

კაცმან ვინმე განუღოს რუნი და **მორწყოს** ზედასა-ზედა ხე იგი და ახა-
როს და გამოიღოს ნაყოფი (საბა, სწავლ., 114, 333);

თუ კაცმან უჯეროდ და ურიგოდ ჭარბობით **მორწყოს** ბოსტანი (ბატონიშ.,
I, 36);

ანუ ბაღს ალვა საროსა ახლოს **რგოს, მორწყოს,** ახიოს (ვეფხ., 702, 2);
ხე რა მართლიდ არ **დარგო,** სიმრუდე მუნვე ეტყობის (არჩ., I, 156. 161, 1);
რომელმან მიწაში **დარგოს** ვენახი ანუ ხილნარი და მისმა დამნერგველმა
და მისი გასყიდვა მოინდომოს (სამ. ძეგლ., I, 137);

ეგნატიმ თუ არ მიშველოს, მე **მოვიმკო,** რაცა ვთესე (თ. I, 145: ე-4).

საშუალი ქართულის ენობრივ მასალაში კონკრეტული ზმნის შემთხვევაში
დასტურდება ფაქტები, როცა -თ სუფიქსი II კავშირებითის -ე ბოლოსართიან
ფორმებს ენაცვლება.

„ქართლის ცხოვრებაში“, კერძოდ, ლეონტი მროველის თხზულების XVII
საუკუნის ნუსხაში „განვერი“ ზმნის II კავშირებითის ძველი ფორმა გვხვდება:

და აწ მოვედ ჩუენდა, მიიდე ნაწილი შენი, თუ-არა მოვიდეთ შენდა, სადაც
იყო და ვერ **განერე** ჰელთაგან ჩუენთა ცოცხალი (ქ. ცხ., I, 46, 8).

იგივე -ე ბოლოსართიანი ფორმაა ჯუანშერის ისტორიის ჭალაშვილისე-
ული ხელნაწერის ახალ ნაწილში, რომელიც 1731 წლითაა დათარიღებული:

აწ უკეთუ შენვე გამოსვიდე ბრძოლად ჩემდა, მოგხუდენ ჩემგან ბრძოლანი
ფიცხელნი, რომელთაგან ვერღარა **განერე** (ქ. ცხ., I, 154, 12).

თუმცა XV საუკუნის ანასეული და XVI საუკუნის მეორე ნახევრის ნუსხებში იმავე მონაკვეთში იგივე ზმნა უკვე -**თ** ბოლოსართითაა წარმოდგენილი (განვერო).

-**თ** სუფიქსითვე გვხვდება სხენებული ზმნა ბესიკისა და არჩილის თხზულებებში:

რათა და შენც **განერო** საფქველით ნატეხისა მტყორცსა მრავალ თვე-წელმდღევნელი (ბეს., 85, 23);

განვერო ცრუსა ენასა, ხელი ვყო საამებელთა (არჩ., I, 93, 97, 1).

III. II ხოლმეობითი და შერეული კავშირებითი

II ხოლმეობითი და შერეული კავშირებითი ის მწკრივებია, რომლებიც ძველი ქართულიდან ახალ სალიტერატურო ენას აღარ შემორჩა. II სერიის ეს ორი უძველესი საუღლებელი ერთეული თანამედროვე ქართულში მხოლოდ ზოგიერთ დიალექტში თულა დასტურდება.

სამეცნიერო ლიტერატურაში „ხოლმეობითის“ გვერდით სხვა ტერმინებიც გვხვდება. ესენია: „ჰაბიტუალისი“, „პერმანსივი“ და „ნამყო მრავალგზითი“.

უღლების სისტემაში II ხოლმეობითის შეტანა და მრავალგზისობის გასაზვა პ. კვიციარიძის გრამატიკიდან მომდინარეობს. პ. კვიციარიძემ ყურადღება მიაკცია ამ ფორმას და მის საწარმოებელ ნიშნად (მრავალგზისობის მაჩვენებლად) -**ი** მიიჩნია (აბესაძე 1960: 80-81). პ. კვიციარიძეს მრავალგზისობა ზმნის ერთ-ერთ „სახედ“, ასპექტის ერთ-ერთ სახეობად მიაჩნია და მას „მრავალ-გზობითის“ სახელით აღნიშნავს. სახელმძღვანელოში „ქართული სწორმეტყველება“ ავტორი „მრავალგზობითი სახის“ განმარტების შემდეგ, -**ი** ნიშნის გარდა, პირის ნიშნებზეც საუბრობს და საილუსტრაციოდ „ვეფხისტყაოსნიდან“ მოიხმობს მაგალითებს (კვიციარიძე 1888: 124).

ზოგადად „ხოლმეობითი იმ დროინდელი წარმონაქმნია, როდესაც ზმნის უღლება დროთა მიხედვით ცვლას არ გულისხმობდა, უღვლილება ასპექტების ანუ პროცესის სახეობათა აღნიშვნაში მდგომარეობდა“ (ჩიქობავა 1948: 77). „ზმნის უღვლილების დასაწყის ეტაპებზე გარდამავალი ზმნის ორი ასპექტი გაირჩეოდა (განგრძობითი და ერთბაში) და ორი ნაკვთი გვექონდა: ხოლმეობითი და

ნამყო ძირითადი. ხოლმეობითი ასრულებდა იმ როლს, რაც შემდეგში აწმყოს დაეკისრა“ (ჩიქობავა 1948: 80). კერძოდ, „ხოლმეობითის დანიშნულება იყო, გადმოეცა არა ის, თუ როდის ხდება მოქმედება, არამედ ეჩვენებინა, როგორ მიმდინარეობს პროცესი; ხოლმეობითი მიუთითებდა მოქმედების პროცესის განგრძობითს (დიურატიულ) ხასიათზე. ამ მხრივ იგი უპირისპირდებოდა ნამყო ძირითადს, როგორც წერტილებრივი (მომენტობრივი) ასპექტის გამომხატველს“ (ჩიქობავა 1948: 126). „ნამყო მრავალგზითი, კაცმა რომ თქვას, განსაზღვრული დრო არ არის: იგი გამოჰხატავს ხოლმე მოქმედებას არა რომელსამე დროში განსაზღვრულს (ნამყოსა, აწმყოსა თუ მყობადში), არამედ ისეთს, რომელიც ყოველთვის ჩვეულებრივია და მარად დამახასიათებელია მოქმედი პირისათვის. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალგზითი ნამყოს ფორმები ქართული ზმნის უძველესი ფორმაციის დროსა უნდა იყოს“ (შანიძე 1920: 6).

II ხოლმეობითსა და წყვეტილს საზიარო მარტივი ფუძე აქვთ. აღნიშნული მწკრივის -ი ნიშანი მორფოლოგიური ელემენტია. ამიტომაც მას შესწევს ძალა, შეკუმშოს ფუძე. „ფუძე, რომელიც საერთოდ იკუმშება, არ შეიძლება II ხოლმეობითში უკუმშველი დარჩეს“ (იმნაიშვილი... 1996: 183).

მესამე სუბიექტური პირის ნიშანთაგან II ხოლმეობითი იყენებს მხოლოდობითში -ს და მრავლობითში -ან ბოლოსართებს:

მოვ-კლ-ი	მოვ-კლ-ი-თ	აღვა-შენ-ი	აღვა-შენ-ი-თ
მოჰ-კლ-ი	მოჰ-კლ-ი-თ	აღა-შენ-ი	აღა-შენ-ი-თ
მო-კლ-ი-ს	მო-კლ-ი-ან	აღა-შენ-ი-ს	აღა-შენ-ი-ან
დავა-ბ-ი	დავა-ბ-ი-თ	შევა-მკ-ი	შევა-მკ-ი-თ
დაა-ბ-ი	დაა-ბ-ი-თ	შეა-მკ-ი	შეა-მკ-ი-თ
დაა-ბ-ი-ს	დაა-ბ-ი-ან	შეა-მკ-ი-ს	შეა-მკ-ი-ან

როგორც საენათმეცნიერო ლიტერატურაში მიუთითებენ, II ხოლმეობითში სუბიექტური პირის ნიშნად მრ. რიცხვში -ედ სუფიქსიც გვხვდება (აბულაძე 1954: 133-139; კიკნაძე 1961: 252; სარჯველაძე 1973: 144-145).

არნ. ჩიქობავას აზრით, დროის კატეგორიის ჩამოყალიბება და ხოლმეობითის პოზიციების დასუსტება თანადროული პროცესები უნდა ყოფილიყო (ჩიქობავა 1948: 126). თუმცა პოზიციების დასუსტება II ხოლმეობითის მოშლას არ გულისხმობს. ეს ხანგრძლივი პროცესი იყო. ზ. სარჯველაძემ ძველი ქართულის სამწერლობო ძეგლთა ენაში მოიძია მაგალითები, როცა წყვეტილისა და II ხოლმეობითის ფორმებია ურთიერთშენაცვლებული. პირველად ასეთი შემთხვევა „სი-

ნურ მრავალთაგში“ შეინიშნა. ამგვარი ფაქტების არსებობა მკვლევარს ავარაუდებინებს, რომ „ენაში II ხოლმეობითის მოშლა დაიწყო. საფიქრებელია, ეს მწკრივი ზოგ დიალექტში ამ დროისათვის უკვე მოშლილია. საინტერესოა, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი მაგალითების უმრავლესობა ისეთ ძეგლებში არის დადასტურებული, რომლებიც სამხრეთ საქართველოს სამწერლობო კერებიდან მომდინარეობენ. საფიქრებელია, რომ სამხრეთ ქართულ დიალექტურ არეალში, რომელსაც ემყარებოდა VIII-XI საუკუნეთა ქართული სამწერლობო ენა, II ხოლმეობითი მოიშალა“ (სარჯველაძე 1984: 451).

ი. ქავთარაძე კი ფიქრობს, რომ ქართულ სალიტერატურო ენას II ხოლმეობითი XVIII საუკუნის გასულამდის შემორჩა. მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ სალიტერატურო ენის ტექსტები სრულად ასახავს XIII-XVIII საუკუნეების ყველა კუთხის ქართული მეტყველების სურათს: „საფიქრებელია, დასავლურ კილოთა უმეტესობამ და აღმოსავლეთ საქართველოს ბარის კილოთა ერთმა ჯგუფმა (ზემოქართლური, მესხურ-ჯავახური) ამგვარი წარმოება ადრევე დაკარგა, მაგრამ ლიტერატურული ტრადიციების ძალით იგი კვლავ ცოცხლობდა... თვით სალიტერატურო ენაში და გარკვეულ დიალექტებშიც უკვე მეჩვიდმეტე საუკუნიდან საბოლოოდ იჩენს თავს ანალოგიურ ფორმათა მნიშვნელობის დაკარგვა-დავიწყება, რისთვისაც დამატებითი საკომპენსაციო საშუალება – „ხოლმე“ ნაწილაკი ხდება აუცილებელი“ (ქავთარაძე 1961: 10).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, II ხოლმეობითი, როგორც დამოუკიდებელი მწკრივი, ახალ ქართულში აღარ შემორჩა. ის მხოლოდ მთის კილოებში, ინგილოურსა და ქიზიყურშია შემონახული. მრავალგზისობის შინაარსის გადმოსაცემად თანამედროვე სალიტერატურო ენა ძველი, ორგანული წარმოების ფორმების ნაცვლად სხვადასხვა საშუალებას მიმართავს. ზოგჯერ თუ ანალიზურ „ხოლმე“ ნაწილაკიან ფორმებს იყენებს, ზოგჯერ სხვა მწკრივებს ჩაანაცვლებს. თ. ზურაბიშვილმა შეისწავლა ასეთი ფაქტები და დაადგინა, რომ ხოლმეობითობის შინაარსის გადმოსაცემად ენა იყენებს ხშირად I ხოლმეობითს, ზოგჯერ – ნამყო უწყვეტელს, ხშირად – მყოფადს, იშვიათად – აწმყოს, ზოგჯერ – ნამყო ძირითადს, I თურმეობითს და II თურმეობითს. ამ უკანასკნელთ (I თ. და II თ.) ხშირად ახლავთ განმეორების გამომხატველი ზმნიხედებიც და მათთან ერთად მრავალგზისობის შინაარსის მატარებელია „ხოლმე“ ნაწილაკდართული ნებისმიერი მწკრივის ზმნისწინიანი თუ უზმნისწინო ფორმა (ზურაბიშვილი 1965).

საშუალო ქართულის ჩვენ ხელთ არსებული სამწერლობო ძეგლებიდან ამოკრებილი მასალის მიმოხილვამ დაგვარწმუნა, რომ აღნიშნულ ძეგლთა ენაში II ხოლმეობითი ჯერ კიდევ ცოცხალია. ხსენებული მწკრივის ფორმათა რეგულარული დამოწმება ცხადყოფს, რომ ამ პერიოდის სალიტერატურო ენაში II ხოლმეობითი ჯერ ისევ ინარჩუნებს პოზიციას. მრავალგზისობის შინაარსის გადმოსაცემად ხოლმეობითის სხვა მწკრივებთან ერთად საშუალო ქართულში II ხოლმეობითი აქტიურად გამოიყენება. მისი სისტემური ფიქსაცია ხერხდება არა მხოლოდ ადრინდელი პერიოდის ტექსტებში, არამედ გვიანდელ ძეგლებშიც. ისეთ ნაწარმოებში, როგორც იოანე ბატონიშვილის „კალმასობა“, II ხოლმეობითი ჩვეულებრივ დამოუკიდებელი საუღლებელი ერთეულია, ე. ი. XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის ამ მწკრივს ჯერ კიდევ არ დაუთმია სარბიელი. იგი თითქმის თანაბარი სიხშირით გვხვდება ურთიერთისაგან ქრონოლოგიურად თუ ქანრობრივად განსხვავებულ ძეგლებში:

ნახის, ცეცხლი **გაუახლდის**, წყლული **გახდის** უფრო წყლულად (ვეფხ., 41, 3);
ისმენდიან, **გაჰკვირდიან**, რა **ატირდის** **ატირდიან** (ვეფხ., 956, 3);

მოვდიოდით და, თუ სადა მკვეცი **გარდაგუეკიდის**, განაღამცა რომე **მოველით** (ამ., 215, 3);

გარდაცდიან, **თაყუანი-სციან** და **შეახსიან** ქება ამირან დარეჯანისძესა (ამ., 309, 1);

რა სული ჩემი **გეცის**, მკუდარი **გასცოცხლდი** (ვის., 206, 24);

დილასა რა **გაიდუიძიან**, სუმიტა, სიხარულითა და სიმღერითა **დასხდიან** (ვის., 150, 21);

და უკეთუ ენების რაჲმე ბასილის, მომთხოველისა მახლობელთა მიმართ მისთა, გინა სხუათა მიერ არა მომცემელთა, მეყსეულად შერისხვით **ამხილის** და იძულებით წინაშე მისსა **მოაწიან** (აბუს. ტბ., 61, 90);

წავიდი, ორტაღთაგან ლაჰრი და თეთრი **ავიდი** (ისტ. საბ., 146, 33);

რომელმან **დაიპყრის** კაცი ველსა გარე და მოკლის იგი (სამ. ძეგლ., I, 119);
და უკეთუ ვინ დაფარვით **იმოქმედის** და შემდგომად სცნობდიან, კანონსა მისცემდიან და დაუტევებდიან (სამ. ძეგლ., II, 152);

მან დიდებულნი **აწვივნის**, **შეიყარნიან** სრულობით (თ. I, 38. 102, 2);

რა ბებერმა **ნახის**, რომ გომიას ცრემლი **მოსწყდის**, უფრო ცხარ-ცხარი პური **გამოუცხვის** და **აჭამის** (თ. II, 174, 23);

კვლავ იქით ლეკთა **ჩაუხნდი**, **დამართნი** ცისა გრეხანი (ბეს., 26. 12, 1);

ვინც რომ **ითხოვის** ქვა და ტალახი,
 მას **მიაართვიან** ხე და ბალახი (დავითიანი, 260. 575, 2);
 ესრეთ მტერნი იყვნენ, ერთად ვერ **მოთავსდებიან**, არცარა ერთად **სვიან** და
ჭამიან (საბა, ს.ს., 24);
 დაბლა ხომალდის ფსკერში ჩემს პაქსიმადზე **ვიჯდი** და **ვიწვი** (საბა,
 მოგზ., 243);
 და არცა ქრისტიანენი **შეუშინდიან** სატანჯველთა და **შეიბრაღნიან** კორც-
 ნი თვსნი, არამედ ერთითა გონებითა **წარდგიან** (საბა, სწავლ., 175 540);
 დილას **შევსხდით, ვინადირით**, შუადღისას **შემოვიქცით**,
 აწ ბურთობას ხელი **მიეჭყვით**, მუნ საძილოდ არ გავიქცით (არჩ., II, 293, 1-2);
 და კვალად პირველიდგანვე **იწყიან**, ათხუთმეტად **აღასრულიან** (ბატონიშ.,
 I, 196);
 შენ ხარ რომელმან **აღადგინი** ქვეყნისაგან გლახაკი და სკორეთაგან **აღა-
 მაღლი** დავრდომილი (ქ. ცხ., I, 153, 21; 154, 1);
 და ოდესმე დურძუკთა და დიდოთა **მოირთნიან** და **გამოიყვანიან** ხაზარნი,
 მაშინ **ეწყვს** და ვეროდეს სძლეს ხაზართა და ყოვლადვე მირიან **სძლის** (ქ. ცხ.,
 I, 66, 11-13);
 ვითარ ჩჩვლნიცა ძუძუთგან დედისათა **აღიტაცნიან** და წინაშე დედისა ქვა-
 ზედა **დაანარცხიან**, და რომელსამე თუალნი **წარსცვდიან** და რომელსამე ტვნი
დაეთხიის (ქ. ცხ., II, 175, 15-16).
 ი. ქავთარაძემ შენიშნა, რომ თანამედროვე სალიტერატურო ქართულში
 „ხოლმე“ ნაწილაკი ძალიან იშვითად იხმარება II სერიის მწკრივებთან (ქავთარა-
 ძე 1961: 17). კიდევ უფრო იშვიათია „ხოლმე“ ნაწილაკი საშუალო ქართულის
 ჩვენ მიერ მიმოხილულ ძეგლებში II ხოლმეობითის ფორმებთან. ასეთი ანალიზუ-
 რი წარმოება მხოლოდ სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუეში“ დავადასტურეთ. სა-
 ინტერესოა, რომ ხოლმეობითის ამგვარი წარმოება (II ხოლმე. + ხოლმე) მხოლოდ
 პირველ სუბიექტურ პირთან შეგვხვდა. ჩვენს კონკრეტულ შემთხვევაში მოუბარი
 საკუთარ თავთან დაკავშირებულ ამბავს ჰყვება:
 რომელიც უარს იტყოდა, ძალით მოვაპარსვინით ხოლმე თავი (საბა, ს.ს., 84);
 ქვეშ ვარცლი **შევუდგით ხოლმე**, ვცემდით და ვეცხლი, ოქრო **გამოგვიყა-
 რის** (საბა, ს.ს., 98).
 ის ფაქტი, რომ „ხოლმე“ ნაწილაკდართული II ხოლმეობითის ფორმები
 ძნელი მოსაძებნია სულხან-საბა ორბელიანის იგავ-არაკთა კრებულში, მეტყვე-

ლებს იმაზე, რომ თავად II ხოლმეობითი ამ დროისათვის საკმაოდ ძლიერია. „სიბრძნე სიცრუისა“ ხომ ახალი ქართულითაა დაწერილი.

შერეულ კავშირებითს უღლების სისტემაში მოგვიანებით მიუჩინეს ადგილი. ამ თავისებური წარმოების მწკრივის ფორმები ადრევე იქცევედა მეცნიერთა ყურადღებას. არნ. ჩიქობავა მათ „არქაულ ნამყო უსრულს“, „ნამყო უსრულის ხოლმეობითს“, „წაქეზებით ბრძანებითს“ უწოდებდა და დამოუკიდებელ მწკრივად არ თვლიდა. „ხოლმეობითისაგან ნაწარმოებ ნამყო უსრულს ჩვენ ვუწოდებთ არქაულ ნამყო უსრულს“ (ჩიქობავა 1948: 52, 62). კ. კეკელიძემ ტექსტისათვის „ცხოვრება საბა პალესტინელისა“ წამმდვარებულ გამოკვლევაში „ეზიარნოდთან“, „ყოლიან“, „განათიოდთან“ ზმნებს „არაჩვეულებრივი, თითქოს დიალექტური ფორმები“ უწოდა (კეკელიძე 1946: 136).

ამ ფორმათა შესახებ 1945 წელს ა. შანიძე ამბობდა: „ეს გახლავთ პარალელური ფორმა II კავშირებითისა, რომელსაც **ოდ** ფორმანტის ჩართვის გამო, ასპექტი უცვლელი სრულის ნაცვლად უსრული მიუღია, ოღონდ სინტაქსური კონსტრუქცია შეუნარჩუნებია. ასეთი ფორმა უთუოდ მეორეული წარმოშობისაა“ (შანიძე 1945 ბ: 843).

1948 წელს ამგვარ ფორმებს ა. შანიძემ შერეული კავშირებითი უწოდა და მწკრივთა სისტემაში წარმოადგინა. მკვლევარი მსჯელობდა: „1. რომელსამე განსაკუთრებულ ფორმას შეიძლება დამოუკიდებელი ადგილი ეჭიროს გრამატიკულ სისტემაში იმდენად, რამდენადაც მას განსაკუთრებული ფუნქციაც გააჩნია. ეს საერთოდ უღებულება ძალაშია იმ ზმნურ ფორმათათვისაც, რომელთაც მწკრივები ჰქვია.“

2. ქართული ენის IX-X საუკუნეთა ძეგლებში გვხვდება ფორმები, რომლებიც ვერ თავსდება ვერც ერთის აქამომდე ცნობილი მწკრივის ფარგლებში. წარმოების თვალსაზრისით ისინი II სერიას ეკუთვნიან – მათ ფუძეს ეყრდნობიან, მაგრამ ზედ ურთავენ **ოდ** სავრცობს, რომელიც I სერიიდან არის აღებული. ამის გამო ისინი ორგვარ ბუნებას იჩენენ: სინტაქსური თავისებურებანი II სერიის მწკრივებისა აქვთ (გარდამავალი ზმნები ქვემდებარეს მოთხრობითში შეიწყობენ, პირდ. დამატებას კი – სახელობითში), ხოლო ერთი მორფოლოგიური კატეგორიის მიხედვით ისინი I სერიის მწკრივთა რიგებში დგანან: ასპექტი უსრული აქვთ. დრო მათ მომავალი აქვთ, კილო – თხრობითი ან კავშირებითი, ზოგჯერ ბრძანებითიც. ამგვარად, ფუნქციით ისინი ეტოლებიან მწკრივს, რომელიც I კავშირებითის (ან I მყოფადის) სახელით არის ცნობილი. მაგალითი: „საყურძენი

იგი მისცეს სხუათა მოქმედთა, რომელთა მისცოდინას ნაყოფი ჟამთა მათთა“ (მათ. 21, 41 C).

3. აღნიშნული ორ-ბუნებოვანი მწკრივი უთუოდ მეორეული წარმოშობისაა. ამაზე მიუთითებს ობიექტური **ნ** ინფიქსის ჩასმა ზმნის ფუძესა და **ოდ** სავრცობს შორის: შეწიროდის (მან იგი), მაგრამ: შეწიროდის (მან იგინი).

4. უღლების პარადიგმებში ამ ახალ მწკრივს ადგილი შეიძლება მიეჩინოს ან I სერიაში, ან II სერიაში, მაგრამ სჯობს II-ში. სახელად შეიძლება ეწოდოს „შერეული კავშირებითი“ (შანიძე 1948: 18).

შერეული კავშირებითის ფორმები თ. ცქიტიშვილმა დაძებნა ებეკიელის წიგნის ოშკურ და იერუსალიმურ ვერსიებში (ცქიტიშვილი 1976: 284). სხენებული ფორმები დაადასტურა კ. დანელიამ იერემიას წინასწარმეტყველების ძველი ქართული ვერსიების კვლევისას (დანელია 1965: 19). შერეული კავშირებითისა და შერეული ხოლმეობითის ფორმები მოიძია ზ. სარჯველაძემაც (სარჯველაძე 1984: 456).

ლ. კიკნაძე უწყვეტლის ხოლმეობითზე მსჯელობისას შერეულ კავშირებითზე ამბობდა: „ეს ახალი ტიპის კავშირებითი ყოველთვის განსხვავებულია როგორც I, ისე II კავშირებითისაგან... II ხოლმეობითის ფუძისაგან ნაწარმოები კავშირებითის II სერიის მწკრივებთან სიახლოვე სხვა რამის მიხედვითაც ჩანს: მოქმ. გვარის ზმნაში გამოხატულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა (აღასრულ-**ნ**-ოდინა...), პრეფიქსიან ვნებითში არის მოქმედებითის ფორმიდან გადმოყოლილი **-ნ-** (ეზიარ-**ნ**-ოდინა...), ფუძედრეკად ზმნაში **-ე-**ს მაგივრად **ი** ხმოვანია (განათიოდინა...)“ (კიკნაძე 1961: 248).

მოგვიანებით მკვლევარმა შერეული კავშირებითის მანამდე ცნობილ ფორმებს კიდევ ექვსი ახალი ფორმა შემატა. ფორმით შერეული კავშირებითის ანალოგიურ და ფუნქციით (რომელსაც მათ კონტექსტი ანიჭებს) განსხვავებულ ფორმებს ლ. კიკნაძემ შერეული ხოლმეობითი დაარქვა და მწკრივთა სისტემაში დამოუკიდებელ საუღლებელ ერთეულად წარმოადგინა: „შერეული კავშირებითის (ისევე როგორც **ოდ**-იანი ზმნების I კავშირებითის) მწკრივის ნიშანია **ი** სუფიქსი, რომელიც შერეული ხოლმეობითის, II ხოლმეობითის და III ხოლმეობითის) მწკრივის მაწარმოებელიც არის. ამიტომ არის, რომ შერეული კავშირებითისა და შერეული ხოლმეობითის ფორმები (ისევე, როგორც **ოდ**-იანი ზმნების I კავშირებითისა და უწყვეტლის ხოლმეობითის ფორმები) გარეგნულად ერთნაირია“ (კიკნაძე 1967: 190).

ვ. იმნაიშვილმა ბრიტანეთის მუზეუმში დაცულ XI საუკუნის ქართულ ხელნაწერში შერეული კავშირებითის თოთხმეტი მაგალითი იპოვა, კონტექსტის

მიხედვით ყველა მათგანი მომავალი დროის გამომხატველი კავშირებითის ფორმა აღმოჩნდა. „ჭ ა მ ო დ ი ა ნ ფორმა შეიძლება შერეული კავშირებითიც იყოს და შერეული ხოლმეობითიც. თუ სახელდობრ რომელი მწკრივია კონკრეტულ შემთხვევაში, ამას გვაგებინებს კონტექსტი: თუ წარსული დრო ან მრავალჯერ გამეორებული მოქმედება ივარაუდება, მწკრივი ხოლმეობითისაა, თუკი მომავალი დრო იგულისხმება – კავშირებითისა“ (იმნაიშვილი 1977: 18).

შერეული კავშირებითის უღლების პარადიგმა ასე გამოიყურება:

ვაკურთხოდ-ი ვაკურთხოდ-ი-თ

აკურთხოდ-ი აკურთხოდ-ი-თ

აკურთხოდ-ი-ს აკურთხოდ-ი-ან

როგორც ზემოთ აღვნიშნავდით, საშუაალი ქართულის ჩვენ მიერ მიმოხილული ძეგლებიდან ჯერ კიდევ ძველსავე ქართულში იშვიათობად ქცეული მწკრივის ეს ფორმები მხოლოდ „ქართლის ცხოვრებაში“ შეგვხვდა. ორიოდ ფორმის დადასტურება მოვახერხეთ. ორივე მათგანი ლეონტი მროველის თხზულებებში აღმოჩნდა:

ხოლო თუთ მეფენი ქართლისანი მცხეთით **გაემართოდინ** სომხითს გზასა აბოცისსა, და მარადის ესრეთ ჰკრფებოდეს ქართველნი (ქ. ცხ., I, 48, 8);

მრავალნი უკუე უღმრთონი ჭირსა შთაცვვიან, და რაჟამს **ხადოდინ** წმიდასა ჯუარსა, მუნქუესვე განერიან ჭირისაგან და მოვიდოდინ შემთხუევად პატიოსნისა ჯუარისა, და მსწრაფლ ნათელ-იდიან და ადიდებდიან პატიოსანსა ჯუარსა (ქ. ცხ., I, 124, 9).

აღსანიშნავია, რომ ჩვენ მიერ დამოწმებული გარდაუვალი ზმნის ეს ორივე ფორმა 1633-1646 წლების მარიამისეულ ნუსხაშია შემორჩენილი. აქვე დავძენთ, რომ ორსავე შემთხვევაში კონტექსტი ხოლმეობითობის შინაარსის შემცველია და, შესაბამისად, მოძიებულ ფორმებს შეიძლება შერეული ხოლმეობითი ვუწოდოთ.

დავასკვნით, უღლების სისტემის ეს ორი ერთეული იყო ძველ ქართულში, აღარ გვაქვს თანამედროვე სალიტერატურო ენაში. ამათგან II ხოლმეობითი სისტემებრ არის წარმოდგენილი საკვლევი ენობრივი პერიოდის ყველა ძეგლში. იმავს ვერ გავიმეორებთ შერეულ კავშირებითზე. ეს უკანასკნელი ენობრივ რარიტეტად ქცეულა არა მხოლოდ საშუაალი ქართულის სამწერლობო ძეგლებში, იგი იშვიათობას წარმოადგენს უკვე ძველ ქართულშიც. კონტექსტის შესაბამისად მან შეიძლება ხოლმეობითის შინაარსიც გადმოსცეს.

1. ქართული ენის განვითარების გზაზე სამი პერიოდის გამოყოფა გამართლებულია. თუმცა ძველი და ახალი ქართულის გვერდით საშუალო ქართულის მათ ტოლფას ერთეულად გამოყოფას რეალური საფუძველი არ აქვს. ეს არის ე. წ. გარდამავალი ეტაპი ძველსა და ახალ ქართულს შორის. XII-XVIII საუკუნეების მწერლობის ენას განვიხილავთ სხვადასხვა ლიტერატურული ტრადიციის ავტორთა თუ გადამწერთა მიერ შექმნილ-გადაწერილი ძეგლების ენად, რომელშიც თავს იყრის სხვადასხვა დიალექტური წრის შემონატანი თუ ძველი და ახალი ქართულის ენობრივი ფაქტები. ენობრივ ფორმათა სიჭრელე და მრავალფეროვნებაა ის ძირითადი მახასიათებელი, რაც ამ პერიოდს წინარე და მომდევნო საფეხურებისაგან გამოარჩევს, როგორც თავისთავადსა და განსხვავებულ მონაცემს.
2. საშუალო ქართულში II სერიის მწკრივთა წარმოების შესასწავლად შევჯერდით ამოსავალ პოზიციაზე, რომელიც მწკრივთა სისტემის აგებისას საწარმოებელი ფუძის პრინციპის გათვალისწინებას გულისხმობს. საწარმოებელი ფუძის პრინციპიდან გამომდინარე, დამოუკიდებელ მწკრივად მოიაზრება მხოლოდ ის საუღლებელი ერთეული, რომელსაც დამოუკიდებელი ფუძე აქვს. ამის მიხედვით გამოიყო ოთხი მწკრივი: წყვეტილი, II კავშირებითი, II ხოლმეობითი, შერეული კავშირებითი.
3. საშუალო ქართულში წყვეტილის წარმოებას ვიკვლევდით იმ ფორმობრივი ჯგუფების (ყალიბების) ფარგლებში, რომლებიც საყრდენი მორფემის სტრუქტურის გათვალისწინებითაა გამოყოფილი. ეს ჯგუფებია უნიშნო და -ი სუფიქსიანი და -ე ბოლოსართიანი ზმნები. უნიშნო წარმოების („მოვკალ-Ø“ ტიპის) ზმნათა გვერდით იშვიათი ნართაულსმოვნიანი („მოვკალი“ ტიპის) ფორმებიც გამოვლინდა. მრ. რიცხვის ფორმებში (მოვკალ-ი-თ) თანხმოვანთგამყარის ფუნქციით გაჩენილი -ი ხმოვანი მხ. რიცხვის ფორმებშიც იკიდებს ფეხს. საშუალო ქართული აღნიშნულ ფორმებში მისი დამკვიდრების ეტაპია. ეს ეტაპი ორ ქვეეტაპად წარმოგვიდგება: 1. საშუალო ქართულის ენობრივი პერიოდის დასაწყისიდან XVI საუკუნემდე და 2. XVI საუკუნიდან ამ პერიოდის დასასრულამდე.
თუ „მოვკალი“ ტიპის ზმნებმა ოთხი ათეული შეადგინა, მრ. რიცხვის „მოვკალი“ ტიპის ზმნები მხოლოდ ორ ათეულს აღწევს. საშუალო ქართულის

ძეგლებში ამგვარი ძველი ქართულისეული ფორმების გამოყენებას უმეტეს შემთხვევაში თემატიკა განაპირობებს. წყვეტილის ხსენებულ ფორმათაგან განცალკევებით დგანან ე. წ. II ყალიბის ზმნები, რომელთა -ი მწკრივის ნიშანი განსხვავებულია გენეზისითა და ფუნქციით.

4. მარტივია წარმოება -ე ბოლოსართიანი წყვეტილისა, სადაც ასევე ორი ყალიბი გამოიკვეთება („ავაშენე“ და „ავაგე“ ტიპი). საშუალო ქართულში ამგვარი ზმნები დიდ ფორმობრივ ჯგუფს ქმნიან.
5. საშუალო ქართულის ჩვენ მიერ შესწავლილ ძეგლებში გამოიყო რამდენიმე ფორმობრივი ჯგუფი, რომლებიც წყვეტილს ორი ან მეტი ყალიბით იწარმოებს. პარალელიზმი დადასტურდა I და IV (დავასკვენ(ი) || დავასკენე), I და II (დავშვერ(ი) || დავშვრი), III და IV (ვსძლი(ვ)ე || ვსძლე), II და IV (დაეც(ი) || დასცი) ყალიბის ზმნებთან. გამოვლინდა შემთხვევა, როცა რომელიმე ზმნა ერთდროულად სამი ყალიბით იწარმოებს წყვეტილს (I, II, IV). პარალელური ფორმათწარმოება დადასტურდა არა მხოლოდ სხვადასხვა ეპოქის ძეგლებში, ასეთი ფაქტები ერთი ავტორის ერთსა და იმავე თხზულებაშიც მოიპოვება.
6. წყვეტილის ფორმებში III სუბიექტური პირის ნიშნებზე დაკვირვებისას ყურადღება გარდაუვალმა ზმნებმა მიიპყრეს. საშუალო ქართულის ენობრივი მასალის ანალიზმა გვიჩვენა, რომ XII-XIII საუკუნეთა ძეგლებში -ეს სუფიქსი რჩება ერთადერთ მაწარმოებლად. თუმცა ამ ეპოქის ცალკეულ თხზულებაში ახალი აფიქსებიც ჩნდება აქა-იქ. -ენ/-ნენ ბოლოსართთა რეგულარული ფიქსაცია XVII საუკუნიდან ხერხდება.
7. ბრძანებითის ფორმებს წყვეტილის ფორმობრივ ვარიანტებად განვიხილავთ. მათი წარმოება საშუალო ქართულის ძეგლების მიხედვით ძირითადად ახალი ქართულისებრია. აქა-იქ შეინიშნება ძველი წარმოების კვალიც: III პირის ბრძანებითის -ნ/-ედ არქაული აფიქსები უმეტესად დალოცვისა და წყევლა-შეჩვენების შინაარსის ფრაზებშია შემორჩენილი.
8. თითქმის მთლიანად ახალი ქართულისებრია წარმოება -ა და -ე სუფიქსიანი II კავშირებითისა მოქმედებითი გვარის ზმნებში. თუ ძველ ქართულში მათ გამოვლენას საყრდენი მორფემისეული ხმოვანი განაპირობებდა, საშუალო ქართულში უნიშნო და -ი ელემენტის წყვეტილის მქონე მოქმედებითი გვარის ზმნათა II კავშირებითის მაწარმოებლად უკვე -ა სუფიქსი გვხვდება ყველგან. -ე ბოლოსართი ნაშთის სახითაა შემორჩენილი. ეს უკანასკნელი

პოეზიაში ხშირად ლექსის საჭიროებით გამოიყენება. ზოგჯერ მის გამოვლენას ტექსტის თემატიკა განსაზღვრავს.

პრეფიქსიან ვნებითებთან პარალელური (-ა || -ე სუფიქსიანი) ფორმათწარმოება იკვეთება. პარალელური ფორმები ეწარმოება ზმნებს, რომელთა საყრდენ მორფემაში ე სმოვანი მონაცვლეობს ნულთან. პარალელური ფორმები ერთსა და იმავე ნაწარმოებში დასტურდება.

9. საშუალი ქართულის სამწერლობო ძეგლებში მოსალოდნელი -ა და -ე ბოლოსართების ნაცვლად არცთუ იშვიათად ო სუფიქსი გვხვდება, II კავშირებითს პარალელური აფიქსებით იწარმოებს ზოგიერთი ზმნა.
10. გარდაუვალ ზმნათა II კავშირებითში III სუბიექტური პირის მრავლობითობის გადმოსაცემად -ნენ სუფიქსი ჯერ კიდევ იშვიათია.
11. საშუალი ქართულის ენობრივ მასალაში სრულიად დამოუკიდებელი ადგილი უკავია II ხოლმეობითს. ახალ სალიტერატურო ქართულში ის აღარ არსებობს, მხოლოდ ზოგიერთ დიალექტს თუდა შემოუნახავს. საშუალ ქართულში მრავალგზისობის შინაარსის გადმოსაცემად იგი სისტემატურად გამოიყენება.
12. შერეულ კავშირებითს (შერეულ ხოლმეობითს), რომელიც ძველსავე ქართულში იშვიათია, საშუალ ქართულში გადმონაშთის სახით შემოუღწევია. „ქართლის ცხოვრების“ ერთ-ერთ თხზულებაში ორიოდე ფორმა მარიამისეულ ხელნაწერს შემოუნახავს.

დამოწმებული ლიტერატურა

- აბესაძე 1960:** აბესაძე ნ. გრამატიკის საკითხები XIX საუკუნის ქართულ პერიოდულ გამოცემებში. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960.
- აბულაძე 1954:** აბულაძე ი. ქართული ზმნის იშვიათი ფორმები VIII-IX სს-ის ძეგლების მიხედვით, თსუ შრომები. სტალინის სახ. თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 53, 1954.
- არაბული 1980:** არაბული ა. სპორადულად გამოვლენილი III პირის -ნ/-დ, -ენ/-ედ სუფიქსთა ფუნქციისათვის ძველ ქართულში. ნარკვევები იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიიდან. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1980.

რებათა აკადემია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.

არაბული 1992: არაბული ა. ქართული ზმნის ფორმათა სემანტიკური ანალიზისათვის, საქ. მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, გამომცემლობა „მეცნიერება“, 4, 1992.

არაბული 1999: არაბული ა. ზმნის საუღლებელ ერთეულთა რაოდენობის საკითხისათვის ქართულში, ენათმეცნიერების საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1, 1999.

ბარამიძე 2003: ბარამიძე ლ. სუბიექტური მესამე პირის ნიშანთა განაწილებისათვის ძველ ქართულში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003.

გეწაძე 1952-1953: გეწაძე დ. მესამე პირის სუბიექტის ნიშანი -დ ძველ ქართულში, აღ. წულუკიძის სახ. ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, XI, 1952-1953.

გეწაძე 1969: გეწაძე დ. მწკრივთა ფორმების წარმოება სულხან-საბა ორბელიანის თხზულებებში. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, 1969.

გიგინეიშვილი 1952: გიგინეიშვილი ი. ი. ბ. სტალინის მოძღვრება საერთო-სახალხო ენისა და დიალექტების შესახებ და ერთიანი ქართული სალიტერატურო ენის საკითხები, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (იკე). საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, III, 1952.

გიგინეიშვილი 1959: გიგინეიშვილი ი. სულხან-საბა ორბელიანის ენისათვის. სულხან-საბა ორბელიანი. საიუბილეო კრებული. თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1959.

გიგინეიშვილი 1964: გიგინეიშვილი ი. ოდ ელემენტის შემცველი ერთი ზმნური ძირის აგებულებისათვის. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ტ. 34. 1, 1964.

- გიგინეიშვილი...** 1973: გიგინეიშვილი ბ., სარჯველაძე ზ. [ვა], [ჟა], [ვე], [ჟე] და [ო] სეგმენტთა ურთიერთმიმართებისათვის ძველ ქართულში. მრავალთავი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, III, 1973.
- გოგოლაშვილი** 1980: გოგოლაშვილი გ. ნამყო ძირითადის წარმოება ახალ ქართულში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 3, 1980.
- გოგოლაშვილი** 1983: გოგოლაშვილი გ. -ე და -ა სუფიქსიანი II კავშირებითის შესახებ ახალ ქართულში. ქართული სიტყვის კულტურის საკითხები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, V, 1983.
- გოგოლაშვილი** 1984: გოგოლაშვილი გ. დრო-კილოთა მეორე სერიის ფორმები ახალ ქართულში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1984.
- გოგოლაშვილი** 1985 ა: გოგოლაშვილი გ. ნამყოს სახეობათა წარმოების ერთგვაროვანი პრინციპისათვის ძველ ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (იკე), XXIII, 1985.
- გოგოლაშვილი** 1985 ბ: გოგოლაშვილი გ. ერთი ზმნური ძირის (ცემა) შემადგენლობისათვის ქართულში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1, 1985.
- გოგოლაშვილი** 1988: გოგოლაშვილი გ. ქართული ზმნის უღვლილების სისტემა, თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988.
- გოგოლაშვილი** 2004: გოგოლაშვილი გ. ქართული ენის პერიოდიზაციის საკითხისათვის, ენათმეცნიერების საკითხები. ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, I, 2004.
- გორგაძე** 1925: გორგაძე ს. ახალი სალიტერატურო ქართულის ისტორიიდან. „მნათობი“, თბილისი, 1, 1925.
- დანელია** 1965: Дanelия К. Д., Древнегрузинские версии Пророчества Иеремии и их язык. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. Тбилиси, 1965.
- დეეტერსი** 1930: Deeters G., Das Kartvelische Verbum, Leipzig, 1930.

- ერთელიშვილი 1956:** ერთელიშვილი ფ. რატომ იყენებს II ბრძანებითი წყვეტილის ფუძეს, თსუ შრომები. სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 61, 1956.
- ერთელიშვილი 1968:** ერთელიშვილი ფ. ახალი სალიტერატურო ენის ისტორიისათვის. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში, საქ. სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტლური დამატება, 2, 1968.
- ზურაბიშვილი 1965:** ზურაბიშვილი თ. მრავალგზისობის საკითხი თანამედროვე ქართულში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი, XL, 2, 1965..
- თვარაძე 1978:** თვარაძე რ. თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობა. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. საქ. სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიური ჟურნალი „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტლური დამატება, 3, 1978.
- თოფურია 1941:** თოფურია ვ. ნ და ს ფენებისათვის ქართველურ ენებში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, თბილისი, ტ. II, № 1-2, 1941.
- თოფურია 1942:** თოფურია ვ. ზმნის უძველესი სუფიქსაციისათვის ქართულში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი, ტ. III, 5, 1942.
- თოფურია 1952:** თოფურია ვ. 1952 წ. 20-22 ივნისის სამეცნ. სესიის თეზისები.
- თოფურია 1955:** თოფურია ვ. ნამყოს სახეობათა საერთო ნიშნისათვის ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (იკე). საქ. მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 7, 1955.
- თოფურია 1965:** თოფურია ვ. ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1965.
- თოფურია 1967:** თოფურია ვ. სვანური ზმნა. შრომები. თბილისი: ენათმეცნიერების ინსტიტუტის გამომცემლობა, I, 1967.
- თანამედროვე ნორმები 1986:** თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, I, 1986.
- იმნაიშვილი 1971:** იმნაიშვილი ი. ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, ტ. I, ნაწ. II, 1971.

- იმნაიშვილი 1977:** იმნაიშვილი ი. კვლავ შერეული კავშირებითის შესახებ ძველ ქართულში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 187, 1977.
- იმნაიშვილი...1996:** იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ. ზმნა ძველ ქართულში. მაინის ფრანკფურტი, I, 1996.
- კეკელიძე 1946:** კეკელიძე კ. ქართული აგიოგრაფიული ძეგლები. კიმენი. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, ნაწ. I, II, 1946.
- კეკელიძე... 1954:** კეკელიძე კ., ბარამიძე ა. ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, 1954.
- კეკელიძე 1980:** კეკელიძე კ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, I, 1980.
- კვიციანიძე 1888:** კვიციანიძე პ. ქართული სწორმეტყველება. საშინჯი სახელმძღვანელო. პირველი წიგნი. თბილისი: გამომცემული ზ. ჭიჭინაძისაგან, 1888.
- კიზირია 1954:** კიზირია ა. საერთო მწერლობის ძეგლთა ენის სინტაქსის ზოგიერთი საკითხი. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (იკე). თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, VI, 1954.
- კიზირია 1974:** კიზირია ა. ქართული ენა. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1974.
- კიკნაძე 1947:** კიკნაძე ლ. პირველი სერიის მწკრივთა წარმოებასთან დაკავშირებული საკითხები. თბილისის უნივერსიტეტის შრომები. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 30 b-31 b, 1947.
- კიკნაძე 1961:** კიკნაძე ლ. უწყვეტლის ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში. თსუ ძველი ქართული ენის კათედრის შრომები. თბილისის სტალინის სახ. სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 7, 1961.
- კიკნაძე 1967:** კიკნაძე ლ. შერეული ხოლმეობითის მწკრივი ძველ ქართულში. ორიონი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1967.

- კობალაძე 1995:** კობალაძე მ. სტილისტიკური დაკვირვებები (სულხან-საბა ორბელიანის ენა). საენათმეცნიერო ძიებანი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, IV, 1995.
- კოტინოვი 1959:** კოტინოვი ნ. კილოს კატეგორია ქართულ ენაში. ი. გოგებაშვილის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები. საქ. სსრ განათლების სამინისტრო. თბილისი, თელავი, III, 1959.
- მარი 1908:** Марр Н. Я., Основные таблицы к грамматике древнегрузинского языка. С.-Петербург: Типография императорской академии наук, 1908.
- მარი 1922:** Марр Н. Я., К изучению современного грузинского языка. Петербург, 1922.
- მარი 1925:** Марр Н. Я., Грамматика древнелитературного грузинского языка, Ленинград, 1925.
- ნიკოლაიშვილი 1978:** ნიკოლაიშვილი ე. III სუბიექტური პირის -**ეს** სუფიქსის -**(ნ)ენ**-ით შეცვლის ისტორიისათვის. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, თბილისი: 3, 1978.
- ქლენტი 1989:** ქლენტი დ. ბესიკის ენა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.
- როგავა 1945:** როგავა გ. აორისტისა და კავშირებითი მეორის ზოგ აფიქსთა გენეზისისათვის -**ევ** სუფიქსთან დაკავშირებით ქართულსა და მეგრულში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი. ტ. VI, 8, 1945.
- როგავა 1968:** როგავა გ. მრავლობითი რიცხვის მესამე სუბიექტური პირის -**ან** სუფიქსისათვის ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (იკე). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, XVI, 1968.
- სარჯველაძე 1973:** სარჯველაძე ზ. **დ/ედ** და **ნ** ნიშნებიანი მესამე სუბიექტური პირის იშვიათი ფორმები ძველ ქართულში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 2, 1973.
- სარჯველაძე 1984:** სარჯველაძე ზ. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, 1984.

- უთურგაიძე 1996:** უთურგაიძე თ. კვლავ ბრძანებითი მწკრივისათვის ქართულში. ქართველური მემკვიდრეობა. ქუთაისის ა. წერეთლის სახ. უნივერსიტეტის შრომები. ქუთაისი: გამომცემლობა „ქართული ენა“, I, 1996.
- ფონსუა 1961:** ფონსუა ბ. მრავლობითობის ნარიანი მაწარმოებლები ძველ ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები (ქესს). თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, II, 1961.
- ქავთარაძე 1954:** ქავთარაძე ი. ზმნის ძირითადი კატეგორიების ისტორიისათვის ძველ ქართულში. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1954.
- ქავთარაძე 1961:** ქავთარაძე ი. ხოლმეობითის კატეგორიის ისტორიიდან ქართულში. ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები (ქესს). თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, II, 1961.
- ქავთარაძე 1963:** ქავთარაძე ი. ხოლმეობითის ფორმათა შესწავლის ისტორიისათვის ქართულ ზმნაში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 96, 1963.
- ქავთარაძე 1964:** ქავთარაძე ი. ქართული ენის ისტორიისათვის. თბილისი: 1964. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, I, 1964.
- ქავთარაძე 1973:** ქავთარაძე ი. -**ევ** სუფიქსი მეორე და მესამე სერიის ზმნებში, აღმოსავლური ფილოლოგია. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, III, 1973.
- შანიძე 1920:** შანიძე ა. სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, 1920.
- შანიძე 1930:** შანიძე ა. ქართული გრამატიკა. ტფილისი: ტფილისის უნივერსიტეტის გამოცემა, I, 1930.
- შანიძე... 1935:** შანიძე ა., ბარამიძე ა., აბულაძე ი. ძველი ქართული ენა და ლიტერატურა. ტფილისი: გამომცემლობა „სახელგამი“, 1935.

- შანიძე 1945 ა:** შანიძე ა. ქართული ოთხთავის ორი ძველი რედაქცია (სამი შატბერდული ხელნაწერის მიხედვით). თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1945.
- შანიძე 1945 ბ:** შანიძე ა. მწკრივთა მოძღვრებისათვის, I. სამი მწკრივის წარმოების თავისებურებანი ძველ ქართულში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი, ტ. VI, 10, 1945.
- შანიძე 1948:** შანიძე ა., მწკრივთა მოძღვრებისათვის. V. სხვა უცნობი მწკრივი ქართულში. თბილისის სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო სესია (1948 წ. 31 მაისი – 5 ივნისი). მუშაობის გეგმა და მოხსენებათა თეზისები. თბილისი: უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1948.
- შანიძე 1953:** შანიძე ა. ქართული გრამატიკის საფუძვლები. თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, I, 1953.
- შანიძე 1976:** შანიძე ა. ძველი ქართული ენის გრამატიკა. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1976.
- შანიძე 1980:** შანიძე ა. თხზულებანი. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, III, 1980.
- შანიძე... 1980:** შანიძე ა., იმნაიშვილი ი., კვაჭაძე ლ. ქართული ენის გრამატიკა. V-VI კლასების სახელმძღვანელო. თბილისი: გამომცემლობა „განათლება“, ნაწ. I, 1980.
- შანიძე 1981:** შანიძე ა. თხზულებანი. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, II, 1981.
- ჩიქობავა 1926:** ჩიქობავა არნ. რეცენზია: „Н. Я. Марр, Грамматика древнелитературного грузинского языка“. მიმომხილველი. ტფილისი: საქ. საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამომცემა, I, 1926.
- ჩიქობავა 1929:** ჩიქობავა არნ. რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში? ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე. თბილისი, IX, 1929.
- ჩიქობავა 1936:** ჩიქობავა არნ. ჭანურის გრამატიკული ანალიზი. თბილისი: სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემა, 1936.

- ჩიქობავა 1938:** ჩიქობავა არნ. დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“. ენიმკის მოამბე (აკად. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე). სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, III, 1938.
- ჩიქობავა 1940:** ჩიქობავა არნ. მესამე პირის სუბიექტის უძველესი ნიშანი ქართველურ ენებში, ენიმკის მოამბე (აკად. მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტის მოამბე). სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის გამომცემლობა, V-VI, 1940.
- ჩიქობავა 1942:** ჩიქობავა არნ. სახელის ფუძის უძველესი აგებულება ქართველურ ენებში. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1942.
- ჩიქობავა 1943:** ჩიქობავა არნ. პერმანისივის („ხოლმეობითის“) ისტორიული ადგილისათვის ქართული ზმნის უღვლილებების სისტემაში. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე. თბილისი: ტ. IV, 1, 1943.
- ჩიქობავა 1948:** ჩიქობავა არნ. ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა იბერიულ-კავკასიურ ენებში. I. ნომინატიური და ერგატიული კონსტრუქციის ისტორიული ურთიერთობა ძველი ქართული სალიტერატურო ენის მონაცემთა მიხედვით. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1948.
- ჩიქობავა 1950:** ჩიქობავა არნ. ქართული ენის ზოგადი დახასიათება. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ქეგლ). თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა. I, 1950.
- ჩიქობავა 1952:** ჩიქობავა არნ. ენათმეცნიერების შესავალი. თბილისი: სტალინის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1952.
- ჩიქობავა 1954:** ჩიქობავა არნ. მრავლობითობის სუფიქსთა გენეზისისათვის ქართულში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (იკე). თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, VI, 1954.

- ჩიქობავა 1966:** ჩიქობავა არნ., ძველისა და ახალი ქართულის კომპონენტებისათვის „ვეფხისტყაოსნის“ ენის მორფოლოგიურსა და სინტაქსურ სტრუქტურაში. იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება (იკე). თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, XV, 1966.
- ჩიქობავა 1967:** Чикобава А. С. Грузинский язык, Языки народов СССР, Москва: издательство "Наука", IV, 1967.
- ჩიქობავა 1968:** ჩიქობავა არნ. მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, I, 1968.
- ცქიტიშვილი 1976:** ცქიტიშვილი თ. ეზეკიელის წიგნის ძველი ქართული ვერსიები. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო თ. ცქიტიშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1976.
- ძიძიგური 1978:** ძიძიგური შ. მთლიანობა ოღონდ ნაირგვაროვანი. ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში. საქ. სსრ განათლების სამინისტროს სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების“ ყოველკვარტლური დამატება, 4, 1978.
- ძიძიგური 1980:** ძიძიგური შ. დავით გურამიშვილის ენა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.
- ძიძიგური 1988:** ძიძიგური შ. სიტყვის ცხოვრება. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1988.
- ჭუმბურიძე 1982:** ჭუმბურიძე ზ. მადლი დედაენისა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1982.
- ჯორბენაძე 1975:** ჯორბენაძე ბ. ზმნის გვარის ფორმათა წარმოებისა და ფუნქციის საკითხები ქართულში. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1975.
- ჯორბენაძე 1980:** ჯორბენაძე ბ. ქართული ზმნის ფორმობრივი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1980.
- ჯორბენაძე 1987:** ჯორბენაძე ბ. ბალავარი მწერლობისა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1987.
- ჯორბენაძე 1998:** ჯორბენაძე ბ. ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციისათვის. ბურჯი ეროვნებისა. ბესარიონ ჯორბენაძის საზოგადოების ჟურნალი. თბილისი: 1, 1998.

დამოწმებული წყაროები

- შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი ი. აბაშიძის, ა. ბარამიძის, პ. ინგოროყვას, ა. შანიძის, გ. წერეთლის რედაქციით. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1966.
- ვისრამიანი, გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთეს ალ. გვახარიამ და მ. თოდუამ. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1962.
- მოსე ხონელი, ამირანდარეჯანიანი, გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ლ. ათანელაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1967.
- აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთანე, 1233 წ. ტექსტი გამოსცა ლ. მუსხელიშვილმა. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1941.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: „სახელგამი“, I, 1955.
- ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, II, 1959.
- ქართული სამართლის ძეგლები, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული. ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, I, 1963.
- ქართული სამართლის ძეგლები, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.). ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ი. დოლიძემ. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, II, 1965.
- ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“, I, 1984.
- ქართული წარწერების კორპუსი, ლაპიდარული წარწერები, II, დასავლეთ საქართველოს წარწერები, ნაკვ. I (IX-XIII სს.). შეადგინა და

გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბილისი:
გამომცემლობა „მეცნიერება“, 1980.

ექვთიმე თაყაიშვილი, 1917 წლის არქეოლოგიური ექსპედიცია სამხ. საქართველოში. თბილისი: საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, 1960.

თეიმურაზ I, თხზულებათა სრული კრებული. ტექსტი, გამოკვლევა, ლექსიკონი ალ. ბარამიძისა და გ. ჯაკობიას რედაქციით. ტფილისი: „ფედერაცია“, 1934.

თეიმურაზ II, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით. თბილისი: „ფედერაცია“, 1932.

არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, I, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. ტფილისი: საქართველოს მუზეუმი, 1936.

არჩილი, თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, II, ალ. ბარამიძისა და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით. თბილისი: საქართველოს სახელმწიფო მუზეუმი, 1937.

სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, I, სიბრძნე სიცრუისა, მოგზაურობა ევროპაში. გამოსაცემად მოამზადეს ს. ყაუხჩიშვილმა და რ. ბარამიძემ. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1959.

სულხან-საბა ორბელიანი, თხზულებანი, III, სწავლანი. გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო ივ. ლოლაშვილმა. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1963.

ბესიკი, თხზულებათა სრული კრებული. ალ. ბარამიძისა და ვ. თოფურიას რედაქციით. ტფილისი: „ფედერაცია“, 1932.

დავით გურამიშვილი, თხზულებათა სრული კრებული. ი. აბაშიძის, ალ. ბარამიძის, ნ. ბერძენიშვილის, კ. კეკელიძის, გ. ლეონიძის, ს. ჩიქოვანის რედაქციით. თბილისი: „სახელგამი“, 1955.

იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, I, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტფილისი: „სახელგამი“, 1936.

იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, II, კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით. ტფილისი: „სახელგამი“, 1948.

შემოკლებათა განმარტება

- აბუს. ტბ. – აბუსერიძე ტბელი
ამ. – ამირანდარეჯანიანი
არჩ. – არჩილი
ბეს. – ბესიკი
დავითიანი – დავით გურამიშვილის თხზულებანი
ექვთ. თაყ. – ექვთიმე თაყაიშვილი
ვეფხ. – ვეფხისტყაოსანი
ვის. – ვისრამიანი
თ. I – თეიმურაზ I
თ. II – თეიმურაზ II
ბატონიშ. – იოანე ბატონიშვილი
ისტ. საბ. – ისტორიული საბუთები
ლაპიდ. წარწ. – ლაპიდარული წარწერები
სამ. ძეგლ. – ქართული სამართლის ძეგლები
საბა, მოგზ. – სულხან-საბა ორბელიანი, მოგზაურობა ევროპაში
საბა, ს.ს. – სულხან-საბა ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა
საბა, სწავლ. – სულხან-საბა ორბელიანი, სწავლანი
ქ. ცხ. – ქართლის ცხოვრება

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი

1. ქართული სალიტერატურო ენის პერიოდიზაციისათვის2-11
2. II სერიის მწკრივთა რაოდენობა ძველ ქართულში11-16
3. II სერიის მწკრივთა რაოდენობა ახალ ქართულში16-24
4. II სერიის მწკრივთა რაოდენობა საშუალო ქართულში25-26

I. წყვეტილი

1. წყვეტილის წარმოება ძველ ქართულში26-33
2. წყვეტილის წარმოება ახალ ქართულში34-36
3. წყვეტილის მესამე სუბიექტური პირის ნიშანთა საკითხი ძველსა და ახალ ქართულში36-41
4. წყვეტილის წარმოება საშუალო ქართულში41-42
 - 4.1 უნიშნო და -ი სუფიქსიანი წყვეტილი42-63
 - 4.2 -ე ბოლოსართიანი წყვეტილი63-67
 - 4.3 ყალიბთა მონაცვლეობისათვის67-79
 - 4.4 წყვეტილის მესამე სუბიექტური პირის წარმოება79-91
 - 4.5 ბრძანებითის ფორმები91-105
 - 4.6 თავისებურებანი106-117

II. II კავშირებითი

1. II კავშირებითის წარმოება ძველ ქართულში117-123
2. II კავშირებითის წარმოება ახალ ქართულში123-126
3. II კავშირებითის წარმოება საშუალო ქართულში126
 - 3.1 -ა და -ე სუფიქსიანი II კავშირებითი126-140
 - 3.2 პრეფიქსიანი ვნებითის II კავშირებითის ფორმათა წარმოების თავისებურება141-149
 - 3.3 -ენ/-ნენ დაბოლოებისათვის II კავშირებითში149-155
 - 3.4 -თ სუფიქსიანი II კავშირებითი, პარალელიზმი156-165

III. II ხოლმეობითი და შერეული კავშირებითი.....165-172

- პირითადი დასკვნები173-175
- დამოწმებული ლიტერატურის სია175-184
- დამოწმებული წყაროები.....185-186
- შემოკლებათა განმარტებანი187
- სარჩევი188